

1882


2021



ქუთაისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

წელიწადი

XIII





ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე
(1833-1895)

„მხოლოდ ამ ოც-და-ათის წლის წინედ, როდესაც „ცისკარი“ გამოდიოდა, პირდაპირ და შეუპოვრად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ ერთი ახალგაზრდა ქალი და ეს ქალი იყო კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. იმან არ მიაქცია ყურადღება ძველ თაობის კიცხვა-გინებას და შვენიერი ლექსებით აცხადებდა თავის გულის-პასუხებს; მოსთქვამდა წარსულზედ, შეფრქვევით უგალობდა მომავალს და უსიტყვოდ არ ავდებდა აწმყოს ავ-კარგინობას.“

გაზეთი „კვალი“, №14, 1893 წელი

„კნ. ბარბარე ჯორჯაძისა იყო შინაურათ ოჯახში აღზრდილი, მაგრამ მისი მსჯელობა გააკვირვებდა ბევრს ევროპიულ სწავლით შეჭურვილს პირებს. ამ ორი წლის წინათ მე მომივიდა მისგან კერძო წერილი საზოგადოთ ქართველი ქალების აღზრდაზე და მწელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს დაწერილია შინაურათ აღზრდილი მოხუცი ქალისაგან.

მისი შვენიერი ნამდვილი ქართული ენა კიდევ უფრო ამშვენებდა მის მოთხრობებს და ლექსებს.“

გაზეთი „კვალი“, №17, 1895 წელი

**ქუთაისის ილია ჩაჩავაძის
სახელობის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა**
KUTAISI ILIA CHAVCHAVADZE PUBLIC LIBRARY

წელიწადი

XIII

ებღვნება
ქართველ საზოგადო მოღვაწეს,
დრამატურგსა და პუბლიცისტს

ბარბარე ჯორჯაძეს

Dedicated to
Georgian Public figures,
playwright and publicist

Barbare Jorjadze

ქუთაისი

2021

Kutaisi



Annual publishes the papers of the Kutaisi Iliia Chavchavadze public library XIII International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistics, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc.).

EDITORIAL BOARD:

Nomadi Bartaia, Levan Beburishvili, Merab Beridze, Fevzi Chelebi, Magda Chikaberidze, Harun Chimke, Malkhaz Chokharadze, Eka Dadiani (Editor - in chief), Luka Dvalishvili, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze, Stephen Jones, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Luiza Khachapuridze, Grigol Kobaliani, Murman Kutelia, Leila Kvelidze, Aleksandre Mgebrshvili, Maia Mikautadze (editor), Avtandil Nikoleishvili, Otar Nikoleishvili, Natia Putkaradze, Saad Abd Al-Rahim, Rusudan Saginadze, Davit Shavianidze, Revaz Sherozia, Giorgi Sosiashvili, Natia Svintradze, Roland Topchishvili, Rita Tsakadze (Secretary responsible), Nino Ugulava (editor of the English texts), Lali Urdulashvili.

Project Director:

GRIGOL KOBALIANI

Address of the Editorial Office; 1, L. Nutsubidze str., Kutaisi

e-mail: k.library1873@gmail.com

© Publishing Centre "Kutaisi", 2021

შინაარსი – Contents

ნანა აბულაძე – მევენახეობასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები კახეთში Nana Abuladze - Poems related to viticulture in Kakheti	7
მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე – ქალთა უფლებების ბარბარე ჯორჯაძისეული გაგება Manana Bandzeladze, Darejan Ckhirodze – Understanding Women’s Rights according to Barbare Jorjadze	13
დალი ბეთხოშვილი – თეიმურაზ პირველის მსოფლმხედველობრივი საკითხები პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ Dali Betkshvili – The Philosophy Issues of Teimuraz the First in the Poem „Martyrdom of Queen Ketevan“	19
თამარ გოგოლაძე – ერთი თემის პერსონაჟი სხვადასხვა მხატვრული ტექსტის რაკურსში (გიორგი ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძე) Tamila Gogoladze – Characters of one theme from the perspective of different fictional texts (Giorgi Eristavi, Barbare Jorjadze, Iliia Chavchavadze).....	29
ეკა დადიანი – ფონეტიკური ცვლილებებისათვის ბარბარე ჯორჯაძის ნაწერებში Eka Dadiani – For Phonetic Changes in the Writings of Barbare Jorjadze	34
მაყვალა დავითაძე – უმზითვო ფიქრების დედოფალი (ნინო თარიშვილის პოეზია) Makvala Davitadze – Thoughts of fortuneless Queen (Nino Tarishvili’s poetry)	42
იამზე ვაშაკიძე – ბარბარე ჯორჯაძის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში Iamze Vashakidze – For the place of Barbare Jorjadze In the history of Georgian literary language.....	50
რუსუდან კაშია – მებაზრეუმეობა კახეთში (XII-XVIII სს.) Rusudan Kashia – Silkworm breeding in Kakheti (XVII-XVIII centuries)....	58
მარიამ კობერიძე – გვარსახელები ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიულ საბუთებში Mariam Koberidze – Surnames and Names in the Historical Documents of Kartli-Kakheti Monasteries and Churches.....	65

მარიამ მარჯანიშვილი – ქუთაისის ეპოპეა კოტე მარჯანიშვილის
მოღვაწეობაში
Mariam Marjanishvili – Kutaisi epic in the work of Kote Marjanishvili74

მაია მიქაუტაძე – შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული
ძეგლების ენობრივი თავისებურებანი
Maia Mikautadze – Linguistic Peculiarities of Medieval Kakheti
Epigraphic Monuments 83

რუსუდან მიქაუტაძე, მადონა რობაქიძე – თეკლა ბატონიშვილი და
ისტორიულ-კულტურული პარადიგმის ცვლილების დასაწყისი
საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში
Rusudan Mikautadze, Madona Robakidze – Tekla Batonishvili
(princess) and the beginning of the change of the historical-cultural
paradigm in the conditions of the Russian colonial policy in Georgia 92

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – შტრიხები ბარბარე ჯორჯაძის
ლიტერატურული პორტრეტისათვის
Avtandil Nikoleishvili – Strokes by Barbare Jorjadze for a literary
portrait 99

ოთარ ნიკოლეიშვილი – რიჩარდ უილბრეჰემი კახეთის შესახებ
Otar Nikoleishvili – Richard Wilbraham about Kakheti..... 112

რუსუდან საღინაძე – კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები
(პალეოგრაფიულ-ენობრივი ასპექტები)
Rusudan Saginadze - Epigraphic monuments of Kakheti
(paleographic-linguistic aspects) 118

მარიამ სულხანიშვილი – პიროვნების ემანსიპაციის საკითხი
ბარბარე ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი აზროვნების ჭრილში
Mariam Sulkhaniashvili – The issue of personality emancipation
of Barbare Jorjadze in the context of worldview thinking 130

მაია კუჩიშვილი – სამცხე-ჯავახეთიდან სანავარდოში
(ყვარლის მუნიციპალიტეტი) მიგრირებულთა შტოგვარებისა
და მეტსახელების სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი
Maia Kukchishvili – Structural and Semantic Analysis of Surnames
and Nicknames of Migrants from Samtskhe-Javakheti to Sanavardo
(Kvareli Municipality)..... 139

ღავით შავიანძე – შიდამიგრაცია კახეთიდან - პოლიტიკური და
ეთნიკურ-კულტურული ისტორიის საკითხები (დასავლეთ
საქართველოში მიგრირებულ გვართა ეთნოგრაფიული
მასალების მიხედვით)

Davit Shavianidze – Internal Migration from Kakheti - Issues of Political and ethno-cultural history (On ethnographic materials of surnames migrated to West Georgia) 149

რევაზ შეროზია – ერთგვაროვანი ქართველური ონომასტიკური მასალისათვის (კახეთი: კახათი)
Revaz Sherozia – For homogeneous Kartvelian onomastic material (Kakheti: Kakhati) 157

მაგდა ჭიჭაბერიძე, ეკატერინე შაკიაშვილი, მანანა ხვიციანი –
 წინანდლის ტრაგედია ფრანგი მწერლების – ანა დრანსესა და ალექსანდრე დიუმას მიხედვით
Magda Chikaberidze, Ekaterine Shakiashvili, Manana Khvingia –
 Tsinandali tragedy by French writers: Anna Drance and Alexandre Dumas 161

სოფიკო ჭუმბურიძე – ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედება ფემინისტური კრიტიკის კონტექსტში
Sofiko Chumburidze – Barbare Jorjadze’s work in the context of feminist criticism 169

ლუიზა ხაჩაპურიძე, მარიკა თედორაძე – ქორწინებასთან დაკავშირებული ლექსიკა კახურში (დაბა წნორის მასალების მიხედვით)
Luiza Khachapuridze, Marika Tedoradze – Vocabulary related to marriage in Kakheti (According to the materials of Tsnori) 175

მზია ხოსიტაშვილი – მეაბრეშუმეობის აღორძინება კახეთში – რეგიონის სოციალური პასუხისმგებლობა
Mzia Khositashvili – Revival of the silk industry in Kakheti – social responsibility of the region 181

ავტორთა მონაცემები 193

CONTRIBUTORS 197

**მევენახეობასთან დაკავშირებული
ლექს-სიმღერები კახეთში**

**Poems related to viticulture
in Kakheti**

ნანა აბულაძე

დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
საქართველო, ზუგდიდი

Nana Abuladze

Dadiani Palace's
Historic-Architectural Museum
Georgia, Zugdid

ABSTRACT

Poems related to viticulture and winemaking are a chronicle of the past. Samples of folk poetic creations allow us to think and comprehend the very diverse and multifaceted life of our ancestors, which leaves an indelible mark on the inner world of man.

It is noteworthy the poems preserved in Kakheti, are related to the vineyard, vine, and wine. Kakheti is a cellar of this wonderful plant and soul-pleasing fluid, as well as a united Georgia.

The scientific basis of viticulture and winemaking was mainly laid in the XIX century. The scientific study of their history begins from the same period. Modern cultivated vines are derived from wild vines. Viticulture and winemaking have reached a particularly high level of development in Kakheti.

Records of labor songs and terms recorded in ancient written monuments and Renaissance writings reveal their antiquity. Mankind has been accompanied by labor since its inception, and labor has been creating its own poetry.

One of the important places in labor poetry is occupied by vineyard poems. It was widespread throughout Georgia and was mainly performed collectively. We also have individual performance texts: vineyard bar and pitcher washing. Wine has a special place in the consciousness of Georgians. He is the savior and delicacy of Lkhini, Keif. Vine, wine, and cellar have an honorable place in human life, which is clarified by both folklore and ethnographic material. Vine, wine, and cellar are considered as one whole in the consciousness of Georgians.

საკვანძო სიტყვები: კახეთი, ლექს-სიმღერები, ვენახი, ღვინო, გიდელო.

Keywords: Kakheti, poems, vineyard, wine, guide.

მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები გარდასულ დღეთა მემატანაა. ხალხური პოეტური შემოქმედების ნიმუშები გვაძლევს საშუალებას, დავფიქრდეთ და გავიაზროთ ჩვენი წინაპრების მეტად მრავალფეროვანი და მრავლისმეტყველი ყოფა-ცხოვრება, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის შინაგან სამყაროზე.

ჩვენი დაკვირვების ობიექტია ის ლექს-სიმღერები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის პოეზიასთან, კერძოდ, მევენახეობასთან კახეთში. შრომის პოეზია კაცობრიობის ცხოვრების, მისი განვითარების დასაწყისიდანვე იღებს სათავეს (ჩხეიძე 1973: 4).

საგულისხმოა კახეთში დაცული ის ლექს-სიმღერები, რომლებიც ვენახთან, ვაზთან, ღვინოსთანაა დაკავშირებული. კახეთი ამ მშვენიერი მცენარისა და სულის მამებელი სითხის მარანია ისევე, როგორც ერთიანი საქართველო. მევენახეობასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომის პოეზიაში.

ძველ წერილობით ძეგლებსა და აღორძინების პერიოდის თხზულებებში ფიქსირებული ცნობები შრომის სიმღერებისა და ტერმინების შესახებ ცხადყოფს მათ უძველესობას. კაცობრიობას თავისი გაჩენის დღიდან თან ახლავს შრომა, ხოლო შრომა საკუთარ პოეზიას ქმნიდა (ოქროშიძე 1962: 15). ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებული ხალხური სიმღერები ძველადვე ჩვენში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ჯავახიშვილი 1990: 259). არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ნათელს ხდის, რომ ქვის ხანიდან მოყოლებული ქართველურ ტომებს ჰქონდათ საკუთრივ გამოიმუშავებული მატერიალური და სულიერი კულტურა, რაც, თავის მხრივ, ასახავს პოულობს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში (ჩხეიძე 1973: 4).

ვაზისადმი პატივისცემა და სიყვარული შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ამიტომაც ძვირფასი მცენარისადმი სხვადასხვა ხალხში სხვადასხვაგვარი ლეგენდა და თქმულება არსებობს. ძველი ბერძნული თქმულებით, არსებობდა მევენახეობა-მეღვინეობისა და ლხინის ღმერთი, რომელსაც დიონისეს უწოდებდნენ. რომაელების პანთეონში ასეთ ღმერთს ბახუსი ან კიდევ ვაკვა ერქვა, ხოლო ეგვიპტელები ამ ღვთაების ფუნქციას ოზირისს მიაწერდნენ (სიჭინავა 1960: 7).

მევენახეობა-მეღვინეობას მეცნიერული საფუძველი უმთავრესად XIX საუკუნეში ჩაეყარა. ამავე პერიოდიდან იწყება მათი ისტორიის მეცნიერული შესწავლა. თანამედროვე კულტურული ვაზი წარმოშობილია ველური ვაზისაგან (იქვე: 15).

სტრაბონი ალბანიის შესახებ წერდა, რომ იგი დაჯილდოებულია ისეთი მიწით, „რომელსაც მოაქვს ნაყოფი თვით უნახესიც კი, აგრეთვე მრავალგვარი მცენარეული, თვით მუდამ მწვანეც კი მოდის; ამისათვის მცირე ზრუნვაც კი არ არის საჭირო“ (ყაუხჩიშვილი 1957: 132). პტოლომეის რუკის მიხედვით (II ს.) ადგილი დასადგენია, რომ ალბანიის ტერიტორიაში

კახეთის ნაწილი ე. წ. ჰერეთი შედიოდა და, მაშასადამე, სტრაზონის ამ სიტყვებში კახეთის ბუნებრივი პირობებიც იგულისხმება (სიჭინავა 1960: 17).

შორეული წარსულიდან მოყოლებული ვაზი ღვთაებრივ, მზის მცენარედ ითვლებოდა. ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, ის იყო „სიცოცხლის ხე“. IV საუკუნეში, როდესაც წმინდა ნინო საქართველოში მოდიოდა, მას თან ვაზის ჯვარი მოჰქონდა. დავით აღმაშენებლის (1089-1125) ძეს ეკუთვნის ცნობილი საგალობელი „ქება ღმრთისმშობლისაი“ („შენ ხარ ვენახი“), რომელშიც განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სიმბოლურ-ალეგორიული კავშირი საქართველოს მფარველს – მარიამ ღვთისმშობელსა და ვაზს შორის. ვაზის გამოსახულება (მოხაზულობა), როგორც ჩუქურთმა, შეიჭრა ქართულ ხელოვნებაშიც. იგი ხშირად გამოკვეთილია ხოლმე ქრისტიანულ ტაძრებზე (ალიბეგაშვილი 1992: 217-218). ქართველი გლეხის წელღონივრობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ვენახი იყო. ამას ადასტურებს ხალხური პოეტური ტექსტები. საყურადღებოა, რომ ნიშნობის ცერემონიალში ვენახი გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა. მოვიხმოთ პოეტური ტექსტი:

„სიდედრო, შავგრემანობით არ დაიწუნო სიძეა,
სოფელში მოდი, იკითხე გრძელი ვენახი ვისია“

(კოტეტიშვილი 1934: 42).

საყურადღებოა ხალხური ლექსი, რომელიც ვენახის მოვლასთანაა დაკავშირებული:

„ვენახი კარგი იქნება თოხით ღრმად გათოხნილია,
ყოველთვის დაკრეფის დროსა მას მტევანი აქვს სხვილია“

(უმიკაშვილი 1927: 325).

აღ. ჯამბაკურ-ორბელიანი აღწერს ვენახში მუშაობის, ქვევრის გარეცხვისა და ყურძნის დაწურვის სიმღერებს (ჯამბაკურ-ორბელიანი 1861).

თედო სახოკიას აჭარაში მოგზაურობისას ჩაუწერია მევენახეობასთან დაკავშირებული ლექსი, რომელშიც მოცემულია მაღლარი ვენახის კრეფა, გოდორში ჩაყრა, მისი დაწურვა და ღვინოდ დადუღება, მოვიხმოთ პოეტური ტექსტი:

„ვენახმა თქვა: მე ვარ გრძელი,
ზამთარ-გამონარები.
გვეისხამ, გვეიყვავილებ,
რომას (?) უკან დავყუყუდები.
ქე მოვა მომკრეფელი
მოაქვს ჭრელი გიდელი,
მოვიდა ძირში, ზედ ამოვიდა,
ერთი წამომწვავადა ხელი,
წამწიკვა კისერი,
სულ მთელსა მომწყვიტა წელი,

ამწია და ძირს ჩამიშვა,
ჩამყარა თელი გოდორში
ამწია და შიგ წამიღო,
ჩამბარგა თელი ჯარაში.
ზეიდან ყაზახი შემადგა
ქვეშ ჭიჭინაში მივძვრები.
ორ ყურ ქვაბში მომაქცევენ,
უცეცხლოდ წამოვდუღდები.
ხანდახან კაი ბიჭი ვარ,
ხანდახან წამოვბუნძულდები“

(სახოკია 1950: 176-177).

ვენახთან დაკავშირებულ ყველა შრომის პროცესს ახლდა ლექს-სიმღერა. საინტერესოა სიმღერა, რომელსაც ვენახის ახვევის დროს ასრულებდნენ:

„თარიმან, შენსა ვენახსა რაც იმას ღვინო გამოვა,
ჭიგო შეუდგამ მსხლისაო, ჩემიც იყოს და სხვისაო...“

(ხალხური სიბრძნე 1965: 65).

კახეთში განსაკუთრებით მაღალ განვითარებას მიაღწია მევენახეობა-მეღვინეობამ. ვენახის ნიადაგის განაყოფიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასუქის შეტანას (თოფჩიშვილი 2017: 48). ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ ფაქტს ეხმიანება ფოლკლორული მასალა. მოგვყავს ხალხური პოეტური ტექსტი:

„შენ სასუქი მომიშადა, თითო ჯინი, თითო ძირსა,
ისეთ მტევანს გავიკეთებ, არ ჩავიდეს გოდრის პირსა“

(ლექიაშვილი 1972: 72).

ცნობილია, რომ ქართლში იმ ზომის ვენახ-ზვრები არ იცის, როგორც კახეთში. ეს საწინახლო სიმღერა ქართლშია ჩაწერილი:

„ღმერთო, ღმერთო, დიდებულო, ჭკვიანი კაცი არ დაღვეს
გამჩენო ყურძენისაო; მისგან გამოხდით ტკბილსაო,
ზედ ხუნძლავ ძვირფას მარგალიტს, თუ დაღვეს ფეხებს გაჭიმავს
თითონ ძირი აქვს ხისაო. ვერ გავა ბეწვის ხიდსაო...“

(სვანიძე 1957: 18-19).

ოკრიბაში მაღლარი ვენახის კრეფისას ხიდან ჩამოუშვებდნენ გიდელს თოკით და ერთმანეთს გადასძახებდნენ:

„ჰე გიდელა, კუნჭულია, უუუ!
გიდელია, კუნჭულია, უუუ!“

(ოქროძიძე 1963: 111).

გურიაში მაღლარის კრეფას თან ახლდა სიმღერა-გადაძახება და „ლექსაობა“, მკრეფავები ერთმანეთს „ყბას უქცევდნენ“ – საქილიკო ლექსებს ეხუმრებოდნენ. ხშირად ერთი ნადი ასე მეორესთან ლექსაობდა.

აი, გადმოუშვა მკრეფავმა ყურძნით სავსე გიდელი და თან სიმღერით გადმოსძახა:

„ა, გიდელა, თოხისტარა“.
სხვა მკრეფავებმა კი ერთხმად დასჭექეს:
„ჰოო, ჰოოო, ჰოოო და ვიო.
ღორმა ჭური მოგიტხარა,
ჰოო, ჰოოო, ჰოოო და ვიო.
სახლის გვერდზე მოგიტანა
ჰოო, ჰოოო, ჰოოო, ვიო...“

პირველ ნადს მეზობელი ნადი აჰყვა, მას კიდევ სხვა... „ა, გიდელას“ გადაძახილმა შორეულ სოფლამდე მიაღწია (ლექიაშვილი 1972: 101-102). თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით მევენახეობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს (ჩიქოვანი 1975: 477).

ვენახშია ჩაფლული ქართლ-კახეთის სოფლები. ყოველ სახლს პატარა ვენახი ეკვრის, ეს კარის მამული ანუ შინა-ვენახია (ლევიაშვილი 1972: 54):

„- შენ, ჩემო კარის ვენახო!
რა დიდი რთველი გდიოდა...“

(ხალხური სიბრძნე 1965: 65).

თუმცა ნაკლიც აქვს კარზე გაშენებულ ვენახს: ყურძენს შინაური ფრინველი ეტანება:

„კარგი ხარ, კარის მამულო, რომ არა გჭამდეს ქათამი“

(ლევიაშვილი 1972: 54).

ქვევრის რეცხვის დროს მიღებულია ლექსების თქმა:

მართალია, ქვევრი არის	მხოლოდ ბლის სარცხი გაუძლებს,
შემნახველი ღვინისაო;	თუმცა ილევა თანდათანო;
მაგრამ კარგი რეცხვა უნდა,	ბავშვისავით ჭყუმპალაობს,
არ გახდეს მისი ჯინისაო	როცა უსვამ განდა-განო...

(სვანიძე 1957: 21).

ქართველი კაცი ღვინოს ეალერსება და თან ევედრება ლექსში:
ღვინოვ, ჩასულო ჭურშია, მათრობელა ნუ შემექმნები
შენ გენაცვალე სულშია, ქეიფის მიწურულშია!..“

(სამუშია 2001: 35).

საინტერესოა მეგრული ანდაზა:

„ბინებიშ დუმარგუაფალშა ღვინი,ვედებარებე,
ვაზის დამრგველს ღვინოზე უარი არ ეთქმის“

(ხალხური სიბრძნე 1994: 19).

ამდენად, შრომის პოეზიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სავენახო ლექს-სიმღერებს. იგი გავრცელებული იყო მთელ საქართველოში და უმთავრესად კოლექტიურად სრულდებოდა. ასევე გვაქვს ინდივიდუალური შესრულების ტექსტები: ვენახის ბარვისა და ქვევრის რეცხვისა. ღვინო ქართველთა ტრადიციაში არის ღვინის, ქეიფის შნო და ღაზათი. ვაზს, ღვინოს და მარანს საპატიო ადგილი უჭირავს ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში, რასაც ნათელყოფს როგორც ფოლკლორული მასალა, ასევე ეთნოგრაფიული ყოფა. ვაზი, ღვინო და მარანი ქართველთა ცნობიერებაში ერთ მთლიანობად მოიაზრება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალიბეგაშვილი 1992:** ალიბეგაშვილი გ., ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები. თბილისი, 1992.
- თოფჩიშვილი 2017:** თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბილისი, 2017.
- კოტეტიშვილი 1934:** კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია. თბილისი, 1934.
- ლეკიაშვილი 1972:** ლეკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი. თბილისი, 1972.
- ოქროშიძე 1962:** ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია. თბილისი, 1962.
- სახოკია 1950:** სახოკია თ., მოგზაურობანი. თბილისი, 1950.
- სვანიძე 1957:** სვანიძე გ., ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი. თბილისი, 1957.
- სამუშია 2001:** სამუშია კ., ძველი კოლხური (მეგრული) ლექს-სიმღერები, წიგნი IV. ზუგდიდი, 2001.
- სიჭინავა 1960:** სიჭინავა ვ., მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი, 1960.
- უმიკაშვილი 1927:** უმიკაშვილი პ., ხალხური ზეპირსიტყვიერება. თბილისი, 1927.
- ყაუხჩიშვილი 1957:** ყაუხჩიშვილი თ., სტრაზონის გეოგრაფია. თბილისი, 1957.
- ჩხეიძე 1973:** ჩხეიძე ჯ., შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში. ბათუმი, 1973.
- ჩიქოვანი 1975:** ჩიქოვანი მიხ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი, 1975.
- ხალხური სიბრძნე 1965:** ხალხური სიბრძნე, ტ. IV. თბილისი, 1965.
- ხალხური სიბრძნე 1994:** ხალხური სიბრძნე, ტ. I, მეგრული და ლაზური ანდაზები. შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშიში. თბილისი, 1994.
- ჯავახიშვილი 1990:** ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1990.
- ჯამბაკურ-ორბელიანი 1861:** ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი. ჟურნალი „ცისკარი“, №1, 1861.

ქალთა უფლებების
ბარბარე ჯორჯაძისეული გაგება

**Understanding Women's Rights according
to Barbare Jorjadze**

მანანა ბანძელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

დარეჯან ჩხიროძე

ქუთაისის უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

Manana Bandzeladze

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Darejan Chkhirodze

Kutaisi University

Georgia, Kutaisi

ABSTRACT

Barbare Jorjadze is one of the best representatives of Georgian culture. Her work in literary and public activities is noteworthy. Particularly noteworthy is her role in the field of women's rights and education. She is distinguished by fairness, directness and sincerity. These qualities allowed her to use her full potential and not only helped to establish herself, but also to change the status of disenfranchised women.

We are especially interested in her works on women's rights and education. She has dedicated a number of papers to this topic. Her letter „A few words for the attention of young men“ is important. She boldly touched on the disenfranchised status of women and noted that the reason for this is poor upbringing and environmental conditions. Girls were instructed from birth that they should be silent and they had less right to education. That low level of education is a result of a lack of awareness of women. It can be said that Barbare Jorjadze is the first Georgian woman by whom gender-feminist ideas were voiced. The new understanding of women's rights was met with hostility by much of society,

especially men. However, she was not afraid of such challenges and boldly defended her own opinion.

The first culinary book created by Barbare Jorjadze is noteworthy, where not only Georgian but also European dishes are given. In this way, she contributed to bringing Georgian and European cultures closer. She played a major role in the development of women's economic, social, civil, political, and cultural rights.

საკვანძო სიტყვები: ბარბარე ჯორჯაძე, განათლება, გენდერი, ფემინიზმი.

Keywords: Barbare Jorjadze, Education, Gender, Feminism.

ქალთა უფლებების დაცვა ყოველთვის საინტერესო იყო საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვისაც. ქართველი ქალები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც დაიწყეს ამ თემაზე საუბარი. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა XIX საუკუნის 60-იანი წლები. სწორედ აქედან იწყება საფუძვლიანი მსჯელობა ქალთა უფლებებსა და განათლებაზე. ამ მხრივ გამორჩეული არიან XIX საუკუნის მოღვაწეები: ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი, კატო მიქელაძე და სხვ.

სანამ უშუალოდ საკითხს შევხებოდეთ, დავსვათ კითხვა:

მაინც რატომაა ქალის უფლებების დაცვა საინტერესო?

1. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქალის გარეშე მამაკაცი ვერ იქნება სრულყოფილი არსება;
2. ქალი სიცოცხლის გაგრძელებისა და უკვდავების პირობაა;
3. ქალი სისუსტისა და სიძლიერის ერთიანობაა.

ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის აზრით, ერთი სქესის მიერ მეორეზე დომინირება არის უდიდესი ბოროტება და დაბრკოლება კაცობრიობის წინსვლის გზაზე. უსამართლობა ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც მამაკაცებს ყველაფრის უფლება აქვთ, ქალებს – არაფრის. უფრო მეტიც, ის აღნიშნავდა, რომ ქალი უფრო ზნეობრივი არსებაა, ვიდრე მამაკაცი, ამიტომ მას არ უნდა ჰქონდეს ქალზე ბატონობის უფლება (ბანძელაძე 2011: 116).

საკითხი იმთავითვე მოექცა XIX საუკუნის ქართველი მოღვაწის ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ჩვენი ინტერესის სფეროა შეხედულებები ქალთა განათლებისა და უფლებების შესახებ. ეს პრობლემა მუდამ იდგა საზოგადოების წინაშე. არც იმდროინდელი ეპოქა იყო გამონაკლისი. ბარბარე ჯორჯაძემ, როგორც მრავალმხრივ განვითარებულმა და შეუპოვარმა პიროვნებამ, გადაწყვიტა, ხმამაღლა ესაუბრა ქალთა უფლებების შესახებ. მიაჩნდა, რომ ამის ძირითადი მიზეზი

განათლების დაბალ დონეში უნდა დაიძებნოს, ამიტომ ყურადღებას ყოველთვის ამახვილებდა ქალთა განათლების აუცილებლობაზე. თვითონ ბარბარეს, როგორც ქალს, მარტივი ცხოვრების გზა არ გაუვლია. დავიწყოთ იმით, რომ საკმაოდ პატარა იყო, როდესაც ოჯახი შექმნა, შვილები, სიღარიბე, ვერშემდგარი ქმარი... ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება, ისე წარემართა თავისი მოღვაწეობა, რომ გამოეყენებინა საკუთარი პოტენციალი ქალთა უფლებების დაცვის საქმეში (ჯორჯადე 1986: 75). ცდილობდა, საკითხის მოგვარებით დაემკვიდრებინა არა მარტო საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, არამედ შეეცვალა სხვა ადამიანთა ცხოვრებაც. მან წინა პლანზე წამოწია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი, განათლების პრობლემა. იმ დროისათვის მარტივი არ იყო ამ საკითხებზე საუბარი, თუმცა ბარბარე ჯორჯადემ, როგორც გაბედულმა და სამართლიანმა პიროვნებამ, ეს მოახერხა. მის მოღვაწეობაში იკვეთება პირველი ფემინისტური და გენდერული ცნებები. სწორედ ეს აძლევს მის მოღვაწეობას განსაკუთრებულობის სტატუსს.

მოკლედ ტერმინების – „ფემინიზმისა“ და „გენდერის“ შესახებ: „ფემინიზმი“ ფრანგულია და ნიშნავს საზოგადოებაში ქალის როლის ზრდას. ფემინიზმი ის მსოფლიო მხედველობაა, რომელიც აღიარებს ქალთა ეკონომიკურ, სოციალურ, სამოქალაქო, პოლიტიკურ და კულტურულ უფლებებს (ჯორჯადე 1989: 112); „გენდერი“ ინგლისური სიტყვაა. იგი ეხება ქალისა და მამაკაცის შეხედულებებს, მოლოდინებს, წესებს და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს სულიერ და კულტურულ სფეროში. ამ შეხედულებებს ადამიანებს აწვდის და განუსაზღვრავს სხვადასხვა ინსტიტუტები, მათ შორის ოჯახი, რელიგიური და კულტურული დაწესებულებანი.

ბარბარე ჯორჯადის მოღვაწეობის სფერო მრავალმხრივია. აღფრთოვანებას იწვევს პირველი კულინარიული წიგნი, რომელიც საკმაოდ ორიგინალურადაა შედგენილი და დღესაც საინტერესოდ იკითხება კულინარიით დაინტერესებული ადამიანების მიერ. შეუძლებელია, არ აღინიშნოს ბარბარე ჯორჯადის კომედია „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“, რომელიც იმთავითვე აიტაცა ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ და 1867 წელს წარმატებით გათამაშდა ქუთაისის თეატრში.

ბარბარე ჯორჯადის მრავალმხრივი ნიჭის გამომახილია ის, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უამრავი ლექსი მიუძღვნეს მას. მათში გაქდერებულია აღფრთოვანება იმით, რომ ბარბარე გახლდათ გაბედული, პრინციპული ქალბატონი. ადვილი როდი იყო, ქალს თავისი აზრი დაეფიქსირებინა ისეთ საკითხებზე, რომელიც ტაბუდადებული იყო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის.

აღსანიშნავია ნაშრომი „ქალთა საკითხი“. თემის აქტუალურობა განხილულია სპეციალურ წერილში „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“. წერილი 1893 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კვალში“ (კვალი 1893). ხაზგასმულია, რომ ქალთა უფლებებო მდგომარეობის საფუძველი ისაა, რომ აღზრდაშია შეცდომები დაშვებული. თუ გოგონას თავიდანვე



ჩასძახის საზოგადოება, რომ „შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმედილი ჩუმიად იყო, არავის შეხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ“. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ქალთა უფლებების საფუძველი გაუნათლებლობასთან არის კავშირში. თუმცა გოგონებს თავიდანვე უნერგავდნენ იმის აზრს, რომ „სწავლა და განათლება რა შენი საქმეაო“. განათლების დაბალი დონეა სწორედ საფუძველი უფლებრივი შეზღუდულობისა.

ბარბარე ჯორჯაძის მიზანია, ქალის ცნობიერებას შესძინოს გარკვეული სოციალური სტატუსი, რომ ქალმა შეასრულოს თავისი მოვალეობა არა მხოლოდ ოჯახურ საქმიანობაში, არამედ კულტურასა და სამყაროს გლობალურ განვითარებაში. ქალის განათლებას ისიც უშლის ხელს, რომ იგი უფრო მეტ ოჯახურ საქმეს აკეთებს, ვიდრე მამაკაცი, დიდ დროს უთმობს ბავშვების მოვლას. ქალები ყოველთვის გვერდით უდგანან მამაკაცებს ოჯახურ საქმიანობაში; მამაკაცები, პირიქით, თავს არიდებენ ამ პროცესს. ამავ დროს, ცდილობენ ქალის უფლებრივი უთანასწორობის აღნიშვნას, ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ ქალის ცნობიერებაზე და ხშირად უმეორებენ: „თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით“. ბარბარე ჯორჯაძე ხაზს უსვამს ქალის ნიჭიერებას, უნარებს, აღნიშნავს, რომ განათლების მიღებას ქალთა ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს. თუმცა, ასე თუ ისე, ყველა ქალი მიისწრაფვის განათლებისაკენ, იმდენს მაინც ახერხებენ, რომ მშობლიური დედა ენა შეისწავლონ, ამით ხელს უწყობენ არა მხოლოდ საკუთარი ცნობიერების ამღობებას, არამედ შვილების აღზრდა-განვითარებასაც ახერხებენ. მამაკაცებს ეს ნაკლებად მიაჩნიათ საკუთარ მოვალეობად, ისინი უფრო ქვეყნის დაცვით არიან დაკავებულნი. წერა-კითხვის გავრცელება მთლიანად ქალთა უფლება გახდა. ამ საქმეს წარმატებით ართმევდნენ თავს. მან კარგად გააცნობიერა, რომ შვილის აღზრდა საკმაოდ რთული პროცესია, რომ დედამ შვილს უნდა შეაჩვიოს წინააღმდეგობათა გადალახვა, დამოუკიდებლობა და მოამზადოს იგი პრაქტიკული, რეალური ცხოვრებისათვის. ბარბარე ჯორჯაძე ეხება ქალების უპირატესობას მამაკაცებთან შედარებით და მოუწოდებს მათ, რომ „მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა“. მისი აზრით, ქალი და მამაკაცი უფლებებით თანასწორია ღმერთის მიერ, მათ შორის არ უნდა იყოს განსხვავება; აღნიშნავდა, რომ კაცებს არა აქვთ უფლება, შეუზღუდონ თავისუფლება ქალს. იგი განსაკუთრებით ახალი თაობის ქალებს მოუწოდებდა განათლებისკენ, გაძლიერებისკენ, დამოუკიდებლობისაკენ; თვლიდა, რომ ძველი თაობა შეჩვეულ გზას მიუყვებოდა და სურდა, იქნებ ახალგაზრდებს მაინც მოეხერხებინათ უფლებების დაცვა განათლებაზე დაყრდნობით.

ბარბარე ჯორჯაძე თამამად შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ პირველ ქართველ ფემინისტ ქალად. აღსანიშნავია მის მიერ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხაზგასმა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ახლებურ გაგებას.

იდეამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გაგება გამოიწვია, ქალბატონთა და მამაკაცთა მცირე ნაწილი იწონებდა მის ნაზრევს, მამაკაცთა დიდი ნაწილი კი პირდაპირი გაგებით აუშხედრდა ახლებურ აზროვნებას. ბარბარე ჯორჯაძეს არ ეშინოდა მსგავსი გამოწვევების, თამამად იცავდა საკუთარ პოზიციებს, მის მიერ დაწერილი წერილი ქალთა უფლებების შესახებ გაცემას იწვევდა იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეთა შორის. ამის შესახებ აღნიშნავდა ანა თუმანიშვილი-წერეთლისა: „მე მომივიდა მისგან კერძო წერილი საზოგადოთ ქართველი ქალების აღზრდაზე და ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს დაწერილია შინაურათ აღზრდილ მოხუცი ქალისა“ (კვალი 1895).

ქალთა უფლებების საკითხზე დღესაც ბევრს საუბრობენ. არსებობს უამრავი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ქალთა უფლებებს იცავს. იმ დროისათვის ამ საკითხზე საუბარი საკმაო გაზედულებას მოითხოვდა. თანაც სწორად გაგებული ეს საკითხი აძლევს თანამედროვე უფლებათა დამცველებს იმის საფუძველს, რომ აღნიშნულ წერილს უწოდონ საქართველოს ფემინიზმის მანიფესტი. აღშფოთებულმა მამაკაცებმა ბარბარეს ცინიკურად მიუთითეს სამზარეულოსაკენ, სწორედ იქა ქალის ადგილიო. ეს ერთგვარად ახალი გზის დასაწყისი აღმოჩნდა მისთვის. ბარბარე ჯორჯაძის ახალი კულინარიული წიგნი შედეგად იქცა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ქალის საქმეებშიც შესანიშნავად ერკვეოდა, აკეთებდა ქართულ კერძებს და სხვებსაც მოუწოდებდა ამისაკენ. სწორად შედგენილი კულინარიული წიგნით მიუთითებდა, რომ ერის წარმატებაში მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა. წიგნს სხვა დატვირთვაც ჰქონდა; იგი ერის ეკონომიკურ სიძლიერეზეც იყო გათვლილი. ბარბარე ჯორჯაძის აზრით, ახალბედა დიასახლისი საქმლის მომზადებისას უყაირათოდ ხარჯავს სანოვარს და ვერც ყუათიანად ამზადებს. წიგნი არაჩვეულებრივად წარმოაჩენს ქართული კულტურის სპეციფიკას, რომლის ნაწილიცაა კულინარია. ამ გათვლას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა ტურიზმი იქცა ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ საშუალებად.

ქალის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის მეზრძოლი ბარბარე ჯორჯაძე აქვეყნებს ლექსს „კაცებს“, სადაც აკრიტიკებს ქალთა უფლებების მდგომარეობას. ლექსში სვამს ქალთა უფლებასთან დაკავშირებულ კითხვებს და ითხოვს პასუხს. დაახლოებით იგივე პრობლემებია წინა პლანზე წამოწეული, რომლებიც დასახელებულ წერილშია განხილული: ვერ ეგუება, რომ მამაკაცი ქალს ნივთად აღიქვამს, უსულო საგანთა შორის მიუჩენს ადგილს, არ ცნობს ქალის ინტელექტუალურ პოტენციალს. „როგორც ნივთი დაგიპყრევართ და არა გაქვთ ჩვენი ნდობა“. იგი მოუწოდებს მამაკაცებს დააფასონ ქალი, იზრუნონ მათზე, იდეალად გაიხადონ დედა და ცოლი, და საერთოდ, ქალი. „მშობელ დედას, ცოლს და ასულს ასე როგორ დაამდაბლებთ“. ბარბარე ჯორჯაძე ახსენებს კაცებს იმ ქალბატონებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში: ქეთევან დედოფალი, წმინდა ნინო... ლექსის ბოლოს კიდევ ერთხელ აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის უფლებრივ თანასწორობას:

„დარწმუნდით, რომ ამხანაგად შევქმნილვართ და უნდა ვიყოთ“ (ჯორჯაძე 1986: 83).

ბარბარე ჯორჯაძის იდეებს ქალთა უფლებების შესახებ დღესაც არ დაუკარგავს ძალა და მნიშვნელობა. ამის გამოძახილია სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ინტერესდებიან ამ საკითხით.

2017 წლის 8 მარტს თბილისში გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი, რომელიც გათვლილია გენდერული საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისათვის. ამ ცენტრმა ბინა დაიდო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კაბინეტის გახსნის მიზანი სწორედ ისაა, რომ გააცნოს საზოგადოებას პირველი ფემინისტი ქალები, მათ შორის ბარბარე ჯორჯაძე, რომლის მოღვაწეობაც ამ კუთხით მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთი ადამიანების დამსახურებაა, რომ განვითარების დღევანდელ ეტაპზე შეიცვალა დამოკიდებულება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, განვითარდა შეგნება, ცნობიერება, კულტურა და ოჯახური ტვირთი თანაბრად ნაწილდება ქალსა და მამაკაცს შორის; ამის შედეგია ის, რომ ქალს მეტი დრო და ენერჯია რჩება საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. სწორედ ესაა „მშვენიერი სქესის“ წარმომადგენელთა მისწრაფება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბანძელაძე 2011: ბანძელაძე მ., ეთიკა. ქუთაისი, 2011.

ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები. თბილისი, 1986.

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ბ., წერილები. თბილისი, 1989.

კვალი 1893: გაზეთი „კვალი“, №16, 1893.

კვალი 1895: გაზეთი „კვალი“, №17, 1895.

თეიმურაზ პირველის
მსოფლმხედველობრივი საკითხები
პოემაში „ნამება ქეთევან დედოფლისა“¹

**The Philosophy Issues
of Teimuraz the First in the Poem
„Martyrdom of Queen Ketevan“**

დალი ბეთხოშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ახალციხე

Dali Betkoshvili

Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

ABSTRACT

In the Georgian literature of renaissance period the poem „Martyrdom of Queen Ketevan“ by the king-poet Teimuraz the first includes both the spirit of the epoch and his messages, the spiritual mission of the Queen Ketevan and the emotions of the King-poet expressing national, religious inspirations, which were achieved even instead of their own lives. King poet describes its thoughts by means of his own artistic word which are empowered by the love in God, the wisdom of the Gospel, Biblical philosophy closely connected to the epoch pain.

In the poem by Teimuraz the first „The Martyrdom of Queen Ketevan“ describes the way of the Queen Ketevan which she followed from the secular life to spiritual deeds. Such a tantalizing path reflects the mission for protecting nation and belief, the queen had to fight against enemies to fulfil the mission. During the fight the aspiration for a better future was established, what is demonstrated in the philosophy of the king poet and proved by its works; It was expressed in transformation of his characters in both aspects like material and spiritual. He demonstrated it through changes in the inner world of the person, the steps of the spiritual development, showing transformation from horizontal to vertical prospective.

Teimuraz the first used the artistic image of his mother, Queen Ketevan

¹ ნაშრომი იბეჭდება შემოკლებით

incorporating national merits together with the religious philosophy and demonstrates the historical path from the physical personality to the sainthood;

The path of the queen from the Christian world to the Shiraz captivity reflects queen's aspiration towards her mission, and difference between her fallen and destroyed life. Being in such a position, she undertakes the task to fight for Christian Georgian nation, her motherland and son and sacrifices herself like a God.

In the surroundings of unknowns and different belief the Queen Ketevan fulfils her spiritual task still being attached to the earthy life, as the latest gives her possibility to change the surrounded reality through her nature, establish the new, where the „Dark“ will be overcome by the „light“. Queen Ketevan fulfilled the great mission, she was able to introduce Christianity among the believers of other religion, on the way which used to bring a person closer to God she was able to find supreme truth, obtain divine love and from her individual reality she could turn into national wide martyr and example.

საკვანძო სიტყვები: თეიმურაზ პირველი, ქართული პოეზია, პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“.

Keywords: Teimuraz the first, Georgian poetry, Poem „The Martyrdom of Queen Ketevan“.

აღორძინების ეპოქის ქართულ მწერლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც ასახავს ერთდროულად ეპოქის სულისკვეთებას, მის სათქმელს, ქეთევან დედოფლის სულიერ მისიას და მეტად მეფე-პოეტის მძიმე განცდებს, რომელიც აღბეჭდავს ერის ეროვნულ, სარწმუნოებრივ მიზანდასახულობას და ბრძოლას მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის, თუნდაც სიცოცხლის სანაცვლოდ. პოემაში ასახული სათქმელი ღრმა შრეებშია ჩაკარგული და, რაც უფრო მეტს იკვლევ სამზეოზე გამოსატანად, კიდევ მეტი რჩება გასააზრებელი. მეფე-პოეტი საკუთარი ინდივიდუალური მხატვრული სიტყვით, რასაც ძალას სძენს ღმერთის სიყვარული, სახარებისეული სიბრძნე, ბიბლიური მსოფლმხედველობა, გადმოსცემს თავის ჩანაფიქრს, რომელიც გადაჯაჭვულია ეპოქისგან ნაკარნახევ ტკივილთან.

მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ ერთდროულად გადმოცემულია რელიგიური, ეროვნული... საფიქრალი, რომელიც იწყება ერის, ქვეყნის შერყეული წიაღიდან, ჯერ პიროვნულ ტკივილში რომ იღვამს ფესვებს, შემდეგ ზოგად ეროვნულ საფიქრალად გადაიქცევა. ამის გადმოცემას მეფე-პოეტი სრულად ახერხებს თავის ნაწარმოებში, სადაც შერწყმულია სულიერი და მატერიალური, რომლის გადაჭრა, ძირითადად, თავის გაწირვით, სულიერი მისიის

აღსრულებით ხდება. ამ ნაბიჯის გადადგმაში, ქეთევან დედოფალთან ერთად, თეიმურაზ პირველს მიუძღვის უდიდესი წვლილი, რაც გამოჩნდა აღნიშნული ნაწარმოებთან, სადაც მეფე-პოეტი პირდაპირი სიტყვიერი ქსოვილით თუ დაფარულით – სახისმეტყველებითი აზროვნებით, ბიბლიური ხატ-სახეებით, სახარებისეული მცნებებით... საუბრობს.

თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მხატვრული სიტყვით გაცხადებულია ის გზა, რომელიც გაიარა ქეთევან დედოფალმა საერო ცხოვრებიდან სასულიერო ღვაწლის ჩათვლით. ამ მტანჯველ გზაზე არეკლილია ერის, რწმენის დაცვისათვის გაწეული მისია, რომლის განხორციელებისათვის დედოფალს მოუწია თავდაუზოგავი ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში გამოჩნდა მისი სწრაფვა უკეთესი მომავლის დაფუძნებისათვის, რასაც აჩვენებს მეფე-პოეტის მსოფლმხედველობრივი თვალსაწიერი, დადასტურებული აღნიშნული უკვდავი ნაწარმოებით; მეფე-პოეტის მსოფლმხედველობრივი მასშტაბი გამოიკვეთა პერსონაჟის მხატვრული სახის ფერისცვალების, მისი გარდასახვის დახატვის მხრივაც, როგორც მატერიალური ცხოვრების შინაარსის, ისე სულიერი ასპექტებითაც, რაც უკეთ წარმოაჩენს ადამიანის შინაგანი სამყაროს მოძრაობას, სულიერი აღმავლობის საფეხურებს, რომელიც აჩვენებს გარდასახვის გზას ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურისაკენ მიმდინარე ჭრილში.

ასეთი სულიერი ზეაღსვლის საფეხური თეიმურაზ პირველმა აჩვენა დედის, ქეთევან დედოფლის ღვთაებრიობით მოსილ მხატვრულად გარდაქმნილ სახეში, რომელშიც გამთლიანებულია ეროვნული ღვაწლი რელიგიურ მსოფლმხედველობასთან და წარმოსახვას გზას ისტორიული პიროვნებიდან წმიდანობამდე; საერო ღვაწლიდან – დედოფლობიდან წმიდანობამდე გარდაქმნა, გარდასახვა რწმენის შექცევით მიიღწევა: „არავის ძალუმს ხსნა რწმენის გარეშე. რწმენად კი სახელიდება მართებული წარმოდგენა ღმერთსა და ღვთიურ საგნებზე“ (სადვთისმეტყველო კრებული 1988). „რწმენით ცხოვრება ქრისტეს გზაზე დადგომაა, ქრისტეს გზა კი გოლგოთა, ჯვარცმა, სიკვდილი, აღდგომა და ამაღლებაა და თითოეული ეს საფეხური ქეთევან წამებულის მოწამეობრივ ცხოვრებაში ნათლად არის ასახული და წარმოჩენილი“ (ბეთხოშვილი 2010: 186).

სახარების დამოდვრით: „და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს უკუნისამდე“ (იოან. 11, 26) (ახალი აღთქუმა 2009).

ქეთევან დედოფალი ქრისტეს მოძღვრების თანაშეწევნით და რწმენის დაცვით გარდაქმნის საკუთარ სულიერ სამყაროს, ღვთის განგებით განსაზღვრული რელიგიური სათნოებების (ლოცვა, მარხვა, სინანული, სიმდაბლე...) აღსრულებით, რაც ღმერთთან სიახლოვის მომასწავებელია. პიროვნების შინაგანი სამყაროს გარდაქმნა-გარდასახვა სიცოცხლის, როგორც უპირველესი სიკეთის, შენარჩუნებას ემსახურება. ნეტარი ავგუსტინე შემდეგნაირად მსჯელობს ქმნილების ცვლილების

შესახებ: „ქმნილება ცვალებადია იმის გამო, რომ არასრულყოფილია. არასრულყოფილია იმიტომ, რომ იმაზე დაბლა მდგომია, ვის მიერაც არის შექმნილი. შექმნილი კი იმის მიერ არის, ვინც მასზე აღმატებულია. ვინ არის ასეთი? – ერთი ღმერთი, მარადის უცვალელებელი სამება, რადგანაც ყოველივე მან თავისი უზენაესი სიბრძნის მიერ შეჰქმნა კიდეც და შექმნილს შენარჩუნებაც განუჩინა. რა მიზნით, რისთვის შეჰქმნა მან ეს ყოველივე? – იმისთვის, რომ ყოველივე ამას ეარსება; რამეთუ რა კნინიც არ უნდა იყოს ქმნილება, მისი არსებობა უზენაესი სიკეთეა...“ (ნეტარი ავგუსტინე 1991: 44).

ქეთევან დედოფლის ცხოვრების გზაზე ასახულია ამქვეყნიურიდან ზესთასოფლისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი; თითოეული საფეხური წარმოაჩენს სულიერად ამაღლებული დედოფლის უბრალოებით, სიწმინდით ავსებულ მხატვრულ სახეს; წმიდანობისაკენ მიდრეკილი დედა-დედოფლის მხატვრული სახის წარმოჩენისას თავისი შეხედულებებით თეიმურაზ პირველი წარმოჩნდება დედის სახით შთაგონებულ ამაღლებულ მოაზროვნედ, რომელიც, ჩემი აზრით, მეორე მთავარი პერსონაჟია ნაწარმოებისა... (ეს საკითხი ცალკე იქნება განხილული). მთელი პოემის მანძილზე დედოფლის ფერისცვალების ამსახველი პიროვნების დახატვისას, რა თქმა უნდა, ავტორის – თეიმურაზ პირველის ადამიანური განცდები, შინაგანი მოძრაობა, სულიერი გარდასახვები არის მოცემული, რადგან სხვაგვარად ვერც წარმოაჩენდა ქეთევანის გარდასახულ, ფერცვლილ ადამიანურ მიზანსწრაფვებს, რაც სწორედ ამ გარდაქმნის საფეხურებზე აღიბეჭდა.

ნაწარმოებში „წმიდა ჰაზოს წამება“ ჰაგიოგრაფი ავტორის – იოანე საბანისძის მსოფლმხედველობის „...შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ (მეგლები, I: 1963) გამოძახილია მე-17 საუკუნეშიც, კერძოდ, თეიმურაზ პირველის პოემაშიც, როდესაც მტრის მომძლავრების ეპოქაში, რელიგიური რწმენის შესუსტებისა და ეროვნული ღირებულებების დაცვის სიმწირის პირობებში, ერს, ქვეყანას, მეფე-პოეტს ძლიერი საყრდენი, წინამძღოლი ესაჭიროებოდა მტერთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ საყრდენ პიროვნებად კი თეიმურაზ პირველმა დედა-დედოფალი მიიჩნია, ჯერ კიდევ თავისივე სამშობლოში, საკუთარ მიწაზე, საიდანაც იწყება ამ მისიის აღსრულება და გრძელდება უცხო მიწაზე, განსხვავებულ, „შეზღუდულ“ დრო-სივრცულ გარემოში, სადაც ყალიბდება სულიერად გარდასახული პიროვნების მხატვრული სახე. „დედოფალი განსხვავებულ, „შეზღუდულ“ დრო-სივრცულ გარემოში ცდილობს „დამხობილი“ ხატის აღდგენას თავისი სათნო ცხოვრებით, რომელიც ზეციურს უტოლდება... დედოფალი უცხო მიწაზე, სპარსეთის ტყვეობაში მყოფი, „ამაოებას“ შთანთქავს და პატიმრობაში არსებობით სულიერ გარდაქმნებს აღწევს.

საპრობილეში, სულიერი მარტოობის პირისპირ მდგომ ქეთევან

დედოფალში, შინაგანი სამყაროს გარდაქმნის გზით, „დიდი ღვაწლის“ დათმენისა და განხორციელების გზით, კვლავ იმპლავრებს „ახალი“, ზეციურ კაცს მიახლოებული სულიერი ხატი, რომელშიც აღიბეჭდება დიდი ცვლილება, განახლების, ადამიანის ხელახალი შობის საფუძველი. სახარების დამოძღვრით: „ყოველთავე უკუე არა შევისვენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდე“ (I კორინთ. 15, 51) (ახალი აღთქუმაჲ 2009).

სულიერი გარდაქმნა ვერ მიიღწევა განსაცდელის გარეშე, რასაც მოწმობს ქეთევან დედოფლის მთელი მოწამებრივი ცხოვრების გზა. წმიდა ისააკ ასურის დამოძღვრით, „განსაცდელი ღმერთთან მიახლოების მიზეზია, რადგან განსაცდელში განისწავლება და გამოიცდება ადამიანი“ (წმ. ისააკ ასური 1991: 243), რისთვისაც იმოწმებს საღმრთო წერილის სიტყვებს: „და ესე ნათესავნი დაუტევნა უფალმან, რათა გამოცადნეს მათგან ძენი ისრაჴლისანი, ყოველნივე იგი, რომელთა არა იცნოდეს ბრძოლანი ქანანელთანი, ნათესავისა მისთვის, ძეთა ისრაჴლისათა, რათა ასწაონ მათ ბრძოლაჲ“ (მსაჯ. 3, 1-2).

ქეთევან დედოფალი თავისი განსაცდელით, შურყვევი ბუნებით, სიმდაბლით – ღმერთისადმი მსახურებით, რაც სრულყოფილების საწყისია, სარწმუნოების განახლებით აღასრულებს „დიდ ღვაწლს“ და ადამიანის დაცემული ბუნების აღდგენით, ღმერთთან კავშირის განმაახლებლად ყალიბდება მისი შთამბეჭდავი სახე. ამ გარდაქმნაში მას საპყრობილეში, ტყვეობაში ყოფნისას, სულიერი მარტოობის ჟამს, ღვთის პირისპირ მდგომს შეეწევა სულის მკურნალი სატნოებების – სინანულის, ლოცვის², აღსრულება. „ლოცვა არის სიხარული, რომელიც მადლობას შესწირავს ღმერთს; ლოცვა არის შესავედრებელი და შემწე, წყარო ცხოვრებისა, საუნჯე სასოებისა, ნავსაყუდელი, მხსნელი ღელვათაგან, ნათელი დაბნელებულთა, სიმტკიცე უძლორთა, საფარველი განსაცდელის ჟამს, მკურნალი მძიმე სენთა, ფარი, ბოროტის წინააღმდეგომი, და წამახული ისარი, მტრისკენ მიმართული...“ (წმ. ისააკ ასური 1991: 242).

„ლოცვა ადამიანის შინაგანი სულიერი მდგომარეობაა, მოძრაობაა, რომელიც მას ამქვეყნიურობიდან ზეციურისკენ, წუთისოფლიური არსებობიდან მარადისობისკენ წარმართავს და უბრუნებს პირვანდელ სახეს, შინაგან ხატს, რომელიც მხოლოდ საღმრთო სრულყოფილებითაა აღვსილი“ (ბეთხოშვილი 2010: 191); იგი ტყვეობაში ყოფნისას ტანჯულია, განსხვავებული გზის მაძიებელია, შემდეგ კი ცოდვათა მონანიებით და განწმენდით, ვედრებითა და ღაღადისით, ლოცვით გამოხატული, იმარჯვებს და სულიერ სრულყოფილებას აღწევს“ (ბეთხოშვილი 2010: 192).

ტყვეობის სივრცე დედოფალს აშორებს წუთისოფელს, მაგრამ სანაცვლოდ აახლოვებს ჯვარცმული ქრისტეს მდგომარეობას (იოან. 27, 46; მარკ. 15, 34) (ახალი აღთქუმაჲ 2009). საპყრობილის პირობებში, რაც მეტად

² სინანულის, ლოცვის... მხატვრული ფუნქციის შესახებ იხ.: დ. ბეთხოშვილი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), თბ., ტ. I - 2010, ტ. II - 2012.

ვიწროვდება მატერიალური არსებობის სივრცე და ყოფნის შესაძლებლობა, მით მეტად უსაზღვრო ხდება რწმენა, ღვთის შიში, ღვთაებრივი სიყვარული, სიბრძნე: „ღვთის შიში სიბრძნის წყაროდ იწოდება“ (იგავ. 1, 7). ბასილი დიდის დამოძღვრით, ღვთის შიშის გარეშე შეუძლებელია გახდეს მცოდნე ან კეთილგონიერი, ან კეთილი... „შიში ღმრთისაჲ არს მოლოდებაჲ განსაცდელთაჲ, ვითარცა გუეშინინ მჯეცთაგან და ჳელმწიფეთა, რათა არა შეგუემთხვოს მათ მიერ განსაცდელი“ (მამათა სწავლანი 1955: 315).

ღვთის შიში თანდათან ჩნდება ადამიანში, საფეხურებრივად წარმართავს შინაგან სულიერ სამყაროს და განსაზღვრავს ადამის მოდგმის, ცოდვისმატარებელი ადამიანის საბოლოო ხვედრს – დასასრულიდან დაუსრულებლობისაკენ: „შიში ღვთისა არს დასაბამი და დასასრული“ (ზიარაქ. 1, 15). „ღვთის შიში, ერთ-ერთი სათნოება, არის განმსაზღვრელი ცვალებისაკენ მიმართული სხეულის სულიერად გარდაქმნისაკენ, სულიერების ზეიმისათვის, რომელიც ფერშეცვლილ სხეულში მოდრეკს ხორციელს – წარმავალ ბოროტებას და შეიმოსება სასუფევლის სამკვიდრებლით. ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „შიში ღვთისა არის ის, რითაც იმოსება გლახაკი სულითა, ნეტარი, რომლისა არს სასუფეველი ცათაჲ“ (ნეტარი ავგუსტინე 1991: 77). იოანე ოქროპირი კი ბრძანებს: „უდიდესი სიმდიდრე, უბრწყნელი მემკვიდრეობა, მარადიული საგანძური არს შიში ღვთისა... სადაც შიშია ღვთისა, იქ გლახაკი და არაფრისმქონეც კი ცხონდება“ (წმ. იოანე ოქროპირი 1990: 132).

„შირაზის საპყრობილე“ დედოფლისათვის ქვესკნელია, „ბნელი“ სივრცეა, რომელიც იფარება ქეთევანის სულიერი ცხოვრებით – სათნოებათა აღსრულებით, წმიდა ღვაწლით: „აჰა, ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა“ (21, 2) (თეიმურაზ პირველი 1934: 128).

საპყრობილის ბნელ სივრცეში დედოფალი სიღრმისეულად აცნობიერებს ქვეყნის, ერის ხვედრს, რის შედეგადაც უფრო აღიჭურვება ღმრთის შემეცნებით, რომელიც გარდასახავს ქეთევანის, მომავალი წმიდანის პორტრეტს, ღვთისმსახურებითი ცხოვრების შედეგად ჩამოძერწილს. ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „წმ. კოსტანტი კახის ცხოვრება და წამება“ ვკითხულობთ: „ცხონდებოდა იგი ბრწყინვალედ მრავლითა ღმრთის მსახურებითა“ (ძეგლები 1963). ქეთევან დედოფალი სულიერი სიმშვიდის მოპოვებით, რომელიც მისი ღვაწლით მიიღწევა, ტყვეობის სივრცეს ზემატერიალურად გარდაქმნის და ბნელში ნათელს ამკვიდრებს.

„შირაზის ტყვეობა“ ესაა წუთისოფლის სიმბოლო, წუთისოფელი, სადაც მხოლოდ ცოდვა და ბოროტებაა განთავსებული, ამიტომ „სულიერი სამოსლის განფენა“ მის „გარე“ („გარე მოიზღუდა“) უფსკრულის გადალახვაა, ცხოვრების ერთი არსიდან მეორეში გადასვლა და მასთან ზიარება-შერწყმა:

„ილოცვიდა, იმარხვიდა, მოიჭირვა რჯულის ნახვა, და ღვაწლი გარე მოიზღუდა, ეშმაკისა არ ჰყო ზრახვა“ (22, 3-4) (თეიმურაზ I 1934:128)

(ბეთხოშვილი 2010: 199).

ქეთევან დედოფალი ტყვეობის პირობებში, რომელიც სიკვდილის სივრცედ გაიზარება და მძიმე განსაცდელის მაუწყებელია, მის წინაშე მყოფია, მაგრამ განსაცდელის დაძლევით, რასაც სახარება გვასწავლის: „შჳირდეს თუ ვისმე თქვენგანსა, ილოცევდინ“ (იკ. 5, 13) (ახალი აღთქმამა, 2009), დაიბრუნებს პირველ სამოსელს, რომელიც ღმერთშემოსილებას მოასწავებს. ეს კი ცოდვაზე, მატერიალურ მოთხოვნებზე გამარჯვებაა, ხორცზე ზრუნვის მოკლებაა, მასზე ამალღება და სულიერი აღზევებაა. იგი ტყვეობაში ყოფნისას გარდაიქმნება და ყალიბდება სხვა სახედ, კერძოდ, „მუშაკი სათნოებისა“, როგორც მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი „წამებაში“ წერს:

„რაჟამს შეიქნა უმანკო მუშაკი სათნოებისა“ (23, 1) (თეიმურაზ პირველი 1934:128).

„სათნოების მუშაკზე“ სხვა ნაშრომში ვსაუბრობ³, აქ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ „სათნო მუშაკობა“ დედოფლის გარდაქმნილ ადამიანურ არსზე, უცოდველობაზე, სულიერ სამკაულზე, სულიერ ღვაწლზე მეტყველებს.

სპარსეთის მიწაზე შირაზის ტყვეობაში მყოფი დედოფალი ახერხებს ქრისტიანული ცხოვრებით არსებობას (სხვადასხვა წყაროს გადმოცემით / არაქელ დავრიჟეცი, ამბროზიო დუშ ანჟუმი/ მას სამლოცველოც ჰქონია), რითაც შემოსაზღვრავს სივრცეს, საღვთო სამოსელით დაფარულს, რითაც აწესრიგებს დარღვეულ ჰარმონიას და ბიბლიური მსოფლმხედველობით განაგრძობს არსებობას; ქრისტიანული რწმენის დაცვისათვის თავდადებით ცხოვრება თვალნათლად ჩანს ჯერ კიდევ თავისივე სამშობლოს მიწაზე, საიდანაც შირაზის ტყვეობამდე განვლილმა გზამ ეს ღვაწლი კიდევ უფრო გააღრმავა, გააფართოვა და განსხვავებული, გარდაქმნილ-გარდასახული იერსახე შეიძინა, რამაც განჭვრიტა ის საზღვარი, რომელიც ძვეს ბოროტებასა და სიკეთეს, წუთისოფელსა და მარადიულ სივრცეს შორის: „ქუეყანამ ახალი“ (გამოცხ. 21, 1), რამაც „ახალი“, განახლებული სიცოცხლე უნდა დაამკვიდროს. სწორედ საპყრობილე, უცხო სჯულის გარემოცვა აღმოჩნდება გზა წუთისოფელზე ასამაღლებლად, სულიერი გარდასახვისა და უზენაესის წვდომისათვის. „შირაზის ტყვეობაში დედოფლისათვის განმარტოებით ყოფნა ცოდვის შემეცნების, სინანულის, სულიერი განწმენდის პერიოდი“ (ბეთხოშვილი 2010: 203).

ქრისტიანული სამყაროდან შირაზის ტყვეობამდე დედოფლის მიერ განვლილი ტანჯული გზა ასახავს დედოფლის ცხოვრებისეულ მიზანსწრაფვას დასახულ მისიასა და დაცემულ, განადგურებულ ცხოვრებას შორის. ამ გზაგასაყარზე მდგომი დედოფალი გადაწყვეტს იბრძოლოს ქრისტიანი ქართველი ერის, სამშობლოს, შვილის გადასარჩენად და უფლის

³ „სათნოების მუშაკი“ - ქეთევან დედოფალი (ინგლისურ ენაზე): „THE VIRTUOUS SERVANT OF GOD - QUEEN KETEVAN“, ჟურნალი „DERGI KARADENIZ“, 2019, 11, #42, Turkey, გვ. 68-81. DOI: 10.17498 /kdeniz.540634, ISSN: 1308-6200. ORCID: 0000-0001-6947-160X DergiKaradeniz.com URL: <http://isindexing.com/isi/journaldetails.php?id=7901>

მსგავსად ეწირება კიდევ:

„მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია“ (48, 1) (თეიმურაზ პირველი 1934: 132).

ქეთევან დედოფლის პიროვნება გარდაიქმნება იმ გზაზე, რომელიც მიემართება ღვთისმშობლის წიაღიდან შირაზამდე, სადაც აღასრულებს ქრისტიანული რწმენის დაცვას, თავისი შეუდრეკელობით სძლევს ბოროტებას და სიკვდილზე მალდებდა; ფსალმუნის მიხედვით: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვიდროს მთასა წმიდასა შენსა? – რომელი ვიდოდის უბიწოდ და იქმოდის სიმართლესა და იტყოდის ჭეშმარიტსა გულსა შინა თვსსა. რომელმან არა ზაკუა ენითა თვსითა და არცა უყო მოყუასსა თვსსა ბოროტი და ყუედრებით მახლობელთა მისთა ზედა არა მოილო“ (ფს. 14, 1-3; 23, 3-4).

„ქრისტიანობამ, – წერდა გერმანელი მწერალი ჟან პოლი, – როგორც განკითხვის დღეს, გაანადგურა მთელი გრძნობადი სამყარო, ყველა მისი მშვენიერებით, ერთ საფლავის ბეჭობად შეაქუჩა იგი, ზეცისკენ მიმავალი კიბის საფეხურად აქცია და მის ადგილზე სულიერი სამყარო წამომართა“ (ასათიანი 1975: 39).

საპყრობილეში დედოფალი სიმდაბლით, სინანულით, ცრემლთაღვრით, ლოცვით, საღმრთო სიყვარულით ცხოვრობს. აღნიშნულის აღსრულებით მან თავისივე არსებაში განახორციელა დიდი ფერისცვალება, დაუბრუნდა პირველ უცოდველ ხატს მიმსგავსებულ სახეს; საპყრობილის დრო-სივრცულმა გარემომ განითავსა წუთისოფელი, მისი წარმავალი ბუნება, რომელიც შეიცვალა, გარდაიქმნა დაუსრულებელ დრო-ჟამად, რომელიც შეუზღუდავია, მარადიულის მომცველი. ქეთევან დედოფალმა მიაღწია შინაგან განწმენდას, მიწიერ გარემოშივე შეძლო სასუფეველის მოხილვა და დამკვიდრება.

„ადამიანი-წმიდანი ღვთის ხატია, „ტაძარია“, რომელშიც უფალია დავანებული. ტაძარი... არის მყოფობის შემოუსაზღვრავი სავსება, ადგილი, რომელიც უსასრულოს იტევს ისევე, როგორც ქრისტეს კაცობრივი, სივრცეში შემოუსაზღვრავი სხეული იტევს მის უსასრულო და ტრანსცენდენტურ ღვთაებრიობას. აქ ლიტურგიკული სიმბოლოების მეშვეობით დროში გაცხადდება თვით მარადისობა, რადგან მარადისობა, უპირველეს ყოვლისა, სულიწმიდის გაცხადებაა ადამიანის სულისათვის“ (არქიმანდრიტი რაფაელი 1994: 123).

მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც პერსონაჟის ცხოვრების თანდათან მსვლელობას აჩვენებს, იმ გზით გამოხატულს, რომელზეც აღიბეჭდება ამ შემთხვევაში დედოფლის, საერო მოღვაწის სულიერი ევოლუცია, ასახული იმ გზაზე, რომელიც მან გაიარა, გზა კი ერთ-ერთი სიმბოლოა, მრავალსაუკუნოვანი სემანტიკით დატვირთული. ძალიან ხშირად სწორედ გზას ევალება მხატვრული სივრცის ორგანიზება... „გზა ის მხატვრული სახეა, რომლის გავლა სტატუსის შეცვლას, ახალი სტატუსის

მიღებას აღნიშნავდა“ (ღალანიძე 2002: 117-118).

ქეთევან დედოფალი ტყვეობაში ჯოჯოხეთის სივრცეს არღვევს, ერთ სოფელს მეორედ გარდაქმნის, რომელშიც არეკლილია უკვდავება, ადღგომა, ახალი სიცოცხლე, დაუსრულებელი სიბრძნე. გრიგოლ დოდორქელი წერს: „განშიშვლდეს სოფლისაგან და აღიღოს ჯუარი და იქმნეს მონაზონ“ (გრ. დოდორქელი 1989: 24).

უცხო, მტრის გარემოცვაში, სხვა რწმენის პირობებში მყოფი ქეთევან დედოფალი სულიერ ღვაწლს აღასრულებს წუთისოფლისაგან მოუწყვეტლად, რადგან სწორედ წუთისოფელი აძლევს ადამიანს დიდ შესაძლებლობას საკუთარი ბუნების გარდაქმნით გარემომცველი სინამდვილე შეცვალოს, ახალი ყოფიერება დაამკვიდროს, სადაც ამაოებით სავსე „ბნელი“ ნათლით დაიძლევა და ახალ, ჭეშმარიტ სამყაროს განაფენს. ჭეშმარიტი, თავისუფალი გზის მოპოვებას სახარება შეგვახსენებს: „და სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამ განგათავისუფლნეს თქვენ“ /იოანე 8, 32/ (ახალი აღთქუმა 2009). ქეთევან დედოფალი ამკვიდრებს „ახალ სოფელს“, რომელიც მარადისობის სამკვიდრებელია. წმიდა წერილის დამომღვრით: „ცისა და ქვეყნის შემოქმედი ადამიანს შთაბერავს რაღაც სხვას, არამიწიერს, რასაც ბიბლიაში „სული ცხოვრებისა“ ეწოდება (დაბ. 2, 7). ქეთევან დედოფალმა უდიდესი მისია შეასრულა – უცხო რჯულის გარემოცვაში ქრისტიანული არსის განაფენა მოახერხა, დადგა განღმრთობის გზაზე, რომელიც ღმერთს აახლოვებს, შეიმეცნა უმაღლესი ჭეშმარიტება, რითაც მიემადლა ღვთაების სიყვარული და თავისი პიროვნული ქრისტიანული სამყაროს დამკვიდრებით ისტორიულ-ეროვნული სახიდან მოწამეობრივ, ნეტარ ხატ-სახედ გარდაისახა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახალი აღთქუმაი 2009: ახალი აღთქუმაი, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა. თბილისი, 2009.

არქიმანდრიტი რაფაელი 1994: არქიმანდრიტი რაფაელი, საუბრები მართლმადიდებლობაზე, I. თბილისი, 1994.

ასათიანი 1975: ასათიანი გ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, შემოქმედება. თბილისი, 1975.

ბეთხოშვილი 2010: ბეთხოშვილი დ., სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუმანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), ტ. I. თბილისი, 2010.

დოდორქელი 1989: გრიგოლ დოდორქელი, „წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა...“, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V. დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ. თბილისი, 1989.

თეიმურაზ პირველი 1934: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. თბილისი, 1934.

მამათა სწავლანი 1955: მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1955.

ნეტარი ავგუსტინე 1991: ნეტარი ავგუსტინე, ჭემმარიტი სარწმუნოებისათვის, წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II. თბილისი, 1991.

ღაღანიძე 2002: ღაღანიძე მ., სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში“. თბილისი, 2002.

წმ. იოანე ოქროპირი 1990: წმ. იოანე ოქროპირი, „სწავლანი“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი, 1990.

წმ. ისააკ ასური 1991: წმ. ისააკ ასური, წიგნში: „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, II. თბილისი, 1991.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.29-33>

**ერთი თემის პერსონაჟი სხვადასხვა
მხატვრული ტექსტის რაკურსში (გიორგი ერისთავი,
ბარბარე ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძე)**

**Characters of one theme from the perspective
of different fictional texts (Giorgi Eristavi,
Barbare Jorjadze, Ilia Chavchavadze)**

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, გორი

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University
Georgia, Gori

ABSTRACT

From the 50s of the XIX century in Georgian poetry appears the face of an old monk sitting on the Caucasus Mountain, is talking to the author. The conversation is mainly about the fate of the homeland and the questions to the elderly concern his prediction of the future of the country. Poet and playwright Giorgi Eristavi (1811-1864) - This theme was developed in the poem „Caucasus and Ukhans“ written in 1854 (in the manuscript he is called „The Caucasus and the Unknown“), woman writer and public figure, Barbare Jorjadze (1833-1895) In the poem „Ghost“, the sixty-year-old writer and public figure, Ilia Chavchavadze - in the poem „Ghost“ created in St. Petersburg (published in 1859 in the magazine „Tsiskari“).

The present article presents a comparative typological study (we have not found such material in literary thought) by presenting the intentions of all three writers in these three works, which intersect with the writers considering the fate of the country, regardless of their affiliation with different literary directions and ideologies.

Therefore, if we determine the approximate time of writing the „ghost“, it must be written either before 1859, from 1859 to 1881, or from 1881 to 1895. Some assumptions completely rule out the influence of Ilia's poem and lean more towards Giorgi Eristavi's verse.

If we expand all the above, it seems that the poet's creative laboratory, Barbare Jorjadze, has no influence on the creative laboratory. It is the transmutation of perception, the perception of one's own ideological world, and the emergence of new creatures. That is why Barbare Jorjadze's „Ghost“ does not look like either Giorgi Eristavi's poem or Ilia's poem, but appears as an independent work, dictated by a deep patriotic feeling.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, გიორგი ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძე.

Keywords: Georgian poetry, Giorgi Eristavi, Barbare Jorjadze, Ilia Chavchavadze.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართულ პოეზიაში ჩნდება კავკასიის მთაზე მჯდომი მოხუცებული ბერის სახე, რომელსაც ესაუბრება ავტორი. საუბარი ძირითადად მიდის სამშობლოს ბედზე და კითხვები მოხუცებულის მიმართ ეხება ქვეყნის მომავლის მისეულ წინასწარმეტყველებას. პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა (1811-1864) ეს თემა 1854 წელს დაწერილ ლექსში „კავკაზი და უხანები“ (№18013 ხელნაწერში მას ჰქვია „კავკაზი და უცნობი“) განავითარა. მწერალმა ქალმა ბარბარე ჯორჯაძემ (1833-1895) ლექსში „მოჩვენება“, სამოციანელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში შექმნილ პოემაში „აჩრდილი“ (1859 წელს დაიბეჭდა 1859 წელს „ცისკარში“).

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა ამ სამი ნაწარმოებისა (რომლის შესახებაც მსგავს მასალას ლიტერატურათმცოდნეობით ნააზრევში ვერ მივაკვლიეთ) სამივე მწერლის მიზანდასახულების წარმოჩენით, რაც ქვეყნის ბედზე დაფიქრებულ მწერლებთან იკვეთება, მიუხედავად მათი სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულებისადმი კუთვნილებისა და იდეოლოგიური მრწამსისა.

გიორგი ერისთავი ლექსში „კავკაზი და უხანები“ ეხება რუსეთის თურქეთთან მოსალოდნელი ომის საკითხს და ამ მხრივ ავტორი 60 წლის მშვიდობიანი ყოფით მიძინებულ ბერ კავკაზს აფხიზლებს და ეკითხება, როგორ იქნება საქართველოს მდგომარეობა. ბერი კავკაზი თვლის, რომ, როგორი სიტუაციაც არ უნდა შეიქმნას, საქართველოს უსაფრთხოება დაცულია და ტკბილად მიეძინება. აქ თითქოს 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილის მიერ ერთგვარი ქედმოხრაა დამპყრობელი ქვეყნის წინაშე. მაგრამ საყურადღებოა, რომ აღნიშნული ლექსი არ დაუბეჭდავს გ.ერისთავს „ცისკარში“, მისი სხვა ვარიანტიც შეუქმნია (მხოლოდ სათაურით განსხვავებული). ჩვენი აზრით, სწორედ ამ სათაურშია ერთგვარი ხაზი განვითარებული: რატომ „უხანები“ და რატომ „უცნობი“? პირველის განმარტება ს.ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

(უხანო - არ ხან - გრძელი) არამუდმივს, დროებითს ნიშნავს, იქნებ ადამიანს გულისხმობს და მას მრავლობით რიცხვში წარმოადგენს, თუმცა დიალოგში ბერ კავკაზთან ერთი საუბრობს. ამიტომ, „უცნობი“, რომელშიც, სავარაუდოდ, ავტორი საკუთარ თავსაც გულისხმობს უფრო სწორი უნდა იყოს, მაგრამ არ გამოხატავს იმ აზრს, რც „უხანებშია“ ჩადებული.

ჩვენი ვარაუდით, „კავკაზი და უცნობის“ ვარიანტი უფრო ახალია, ჩასწორებული, იქნებ აქ რამე შეცდომაა – ლექსის ტექსტის გადაბეჭდვისას კორექტურული ხარვეზი? მაგრამ, ჩვენი აზრით, უხანები უფრო არამარადიულის აღმნიშვნელია და, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად ალეგორიულიც.

ლექსში არაფერია ნათქვამი კავკაზის გარეგნობაზე, მხოლოდ მინიშნებულია მისი გამოფხიზლება და შემდგომი მიძინება:

„რა ესე უთხრა, ბერმა კავკაზმა, სიამოვნებით გაცაილიმა,
უცნობს შეხედა, დაამთქნარა, გმირული სულით დაცაიძინა“

(ერისთავი 1935: 68).

ლექსის უკანასკნელ სტროფში კი მოსაუბრედ არა უხანები, არამედ „უცნობია“ დასახელებული. ასე რომ, შესაძლოა, სწორედ „უცნობი“ ყოფილიყო „უხანების“ ნაცვლად.

ფაქტი ერთია: ბერი კავკაზი მცველიც არის საქართველოსი, გმირული სულით აღსავსე, რომელთანაც მიდის ავტორი, რათა, როგორც დელფოს ორაკულს, ჰკითხოს მომავლის წინასწარმეტყველება.

იმავე აზრით, ის წარმოჩინდება მწერალი ქალის **ბარბარე ჯორჯაძის** ლექსში „მოჩვენება“, რომელიც პოეტს წარმოუდგება მშვენიერ ბუნებაში გასეირნებისას. ლექსი გამოქვეყნებულია ბ. ჯორჯაძის გარდაცვალების შემდგომ, რაზედაც მიგვანიშნებს სათაურის ქვეშ მინაწერიც: „აწ გარდაცვალებულის კნ. ბარბარე ჯორჯაძისა“.

საინტერესოა, როდის უნდა დაწერილიყო აღნიშნული ლექსი – 1859 წლამდე თუ შემდგომ ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ პირველი ვარიანტისა?

ბარბარე ჯორჯაძის ლექსში კავკასიის მთის წვერზე მდგომი მოხუცებული მოჩვენებაა. ამით პოეტ ქალს სურს იგი არარეალურად, მოჩვენებად წარმოაჩინოს:

„ამ დროს ვიხილე მოხუცი კაცი, ზედ კავკასიის
წვერზე მდგომარე,
დაყრდნობილ იყო ოქროს ყვარჯენს, თეთრად მოსილი,
სპეტაკ მთრთოლვარე“

(ჯორჯაძე 1986: 33).

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ I ვარიანტში კავკაზის, კერძოდ ყაზბეგის, მთაზე მდგომარე მოხუცი ევლინება ახალგაზრდა პოეტს; აღწერას მთელი III თავი აქვს დათმობილი:

„ყაზბეგზედ ვნახე კაცი მდგომარი,
დიდი, მორჭმული, მოხუცებული,
შვენოდა იგი მთაზედ ელვარე,

უძრავი, უხმო, ჩაფიქრებული.
 თეთრსამოსელი ესხა მას ტანსა,
 ღვთიურ სხივებში გაბრწყინებული,
 მის დიდებას, მის ძლიერ თვალსა
 თვით მთა ჰმონებდა შეშინებული,
 და თვით მზის სხივიც თითქოს ძრწოლითა
 კანკალით მის ტანს შეეხებოდა,
 ან მის ფეხ ქვეშა იმავე თრთოლითა,
 თოვლზედ უვნებლივ აღენტებოდა.
 თავღია იდგა, მის დიდი შუბლი
 საუკუნებით მთლად გადახნული,
 ჰფარავდა ნიშნებს ღრმისა ჭკვისასა
 ვით მწუხრის ჟამი შუქსა დღისასა.
 და თეთრი თმანი, მის ძლიერ მხრებზედ,
 სქლად ჩამოყრილნი, ბრწყინავდნენ მზეზედ,
 უმანკო თოვლით მხოლოთ იმ მთების
 მის თმის სითეთრეს თუ შეედრების...”

(ჭავჭავაძე 1987: 447).

ამკარაა, ილიას „აჩრდილში“ მხატვრულად გავრცობილია მოხუცებულის გარეგნობა, რათა გამოიკვეთოს ძალა და დიდებულება აჩრდილისა, რომელიც გადმოჰყურებს საქართველოს და დაინტერესებულია მისი ბედისწერით.

როგორც ცნობილია, „I ვარიანტი პოემისა დასრულებული იყო 1859 წლის იანვარში, მეორე ვარიანტი შეიქმნა 1859 წელს, III ვარიანტი – 1872 წელს, ზოგიერთი ჩასწორება შეტანილ იქნა 1872 წლიდან 1881 წლამდე“ (მინაშვილი 1995: 224). ამიტომაც, თუ „მოჩვენების“ დაწერის სავარაუდოდ დროს განვსაზღვრავთ, იგი უნდა იყოს დაწერილი ან 1859 წლამდე, ან 1859 წლიდან 1881 წლამდე, ან 1881 წლიდან 1895 წლამდე. ზოგიერთი ვარაუდი კი სავსებით გამორიცხავს ილიას პოემის გავლენას და უფრო გიორგი ერისთავისეული ლექსისაკენ იხრება.

თუმცა, როდესაც საუბარია გავლენაზე, საჭიროა გამოირიცხოს იდეური გავლენა, რამდენადაც, თუ ილიას პოემაში წარმოდგენილია საქართველოს წარსული, აწმყო და მომავლის წინასწარმეტყველების ნაწილიც, რომელიც ექვემდებარება მის სამომავლო საბოლოო პროგრამას, „მოჩვენებაში“ აწმყოა წარმოდგენილი თავისი ტკივილებით, რომელიც აწუხებს პოეტს. ესაა ტყვეობაში მყოფი ქვეყნის მცხოვრებთა მიერ მამა-პაპათა ტრადიციების უარყოფა და მისი ნაწილ-ნაწილ გაყიდვა:

„ახლა კი ჰყიდით იმ მამა-პაპებს

ყალბს ფულებზედა შვილიშვილები?

მაშ შეუცვლია დროს ქართველთ გული, მეც დროს

ვწყევლი და ვემდურები“ (ჯორჯაძე 1986: 34).

აქ უკვე მოხუცებულის გულისტკივილს ის ფაქტიც აძლიერებს, რომ ადამიანებს დავიწყებით თავიანთი კაცური ღირსება და მოვალეობის შეგრძნება. ამაზე პოეტი მოქმედებას, ხელის განძრევას ალუთქვამს მოხუცებულს და იშველიებს ბრძენთა გამოთქმას, რომ „თავისუფლებას ამისთვისო ჰსძივს დიდი ფასი!“

დიალოგი აქ წყდება და ღრუბელი გადაეფარება მოჩვენებას, რჩება მხოლოდ კავკაზის მთა მუდმივი მცველი ივერიისა.

თუ ყოველივე ზემოთქმულს განვავრცობთ, ჩანს, რომ პოეტი ქალის შემოქმედებით ლაბორატორიაში არაა გავლენა. ესაა აღქმულის გადახარშვა, საკუთარი იდეური სამყაროს თვალთახედვის აღქმა და ახალ ქმნილებად წარმოჩენა, რომელიც ამიტომაც ჰგავს და არა ჰგავს არც გიორგი ერისთავის ლექსსაც და ილიას პოემა „აჩრდილსაც“, მაგრამ წარმოჩნდება როგორც დამოუკიდებელი, ღრმა მამულიშვილური განცდით ნაკარნახევი ნაწარმოებები.

გამოყენებული ლიტერატურა

- ერისთავი 1936:** ერისთავი გ., თხზულებანი, ფედერაცი. თბილისი, 1936.
მინაშვილი 1995: მინაშვილი ლ., ილია ჭავჭავაძე. თბილისი, 1995.
ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი, 1993.
ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. I. თბილისი, 1987.
ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები. თბილისი, 1986.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.34-41>

**ფონეტიკური ცვლილებებისათვის
ბარბარე ჯორჯაძის ნაწერებში**

**For Phonetic Changes
in the Writings of Barbare Jorjadze**

ეკა დადიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Eka Dadiani

Akaki Tsereteli state University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

Barbare Jorjadze is one of the prominent Georgian public figures. She was actively involved in the discussion of socio-political or literary issues in Georgia in the second half of the 19th century; She published publicist letters on women's rights and education, Georgian language development, and literary topics, and she was engaged in creative activities.

She wrote poems, plays, and stories. She compiled and published 1874 „Georgian Cuisine and Family Household References“ (in addition to some Russian food). The book is important not only from a professional point of view (it is the first complete culinary textbook published in Georgian). But it is also interesting from a linguistic-cultural or ethnographic point of view. Because it somehow presents the linguistic picture of Georgia of that period, specifically the peculiarities of Kakhetian speech from different (phonetic, morphological, syntactic, lexical, stylistic) points of view. Barbare Jorjadze's language is plain and natural. The author uses simple constructions. The linguistic specificity of its angle, and the dialectal features, are evident, which is clearly seen in the phonetic processes. The presented work analyzes the „Georgian cuisine“ compiled by Barbare Jorjadze, as well as her artistic work, and personal letters. The main tendencies of phonetic changes in relation to the Kakhetian dialect are shown. Barbare Jorjadze worked at a time when Georgian writers, under the leadership of Ilia Chavchavadze, were actively fighting to bring the literary language closer to the vernacular. There were no uniform norms of literary language, which was clearly reflected in Barbare's work.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, კახური დიალექტი, ბარბარე ჯორჯაძე, ფონეტიკური პროცესები.

Keywords: Georgian language, Kakhetian dialect, Barbare Jorjadze, phonetic processes.

ბარბარე ჯორჯაძე ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა. ის აქტიურად იყო ჩართული მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური თუ ლიტერატურული საკითხების განხილვაში; აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს ქალთა უფლებებისა და განათლების, ქართული ენის განვითარების საკითხებზე, ლიტერატურულ თემებზე... ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას: წერდა ლექსებს, პიესებს, მოთხრობებს. მან შეადგინა „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი /დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა/“ (1874). წიგნი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით (წარმოადგენს ქართულ ენაზე გამოცემულ პირველ სრულ კულინარიულ სახელმძღვანელოს), არამედ ის საინტერესოა ენობრივ-კულტურული თუ ეთნოგრაფიული კუთხითაც, ვინაიდან ერთგვარად წარმოაჩენს იმ პერიოდის საქართველოს ენობრივ სურათს, კონკრეტულად კი კახური მეტყველების თავისებურებებს სხვადასხვა (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური...) თვალსაზრისით.

ბ. ჯორჯაძე (1833-1895) დაიბადა და გაიზარდა კახეთში, ახმეტის სოფელ ქისტაურში. მან მთელი ცხოვრება მშობლიურ კუთხეში გაატარა. სწავლა-განათლება ოჯახში მიიღო. ამდენად, მისი შემოქმედება, ნაწერები უაღრესად საინტერესოა იმ პერიოდის ენობრივი ვითარების, კახური დიალექტის შესწავლის კუთხითაც.

ბარბარეს ენა სადა და ბუნებრივია. ავტორი მარტივ კონსტრუქციებს იყენებს. თვალსაჩინოა მისი კუთხის ენობრივი სპეციფიკა, დიალექტური მახასიათებლები, რაც ნათლად ჩანს ფონეტიკურ პროცესებში.

წარმოდგენილ ნაშრომში გავანალიზებთ ბარბარე ჯორჯაძის მიერ შედგენილ „სამზარეულოს“, ასევე, მხატვრულ შემოქმედებას და პირად წერილებს. კახურ დიალექტთან მიმართებით ვაჩვენებთ ფონეტიკური ცვლილებების ძირითად ტენდენციებს.

განსხვავებული ბგერები

ბარბარე ჯორჯაძე იშვიათად იყენებს განსხვავებულ ასო-ნიშნებს, რომლებიც ძველი ქართული ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად: **ჟ**, **მ**, **წ**, **ჯ**. გვხვდება ასევე **ჭ** (რუსულ სიტყვებში):

უმარცვლო უ (**ჟ**) დასტურდება შემდეგ სიტყვებში (**წ**-ის მეზობლად):

თქჟწნის სურვილისას (ჯორჯაძე 1874: VIII); **თქჟწნს** გემოზედ (13);

საქართჟწლოში არსებულთა (VIII).

შდრ.: კახურში **ჭ** კბილბაგისმიერი ვ-ს მონაცვლეა თ, კ, ს, ქ, შ, ყ, ხ თანხმოვნების მომდევნოდ, იშვიათად **უ** ხმოვანსაც ენაცვლება (მარტიროსოვი... 1956: 31).

უმარცვლო ი, წინანუნისმიერი **ღ** ძალიან ხშირია კახურში, თუმცა ეს ბგერა ბარბარეს ნაწერებში იშვიათად ჩანს. მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში დაფიქსირდა ი-ს მონაცვლედ: არ შეგვხვდებოდა **ჰ**, ს თანხმოვანთა მონაცვლედ ან კიდევ მისი განვითარების ფაქტები. მაგ.:

თუ **რამე** ნაკლულევანება შეამჩნდეს (ჯორჯაძე 1874: IX): ამ **დროს** ცვლილებას (VIII).

ფ (<ეი) გამოვლინდა რამდენიმე სიტყვაში, სადაც წესით არ უნდა გვექონოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეი მიმდევრობა არ ივარაუდება. მაგ.:

ჩჭმნ მდგომარეობას (ჯორჯაძე 1874: VIII); **თქჭმნ** გემოვნებაზედ (VIII, 13); **თქჭმნის** სურვილისას (VIII); **თქჭმნ** გემოზედ (13); **საქართჭმლოში** არსებულთა (VIII).

ჯ (<ვი), ძველი ქართულის მსგავსად, ვი კომპლექსის აღმნიშვნელად დადასტურდა შემდეგ სიტყვაში:

რომ გნებამდეთ **სვალისათვს** (ჯორჯაძე 1874: 21).

კბილბაგისმიერი ყრუ ფშვინვიერი **ფ**, როგორც ფ თანხმოვნის მონაცვლე, მხოლოდ რუსულ ლექსიკაში ფიქსირდება, მაგ.:

როსტბიფი (ჯორჯაძე 1874: 162); **ბიფსტეფი** (162); ჩადეთ **ფორმაში** (168); **ვაფლი** (170).

საკუთრივ ქართულ სიტყვებში **ფ** არ გამოიყენება, უდრ.: კახურსა და სხვა კილოებში გვხვდება ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების მეზობლად ასიმილაციის გზით ვ-ს დაყრუებით: **ფტირი**, **გაფფინო**, **ფფიქრობ...** (მარტიროსოვი... 1956: 30).

ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკური ცვლილებები ბ. ჯორჯაძის ნაწერებში საკმაოდ თვალსაჩინოა და წარმოდგენილი კახურს ნაირგვარი ფონეტიკური პროცესები ახასიათებს, რაც მეტ-ნაკლებად ასახულია ისტორიულ დოკუმენტებსა თუ ამ კუთხის მწერალთა შემოქმედებაშიც.

ბარბარესთან დადასტურებული ფონეტიკური ცვლილებები გარკვეულწილად სხვა კილოებშიც გვხვდება და საერთო ქართული ხასიათისაა, ამასთან, გვაქვს საკუთრივ კახური მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ფაქტებიც.

გავანალიზოთ ცალკეული ფონეტიკური ცვლილებები.

ასიმილაცია ძალიან გავრცელებული მოვლენაა კილოებში, თუმცა კახურში „მანიცდამანინც ისე არაა ფეხმოვიდებული, როგორც ზოგიერთ კილოში (ინგილოურში, ფერეიდნულსა, გურულში და სხვაგან)“ (მარტიროსოვი... 1956: 34).

თანხმოვანთა ასიმილაცია. ხშირია ყრუ თანხმოვნების გავლენით მედერთა დაყრუების შემთხვევები:

უნდა გააწყოთ **პტყელი** ფიცარი (ჯორჯაძე 1874: 133); ერთი **პტყელი** ფიცარი (136); **პტყლათ** დასჭერით (163); ჯართან **მოახწყედა** (ჯორჯაძე 1986: 116); სამოც წელში **მიხწყელი** (124).

პტ < ბტ: პტყელი < ბტყელი < ბრტყელი: სიპტყე, მოპტყე, პტყელი (მარტიროსოვი... 1956: 37).

ს > ზ გამჟღერება:

ქილაში **ჩაზდებთ** (ჯორჯაძე 1874: 36); **ჩაზდებთ** ბოჭკაში (53); პირზედ **ჩამოზდის** ოფლსა ლაფი (ჯორჯაძე 1986: 12); ედემის **მზგავსს** შენსა წალკოტს (43).

შდრ.: **მზგავსი** (<მზგავსი), **ძმიზგან** (<ძმისგან) (მარტიროსოვი... 1956: 39).

მრავლად გვხვდება **იდ-გან** დაბოლოებიანი სიტყვაფორმები: -გან თანდებულის გავლენით ასიმილაციის საფუძველზე გამჟღერებულია მოქმედებითი ბრუნვის -ით სუფიქსი. ამასთან, თანდებულისეული გ ხშირად შენარჩუნებულია:

ზეიდგან ფიცარი (ჯორჯაძე 1874: 135); **ზეიმოდგანაც** ისევ დააფარეთ (135); მოიღეთ თავი **წვენიდგან** (143); სულ ყველანი ამ **ხოვრებიდგან** დასჭერთ (159).

მსგავსი ფაქტები განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში (მარტიროსოვი... 1956: 39).

ნაწილობრივი **დისტანციური ასიმილაცია** (ს > შ):

გაშინჯეთ, თუ მოხარსული არის (ჯორჯაძე 1874: 137); **გაშინჯეთ** (79).

ხმოვანთა ასიმილაციის ნიმუშები ბარბარესთან იშვიათია: **რეებს** როტავს მეთქი? (ჯორჯაძე 1986: 84); **ბროწოული** (ჯორჯაძე 1874: 5).

ბ. ჯორჯაძის მოთხრობებში შეგვხვდა **ხოვშ(ვ)ი** ფორმა: ჩვილ **ხოვშეებს** უყლებდნენ (ჯორჯაძე 1986: 77); ახლა პატარა **ხოვშივით** ჩემი ტყლაშა-ტყლუში მოგინდა (96); როგორც **ხოვში**, სულ ისე იღრიალა (102).

დისიმილაცია ხშირი არ არის, განსაკუთრებით **ხმოვანთა დისიმილაციის** ნიმუშები. მაგ.:

ესხანდელმა **გოგუებმა** ენა ამოიდგით (ჯორჯაძე 1986: 60); **გოგუებს** მძინარე იქ რა დავიწყებიათ!.. (66); იქ კი ვერ **დავაგუთუებდი?** (133).

დისტანციური დისიმილაციის ნიმუშები: ჩემ შვილებს დედის მაგივრად შენა **ჰყევხარ** (ჯორჯაძე 1986: 88); შენ **მიდგეხარ** თვალწინ (104).

დასტურდება **თანხმოვანთა დისიმილაციის** ფაქტები.

რ-რ > რ-ლ: აადულეთ **ორჯელ** (ჯორჯაძე 1874: 161); დღეს ლევან **ორჯელ** მოვიდათქო (ჯორჯაძე 1986: 125); **ზევრჯელ** გავა სამი დღე (124).

მზ > მზ: დაასხით **ლანზაქხედ** (ჯორჯაძე 1874: 117, 118, 120); ხელს **ვეანზორე** (ჯორჯაძე 1986: 24); ეს **ანზავი** აცნობეს (116); დაღონებით **ანზობს** (123).

ნ-ნ > ვ-ნ: საწერკალამი **გამოურბევინა** (ჯორჯაძე 1986: 103).

მეტათეზისი. კახურში გავრცელებულია **ძლიერ** სიტყვის ცვლილება მეტათეზისის საფუძველზე: **ძლიერ > ძრიელ**. პირველად დასტურდება X საუკუნის ძეგლში, გვხვდება სხვა ხელნაწერებშიც (მარტიროსოვი... 1956: 41).

ძრიელ მსუქანი (ჯორჯაძე 1874: 18); იყო **ძრიელი** ომი (ჯორჯაძე 1986: 117).

დისტანციური მეტათეზისის ნიმუში: უნდა ის ხე **დახეჩოთ** /<დაჩეხოთ/ (ჯორჯაძე 1874: 150).

შდრ. „აქ **ხ-სა** და **ჩ-ს** მეტათეზისთან არ უნდა გვეკონდეს საქმე. იგი

საერთო ძირს უნდა ავლენდეს **ხლეჩა-სთან** (მარტიროსოვი 1956: 43).

სუხსტიტუცია კახურში ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით ხშირია ვ/მ და ვ/ზ თანხმოდანთა შენაცვლების შემთხვევები, რასაც ბარბარეს ნაწერებიც ადასტურებს. მაგ.:

ქილა ცივის წყლით **აამსეთ** (ჯორჯაძე 1874: 102); სულ ასე **გაამსებდეთ** ქილასა (103, 105); სტეფანეს **მითომ** არ გაუგონია (ჯორჯაძე 1986: 141).

-**ავ** თემის ნიშანი ხშირად -**ამ** სახით იხმარება:

შეიძლება არც კი **გნებამდეთ** (ჯორჯაძე 1874: 135); შემდეგ **გასწურამთ** (59); ქადას **გასტეხამთ** (64); ყურძენს უნდა **სწურამდნენ** (114); ერთხელ რომ ტუტასა **ჰკრამთ** და **წარეხამთ** (141); როცა **ცეკვამდა** და **დაფრინამდა** (ჯორჯაძე 1986: 25); **ნახამ** ცვლილებას (34).

-**ავ** უცვლელი სახითაც გვაქვს: **ნახავთ** კიდევ (ჯორჯაძე 1874: 56), **გასწურავთ** (87).

დასტურდება პირუკუ შემთხვევებიც: -**ამ** სუფიქსს ენაცვლება -**ავ**:

აქ **მოასხავდნენ** ტყვედ ქართველთ (ჯორჯაძე 1986: 15); მაშინ **მოგიცვავს** შენ ღრმა ფიქრები (35); რაც ტყვეები **წაუსხავს** (69); ერთ კაცსა ურემზედ დედაკაცები **დაუსხავს** (73).

ვ თანხმოდანის ნაცვლად წარმოდგენილია უ ხმოვანი:

გიყუარდეს შვილო შენი მამული (ჯორჯაძე 1986: 21); წყალიც **უხუათა** **გვაქუს** (117); გამოცურა **მტკუარში** (123).

დ > თ (მონაცვლეობა):

რამთენიც გინდათ (ჯორჯაძე 1874: 87); ტუტა **იმთენი** უნდა აიღოთ (133); **იმთენი** წყალი დაასხით (153); **იმთენი** ადუღეთ (175); **იმთენი** უნდა დაიზილოს (158).

კახურში **დ-ს** ხშირად ენაცვლება **თ** ან **ტ**: ამთენი, რამთენი, ამტენი, რამტენი... (მარტიროსოვი... 1956: 45).

ს > ც (აფრიკატიზაცია): მე **პენციისთვის** გავგზავნე მოსატანათ (ჯორჯაძე 1986: 138); გალავანში **პენციონის** სახლები დავაცვლეინე (82).

შდრ. გურ. **პენცია**, იმერ.-გურ. **პარცავს**, ფშ. **არცათ/არცა**... (ჯორბენაძე 1998: 480).

ხმოვანთა სუხსტიტუცია: **ინდოური**, გინა ქათამი ხარშოთ (ჯორჯაძე 1874: 17); **ინდოური** (18, 19, 20). შდრ. **ინდაური** ხახვ-წყალით (27).

ვა/ვე ხგერათკომპლექსთა ცვლილებები

ბარბარეს ნაწერებში საკმაოდ ხშირად გვხვდება **ვა > ო** პროცესი: რათ ჩადექ ჩემ **ცოდოში** (ჯორჯაძე 1986: 55); ჩემი **ცოდო** უნდა ვაღიარო (110).

ვა > ო თვალში საცემია ზმნურ ფორმებში. მაგ.:

წყვეტილის მწკრივის ფორმებში: რო **შეიწო** (ჯორჯაძე 1874: 75).

მეორე კავშირებითის ფორმებში: ცეცხლმა ყაზანდები არ **დასწოს** (ჯორჯაძე 1874: 42); თუ ენა **დაგწოთ** (137); კვერცხი ცხელში არ **ჩაუშოთ** (16); ორთქლი გარეთ არ **გამოუშოს** (42); მცვრიანი უნდა **მიაართოთ** (34).

სხვა ფორმებთან (მყოფადი, თურმ.): ვისაცა **სურს**, **წაისომს** (ჯორჯაძე 1874: 132); მაგრა **დაუცომთ** (55); **მოსწომთ** ორსავე გვერდზედ (33);

თურთქელში **შესწომით** (98).

ბოლო 2 მაგალითში თემის ნიშნისეული **ვ > მ**:

ვე > ო კახურშიც იშვიათია: უნდა ჩაასხათ **სადლობელში** (ჯორჯაძე 1874: 55).

თანხმოვანთა დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. ქართულ ზეპირ მეტყველებასა და კილოებში სიტყვის ბოლოკიდურად მყდერი თანხმოვანი, ჩვეულებრივ, ყრუვდება. განსაკუთრებით ხშირია ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული **დ-ს** დაყრუების ფაქტები. მაგ.:

მასალათ მიეცით (ჯორჯაძე 1874: 7, 8, 9, 13); წვრილ-წვრილ **ნაჭრათ** დასჭერით (9); ყველა ერთათ **საკმაოთ** მოიხარშოს (17); წვნიანი ქათამი **გურულათ** (20); **ერბოიანათ** დაასხამთ ბლუდზედ (25); წყალშიაც გაკეთდება **უერბოთ** (50); მოხრაკავთ ერბოს **მაგივრათ** ზეთში (41); ისე **მთლათ** მიიტანეთ (18); **შოლოთ** მაწონი (25); ამ **რიგათ** უნდა გააკეთოთ (39); **თავათ** გაუკეთებთ (100); **იმყამათ** გქონდეთ (159).

დაყრუებულ **თ-ს** შესაძლოა მოსდევდეს ხმოვანი (მავრცობი):

როგორათაც სუჰსა (ჯორჯაძე 1874: 12); თუ **საკმაოთა** აქვს სიმჟავე (14); **როგორათაც სახსნილოთ** დავსწერე (88); შორიახლო დადგით **თბილათა** (5); მეორე დღეს იქნება **მზათა** (13).

შდრ.: დასტურდება საპირისპირო ფაქტებიც; სიტყვის ბოლოკიდურად ყრუ თანხმოვანი გამყდერებულია. მაგ.:

ზემიოდ ალაზანში ცხენით გასვლა ძნელი იყო (ჯორჯაძე 1986: 80); **ალბად** რომ ომის გამო ახლა მე ჩავარდი იმის დღეში (86); **გარედ** გასვლა დააპირა (89).

ზერის დაკარგვა ხშირია კახურში. განსაკუთრებით მაშინ, როცა სიტყვაში რამდენიმე თანხმოვანია თავმოყრილი. იკარგება ხმოვანიც, თანხმოვანიც (ძირითადად სონორები) როგორც ძირში, ისე აფიქსებშიც. მაგ.:

თანხმოვანთა დაკარგვა. ვითარებითის **-ად > -ა**:

წყნარა ადუღეთ (ჯორჯაძე 1874: 122); **წყნარ-წყნარა** ხარშეთ (120); გასწურეთ **მაგრა** (38).

შდრ.: სამი კვერცხი **ცილიან-გულიან** ცალკე გათქვიფეთ (ჯორჯაძე 1874: 164).

იკარგება **რ, ნ** სონორი თანხმოვნები:

დასჭერით **სიგბესედ** (ჯორჯაძე 1874: 32); შენ **გასამჯელოს** მე მოგცემ (ჯორჯაძე 1986: 142); ბატონიც იქ **წაბმანდა** (125); სოფიო ჩემი **გაზდილია** (125); მაშინვე ბოხჩები **შეატაინეს** (80); ფარეშმა ერთი ლულა ატლას-ბაფთი **გამოარბინა** (86).

იკარგება სიტყვის ბოლოკიდური **ს**: თუ მდინარე წყალი **ახლო** გაქვთ (ჯორჯაძე 1874: 104); **თითქო** მოჰსთქუამს მთა და ბარი (ჯორჯაძე 1986: 33).

სხვა კილოების მსგავსად უჩინარდება **ვ**-პრეფიქსი **უ-ს** წინ:

ჩუჭუნს მდგომარეობას რომ **უყურებ** (ჯორჯაძე 1874: VIII); სარგებლობას **მოუტან** (IX); მე **უპასუხე** (ჯორჯაძე 1986: 28); ჩუმათ **უჭვრეტდი** ომის სიცხარეს (30); რა **მოუხერხოთ** ამათაო (117).

ხმოვანთა დაკარგვა. იკარგება **-ავ/-ამ** თემისნიშნისეული **ა** ხმოვანი

აწმყო-მყოფადის მრ. რიცხვის ფორმებში:

დოს ყველივრამდის **შეინახვენ** (ჯორჯაძე 1874: 56); ბატკანს რომ **დაჰკვლენ** (58); მაწონს **ჩაასხმენ** (55); თვითონ **მოსახმენ** (75); **დაასხმენ** ხოლმე (136).

გადა ზმნისწინისეული ა ხმოვანი უჩინარდება **უ-** (იშვიათად ვ-, გვ-) პრეფიქსთან შეხვედრისას:

ლექი **გადულვარეთ** (ჯორჯაძე 1874: 5, 6, 10, 11); წვენი **გადულვაროთ** (112); წყალი **გადუწურეთ** (26); ხელი მთლად **გადუგრინე** (ჯორჯაძე 1986: 27); მუხლსა და კალთას ზედ **გადუყარა** (27); პირს **გადვიხადე** (28); მწარე კაეშნის ხმა ოხვრად **გარდგვეცა** (38).

შდრ.: ძმარი **გადაულვაროთ** (ჯორჯაძე 1874: 165); **გადაულესეთ** (108, 110); ქონიც უნდა **გადაურიოთ** (133); **გადაუჭირეთ** (110).

ასევე, გაუჩინარებული ჩანს **აი** ხმოვანთკომპლექსისეული **ო** ხმოვანი: თუ საშუალობა არის ყურძენი **გადირჩეს** (ჯორჯაძე 1874: 128).

კუმშვის საინტერესო ნიმუშები:

ჩურჩხლათ თუ გენებებათ (ჯორჯაძე 1874: 114); **ასტმით** აფხიკეთ (60); **ასტმით** წმინდათ დაკვებთ (85).

ზოგჯერ სახელი სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე გვხვდება:

ერბო **ნახევარ** გირვანქა (ჯორჯაძე 1874: 16); **ნახევარ** სტაქანი ნიგვზის ზეთი (82).

მარცვლის დაკარგვა ბოლოკიდურად (უმთავრესად ზმნებში):

მოთმინება **მომე** (ჯორჯაძე 1986: 94); ეს წიგნი თაზოს **მე** (101); შენ **გაე** პასუხი (76); **გაიქე**, ჯარს რად გვიგვიანებ (30); გეცოდინება, რა აზრითაც **გამოვჰყე** ამათ (60); შენ ჩუმად ერთს ვაჭარს ვისმე **გაჰყე** (80); **ადე**, შენი კვნესამე (108).

ბერის ჩართვა. სიტყვაში ჩნდება სონორი ბგერები:

მუხუნდო ხელით დაჩურჩეთ (ჯორჯაძე 1874: 79, 83, 83). არ **მეგულვება** (VIII); **შვინდის** შეჭამანდი (84); ჯოხზედ ასხმული **მიხეხები** (52); **მენდალიც** გრძლათ გულზედა ჰკიდა (ჯორჯაძე 1986: 128); ბევრ ფულეხსაც შენ **იშოვნი** (129); სახლები **ექირავნა** (72); სისხლი **ნდიოდა** (30); რას **გეხვერწები** (35); **ვუიმე**, შვილო (76).

არცთუ იშვიათად სიტყვებში **ვე** კომპლექსის წინ **უ** ხმოვანია ჩართული:

უჭირავთ მრავალნი **ქუვეყნები** (ჯორჯაძე 1986: 112); **უპირუველეს** გუართა შორის (113); **პირუველათ** გვარად დედარუკოვნი (113); წავალთ **ჩუვენს** ქვეყანაშია (117); **თქუვენვე** იტყოდეთ ანბავს ნამდვილსა (29); გიორგის **მოართუვეს** (116); ყოუველი მტრობა **მოვჰსპოთ** (117); ებ ლევის ჯარი **დაითხოუვეთ** (117); ეს უბედური **შემთხოუვეთა** ესმა (118); **საქართუველო** შეერთებულიყო რუსეთს (119); ერმალოვი განაგებდა **საქართუველოს** (119).

ბარბარე ჯორჯაძის ნაწერებში მშობლიური კუთხის მეტყველების სპეციფიკა ყველა დონეზე იგრძნობა, განსაკუთრებით ფონეტიკის ნაწილში; უმთავრესად ის ფონეტიკური პროცესები იჩენს თავს, რომლებიც

კახური მეტყველებისთვის არის ნიშანდობლივი. ამდენად, ბ. ჯორჯაძის ნაწერები მნიშვნელოვანია ქართულ ენაში ფონეტიკური ცვლილებების ზოგადი ტენდენციებისა თუ საკუთრივ კახური დიალექტის შესწავლის თვალსაზრისით.

ბარბარე ჯორჯაძე იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როცა სამოციანელები ილიას მეთაურობით აქტიურად იბრძოდნენ ქართული სალიტერატურო ენის გახალხურებისთვის, ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოებისთვის. სალიტერატურო ენის ერთიანი ნორმები არ არსებობდა, რაც ბარბარეს შემოქმედებაშიც ნათლად აისახა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

მარტიროსოვი... 1956: მარტიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი. გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ. თბილისი, 1956.

ჯორბენაძე 1998: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II. თბილისი, 1998.

ჯორჯაძე 1874: ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი (დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა). შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძისაგან. ტფილისი, ექვთიმე სულაძის სტამბა, 1874.

ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პიესები, მოთხრობები, წერილები. გამოსაცემად მოამზადა მ. მაღალაშვილმა. თბილისი, 1986.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.43-49>

**უზბივო ფიქრების დედოფალი
(ნინო თარიშვილის პოეზია)**

**Thoughts of fortuneless Queen
(Nino Tarishvili's poetry)**

მკვალა დავითაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ახალციხე

Makvala Davitadze

Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

ABSTRACT

The twentieth century offered a new reality, a new socio-political life to the country. Georgia, in fact, moved on to new rails of life. On the one hand, the First World War, on the other, the victory of the Bolshevik Revolution completely changed the existing reality.

In the first quarter of the twentieth century, a number of literary groups or associations were formed in Georgia. Many artists tried to escape the existing reality in order to reflect their experiences and things happening around them.

The Bolshevik regime was a brutal force that didn't accept the people who didn't tolerate soviet ideology and fiercely fought against it. Artists had two ways to survive, taking compromises to the regime or live under the constant danger of punishment.

In the twentieth century, in Georgia, a number of worthy poets appeared on the track, who took a deserved place in Georgian poetry. There were many artists who were overshadowed by the conjuncture of the Soviet era. In the socialist epoch, the soviet ideology which was permeated with falsity was trying to form a „Soviet poet“. The regime was ruthless towards all artists who did not pay any tribute to their ideology. Such poets were called enemies, and their poetry was considered to be immoral. Georgian poetry knows lots of such names. They are only moderately mentioned in the history of Georgian art.

It would be unfair to forget them. Cosmos includes huge planets, but you can also see the small stars if you look up the sky. Without any of them, galaxy would be far from perfection. That is why it is regrettable to forget any poet or poetic word.

Their creations are no less valuable and interesting. Nino Tarishvili is one of such poets. I. Grishashvili dedicated several poems to her and Paolo Iashvili called her Georgian Anna Akhmatova. During her work, Nino Tarishvili created wonderful and unforgettable poems that complement the history of Georgian poetry.

Nino Tarishvili took a very bold step in poetry. In fact, there is not a single poem in her poetry, not a single verse, by which she bends the knee to that harsh reality, that threatened the destruction of „disobedient artists“.

Nino Tarishvili did not have a „creative ancestor“ whose path she would continue in poetry. She herself initiated a poetic thought imbued with a highly „eternal passion“.

Her charismatic, rebellious, and feminine passionate nature is expressed in all simplicity in her poetry. This was the reason why the female poet was expelled from the university and found herself in extreme spiritual loneliness during her lifetime.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, ნინო თარიშვილი, საბჭოთა ცენზურა.

Keywords: Georgian Poetry, Nino Tarishvili, Soviet Censorship.

ბშირად პოეტებს თავისი ბედი დაჰყვებათ: ისეთ დროში იზადებინ, რომ მათი სახელები, ცხოვრებაცა და შემოქმედებაც ამ დროის მსხვერპლად იქცევა ხოლმე. ხან ასეცაა: ათასგვარი ისტებისა და იზმების, გარკვეული ეპოქისა და გამეფებული კონიუნქტურის გამო იკარგება პოეტის სახელი, მათ სახელებს სრულიად გამიზნულად, ჩრდილში აყენებენ, განზე გასწევენ, რადგან არ ჯდება გამეფებულ კონიუნქტურულ ჩარჩოში. მაგრამ პოეზია, ლექსები არ ჩუმდებიან, ვერ აღმუშებენ. ნადი პოეტური გზნებით ნასაზრდოები ლექსი მკითხველის მეხსიერებაში რჩება და იმკვიდრებს ადგილს.

სოციალისტური ეპოქა, საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც სიყალბით იყო გაჟღენთილი, ცდილობდა შეექმნა „საბჭოთა პოეტი“. დაუნდობელი იყო საბჭოთა ცენზურა განსაკუთრებულად ე.წ. კომუნისტური ზნეობის ჩარჩოსა და საზღვრის დამრღვევ ხელოვანთა მიმართ. პოეზია და პოეტი უნდა ყოფილიყო საბჭოური წყობის აპოლოგეტი. წინა პლანზე იყო წამოწეული პროლეტარული ფსევდოშემოქმედი მწერლები. ხდებოდა ასეთ ფსევდოპოეტთა და ფსევდომწერალთა დაჯილდოება, საპატიო წოდების მინიჭება. ყველაფერი, რაც არ ეთანხმებოდა კომუნისტურ მორალს, მიუღებლად და ამორალურად იყო მიჩნეული. ასეთ ვითარებაში, ცხადია, რთული იყო წერა და აზროვნება. მიუხედავად ამისა, თუ ყველა ვერა, საბედნიეროდ, იყვნენ ისეთი ხელოვანნიც, რომლებიც მაინც ახერხებდნენ და არ კარგავდნენ საკუთარ პოეტურ ხმას.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იდეოლოგიურ კომპრომისზე

წასვლა ნიშნავდა სიცოცხლის გადასარჩენად იძულებით გადადგმულ ნაბიჯს.

აკ. ბაქრაძე თავისი წიგნის „მწერლობის მოთვინიერების“ შესავალში წერდა: წინასწარ არავინ უწყის, ვინ რას ჩაიდენს, როცა ყურში ნემსს გაუყრიან, როცა ენას მოაგლეჯენ, როცა ფეხებით თავდაყირა დაკიდებენ, როცა რკინის კეტებით ძვლებს დაუმტვრევენო.

ავადსახსენებელმა ოცდაჩვიდმეტმა წელმა არაერთი შემოქმედი და ხელოვნების ბრწყინვალე მოღვაწე იმსხვერპლა უკომპრომისობის გამო.

სწორედ იდეოლოგიური წნეხის გამო ბევრი პოეტი ქედს უზრიდა „ახალ ცხოვრებას“ და თავის პოეტურ ნაფიქრალს იდეოლოგიით ნაკარნახევ შეფერილობას აძლევდა. საბჭოთა რეჟიმს ბევრმა დაუხარა თავი, მაგრამ ყველამ – არა!

დაუნდობელი იყო საბჭოთა ცენზურა ე.წ. კომუნისტური ზნეობის ჩარჩოთა და საზღვრის დამრღვევ შემოქმედთა მიმართ. ყველაფერი, რაც არ ეთანხმებოდა კომუნისტურ მორალს, „კომუნიზმის მშენებელთა დიად მიზნებს“, მიუღებლად და ამორალურად იყო მიჩნეული. ასეთ ვითარებაში წერა და აზროვნება ალესილი დანის პირზე სიარულს ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, თუ ყველა ვერა, საბედნიეროდ, იყვნენ ისეთი პოეტები, რომლებიც ქედს არ იხრიდნენ და არ ტყდებოდნენ მკაცრი იდეოლოგიური წნეხის ქვეშაც კი.

ასეთი მძიმე რეალობასა და ვითარებაში, სირთულისა და საშიშროების მიუხედავად, მით უფრო გასაოცარია პოეტი ქალის – **ნინო თარიშვილის** პოეტური სითამამე, მისი შემოქმედება.

სრულიად უსამართლოდ მივიწყებული პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე ნინო თარიშვილი დაიბადა 1904 წლის 28 აგვისტოს სოფელ მირზაანში (ახლანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი). 1926-1928 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური (სიბრძნისმეტყველების) სიტყვიერების განყოფილებაზე, 1927-1930 წლებში კი თბილისის უცხო ენათა კურსების ფრანგულ სექტორზე. 1928-1930 წლები ფსიქონერვოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელია. 1930-39 წლიდან იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1939 წლიდან თბილისის დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრაზეა. 1940-1941 წლებში თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელია. 1941-1942 წლებში გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1942-1954 წლებში კი ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში საქმიანობს. პარალელურად, 1986 წლამდე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში.

დახვეწილი და განათლებული, თავისი სიდარბაისლით გამორჩეული პიროვნება თანამშრომლობდა არაერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთთან, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მასვე ეკუთვნის არაერთი მეცნიერული ნაშრომი. უადრესად საინტერესოა მისი წერილი ფიროსმანის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა „ბახტრიონში“ 1923 წელს.

რაც შეეხება მის პოეზიას, ლექსების პირველი კრებული „მზეში“ 1926 წელს დაიბეჭდა, ხოლო ლექსების მეორე კრებული „გვირილა“ – 1980 წელს.

ნინო თარიშვილმა თავისი განათლებითა და დახვეწილი სულიერებით სწრაფად მიიქცია ყურადღება. ცნობილი ფაქტია, რომ პაოლო იაშვილი მას ანა ახმატოვას ადარებდა და მას „ქართველი ახმატოვა“ შეარქვა.

პოეტურ ასპარეზზე გამოსული ნინო თარიშვილი ერთგვარად შეათამამა იოსებ გრიშაშვილის პოეტურმა შეძახილმა და მოძღვნილმა ულამაზესმა ლექსმა – „პატარას“, რომელზეც ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ლექსითვე უპასუხა და ამ ლექსით ერთგვარად შეაფასა ი. გრიშაშვილის ცხოვრებაც, შემოქმედებაც და, რაც მთავარია, მისი შემოქმედების გამორჩეულობას გაუსვა ხაზი.

იოსებ გრიშაშვილის პოეზიის შეფასება ლაკონიურად არის გადმოცემული ლექსის ბწკარედში: „გაცვეთილ ჰანგზე არ აღიმებ თარს და ჭიანურს“.

ნინო თარიშვილი დიდად აფასებდა იოსებ გრიშაშვილს; მისი პიროვნული ღირსება შეამკო იმით, რომ მიმართა: „არა ხარ ფლიდი, მატყუარა და არც თილისმაო“.

გულიდანაა წამოსული პოეტის გულწრფელი დამოკიდებულებაც როგორც ი. გრიშაშვილის პიროვნების, ასევე, მისი პოეზიის მიმართ:

„სინდიყის სარკეთ აელვარებ სიტყვას ჭკვიანურს,
 უმზითვო ფიქრებს სხვას უგზავნი მუდამ გირაოთ,
 გაცვეთილ ჰანგზე არ აღიმებ თარს და ჭიანურს,
 გინდა რომ ლექსი დაედევნოს ღრუბლებს ირაოთ“

(ლექსი დათარიღებულია 1922 წლით).

იმ პერიოდში, როცა ნინო თარიშვილი დაადგა პოეტური პარანასისაკენ მიმავალ გზას, რთული იყო დამკვიდრება, რადგან ბოჰემური თბილისის ცისფერყანწელთა ლექსებით იყო განებივრებული. რა თქმა უნდა, რთული იქნებოდა მისთვის ადამიანებისათვის ეთქვა ახალი რამ, მოემენა ისეთი რითმები, რომელიც ალტაცებაში მოიყვანდა მკითხველ საზოგადოებას.

ნინო თარიშვილის გამოჩენა პოეზიაში ერთგვარი ახალი მუხტი იყო პოეტური საზოგადოებისთვის. მისი პოეზია გულწრფელი, ტრფობის ცეცხლში გამოწრთობილი ლექსებია, გულახდილი და უშუალო.

გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ჩვენში ბევრი ლექსი იწერება ვნების შესახებ, მაგრამ სულ ცოტა მათგანი თუ გადმოგვეცემს ნამდვილი ვნების გრძნობასო“.

ნინო თარიშვილი იმ ბედნიერ პოეტთა რიცხვშია, რომელთაც ხელეწიფებოდათ ნამდვილი ვნება პოეტური ხედვის პრიზმაში გაეტარებინათ და პირუთვნელად, პირველქმნილი სილამაზით მიეტანათ მკითხველამდე. მისი ლექსები ნამდვილი გრძნობისა და პოეტური ხილვების ანარეკლია.

ნინო თარიშვილი იმ იშვიათ ქალ პოეტთა გუნდშია, რომელთაც

შემდგომ და პირუთვნელად, ყალბი პათოსის გარეშე შექმნეს ლამაზი პოეზია. ნინომ, ღირსეულმა პოეტმა ქალმა, თავისი შინაგანი ვნება ღრმა ფსიქოლოგიზმით წარმოადგინა მკითხველის წინაშე. მან შეძლო და ქალის შინაგანი ბუნება, სულის მახილი გულახდილად გაანდო მკითხველს.

„ლექსის მტევნები“ – ასე ჰქვია 1923 წლით დათარიღებულ მის ლექსს. საინტერესოა, ვის გულისხმობდა პოეტი როცა წერდა:

„დამფრთხალ სონეტებით ფარდა იკეცება
და ხარ პოეტებში ლექსის ფალავანი“.

უდიდესი გრძნობა იღვრება სტრიქონებიდან:

„აღარ მასვენებენ ძველი რვეულები,
თვალეებს გამიშტერებს ჩუმი სიქალწულე,
მაგრამ შენ მაკოცებ არაჩვეულებრივ,
როგორც მტევნებიდან კაბა საქორწილო“.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსის ეს ბჭკარედები სრულიად ახალგაზრდა, ახალბედა პოეტის კალამს ეკუთვნის, მასში ჩანს როგორც ქალწულებრივი სინაზე, ასევე ვაჟური სიმტკიცე და ძლიერი ბუნება. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბჭკარედები შორეულად, მაგრამ მაინც, ეხმიანება პაოლო იაშვილის დარიანული ციკლის ლექსს.

პოეტი ქალის მზერა მიმართულია ანგლოსაქსი ქალის, ლეგენდარული ლედი გოდისასაკენ, რომელმაც, მიუხედავად თავისი კდემამოსილებისა, თავისი კეთილშობილური ბუნებიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ გადასახადებით შეწუხებულ ხალხს შვება ეგრძნო, მთვრალი ქმრის მიერ წამოყენებული ყოვლად შეურაცხმყოფელი პირობა შეასრულა დასრულიად შიშველმა, ცხენზე ამხედრებულმა ქალაქის ქუჩებში ჩაიარა. ეს ფაქტი გახდა შთაგონება პოეტი ქალისათვის და მან თავისი განცდა გამოხატა ლექსში „მიმოზა სახრჩობელით“. ლექსში სრული პოეტური ფერებითაა დახატული, დანახული და შეფასებული დედოფლადმყოფი ანგლოსაქსი ქალის სახე:

„ყველანი ჩვენკენ დინჯად მოდიან
თითქოს გავშეშდი, მგონია ერთ წამს,
მომაგონდება ლედი გოდისა,
ის მზითვად იმედს არ გამომატანს“.

პოეტი ქალი წუხს, რომ ლედი გოდისასაგან მწუხარებით დამძიმებული ხელებიდან მოწყენილ მიმოზას მიიღებს და პოეტი ქალის გული მისთვის „არ შეიმოსება“.

ნინო თარიშვილის პოეზიას ამშვენებს ცისფერყანწელთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელი უაღრესად საინტერესო პოეტური რითმები, უხვი მეტაფორები. პოეტურ სახეთა მრავალფეროვნება მისი შემოქმედების უმნიშვნელოვანესი შტრიხია. საოცრად პოეტური მეტაფორები გვხვდება მის შემოქმედებაში. ასე მაგალითად: „ვერცხლის ცრემლი“, „უპასუხო ტრფობის ფელგამი“, „მდიდარი ღიმილი“, „უმზითოვო ფიქრები“ და სხვ.

საოცარი პოეტური განცდითა და ვნების სიმძაფრის გამომხატველია მისი ლექსის თითოეული ზეკარედიც კი:

„ნუ გაჯავრდები, თორემ შავად დავიჩითები
 ჩემი ოცნება, ჩემი გული ისევ ჩუმი,
 ვით არაბეთის უარშიო გლოვის მითები,
 ვით სარკოფაგში დაღვენთილი სანთლის მუშია“.

პოეტის სული სამყაროს მიღმაა, მის სულს არ პატრონობს „არც ფერია, არც ტარტაროზი“. მისი სული, ეთერს შერწყმული, თავისუფლად მოხეტიალეა.

ევას ვნებითაა სავსე მისი სული, როცა სატრფოს მიმართავს: „დავწურავთ განცდებს, ვით მწიფე მტევანსო“. ხოლო ვნებისაგან დაცლილი პოეტის „თვალეზში დარდი ჩალოგინდება“ და „ფიქრიც დასჭკნება ვით ბუდეშური“. ამ უმაღლეს გრძნობას ნაზიარევი პოეტი განცდადამცხრალია, „უხმო ლოდინით მორკალული“, მაგრამ უთქმელი, სულში ჩაბრუნებული ცრემლით სავსეა, გარეშე თვალთათვის, სხვისთვის უჩინარი ცრემლით.

პოეტი ერთ ლექსში („სურვილი შემოკლებით“), რომელიც 1924 წლითაა დათარიღებული, წერს:

„ველი საოცრებას, როგორც ბედუინი,
 უცბად გადაირბენს მარდი ასი ცხენი
 და თმებს დამიკოცნის ნდომა გაბედული“.

და მაინც: მიუხედავად „გაბედული ნდომისა“, პოეტის სული კვნესის, რადგან ვერ ხედავს იმას, ვისაც დაეყრდნობა, მიენდობა, ვისაც თავის ცეცხლად ქვეულ „გაბედულ ნდომასა“ და დარდს გაუზიარებს:

„მზეს დავაწყვიტავ სამეფო ტაძრებს,
 არ მეშინია ქარის და შფოთვის,
 მხოლოდ ღიმილი ატმების ამრევს,
 არავინ მოდის! არავინ მოდის!..“

„არავინ მოდის, არავინ მოდის“ – ეს სასოწარკვეთა არ არის სუსტი ქალის გოდება, მას არ ეშინია „ქარისა და შფოთის“, მაგრამ გაზაფხულზე ატმების ღიმილით არეული, მარტოობის მძიმე განცდას ვერ ეგუება და თითქოს გრძნობს, რომ თავის პოეზიაში ჩაძირული, ობლად დარჩება:

„ოცნების ბორბალს შევეყვი შიგნით,
 მე და ეს წიგნი დავრჩებით ობლად“ (1922).

ექვგვარეშეა, სატრფოს (პოეტს) უნდა მიემართებოდეს 1922 წლით დათარიღებული ლექსი „ტრაური ცისფერ თვალზე“. სატრფოს კი „სიყვარულის ცისფერი მძივი“ ცრემლებად დაუმტვრევია, ამიტომ გაურბის იგი „მოგონების ხაზგასმულ ფურცლებსაც“. პოეტის ლექსებში აშკარად ჩანს, რომ მისი გული, ვნება კონკრეტული პიროვნებისაკენაა მიმართული, მაგრამ ვინ არის ეს პოეტი?

რას ელის მარტო, უპასუხოდ დარჩენილი ქალი? „ალერსი მინდა ფეხშიშველა, კოცნები, ოცნება ცხელი“ – წერს პოეტი. მაგრამ მის ოცნებას

ასრულება არ უწერია და სწორედ ამიტომ მისგან საყვედური ისმის: „შენ ხომ მე სიყვარულს დამპირდი, და მინდა ცისფერი ალერსი“. იმდენად დიდია სუბიექტური განცდა, ვნების სიღრმე, რომ პოეტს თვით სიკვდილიც კი აღარაფრად უღირს და ემონება: „ვეტრფი ვნებების შეთქმულებას და ამბოხებას, თვით ფერმკრთალ სიკვდილს ათრთოლებით დავემონები“ ვკითხულობთ ლექსში – „იმის ხელეზს“.

ცის ფერზე მოფიქრალი, თვალცრემლიანი პოეტი, რომელიც გრძნობს, რომ „მთვარის ქორწილი მზის ლოდინში დაგვიანდება“, გაბრაზებული, მზის აჩრდილსაც აღარაფრად მიიჩნევს, რადგან აჩრდილი არ არის რეალური, ყალბია...

ნინო თარიშვილმა პოეზიაში შემოიტანა ახალი პოეტური რითმები, მეტაფორები და პოეტური სახეები. მაგ: „აივსო ვნებებით მკერდების ხეობა“, „მზე სუსხავს ალვის ტიტველ კენწეროს“, „მაშინებს ყოფნა ფიქრმეტანი“ და სხვ.

გასაოცარი პოეტური გზნებითა და ოსტატობითაა შექმნილი ლექსი „ჩემს ტოლებს“.

ლექსში გამოხატულია დიდი ვნებაცა და დიდი იმედგაცრუებაც. პოეტის საწუხარი არის ის, რომ მზითვად არ მისცემენ „ვეფხისტყაოსანს“, არც ქირმანის შალებს დაკეცავენ; არც ქართულ კაბას ჩააცმევენ და არც ვერცხლის ქამარს შემოავლებენ „დარდიან წელზე“.

ექვსს შვებას, მაგრამ ველარც სიყვარული ცისფერ სუნთქვაში დამალვა შველის მის სულს და იმედგადაწურული, სევდით გულშეძრული წერს:

„ნამჯისფერ სხივებს დაამძიმებს მთვრალი ჰაერი,
გულის პასუხი ყარამფილებს ველარ დაყნოსავს,
და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი,
რადგან მზითევში არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“.

ცნობილი პოეტი შალვა აფხაიძე ელენე დარიანს მიიჩნევდა ერთადერთ ქალად, რომელმაც ქართულ პოეზიაში ქალური სინაზე შემოიტანაო. შეუძლებელია ამ მოსაზრებას დაეთანხმო, რადგან ნინო თარიშვილის თითქმის ყველა ლექსი ასეთი ქალური სინაზითაა სავსე. კდემამოსილება და ვნება ერთნაირად და ზუსტი დოზითაა შეზავებული ისე, რომ მკითხველს უმაღლეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

და თუ მისი პოეზია შეაფასეს გარყვნილებად, ხოლო ავტორი უნივერსიტეტს მიღმა აღმოჩნდა ამ ბრალდებით, ვფიქრობთ, იმიტომ, რომ ასეთი პოეზია უადრესად ახალი, უჩვეულო და ნოვატორული იყო, რომელიც არ ემორჩილებოდა იმ ჩარჩოს, რომელიც უჩინარი ხელით იყო დაწესებული. ქალისაგან ასეთი პოეტური სითამამე წარმოუდგენელი იყო.

პრაქტიკულად, ნინო თარიშვილს არ ჰყავდა წინამორბედი პოეტი ქალი, რომლის გზასაც ის გააგრძელებდა. მან თავად დაიწყო ამ გაუკვალავი გზით სიარული, დრო ნამდვილად არ იყო მისთვის სახარბიელო. ახალი პოლიტიკური წესრიგი ხელოვნებაშიც მონურ მორჩილებას, პოეტური

სულიერების შენიღბვას ითხოვდა. და რაკი მან ეს პრინციპულად ვერ შეძლო, უსამართლოდ იქნა გარიყული, შეგნებულად მივიწყებული, მაგრამ ერთიცაა, ხშირად ლექსები ამზობენ სათქმელს და მის ავტორს არ დაგავიწყებენ... ასეთი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ნინო თარიშვილის პოეტური სიტყვაც, რომელიც აუცილებლად საჭიროებს შესწავლასა და ანალიზს ვრცლად, ეპოქის ჭრილში.

ნინო თარიშვილი დროის გადმოსახედიდან ჩანს ეულ ქალ პოეტად, რომლის შემოქმედებაც ერთგვარად ეხმიანება პოეზიაში ცისფერყანწელთა მიერ შემოტანილ და დამკვიდრებულ პოეტურ ესთეტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

თარიშვილი 1926: თარიშვილი ნ., მზეში. თბილისი, 1926.
თარიშვილი 1980: თარიშვილი ნ., გვირილა. თბილისი, 1980.
ბაქრაძე 2019: ბაქრაძე აკ., მწერლობის მოთვინიერება თბილისი, 2019.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.50-58>

**ბარბარე ჯორჯაძის ადგილისათვის ქართული
სალიტერატურო ენის ისტორიაში**

**For the place of Barbare Jorjadze In the history
of Georgian literary language**

იანზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Iamze Vashakidze

Caucasus University
Georgia, Tbilisi

ABSTRACT

From the point of view of studying the history of the Georgian literary language, the second half of the XIX century is a very remarkable period, when according to the current anti-Georgian political course in the country, the struggle of the advanced Georgian society to save the literary language intensifies. The battle is led by the generation of 60s inspired by the national spirit, under the leadership of Ilia Chavchavadze. Contrary to the policy of becoming Russian, the leading society begins to focus on the current issues of literary language and writing; in this case, the basement was created by the representatives of the generation of the 50s gathered in the magazine „Tsiskari“, among whom there was the writer and publicist Barbare Jorjadze, to implement main changes in this direction.

The aim of the present study is to determine the importance of the individual figures who contributed to the development of the history of the Georgian literary language as a unified continuous process. The controversy with Barbare Jorjadze, besides the fact it rise great interest from the public and made the controversial issues of the language the subject of wide discussion, opened the barriers to Ilia Chavchavadze too perfectly presented his linguistic concept, which is still in the sphere of interest of specialists.

Our conclusion is as follows:

1. Barbare Jorjadze is a representative of the generation „brought up at home“ according to the outdated literary norms of Anton Katholikos, who does not have the

ability to take into account the developments in the language according to the new era. In contrast, Ilia Chavchavadze, who shares advanced Russian and European ideas and is educated in higher education outside Georgia, has access to general language changes, in general; It is a great service of Ilia Chavchavadze and his generation to establish a unified literary style, remove outdated letters from the alphabet, separation of borrowed words and linguistic mistakes (barbarisms) in the foreign language lexical stream and in general, the solution of all the disputable language issues that were still the subject of public discussion, in the first half of the nineteenth century.

2. Against the background of aforesaid controversy, it is clearly visible a great service of Barbare Jorjadze, a worthy representative of the advanced society of the 50s of XIX century, in the process of creating a literary language: based on the principle of protection of inheritance, the merits of Barbare Jorjadze (as well as her generation) should be appreciated, as a necessary preparatory stage for the language democracy reforms carried out in the 1960s. With such an approach, the history of the creation of written language will be renovated in front of our eyes, as a continuous process; in this process, there are some bibliophiles of the XIX century in the appropriate place, as well as Anton Katholikos and the defenders of his norms, and then - the 60s.

საკვანძო სიტყვები: ბარბარე ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძე, სამწიგნობრო ენის სადავო საკითხები.

Keywords: Barbare Jorjadze, Ilia Chavchavadze, Controversial Issues of Literary Language.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებო პერიოდია XIX საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე ანტიქართული პოლიტიკური კურსის კვალდაკვალ ძლიერდება მოწინავე ქართველი საზოგადოების ბრძოლა ეროვნული ცნობიერების მთავარი დასაყრდენის – სამწიგნობრო ენის გადასარჩენად.

ქართული ენის უფლებების დაცვისათვის ბრძოლას წარმართავს ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული 60-იანელთა თაობა თავისი იდეური ხელმძღვანელის – ილია ჭავჭავაძის თაოსნობით (ფუტკარაძე... 2012: 213-215). გამარუსებელი პოლიტიკის საპირისპიროდ, იწყება მოწინავე საზოგადოების ორიენტირება სალიტერატურო ენისა და მწერლობის აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: ერთიანი სამწერლობო სტილის შემუშავება, ორთოგრაფიის გამარტივება, ენაში შემოსული უცხო სიტყვების სათანადო კვალიფიკაცია, საუკუნოვანი ტერმინოლოგიური ტრადიციების განახლება და სხვ. ამ მიმართულებით საეტაპო მნიშვნელობის ცვლილებების განხორციელებისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნეს ჯერ კიდევ ჟურნალ „ცისკარში“ შემოკრებილმა 50-იანი წლების თაობის

წარმომადგენლებმა. მათ შორისაა მწერალი და პუბლიცისტი ქალი ბარბარე ჯორჯაძე.

ბარბარე ჯორჯაძის საზოგადოებრივი პორტრეტის შესაქმნელად ჩვენი ყურადღება მიიქცია თანამედროვეთა შეფასებებმა, რომლებიც მისდამი მიძღვნილ ლექსებშია წარმოდგენილი; მაგ., გიორგი ანდრონიკოვისა და გიორგი თუმანოვის ლექსებიდან¹ გამომდინარე, საერთო აზრის თანახმად (და ეს აზრი გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც), ბარბარე ჯორჯაძე „ივერიელთ ქალთა“ შორის გამოირჩა, როგორც მწერალი, ქართული ენის დაუღალავი მუშაკი – „მეშრომე ქართველთ ენისთვის“; სხვა ნიჭიერი ქალბატონებისაგან განსხვავებით, იგი ჩრდილში არ იდგა – თავისი „კალმით ნაღვაწით“ ხელს უწყობდა მწერლობის განვითარებას და იყო „თანაშემწე ჩვენისა მხარის!..“

ბ. ჯორჯაძის ძმის – რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცული წერილიდან ჩანს, რომ ბარბარეს განზრახული ჰქონია დედაენის სახელმძღვანელოს შედგენაც, რათა პატარებისათვის ანბანის სწავლის გასაადვილებლად გარკვეული ცვლილებები შეეტანა სწავლების მეთოდებში (დამბაშიძე 2020: 67-68).

ბ. ჯორჯაძე აქტიურად თანამშრომლობს მაშინდელ ერთადერთ პერიოდულ ორგანოსთან და ბეჭდავს მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ კრიტიკულ წერილებს. მას გაცნობიერებული აქვს, ერთი მხრივ,

¹ გიორგი ანდრონიკოვი:

„ივერიელთ ქალთა შორის აღმოჩნდი მწერლად,
 რომლით ღირსი ხარ ტკბილსა სიმზუდ გვევანდე სამღერლად;
 მადლობას გძღვნიდეთ შრომისათვის, როგორც მეშრომეს
 ქართველთ ენისთვის და ცისკრისა დამამშვენებელს.
 ვუწყით: მრავალნი ნიჭით სავსე ქალნი მეფობენ,
 გარნა კრძალვითა უაზრობით სრულად მკრთალობენ;
 შენ ოდენ მათში აღმობრწყინდი წმინდად მგრძნობელად:
 კალმით ნაღვაწით ყურთა ჩვენთა დამატკბობელად.
 კვალად ამას გთხოვთ შენს ბუნებითს ნიჭთა სიმდიდრეს
 მოჰფენდე ცისკარს და იგ ქართველთ გულსა ატკობდეს;
 მაშინ იქნები აღურაცხელ მყოფი საქებლად,
 და შემოგწირავს მადლობასა დაუცხრომებლად.
 კახი, შენისა კალმის მნახი, „მრავალჟამიერს“
 შენს სიცოცხლისას გიგალობებს სოფელს ამიერს;
 მასთან ჯილდოთ შენ მოგეცემის კურთხვა ზენარის,
 რა რომ იქნები თანაშემწე ჩვენისა მხარის!..“ (ცისკარი 1861, №3: 422-423).

გიორგი თუმანოვი:

„უცხოთ კალმითა განგვინათლე მარტის ცისკარი...
 ნუ დადუმდები, გაგვავონე ტკბილ საუბარი...
 ივერიელნი გევედრებით ლექსთ მოყოლასა,
 ნუ დაუტევებ შენთ სიტყვების ისართ სროლასა...
 ძვირფასო უნჯო, მშვენიერო და უაღრესო,
 ოქროთ მოიმკის, რაც ცისკარში კალმით დათესო...
 მალმალ გვიჩვენე ბუნებითი ნიჭი და ძალნი,
 ძველი მწერლობა გვაპოვნინე, მოგვეც ახალნი...“ (ცისკარი 1861, №6: 120-121).

ჟურნალის განსაკუთრებული დანიშნულება და, მეორე მხრივ, საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი, რასაც მოწმობს მისი სიტყვები პოლემიკური წერილიდან „პასუხს პასუხი“: „ვკსწერთ ჩვენ არა დიდებისათვის, რომ დიდება შევიძინოთ... არამედ ცისკრისათვის, რომ ეგების როგორმე შევიმაგროთ დედის ერთა ჟურნალი...“ (ცისკარი 1861, №5: 44).

ბ. ჯორჯაძის თაობის დამსახურებაა, რომ 50-იანი წლებიდან ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე იწერება სტატიები ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე, „ქართული სიტყვიერების განსჯისა და მისი წარმატებისათვის“ (ცისკარი 1860, №6: 104);² შესაბამისად, თავს იყრის ენის ყველა ის სადავო საკითხი, რომლებიც შემდეგ ი. ჭავჭავაძის თაობამ გადაწყვიტა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით, ბარბარე ჯორჯაძეს, როგორც თავისი დროისათვის განათლებულ ქალბატონს, ეყო გამბედაობა, ენისა და ლიტერატურის პრობლემურ საკითხებზე პოლემიკაში გაჰყოლოდა ილია ჭავჭავაძეს. როგორც ცნობილია, პოლემიკა დაიწყო ი. ჭავჭავაძის წერილით: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმანზედა“ (ცისკარი 1861, №4: 556-594) და გაგრძელდა საპასუხო წერილებით ბ. ჯორჯაძის, გ. ბარათაშვილის, საკუთრივ, რევ. ერისთავის, ს. ლექსიევ-მესხიევისა და სხვათა მხრიდან. განსაკუთრებული აქტიურობა გამოავლინა სწორედ ბ. ჯორჯაძემ, რომელმაც ორი პოლემიკური წერილი შექმნა: „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზე“ (ცისკარი 1861, №5: 33-45) და „პასუხს პასუხი“ (ცისკარი 1861, №9: 86-106).

ბარბარე ჯორჯაძისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკა სიმბოლურად ასახავს სამწიგნობრო ქართულის პრობლემურ საკითხებზე არსებულ განსხვავებულ პოზიციებს ორი თაობისა, რომელთაც აერთიანებთ მშობლიური ენის სიყვარული, მისი წინმსვლელობისათვის ზრუნვა და გამოსავლის ძიების მცდელობა.

მაინც რა არის პოზიტიური აღნიშნულ პოლემიკაში? – ჩვენი პასუხი ასეთია: დაპირისპირების ხერხი ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა ლოგიკურად სწორი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად, კერძოდ:

ბარბარე ჯორჯაძესთან პოლემიკამ, გარდა იმისა, რომ საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია და ფართო მსჯელობის საგნად აქცია ენის სადავო საკითხები, მეტი გასაქანი მისცა ი. ჭავჭავაძესაც, სრულყოფილად წარმოეჩინა თავისი ენობრივი კონცეფცია, რომელიც დღესაც საყურადღებოა სპეციალისტთათვის.

ქვემოთ წარმოვადგენთ ბარბარე ჯორჯაძის დაკვირვებებს მისი

² ასეთია, მაგ., ლ. არდაზიანის, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის, დ. ბაქრაძის, და სხვათა წერილები ერთიანი სალიტერატურო ენის ფორმირების აუცილებლობაზე, ფრანზის ქართული ბუნების დაცვაზე, უცხო სიტყვების სესხებაზე და სხვ. (მსჯელობისთვის იხ. ვაშაკიძე 2009: 52-66).

პოლემიკური წერილებიდან. ეს დაკვირვებები, თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით, მისივე პერიოდის ქართული ენათმეცნიერული აზროვნების მემკვიდრეობას წარმოადგენს და ავსებს განვითარების უწყვეტ ხაზს, რომელსაც მოვყავართ თანამედროვე ენათმეცნიერებამდე:

1. ბ. ჯორჯაძე, როგორც ძველი სამწერლობო ტრადიციებისა და ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიის დამცველი, ი. ჭავჭავაძეს საყვედურობს „დარბაისლურ ენაში“ „უშვერი, მორყვნილი და ბიჭბუჭების სიტყვების შემოტანას“ (ცისკარი 1861, №5: 41). ანალოგიურად, „სამგვარი – მაღალი, საშუალო და მდაბალი წერის“ სხვა მომხრეებმაც: ს. ალექსიევ-მესხიევმა და გ. ბარათოვმა ი. ჭავჭავაძეს უსაფუძვლოდ დასდეს ბრალი, რომ თუმცა „უნებურად და შეუგნებლად“, მაგრამ „უწყალოდ ამახინჯებდა და ამდაბლებდა ქართულს სიტყვიერებას“, „ჩიზიკებზე ჰკოდავდა და... ზნეობრივად ჰრყვნიდა“, „ჩორჩო ბაზარში“ კრებდა „ნამდვილს ქართულს სიტყვებს“ (ცისკარი 1861, №6: 257, 165).

ცხადია, წინა თაობის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან სამწერლობო ქართულში ხალხის ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე ალექსიკის შემოტანას – ენის გახალხურების პროცესს, რომელსაც ილია წარმართავდა. სწორედ ამ გზით ილია ჭავჭავაძემ, ხელმძღვანელობდა რა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ენის დემოკრატიზაციის „უკვე სავსებით გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პრინციპებით“ (უთურგაძე 1989: 40), ხელი შეუწყო ცალ-ცალკე არსებული ზეპირი მეტყველებისა და ანტონ კათალიკოსის სქოლასტიკის ჩარჩოებში მოქცეული „წიგნის ენის“ დაახლოებას – ნაირსტილოვანის ნაცვლად, ხალხის მეტყველებაზე დაფუძნებული ერთიანი სამწერლობო ენის ფორმირებას.

2. ორთოგრაფიის გამარტივების თემაზე მსჯელობის დროს ბ. ჯორჯაძე ყურადღებას ამახვილებს **ბგერაზე, მის დანიშნულებაზე**, რომ ბგერა ბუნებას გარკვეული რაოდენობით მოუცია ენაში მარცვალთა შესადგენად; მარცვლებისგან სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები მიიღება, ხოლო სიტყვებისგან – ფრაზები: „რადენი მოუცია ბუნებას ჩვენთვის ხმა (/ ბგერა – ი.ვ.) გამოხატვისათვის სიტყვათა, ვითარ შეუერთებია მას ესე ხმანი შედგენისათვის მარცვალთა, თუ ვითარ შედგენილან მარცვალთაგან სიტყვანი, რომელთათვისაცა განუწყესებიათ სხვა და სხვა გვარი სახე მნიშვნელობისამებრ გამოხატვისა და რომლისა კანონით განუსაზღვრავთ შეერთება სხვა და სხვა სიტყუათა, რათა შედგენილ იქმნენ პირველ დაწყებითნი აზრნი შეერთებულ სიტყუათა“ (ცისკარი 1861, №5: 35-36).

ბ. ჯორჯაძე მსჯელობს თანამედროვე ტერმინოლოგიით, **ბგერის სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციაზე**, როდესაც წერს: „ერთს ასოს შეუძლიან მრთელის აზრის დაკარგვა, მრთელის სიტყვის შეცვლა“ (ცისკარი 1861, №9: 96). ამ თეორიულად სწორი დებულებისათვის მას მაგალითებად მოჰყავს **ყვავის ბარტყი – ჰყვავის** მამული ტიპის კონტექსტები. ანალოგიური შინაარსისაა სარდიონ ალექსიევ-მესხიევის შენიშვნაც, რომ ანბანიდან ასო **ჟ**-ს ამოღების შემთხვევაში ორი სიტყვა: **ხელი** (გიჟი) და **ჟელი** (სხეულის

ორგანო) დაკარგავდა განსხვავებას მნიშვნელობის მხრივ (ცისკარი 1861 №6: 254).

წარმოდგენილი მაგალითების შემთხვევაში მართებულია ი. ჭავჭავაძისეული მიდგომა, რომ სიტყვას აზრს კონტექსტი აძლევს და არა ბგერა (ჭავჭავაძე 1991: 116).

საკითხი, რომელზეც ბ. ჯორჯაძე და მისი მომხრენი მსჯელობენ, პრაქტიკულად სხვაგვარ გადაწყვეტას ექვემდებარება, კერძოდ: ი. ჭავჭავაძემ თავის წერილში „პასუხი“ დაასაბუთა, რომ ენაში, მუდმივად მიმდინარე ცვლილებების გამო, „კანონები, ერთ დროს საჭირონი“, აღარ გამოდგება; „უწინდელს ენაში“ „წ“ და „იე“ „მ“ და „ი“, „ჯ“ და „ვი“, „ჭ“ და „ჰიო“ ასოთა შორის ადრე „სწორედაც უნდა ყოფილიყო“ განსხვავება, რომელიც უკვე აღარ ჩანდა თანამედროვე საზოგადოების მეტყველებაში – „ხალხის სიტყვის გამოთქმაში“. ი. ჭავჭავაძემ, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით (კერძოდ, ევროპასა და რუსეთში ანბანისა და მართლწერის გამარტივების ანალოგიური ტენდენცია იყო), მართებულად გადაჭრა ქართული ანბანიდან მოძველებული ასოების ამოღების საკითხი (ჭავჭავაძე 1991: 44-46).

რაც შეეხება ქართული ფონემატური სტრუქტურისათვის უცხო ჭე ბგერას, მასაც მოძველებული ასოების ბედი ეწია, თუმცა მოგვიანებით ილია და მასთან ერთად „ივერიის“ რედაქცია კვლავ დაუბრუნდნენ ჭ-ს ხმარებას (ვაშაკიძე 2009: 59).

ყვავის – ჰყვავის ფორმები თანამედროვე ეტაპზე განიხილება ნორმატიულ და არანორმატიულ ვარიანტებად; შესაბამისად, ბ. ჯორჯაძის ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ამყარებს პროფ. ბ. ჯორბენაძის დაკვირვებას, რომ აქ შეგვიძლია ვიმსჯელოთ „ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა ფაკულტატიური განსხვავების ტენდენციაზე“ (ჯორბენაძე 1985: 143).

3. ბ. ჯორჯაძისათვის, ისევე როგორც მისი თაობის სხვა წარმომადგენელთათვის, გაუგებარია ენაში შემოსული უცხოენოვანი ლექსიკური ნაკადის არაერთგვაროვნება; ის ახსნას ითხოვს: თუკი ილია იყენებს სიტყვებს: „ესტეტიკური“, „სენტიმენტალური“ და სხვ., რატომ უნდა „დაიცინებოდნენ“ სხვები „ზადაჩა“, „ოსტროვები“ ტიპის სიტყვების გამოყენების გამო (ცისკარი 1861, №9: 41). ანალოგიურად სვამს საკითხს რევ. ერისთავიც (ცისკარი 1861, №5: 89); „იმერთ თავადი“ ირაკლი ლორთქიფანიძე წინააღმდეგია საერთოდ უცხო სიტყვების ენაში შემოტანისა (ლორთქიფანიძე 1857: 45).

ი. ჭავჭავაძე თავის წერილებში მკაფიოდ მიჯნავს ენისათვის „საჭირო“ და „არასაჭირო“ სიტყვებს, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ინტერნაციონალიზმებსა და ბარბარიზმებს. სიტყვა „კრიტიკის“ მაგალითზე ის ასაბუთებს, რომ საერთაშორისო სიტყვების შემოტანა გამართლებულია ენაში „თანასწორ მნიშვნელობის სიტყვების“ არქონის გამო; „ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპიის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები“; შესაბამისად, დასაძრახისი არ

არის მათი გამოყენება, განსხვავებით „ოსტროვები“ და „ლინიები“ ტიპის სიტყვებისაგან (ჭავჭავაძე, 1991: 38, 56-57).

4. საყურადღებოა ბ. ჯორჯაძის დაკვირვება **სიტყვათა შერჩევაზე**, რაც მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე სტილისტიკური კვლევისათვის. ამ მიმართულებით მსჯელობა გამოიწვია ი. ჭავჭავაძის ლექსში გამოყენებულმა სიტყვებმა: „ჰსჰყვივის“, „ობოლი“ შემდეგ ფრაზებში: „აგერ მერცხალი ჰსჰყვივის“, „ვაზი ობოლი“. ბ. ჯორჯაძის დაკვირვებით, პოეტი თავისუფალია თავის წარმოსახვაში, მაგრამ ეს არ ხსნის სიტყვათა შერჩევის პრობლემას (ცისკარი 1861, №5: 39).

ილია იზიარებს ბ. ჯორჯაძის შენიშვნას პირველ სიტყვასთან დაკავშირებით; წერს, რომ ზმნა „ჰსჰყვივის“ ლექსში „უხერხოდ... არის ხმარებული“; სტილური გაუმართაობის კომპენსირებას კი ცდილობს იმის მტკიცებით, რომ „ჰსჰყვივის“ ფორმა „ლექსის აზრს არ აზნელებს“; რაც შეეხება მეორე სიტყვას, ილია აქ პოზიციას არ თმობს და მართალიცაა; როგორც პოლემიკიდან ჩანს, ბ. ჯორჯაძეს ეს „ზედშესრული“ „ერთის, ...საშინელი დიდის და ნათელის, ...ძვირფასის“ მნიშვნელობით მხოლოდ მარგალიტთან კონტექსტში „გაუგონია“ (ცისკარი 1861, №9: 104) – იგულისხმება რუსთველისეული ფრაზა „ვით მარგალიტი ობოლი“; ილიასთვის კი უცხო არ არის სიტყვა „ობოლის“ სხვა კონტექსტებში გამოყენებაც (ჭავჭავაძე 1991: 48).³

ბ. ჯორჯაძეს შეუმჩნეველი არ რჩება **სტილისტური ხარვეზი** ილიას წერილში; ის სწორად მსჯელობს კონკრეტულ მაგალითზე: „ძალიან უპატარესა“ თუ ძალიან არის, უპატარესი რაღა საჭიროა, თუ უპატარესი არის, ძალიან მგონია მეტი იყოს“ (ცისკარი 1861, №5: 40).

5. გასაზიარებელია ბ. ჯორჯაძის დაკვირვება, რომ სიტყვა, როგორც ფრაზის ნაწილი და როგორც რთული სიტყვის შემადგენელი, არ შეიძლება ერთნაირად ბოლოვდებოდეს; ილია ცდილობს დაამტკიცოს, რომ **სუბუქ** ფორმას ფრაზაში „სუბუქ ფრთითა“ ისევე არ სჭირდება დაბოლოება, როგორც **თვალ-** და **პირ-** ფორმებს სიტყვებში: „თვალ-დაკვირვებით“ და „პირ-მცინარი“. ბ. ჯორჯაძე მას არ ეთანხმება და განმარტავს, რომ ეს ერთი და იგივე შემთხვევა არ არის: „სუბუქ ფრთით“ „ორი ლექსია“ (ორი სიტყვა – ი. ვ.), ხოლო „თვალ-დაკვირვებით“, ისევე როგორც „პირ-მცინარი“ – ერთი სიტყვაა, „ერთათ ითქმის“ (ცისკარი 1861, №9: 103).

ის ფაქტი, რომ ბ. ჯორჯაძე აქტიურად ერთვება ენის საკითხებზე პოლემიკაში ისე, რომ ზოგჯერ ილია ჭავჭავაძეს „თავის მართლებაც“ უწევს, გვამღვეს საფუძველს, დავრწმუნდეთ მის ენობრივ შესაძლებლობებში, რომელთაც განვითარების დიდი პერსპექტივა ექნებოდა სხვა რეალობაში.

ბ. ჯორჯაძეს კარგად ესმის: პრობლემური საკითხების გადაწყვეტა

³ შდრ., აჭარულ დიალექტში დღეს აქტიურად გამოიყენება ფრაზა „ობოლი ნიორი“ ნივრის ერთი მსხვილი კბილისაგან შემდგარი თავის მნიშვნელობით (ი. ვ.).

შეუძლებელია შეურიგებლობის შემთხვევაში, რაც არის „მიზეზი ყოვლისა ბოროტისა“ (ცისკარი 1861, №9: 86). ის კეთილგანწყობილია ახალი თაობის მიმართ, რომლისგანაც „მამული ...მოელის ბევრს კეთილს“ (იქვე: 105); აღიარებს რა ახალი ძალის უპირატესობას, შერიგებას სთავაზობს ილიას: „დიდო პოეტო! ახლა კი დრო არის შევრიგდეთ დალოცვილო, კარგათ იცით და დარწმუნებულნი ხართ, აქ მარტოობა არა არის რა, არც ყმაზედ და არც მამულზედ, არამედ მცირე დავა სიტყვიერების ღირსების დაცვაზედ და, ეს შერიგებაც ამით იქნება“ (ცისკარი 1861, №9: 106).

ჩვენი მსჯელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:

I. ბარბარე ჯორჯაძე ანტონ კათალიკოსის მოძველებულ სალიტერატურო ნორმებზე „შინ გაზრდილი“ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც არ შესწევს უნარი, აღლო აუღლოს ენაში ახალი ეპოქის შესაბამისად განვითარებულ მოვლენებს. მისგან განსხვავებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ უმაღლეს სასწავლებელში განათლებამიღებულ, მოწინავე რუსულ და ევროპულ იდეებს ნაზიარებ ილია ჭავჭავაძეს აქვს წვდომა ზოგადად ენაში მიმდინარე საყოველთაო ცვლილებებზე; სწორედ ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის დამსახურებაა ერთიანი სამწერლობო სტილის დამკვიდრება, ქართული ანბანიდან მოძველებული ასო-ნიშნების ამოღება, უცხოენოვან ლექსიკურ ნაკადში ნასესხობებისა და ბარბაროზმების გამოიჯვნა და, ზოგადად, ენის ყველა იმ სადავო საკითხის გადაწყვეტა, რომლებიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში იყო საზოგადოებრივი განხილვის საგანი.

II. ზემოაღნიშნული პოლემიკის ფონზე მკაფიოდ იკვეთება XIX საუკუნის 50-იანი წლების მოწინავე საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლის – ბ. ჯორჯაძის დამსახურება სალიტერატურო ენის ქმნადობის პროცესში: მემკვიდრეობითობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, ბარბარე ჯორჯაძის (შესაბამისად, მისი თაობის) ღვაწლი უნდა შეფასდეს, როგორც **აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპი 60-იან წლებში გატარებული ენის დემოკრატიზაციის რეფორმებისათვის**. ასეთი მიდგომით, სამწერლობო ენის ქმნადობის ისტორია ჩვენ თვალწინ აღდგება, როგორც უწყვეტი პროცესი; ამ პროცესში შესაბამისი ადგილი უჭირავთ როგორც, მაგალითად, XI-XII საუკუნეების მწიგნობრებს, ისე ანტონ კათალიკოსსა და მისი ნორმების დამცველებს, მათ შემდეგ კი – 60-იანელებს.

გამოყვებული ლიტერატურა და წყაროები

ვაშაკიძე 2009: ვაშაკიძე ი., ტერმინთშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში. თბილისი, 2009.

ლორთქიფანიძე 1857: ლორთქიფანიძე ი., ჰსჯა. ჟურნალი „ცისკარი“, №7, 1857.

უთურგაიძე 1989: უთურგაიძე თ., ილია და სალიტერატურო ქართული, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი IX. თბილისი, 1989.

ფუტყარაძე... 2012: ფუტყარაძე ტ., ვაშაკიძე ი., ილია ჭავჭავაძის ენობრივი კონცეფციის ძირითადი ასპექტები, ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVI. ქუთაისი, 2012.

ღამბაშიძე 2020: ღამბაშიძე ნ., ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნეში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2020.

<http://dl.sangu.edu.ge> › pdf › nestanghambashidze

ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. V, კრიტიკა. თბილისი, 1991.

ჯორბენაძე 1985: ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები. თბილისი, 1985.

ცისკარი 1860: ჟურნალი „ცისკარი“, №6, 1860.

ცისკარი 1861: ჟურნალი „ცისკარი“, №1, 3, 4, 5, 6, 9, 1861.

ცისკარი 1865: ჟურნალი „ცისკარი“, №6, 1865.

**მეაბრეშუმეობა კახეთში
(XVII-XVIII სს.)**

**Silkworm breeding in Kakheti
(XVII-XVIII centuries)**

რუსუდან კაშია

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
საჯარო ბიბლიოთეკა
საქართველო, ქუთაისი

Rusudan Kashia

Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Silkworm breeding played an important role in the agricultural life of Kakheti in the XVII-XVIII centuries. It is in the interest of our research, during this period, to present the importance of silk production in the economic life of the kingdom. Kakhethian varieties were produced, such as Kakhethian white, yellow, orange, tarati (thin and thinly woven silk fabric).

In the late Middle Ages, the most important center in Transcaucasia was again the capital city of Shirvan (modern-day Azerbaijan). In addition to kham silk, silk, kamkha, satin, velvet, obiar (silk with gold and silver stripes), etc. were made.

Historical documents from the study period confirm the existence of great demand for silk.

The study of historical documents showed a remarkable picture - Tbilisi merchants exported to Turkey mainly goods imported from the Transcaucasian cities, which are mainly influenced by Iran and Iran. An interesting document in this regard is that Georgian traders want to sell large quantities of raw silk purchased in Gillan in the Turkish city of Izmir.

In 1750 the so-called the same „Dariali Road“ of „Ossetia“ with Russia. The opening of the Dariali Road was preceded by the emergence of new settlements of Georgian merchants in the North Caucasus cities of Kizlar and Mozdok.

The historical material gives a clear confirmation that in the XVIII century. In the second half, there was an established trade network between the Transcaucasia

and the cities (yarms) of southern Russia. The first source for getting acquainted with the first stage of trade and economic relations with Russia is the materials of the Mozdok checkpoint which reports the intensive traffic of individual traders in the Astrakhan and Makarievo markets after the opening of the Dariali Road.

During this period, silkworm breeding was most advanced in Kakheti. Kakheti was located on the Gilan-Shemakha-Astrakhan Road, which facilitated the foreign trade of the Kingdom of Kakheti.

საკვანძო სიტყვები: მეაბრეშუმეობა, კახეთი, XVII-XVIII საუკუნეები, ვაჭრობა.

Keywords: silkworm breeding, Kakheti, XVII-XVIII centuries, trade.

კახეთის სამეურნეო ყოფაში მეაბრეშუმეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჩვენ არ შევუდგებით აბრეშუმის მოყვანის ეთნოგრაფიულ აღწერას. ჩვენი კვლევის ინტერესში შედის აღნიშნულ პერიოდში წარმოვადგინოთ აბრეშუმის წარმოების მნიშვნელობა სამეფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აბრეშუმის ნაწარმის გასაღება ხდებოდა კახეთის ცნობილ ბაზრებზე: თელავში, სიღნაღსა და შუამთაში. აწარმოებდნენ კახურ ჯიშებს, როგორებიც იყო კახური თეთრი, ყვითელი, ნარინჯი, თავთის დარაია (წვრილი და თხლად ნაქსოვი აბრეშუმის ქსოვილი).

XVIII საუკუნის II ნახევარში კახეთის საეკლესიო სოფლებში გვხვდება აბრეშუმის ვაჭრობის პრივილეგიის აღმნიშვნელი ტერმინი „ნოგანი“. მენოგნეთა მონოპოლიას შეადგენდა „სანოგნო“ მოსაკრებელი ვაჭრებისაგან.

1794 წლით თარიღდება საბუთი, სადაც ვკითხულობთ: „კვირა დღეს, შილდას ჩვენ ერთობით ნეკრესელმა და თავადებმა, ეს პირობის წიგნი დავდევით და დავსწერეთ... ვინც ფეიქრები არიან, ან მთიდამ ან ბარიდან ვაჭრის რამე, სალამათს იმას გამოვართმევთ ათორმეტ თუმანსა“ (ბერძენიშვილი 1953: 289). ამ იჯარის ამღებთა გარდა, სხვა ვაჭარი ვერ შედიოდა სოფელში ოთხი თვის განმავლობაში (ივნისი-სექტემბერი), როცა იყიდებოდა ახალი აბრეშუმი.

XVI-XVII საუკუნეებში კახეთის საგარეო ვაჭრობის საგანს სწორედ აბრეშუმი შეადგენდა – ღვინოსთან, ოქროქსოვილებსა და ბედაურებთან ერთად.

„XVII საუკუნეში რუსი ელჩებისათვის მიწოდებული ცნობებით, გიორგი ბატონიშვილი ადასტურებს, რომ აბრეშუმი სხვა ქვეყნებში გადიოდა. ამავე დროს კახეთის მეფე ოსმალეთს წლიურად 30 საპალნე აბრეშუმს უხდიდა.

კახეთის აბრეშუმის მეურნეობის დაწინაურებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ის ახლოს მდებარეობდა გილან-შემახა-ასტრახანის „აბრეშუმის გზასთან“, რომლის საშუალებითაც გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა“

(ქართველები 2010: 346).

ამიერკავკასიის ქალაქებში სხვადასხვა სახისა და ხარისხის ქსოვილების, მათ შორის აბრეშუმის, წარმოება, უძველესი დროიდან იყო განვითარებული. ამიერკავკასიაში წარმოების დაწინაურებას განაპირობებდა ბამბის კულტურის გავრცელება და მეჯოგეობა-მესაქონლეობის განვითარება, რის შედეგადაც ქალაქის ფეიქრები იღებდნენ საუკეთესო ხარისხის ნედლ მასალას. სათანადო ნედლეულის, კერძოდ ხამი აბრეშუმის, სიუხვე საფეიქრო აბრეშუმის წარმოების აღმავლობას უწყობდა ხელს. მთელ მახლობელ აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებში, ირანულთან ერთად, განთქმული იყო ქართული და შირვანული (ქ. შემახა) აბრეშუმი.

ამ პერიოდში აბრეშუმით ვაჭრობის მთავარ ცენტრებს წარმოადგენდა შემახა, არეში, განჯა, გილანი (ქ. ბაქო ბამბის ქსოვილების წარმოებით იყო დასაქმებული).

XVII საუკუნის წყაროების მონაცემებით, მკვეთრად გაიზარდა ხამი აბრეშუმის წარმოება ირანში, ჩრდილო აზერბაიჯანსა და საქართველოში. ქართული აბრეშუმის მაღალხარისხოვნებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აბრეშუმის წარმოებით განთქმული ირანი ხარკს ქართლ-კახეთის სამეფოებიდან აბრეშუმის სახით იღებდა.

ამიერკავკასიის ქალაქებში მზადდებოდა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილები: ფარჩა, თავთა, დარაია, სარტყლები, გადასაფარებლები, მარმაში (კუცია 1976: 100, 102).

აბრეშუმის გატანა-შემოტანაზე 1639 წელს როსტომ მეფის „თბილისის ბაჟის“ ნუსხაში დაწესებული იყო ფულადი გადასახადი (ფუთურიძე 1955: 149).

გვიან შუასაუკუნეებში ამიერკავკასიაში უმნიშვნელოვანეს ცენტრს კვლავ შირვანის (დღევანდელი აზერბაიჯანი) სატახტო ქალაქი შემახა წარმოადგენდა. გარდა ხამი აბრეშუმისა, მზადდებოდა აბრეშუმი, ქამხა, ატლასი, ხავერდი, ობიარი (აბრეშუმი ოქროს და ვერცხლის ზოლებით) და სხვ.

ამ პერიოდის ქართულ ისტორიულ საბუთებში ხშირად იხსენიება შემახური საქონელი: შემახური ყუთნი, „რაჰან მოვი“ – „ყვითელი მოვი“, მუარი, ყანაოზი, ზარბაზი (ოქროქსოვილი ფარჩა) და სხვ. (ბერძენიშვილი 1953: 88).

საქართველოში დარგის განვითარებას ხელს უწყობდა თუთის ხის (ბჟოლის) გავრცელება. განსახილველ პერიოდში ოსეგა ყორღანაშვილის ინიციატივით მდინარე ხრამზე – ქოლაგირის ციხის მიდამოებში თუთის ხეების პლანტაცია გაუშენებიათ და დიდი რაოდენობით აბრეშუმი მოუყვანიათ (კაკაბაძე 1914: 109).

საგარეო ვაჭრობაში ამ დარგის მნიშვნელობაზე მეტყველებს სახელმწიფო სამართლის ოფიციალურ დოკუმენტში – „დასტურლამალში“ მოცემული ბაჟების ნუსხა, რომელშიც „ბათმანი აბრეშუმი“ და „საპალნე

აბრეშუმია“ ნახსენები. საპალნეზე გადასახადია 2 მინალთუნი. ამავე წყაროში ხშირად იხსენიება აბრეშუმის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, ბოლნისის, შულავერისა და თეთრი სოფლის ბატონის და მოხელეთა „გამოსაღების“ საგნად დასახელებულია ორი კვერცხი ყაჭი (ნაცარტუტაში გამოხარშული აბრეშუმის ჭიის პარკი ძაფად ამოხვეული), ასევე მანჯანიკზე (აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ორკაპა ჯოხი) თითო სტილი აბრეშუმი.

საკვლევი პერიოდის ისტორიული საბუთები გვიდასტურებს აბრეშუმზე დიდი მოთხოვნილების არსებობას. 1703-1716 წლებით თარიღდება ბრძანება იმამყულიხანისა ენისელთ მოურავ მერაბისადმი აბრეშუმზე ყადაღას დადების შესახებ: „აწე ენისელში ჩვენს სახასოს, თუ საბატონო კაცის შვილს ყმას აბრეშუმი დაეჭიროს, მანამდე ჩვენს კარზე ნიხრი არ გავაკვეთინოთ, ან სოფელში სომეხს არ მიყიდონ და ან სხვაგან არ წაიღონ გასაყიდად, ძალიანი ყადაღა მოიტანონ, აქ ჩვენს კარზედ, ბაზარში გაყიდონ (ხეც Hd-3854).

1710-1711 წლებშია დაწერილი აბრეშუმის ბაჟის წყალობის წიგნი თეიმურაზ ბატონიშვილისა შუამთის ვაჭრებისადმი – „გომბორზედ გადმომავლისა და გარდამავლის ვაჭართ აბრეშუმის საპალნეზედ ბაჟი ხუთი აბაზი, სხვა წვრილმანს სავაჭროსი ჩვენ ბაჟი მართებულად გამორთმეოდეს“ – ვკითხულობთ საბუთში (ცსა 1448-2306).

ისტორიული საბუთების შესწავლამ საყურადღებო სურათი გვიჩვენა: თბილისელ ვაჭრებს თურქეთში ძირითადად ირანისა და ირანის გავლენაში მყოფი, ამიერკავკასიის ქალაქებიდან შემოტანილი საქონელი გააქვთ. ამ მხრივ საინტერესოა დოკუმენტი, რომლის თანახმად ქართველმა ვაჭრებმა გილანში შეძენილი დიდი რაოდენობით ნედლი აბრეშუმი თურქეთის ქალაქ იზმირში უნდა გაყიდონ.

ცხოველი მიმოსვლა ჩანს სავაჭრო-საქარავნო გზაზე, რომელიც განჯასა და არზრუმს აკავშირებს. ცხადია, იგი ქართლ-კახეთის სამეფოზე გაივლიდა, 1736 წლით დათარიღებულ „ქალაქის ბაჟის, ციხის კარის შართლამაში“ ვკითხულობთ: „რაც მოქალაქემ განჯიდან აბრეშუმი მოიტანოს და არზრუმისაკენ წაიღოს, აქლემისა და ცხენისა, თუ ჯორის საპალნეზედ ორი მინალთუნი“ (ქსმ 1965: 101).

საინტერესო მასალას გვაწვდის „სამახანაგო წიგნი“, სადაც მოცემულია ქართველი ვაჭრების – სტეფან ასლანოვისა და დათოას სავაჭრო ობიექტების ანგარიში: მათ სამასი თუმნის ბეწვეული და ჩითი გაუყიდათ ბაქოში. იქ შეუძენიათ „ხუთასი თუმნის ზარბაზი (ოქროქსოვილი) და აბრეშუმი“ (ხეც Hd-3516).

1750 წელს ამოქმედდა ე. წ. „ოსეთის“, იგივე „დარიალის გზა“ რუსეთთან. „დარიალის გზის“ გახსნას წინ უძღოდა ქართველი ვაჭრების ახალშენების გაჩენა ჩრდილო კავკასიის ქალაქებში: ყიზლარსა და მოზდოკში (კაციტაძე 1982: 52). 1735 წელს გენერალმა ლევაშოვმა მდ. თერგის ხეობაში დააარსა ციხესიმაგრე ყიზლარი, სადაც პირველი რუსული

აბრეშუმის საწარმო გაიხსნა.

ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართველი ვაჭრების მიმოსვლამ რუსეთის ქალაქებში – მოზდოკსა და ასტრახანში, მაკარიევოსა და ნიჟეგოროდის ბაზრობებზე. აქ გაჰქონდათ აბრეშუმი, საღებავები (განსაკუთრებით ენდრო), ბამბა და ბამბის ქსოვილები. აღმოსავლური ხელოსნობის ნაწარმი რუსეთის ბაზრებზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა (სამსონაძე 1980: 123).

ყურადღებას იპყრობს 1797 წლის საამხანაგო წიგნი, რომლითაც უსტიანეს შვილი ნაზარა უამხანაგდება ორ ძმას – ავეტიქასა და იოანეს: „როგორც ხეირათი ვნახო, გავყიდო სპილენძი, ვიყიდო, მაგრამ იქნება, რომ ხელდახელ გაიყიდოს ზარბაზი აბრეშუმი და მაკარიევოს (რუსული ბაზრობა ნიჟნი-ნოვგოროდში) მივასწრობდე“ – ვკითხულობთ საბუთში (ცსა 448: საქმე 5315).

ისტორიული მასალა იძლევა ნათელ დადასტურებას, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში არსებობდა ჩამოყალიბებული სავაჭრო ქსელი ამიერკავკასიასა და სამხრეთ რუსეთის ქალაქებს (იარმარკებს) შორის. რუსეთთან სავაჭრო ეკონომიკური კავშირის პირველი ეტაპის გასაცნობად უპირველეს წყაროს წარმოადგენს მოზდოკის გამშვები პუნქტის მასალები, სადაც მოხსენიებულია „დარიალის გზის“ გახსნის შემდეგ ცალკეული ვაჭრების ინტენსიური მიმოსვლა ასტრახანსა და მაკარიევოს ბაზრობაზე. საქონლის ჩამონათვალში ჭარბობს ნედლი აბრეშუმი, აბრეშუმის ქსოვილები, ტილო, მელიისა და კვერნის ბეწვი და ა. შ. ნათელი სურათის შესაქმნელად გავეცნოთ რამდენიმე დოკუმენტს: 1780 წლის ჩამონათვალში მითითებულია, რომ ვაჭარ პეტრე ოსიპოვს (მოზდოკის გამშვებ პუნქტში ქართული გვარები რუსული დაბოლოებით არის მითითებული) მიაქვს 80 ფუთი აბრეშუმი და 500 ცალი თეთრი ბიაზი. თბილისელ სომეხ ვაჭარს ფარსადანს გააქვს ასტრახანში 66 ფუთი აბრეშუმი, 20 შეკვრა ტილო, 100 ცალი მელიის ბეწვი და ა.შ.

ვაჭარ შაკაროვს სავაჭროდ მიაქვს 10 ფუთი აბრეშუმი, 20 შეკვრა ტილო, სხვადასხვა ფერის თავსაფრები, მელიის ბეწვი და დამარილებული თევზი. მასალის სიმრავლის გამო ყველა საბუთის ჩამოთვლას არ შევუდგებით.

ამდენად, აღნიშნულ პერიოდში მეაბრეშუმეობა ყველაზე მეტად კახეთში იყო დაწინაურებული. კახეთი მდებარეობდა გილან-შემახან-ასტრახანის გზაზე, რაც ხელს უწყობდა კახეთის სამეფოს საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბერძენიშვილი 1953:** ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II. თბილისი, 1953.
- კაკაბაძე 1941:** კაკაბაძე ს., საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVIII ს.-ში. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I. თბილისი, 1941.
- კუცია 1984:** კუცია კ., ამქრები საქართველოს ქალაქებში. თბილისი, 1984.
- სამსონაძე 1980:** სამსონაძე მ., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს.-ის I მესამედის საქართველოში. თბილისი, 1980.
- ფუთურიძე 1955:** ფუთურიძე ვ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. თბილისი, 1955.
- ქართველები 2016:** ქართველები (სამაგიდო წიგნების ათეული). თბილისი, 2016.
- Гамрекели 1980:** Гамрекели В., Документы по взаимоотношениям Грузии с северным кавказом, Тб., 1968.
- ქსმ 1965:** ქართული სამართლის ძეგლები (გამოცემა ი. დოლიძისა), II. თბილისი, 1965.
- ცსა:** ცენტრალური საისტორიო არქივი, 1448-2306; 448: საქმე 5315.
- ხეც:** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-3854.

**გვარსახელები
ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების
ისტორიულ საბუთებში**

**Surnames and Names
in the Historical Documents
of Kartli-Kakheti Monasteries and Churches**

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, გორი

Mariam Koberidze

Gori State Teaching University
Georgia, Gori

ABSTRACT

This article studies the surnames in the historical documents of Kartli-Kakheti monasteries and churches. For analysis, we use the historical documents of Kartli-Kakheti monasteries and churches collected by T. Zhordania, which was published in L. Tugushi printing house, Poti. The rich and varied material presented here allows us, on the one hand, to follow chronologically the development of events around the subject to be studied in the XVII-XVIII centuries and to gather the linguistic facts related to it. These historical documents are original and diverse in content.

They reflect the many areas of the social-political and economic life of Georgia and, according to their content, determine the issues of relations with the Church, the relationship between Batoni (lord) and Qma-Glekhi (slave-peasant), law, and other.

Here are confirmed the surnames and names that have undergone a phonetic-morphological change (Choloq'ashvili-Cholaq'ashvili). Surnames ending in „shvili“ retain the element of relative case - s in most cases. There are also forms where the element of relative case - s is lost. Both surnames (Tumanishvili, Otiashvili, Tsitsishvili, K'virikashvili, K'arich'ashvili) and paternity (Patarkatsishvili – Patarkatsi's child, K'virikashvili – Kvirika's child, Ch'anisshvili- Chanisshvili's child, Iotamashvili-Iotama's child...) are always written together in manuscripts. The manuscripts do not have any firmly preserved mark of difference between the surname and paternity relationship. The surnames confirmed in the manuscript are based on the male name, nicknames, and names of animals, birds, or crafts. Most the surnames are made by

adding „-ia“, „-el“, „-ul“, „-ian“, „dze“ (a son) and „shvili“ (a child) to the base of the name. Here we find the surnames of both the feudal family and the slave peasants.

Ecclesiastical persons are represented only by names and titles („Mtavarep'isk'oposioane“, „Alaverdeli Nikoloz“, „ArsenNinots'mindeli“ The surnames of certain populated villages are especially interesting. The surnames living in the village of Patardzeuli are especially diverse(Laperashvili, Estatashvili, Usufashvili, T'urikashvili, Zhat'eli, K'ats'aralia, Modzmanashvili, Kurdghelashvili, Mchedlishvili, Mtiulishvili, Japaridze, Iordanishvili, Vedriashvili, Perinozashvili, Q'azarashvili...).

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ქართლ-კახეთი, გვარსახელები, ისტორიული საბუთები.

Keywords: Georgian language, Kartli-Kakheti, Surnames, Historical documents.

ფართო და მრავალმხრივია გვარის მნიშვნელობა ქართულში. გვარი, პირველ ყოვლისა, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო შრომაში ჩაბმულ და ნათესაურად დაკავშირებულ ადამიანთა უმველესი სოციალური ჯგუფის აღმნიშვნელი, ადრინდელი თემური – გვაროვნული ცხოვრების გამოხატველია. გვარი მემკვიდრეობით საოჯახო სახელწოდებაა, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს (ახუაშვილი 2005: 13).

გვარი – მემკვიდრეობითი საგვარეულო სახელწოდებაა, რომელიც ერთვის საკუთარ სახელს. გვარს უკავშირდება მოდგმის, შთამომავლობის, შტოსა და ჯიშის ცნებებიც. ეს ცნებები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შვიდი გაგებით არის წარმოდგენილი: გვარეობა, გვარეულობა, გვარიანი, გვარისეული, გვარისკაცი, გვარიშვილი, გვარიშვილობა (ქეგლ 2010: 1526-1527).

გენეტიურად გვარი უდევს საფუძვლად სიტყვასაც **როგორ**, რომელიც ცვლილებათა შემდეგი თანამიმდევრობით ორი ფუძისაგან არის მიღებული: რაგვარი > რაგორი > როგორი (შდრ., რაგვარად? როგორ? როგორ – რაგვარად?). მეცნიერებაში გვარი აბსტრაქტული ცნების გამომხატველ ტერმინადაც არის გამოყენებული (ფილოსოფიაში, ლოგიკაში, ბიოლოგიაში, გრამატიკაში), ძველ ქართულში იგი კატეგორიის შესატყვისადაც გვევლინება (შდრ., შ. რუსთაველის გამოთქმა: „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ (ახუაშვილი 2005: 13).

ი. მაისურაძე მიუთითებს გვარის კიდევ ერთ ძირითად მნიშვნელობაზე. იგი აღმნიშვნელია ადამიანის მეორეული, დამატებითი საკუთარი სახელისა, რომლის დანიშნულებაც გამოარჩიოს მრავალთაგან ერთი, კონკრეტული პიროვნება, დაასახელოს იგი შთამომავლობითი ნიშნის მიხედვით, როგორც ამა თუ იმ ოჯახის, სახლეულის თუ გვარტომის წარმომადგენელი. ამ გაგებით გვარი არის „საოჯახო სახელწოდება,

რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან“ (მაისურაძე 1954: 167).

ქართული გვარის სინონიმად სიტყვა **გორი** გვხვდება ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“: „გახსოვდეს, ვისი გორისაც ხარო!“. გვარის ამ ფორმით ხმარება, საერთოდ, დამახასიათებელია მთის დიალექტებისათვის. ქართულ ტოპონიმიკაში **გორ-** ძირი მასობრივად ისმის და მას ზოგჯერ **გვარ-** ძირიც ენაცვლება: გორი, გორა, გორანა, გორაკი, გორიკა, გორისა, გორისი, გორათი, გორისუბანი, გორმადალი, გოროვანი. ხსენებულ ძირთა იდენტობას აღიარებს ილია ჭყონია. მეგრული სიტყვის „ნიგორის“ განხილვისას მკვლევარი აღნიშნავს: „განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს „ნიგორი“. მეგრულში არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში ჯიშიც იგულისხმება, არამედ იმიტაც, რომ ამ ტერმინში ფუძე „გორ“-ი ჩანს და იგი ქართულ გვარს უნდა შეესატყვისებოდეს“ (ჭყონია 1955: 83-84).

ნ. ბერძენიშვილი გორის გვართან კავშირს შესაძლებლად მიიჩნევს. **გორმა** ბორცვის მნიშვნელობა მოიპოვა, **გვარი** კი დარჩა სოციალური შინაარსის სიტყვად, თუმცა იგი სადგომის მნიშვნელობითაც გვხვდება (შდრ., აფხაზური გვარა, აწანგვარა – წანას სადგომი, აგრეთვე აძიგვარა, სვანური ქორი, მეგრული ხორ-, ხორა, ოხორა – სახლი. აქვე უნდა გავიხსენოთ სოფლის სახელი აჭარაში გვარა, აგვართა მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა საყვარელი ქოხი მთაში ან ტყეში (ბერძენიშვილი 1971: 69-70; ბერძენიშვილი 1975: 36, 37, 48, 57, 58).

გვარსახელების კვლევა მეტად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. თითოეული სახელი, პირსახელი, გვარსახელი საყურადღებო ცნობებს შეიცავს ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის წარსული ყოფა-ცხოვრების შესახებ. ისინი თაობიდან თაობას გადაეცემა, ზოგჯერ შეცვლილი, ზოგჯერ კი – უცვლელი სახით.

სახელი გაცილებით ადრე წარმოიშვა, ვიდრე გვარი. სახელის წარმოშობის დროს არავითარი მოთხოვნილება არ იყო გვარზე – ადამიანის გასარჩევად მარტო სახელიც კმაროდა, მაგრამ დროთა ვითარებაში, თანდათანობით, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე პიროვნულ სახელთან ერთად საჭირო ხდებოდა დამატებითი სახელის შემოღება. დამატებითი სახელი უფრო სრულ წარმოდგენას იძლეოდა ამა თუ იმ პიროვნების ჩამომავლობის, სადაურობის, ხელობისა და სხვა მისი შესატყვისი ნიშან-თვისებების შესახებ. რაც მთავარია, დამატებითი სახელით იგი უფრო ადვილად გამოსარჩევი ხდებოდა საზოგადოების სხვა წევრების და, უპირველესად ყოვლისა, თავისივე მოსახელე პირების – სხვნიებისაგან. შემდგომი დამატებითი სახელისაგან წარმოიშვა გვარი (სილაგაძე... 1997: 9).

ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელისაგან წარმოქმნილა გვარი (ჭუმბურიძე 1987: 313).

საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების ისტორია დოკუმენტურად დასტურდება

VIII-IX სს.-დან, თუმცა გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმომოხილი (თოფჩიშვილი 1997: 100).

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია „გვარ-სახელები ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიულ საბუთებში“. საანალიზოდ გამოყენებულია თ. ჟორდანიათა მიერ შეკრებილი ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, რომელიც დაიბეჭდა ფოთში ლ. ტულუშის სტამბაში (ჟორდანია 1903: 2-305). ეს ორიგინალური ისტორიული საბუთები შინაარსობრივად მრავალფეროვანია. ისინი ასახავენ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მომენტებს და ადგენენ ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხებს, ბატონისა და ყმა გლეხის ურთიერთობას, სამართალს (სიგელები სისხლის ზღვისა, შერიგება, განჩინება, დავის გადაწყვეტა...), ეკონომიკური ისტორიის სხვადასხვა დარგებს (ხელფასი, ქირა, ფასები, ქონება, ვალი, ვაჭრობა...), მიწის მფლობელობის წესებს და სხვა.

ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიულ საბუთებში წარმოდგენილი მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა საშუალებას გვაძლევს, რომ თავი მოვუყაროთ ენობრივ ფაქტებს და ქრონოლოგიურად თვალი მივადევნოთ შესასწავლი საკითხის გარშემო მოვლენათა განვითარებას.

საბუთის შემდგენელი მდივან-მწიგნობარია, ან სასულიერო წოდების წარმომადგენელი, ან ამ საქმისათვის მიჩენილი პირი, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც, როგორც ირკვევა, შემდგენელი ანგარიშს უწევს, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, საბუთის მიმცემსა თუ წყალობის წიგნის მზომებელს და მისი სიტყვით გადმოსცემენ დოკუმენტის შინაარსს (მარტიროსოვი 1953: 244).

მაგალითად, 1712 წლის საბუთი: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგვეჭანისშვილმა ბერმა და შვილმა ჩემმა ბეციამა და თანიამა და შიომ შენ კვირიკაშვილს ბერსა და შვილსა შენსა მხთისიასა და გიორგისა, ასე რომე ვალი დამატყდა სისურის ფეიქრისა და ყორჩის ბაშის ზალისა. ამის მოწამე გულბათის - შვილი გრიგოლი, ზურაბა; მთიულისშვილი ზურაბა, ხუცია-როსტიაშვილი, დარისპანას-შვილი ბერი... მე ნინო-წმინდელის სახლთ-ხუცესს დამიწერია“ (ჟორდანია 1903: 81).

დავითგარეჯის, ნინოწმინდის, სვეტიცხოვლის, სიონის, მანგლისისა და ალავერდის ტაძრების ისტორიულ საბუთებში 254-ზე მეტი გვარსახელი დასტურდება. აქედან 221 გვარი ბოლოვდება შვილზე, 15 - ძე-ზე (მაღლაძე, მაჭუტაძე, ოყოძე, ჯაფარიძე, რატაძე, სხირტლაძე, რაზმაძე, ჯომარდიძე, მოურავისძე, ნამორაძე, სამხარაძე, ქვლივიძე, ნიკთიძე, ვაჩნაძე, ფარიძე), 8 - ელ სუფიქსზე (მახარობელი, მეღვრეკელი, მგალობელი, ხარჭაშნელი, ჭერემელი, მეტრეველი, სამებელი, ჟატელი), 1 - -ურ სუფიქსზე (სისოური), 5 - -ულ სუფიქსზე (კვირიკაული, ლასურაული, ქურხული, ჭკლიჭაული, დევდარაული), 3 - -ია სუფიქსზე (კვანარალია, თუთახშია, გუგულია), 1 - -იან სუფიქსზე (დადიანი).

ისტორიული საბუთებიდან მოცულობით გამოირჩევა 1712 წლის გრანდილი, რომელიც შედგება 13 თაბახისაგან. მასში ნახსენებია 30 გვარი. მათგან 21 გვარი შვილზე დაბოლოებულია, 3 (მაჭუტაძე, ოყოძე, ჯაფარიძე) – -ძე-ზე დაბოლოებული, 2 – -ულ-ზე (ლასურაული, კვირიკაული), 2 – -ელ-ზე (მახარობელი, მეღვრეკელი), 2 (კვაწარალია, გუგულია) – -ია-ზე დაბოლოებული (ქორდანია 1903: 47-70).

გვარ „ლასურაულისათვის“ ამოსავალი უნდა იყოს „ლასარა. მეგრულში ლასარი „სიპი, პიტალო კლდე“, ლასარა – მაგარი, შეუვალი, აზრშეუცვლელი კაცის ეპითეტია (ე. ი. ლასარა – ლასარაიშვილი – ლასარეიშვილი)“. ლასარეიშვილები ცხოვრობენ აბაშაში, თბილისსა და სამტრედიასში (ცხადაია 200: 104). საბუთებში გვხვდება ლასურაშვილიც. ლასურაულს, ლასურაშვილსა და ლასარეიშვილს შესაძლებელია ერთი და იგივე სემანტიკა ჰქონდეთ.

ისტორიულ საბუთებში დადასტურებული გვარები წარმოქმნის თვალსაზრისით საინტერესო და მრავალფეროვან სემანტიკურ ჯგუფებს ქმნიან. უმთავრესად გვხვდება: ადამიანის სახელებისაგან მიღებული გვარსახელები (იოთამისშვილი, ოთიაშვილი, გელაშვილი, ბერიკაშვილი, ესტატაშვილი, ქიტიაშვილი, უსუფაშვილი, ამბროაშვილი...); მეტსახელისაგან მიღებული გვარსახელები (მაღალაძე, მოკლესშვილი, ნაკრულაშვილი, კაკულაშვილი, პუჭყიაშვილი, ოყლაყიშვილი, ჩხუბინაშვილი...); ზოგადად სახელისაგან მიღებული გვარსახელები (კურდღელაშვილი, ნაღებაშვილი, ხახვიაშვილი, ფითილაშვილი, კოჭობაშვილი, შაქარაშვილი, ყაზარაშვილი...); ხელობის აღმნიშვნელი ტერმინებისაგან მომდინარე გვარსახელები (დეკანოზიშვილი, მგალობელი, მჭედლიშვილი...) და სხვა.

შვილ-ზე დაბოლოებულ გვარებს, უმეტეს შემთხვევაში, შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის ს ელემენტი. მაგ.:

1648 წლის სიგელი: „არიან ამის მოწამენი შუა-დამხვდომნი შავერდი ნაცვალი, სვეტისცხოველის კანდელაკი ნაცვალი **ბერუა დათუნა ბურტულასშვილი** და სულ საგარეჯონი“ (ქორდანია 1903: 3).

ხშირად ვხვდებით ისეთ პარალელურ ფორმებს, სადაც ერთსა და იმავე გვარსახელში ნათესაობითი ბრუნვის ნისშნისეული ს შენარჩუნებულია ან დაკარგულია. მაგ.: 1648 წლის სიგელი: „კიდევ წმინდის დავითის მამული იყო ძმათაშვილის მამულთანა და იმის სანაცვლოდ წმინდას დავითს **კვირიკასშვილის** მამული დაუდვით; რამზოსა ჰქონდა და ის **კვირიკაშვილის** მამული წმიდის დავითისათი დაგვიც და წმიდის დავითის მამული რამზისათვი მიგვიცემია“ (ქორდანია 1903: 3).

ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიულ საბუთებში ყოველთვის ერთად იწერება გვარიც (ოთიაშვილი, კარიჭაშვილი, თუმანიშვილი...) და მამისშვილობაც (იოთამასშვილი, ბურტულასშვილი, ბჯიკასშვილი...). რაიმე მტკიცედ დაცული ნიშანი გვარისა და მამისშვილობის ურთიერთობის განსასხვავებლად საბუთებში არ გვხვდება.

ერთი შეხედვით, თვალში გვეცემა ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის ხმარება ზოგჯერ სან-ით (სამადავლესშვილი, ჭანისშვილი...), ზოგჯერ სან-ის გარეშე (ზინდიაშვილი, მაზნაშვილი...). თითქოს საფიქრებელია, რომ პირველ შემთხვევაში საბუთის დამწერი პირს მამისშვილობით გვაცნობს, ხოლო მეორე შემთხვევაში – გვარით. მაგრამ ეს დაკვირვება დადასტურებას ყოველთვის ვერ პოულობს და ზოგიერთ შემთხვევაში (თუმცა იშვიათად) სრულიად საწინააღმდეგო მაგალითებსაც კი ვხვდებით.

როგორც ჩანს, იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენი საბუთები ეკუთვნის, ადამიანთა გვარებში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ნათესაობითში დასმული სახელის შინაარსობრივი წარმოდგენა და ხაზი ესმებოდა იმას, თუ შვილი ვისი ჩამომავალი იყო. საზოგადოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდისათვის გაძნელებულია გვარისა და მამისშვილობის ურთიერთობისაგან განსხვავება (მარტიროსოვი 1953: 252).

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ ქართული ანთროპონიმული მოდელი ქართულ ისტორიულ საბუთებში, იურიდიულ დოკუმენტებში ყოველთვის ფიქსირდებოდა; ფიქსირდებოდა ის ზოგჯერ სახელთან და ზოგჯერ სახელთან და მამის სახელთან ერთად. ე.ი. პიროვნებანი საისტორიო საბუთებში, ძეგლებში ჩაწერილი არიან როგორც სახელითა და გვარით, ისე სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით. ამ მხრივ საქართველოში არავითარი დადგენილი წესი არ ყოფილა. პიროვნებათა მოხსენება არავითარ იურიდიულ აქტს არ ეყრდნობოდა (თოფჩიშვილი 2000: 178).

ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიულ საბუთებში პიროვნებანი გვხვდებიან სახელით და გვარით ან მამის სახელითა და გვარით. მაგ.:

1648 წლის სიგელი: „ჩვენ ქრისტეს ღვთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამად-მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან პატრიარქმან პატრონმან ქრისტეფორე ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძე შენ რატთაძეს რამზოსა და შენსა ძმასა პაპოსა და შავერდასა და შენთა შვილთა დავითასა აღდგომელსა, ამზროსეს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ასე რომე მოგვიდექით ვარსა დარბაზისა ჩვენისასა და მამულისა საქმესა გვეაჯენით“ (ქორდანია 1903: 1).

1703 წლის სიგელი: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე მერმა ჭანისშვილმა, მისმა შვილებმა ბეულიამა და თანიათ ... მამიციმია ეს წიგნი მეტრეველს ბერისათვიან და იმისის შვილის მხთისასათვიან და გიორგის. არის ამისი მოწამე მთიულისშვილი ზურაბ და სამადავლესშვილი ლუარსაბ და ისაულიც მე ვიყავ და დამწერიც მე ვარ სისოური ფეიქარი და მოწამეც ვარ და გამსყიდველიც და მჭედსშვილი იოსება და მე დამიწერია ზალს ყორჩიზაშის შვილს და მოწამეც ვარ ... რადასაც ვედეგებოდი ჭანისშვილს ძმობის მეტი და სალამის მეტი ჳელი არა მქონდეს (ქორდანია 1903: 17-18).

ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული

საბუთები შეიცავს მონაცემებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. მაგ.:

1648 წლის საბუთი: „ქ. შაგვიწირავს ჩვენ **ციციშვილის ქალს** და არაგვის ერისთავის ცოლს **ბატონს თამარს წმიდის დავითისათვის** ჩვენდა სადღეგრძელოდ წელიწადში თუთხმეტი წყვილი მკერდი დოში...“ (ქორდანია 1903: 3).

ციციშვილები – ფეოდალური საგვარეულო საქართველოში, ფანასკერტელების ჩამომავლები. მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ბაგრატ V-ს ტაოდან ქართლში გადმოუსახლებია ფანასკერტის მფლობელი ზაზა და მძოვრეთის ხეობაში (მდ. ძამაზე) მამულები უბოძებია. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ისინი ქართლის მეფე კონსტანტინეს ერთგულებდნენ, ამ დროისათვის ჩამოყალიბდა მათი სათავადო: 1467 წელს ჯერ კიდევ უფლისწულობაში კონსტანტინემ ზაზა ფანასკერტელს გაუახლა მამულების მფლობელობა და დამატებით უბოძა უფლისციხე, ქვახვრელი და კარალეთი ეკლესიითურთ; უფრო გვიან კი ზაზას შვილს ციცის, თავადობა უბოძა. ციცის შთამომავლები უკვე ციციშვილებად იწოდებოდნენ, მათი სათავადო – საციციანოდ. მე-18 საუკუნეში ციციშვილებს მამულები ჰქონდათ ხვედურეთში, ძამისა და გუჯარეთის ხეობაში, გვერდისძირში (ხანთაძე 1987 : 235).

1683 წლის სიგელი: „ქ. ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ ჩვენ ბატონიშვილმან პატრონმან ლევან თქვენ ჩვენს ერთგულს ყმას **მაჭუტას ძეს ოთარს**, ასრე რომე სამწერისის მესთველეობას დაგვეაჯე და ამასად სამწვერისის მესთველეობა შენთვის გვიბოძებია ქორონიკონსა: ტოა: ხვეულად „ლევან“ (ქორდანია 1903: 10).

გურიის სამთავროს ფეოდალური გვარებიდან ერთ-ერთი უძველესია მაჭუტაძეთა გვარი. ამ გვარის წარმომადგენელს გურიის დიდებულთა შორის ვხედავთ ჯერ კიდევ XV საუკუნის სასისხლო სიგელში. XVI ს. გურიელის კარზე უპირველეს თანამდებობას – სახლთუხუცესობას. ამავე საუკუნეში მაჭუტაძეთა სახლი სასულიერო სფეროშიც წინაურდებდა. აფხაზეთის კათალიკოსად იოსებ მაჭუტაძე ზის, ხოლო XVI-XVII სს. მიჯნაზე შემოქმედის მთავარეპისკოპოსად ბესარიონ მაჭუტაძე ზის. XVII საუკუნის ბოლო ხანში მაჭუტაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი აღმოსავლეთ საქართველოშიც მოღვაწეობდნენ. XVIII-XIX სს. მაჭუტაძეებს სახლთუხუცესის თანამდებობის გარდა ლანჩხუთის მოურაობაც უკავიათ (საოჯახო სიები 1850).

ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიულ საბუთებში საეკლესიო პირები მხოლოდ სახელებით და წოდებით არიან წარმოდგენილი. მაგ.:

1690 წლის საბუთი: „ქ. ჩვენ ღვთისმირ კურთხეულმან **ქართლისა კახეთისა მაკურთხეველმან კათოლიკოზმან** დიასამიძე იოვანემ, ამაზა **ალავერდამ ნიკოლოზ, ნინო-წმინდის ეპისკოპოზმან არსენ** და სრულ-

ერთობით **მიტროპოლიტ-ეპისკოპოსთა** გავარიგეთ უდაბნო დავით გარესჯისა“ (ქორდანია 1903).

ზოგი სიგელი შეიცავს კონკრეტული სოფლების გვარებს. 1733 წლის სიგელის მიხედვით, სოფელ პატარმულში ცხოვრობდნენ გვარები: ლაფერიშვილი, ესტატაშვილი, უსუფაშვილი, ტურიკაშვილი, ჟატელი, კაწარალია, მოძმანაშვილი, კურდღელაშვილი, მჭედლიშვილი, მთიულიშვილი, ჯაფარიძე, იორდანაშვილი, ვედრიაშვილი, ფერინოზიშვილი, ყაზარაშვილი, მთიულიშვილი, მეღვრეკელი, ვედრიაშვილი, ფარიძე, ფერინოზისშვილი, ბერიკაშვილი, ფეტვიაშვილი... იგივე გვარები გვხვდება სოფელ ტაბარუკშიც (ქორდანია 1903: 90). დღეს ტაბარუკი ნასოფლარია (აღმოსავლეთ საქართველო, მცხეთის მუნიციპალიტეტი).

ამრიგად, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქართული გვარსახელების სტრუქტურის, სემანტიკისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობის მიგრაციის შესახებ. აქ დადასტურებული გვარსახელების წარმოება დამახასიათებელია ქართველური ენობრივი სისტემისათვის (-შილი, -ძე, -ია, -ელ, -ულ, -ურ). ასეთი ტიპის გვარსახელების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობასთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახუაშვილი 2005: ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, ტ. I, შევსებული და შესწორებული მეორე გამოცემა. თბილისი, 2005.

ბერძენიშვილი 1971: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V. თბილისი, 1971.

ბერძენიშვილი 1975: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბილისი, 1975.

საოჯახო სიები 1850: გურიის თავადაზნაურთა საოჯახო სიები <https://nobility.pro/ge/statia/824-tavaduri-gvarebi.html> დამოწმება 17.10.2021.

დათეშიძე 2011: დათეშიძე ნ., როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები: <http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=9733> დამოწმება 17.10.2021.

თოფჩიშვილი 1997: თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბილისი, 1997.

თოფჩიშვილი 2000: თოფჩიშვილი რ., ქართული ანთროპონიმული მოდელი წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, IV. ქუთაისი, 2000.

მარტიროსოვი 1953: მარტიროსოვი არ., დიალექტიზმები XV-XVIII სს.

კახურ ისტორიულ საბუთებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV. თბილისი, 1953.

ჟორდანია 1903: ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შვედრილი თ. ჟორდანიას მიერ. ფოთი, 1903.

სილაგაძე... 1997: სილაგაძე ა., თოთაძე ა., გვარ-სახელები საქართველოში. თბილისი, 1997.

ქეგელი 2010: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. II. თბილისი, 2010.

ცხადაია 2000: ცხადაია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი, 2000.

ჭუმბურიძე 1987: ჭუმბურიძე ზ., დედაენა. თბილისი, 1987.

ჭყონია 1955: ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში. თბილისი, 1955.

ხანთაძე 1987: ხანთაძე შ., ციციშვილები: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, 1987.

ქუთაისის ეპოპეა
კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობაში

**Kutaisi epic
in the work of Kote Marjanishvili**

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
საქართველო, ქუთაისი

Mariam Marjanishvili

Kutaisi State Historical Museum
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

Prominent Georgian director Kote Marjanishvili was born in Kvareli. It is true that he was the son of Alexander Marjanishvili, an Aznauri from Kutaisi, but in his biography, he always considered Kakheti as his native place. However, Kutaisi, as the basis of the Marjanishvili family, played a decisive role in his creative activity.

He performed for the first time on the Georgian stage in front of the Kutaisi audience under the direction of his cousin, Kote Meskhi, and he also continued to master his stage work.

Kote Marjanishvili also found his fortune in Kutaisi and he married a Russian boy, Nadezhda Zhivokina, completely young.

After 25 years of service in Russia, on September 25, 1922, Kote Marjanishvili returned to Georgia to pay his debt to his homeland and headed the Georgian Theater, where he established the Rustaveli Theater with the best forces of art.

In 1928 he founded the Second Georgian State Theater in Kutaisi in a similar way. Under Marjanishvili's leadership, 27 plays were staged at the Kutaisi Theater, 19 of which belonged to contemporary authors.

Kote Marjanishvili closed the 1928-1929 season on the Kutaisi stage with an „evening“. The troupe was first taken to Tbilisi, then to Ukraine and Moscow, which was the first large-scale tour of the Georgian theater outside the republic.

The tours of the Kutaisi Theater were so important in the history of the Georgian theater that after the tour, a book was published in which all the important documents and materials were placed. Kutaisi theatrical team showed 16 performances during the

tour, which was a great triumph.

საკვანძო სიტყვები: ქუთაისი, კოტე მარჯანიშვილი, ქართული თეატრი.

Keywords: Kutaisi, Kote Marjanishvili, Georgian Theater.

ოდითგანვე კახეთი თავდადებულ მამულოშვილებს უზრდიდა სამშობლოს.

ახალი ისტორიის ეპოქაში ყვარელში დაირწა აკვანი ორი დიდი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მესაიდუმლოს – ილია ჭავჭავაძისა და სცენის დიდი ოსტატის – კოტე მარჯანიშვილის.

ვახსენებთ თუ არა მარჯანიშვილებს, ეს გვარი მაშინვე საქართველოს ულამაზეს კუთხესთან – კახეთთან ასოცირდება, მაშინ როცა მარჯანიშვილები წარმოშობით იმერლები არიან. და ეს გვარიც კახეთში ერთი ლამაზი წყვილის სიყვარულმა დაამკვიდრა.

ქუთაისელი მაიორის ანდრია მარჯანიშვილის უფროსი ვაჟი ალექსანდრე მარჯანიშვილი, როგორც სამხედრო ინჟინერი, ლეკიანობის დროს კახეთში გაამწესეს.

იგი იმერეთის პოლიციას ჩამოჰყვა ყვარელში. ლურჯთვალება ოფიცერი ალექსანდრე მარჯანიშვილი დიდი ვაჟკაცი და ანწუხის გმირი იყო. მისი ნაწილი სოფელ ყვარელში იდგა და სწორედ აქ გაიცნო მან თავად სოლომონ ჭავჭავაძის ასული ელისაბედი.

ეს ის ღიზაა, ილია ჭავჭავაძე რომ ეტრფოდა ყმაწვილკაცობისას და სიყვარულის ნიშნად მისი უკვდავი სტრიქონები – „გახსოვს, ტურფავ...“ – ლექსად შეკონილი უძღვნა.

მდიდარმა მემამულემ და მდივანბეგმა სოლომონ ჭავჭავაძემ ასულის ხელის თხოვნაზე მოხდენილ იმერელ აზნაურს ალექსანდრე მარჯანიშვილს თანხმობა იმ პირობით მისცა, თუ იგი ზედსიძედ ჭავჭავაძიანთ ფუძეზე დარჩებოდა... და, აი ასე გაჩნდა მარჯანიშვილის გვარი ყვარელში“ (მარჯანიშვილი 2010: 98).

ალექსანდრე მარჯანიშვილი განათლებული პიროვნება იყო, ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე, წერდა ლექსებს, გატაცებული იყო მთარგმნელობითი საქმიანობით.

საერთოდ, ყვარელში მარჯანიშვილის ოჯახში იკრიბებოდა საუკეთესო წიგნიერი ელიტა, გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ყიფიანი, მისი დისშვილები: პოეტი დომინიკა ერისთავი, ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ლულაძე, ნესტორ, კოტე და ეფემია მესხები.

ცხადია, ამ წრემ უდიდესი როლი ითამაშა კოტე მარჯანიშვილის აღზრდაში.

ელისაბედ ჭავჭავაძისა და ალექსანდრე მარჯანიშვილის ოჯახში ყვარელში 1872 წლის 9 ივნისს მერვე შვილად და პირველ ვაჟიშვილად

კოტე მარჯანიშვილი მოველიან.

იგი თავის ბიოგრაფიას ყოველთვის ასე იწყებდა: „მე დავიბადე ყვარელში, მდინარე დურუჯის პირას, სადაც ამაყად დგას ხან იისფერი, ზოგჯერ ფორთოხლის ან მუქი მწვანე ფერით შეღებილი მთები. აი, კუდი-გორაც, ჭავჭავაძემ რომ გაგვაცნო. მთებს შორის მოჩანს ციხე-ნეკრესის ქალაქისა“ (მარჯანიშვილი 1948: 187).

მიუხედავად თავისი გენეალოგიისა, რომლის მიხედვითაც მარჯანიშვილთა ფუძედ სოფელი მაღლაკი მოიაზრებოდა, კოტე მარჯანიშვილი თავს მაინც კახელად თვლიდა.

ეს უბრალოდ გვარის გენეალოგიისათვის, თორემ კოტე მარჯანიშვილის დიდებასა და სახელს იგი არაფერს აკლებს და მატებს, რადგან გენიოსებისა და ტალანტების შემოქმედება მუდამ უსაზღვრო და მსოფლიო კუთვნილებაა.

კოტე მარჯანიშვილი ბავშვობიდანვე საბავშვო სათამაშოების დრამატიზმით ყველას აცვიფრებდა: „ერთხელ კოტეს ხევსურული სათამაშო მოუტანეს, რომელიც გახვრეტილ ფიცარზე დამაგრებულ ორ თოჯინას წარმოადგენდა. მასზე გაყრილი ძაფით იგი აცეკვებდა თოჯინებს, რითაც ფანდურის აკომპანიმენტით ნამდვილ მოცეკვავეთა შთაბეჭდილებას ახდენდა, – იგონებდა მისი უმცროსი ძმა ვლადიმერ მარჯანიშვილი.

სცენისმოყვარეობა პატარა კოტემ ყვარელში დაიწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ მისი დები და ძმა, ასევე ადგილობრივი მასწავლებლები და ნათესავები.

პირველი პიესა გახლდათ „საფოსტო სადგური“, რომელიც ოჯახში გამართა. მისი მაყურებელი გახლდათ ადგილობრივი მემამულეები და გლეხობა. წარმოდგენა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაზედაც გლეხებმა შენიშვნა მისცეს: სანახავად კარგია, მაგრამ ე რუსული ენა რომ არ გვესმის, ესაა უბედურებაო...“ (მარჯანიშვილი 2013: 11).

მალე კოტე მარჯანიშვილმა ქართული წარმოდგენებიც გამართა ოჯახში: „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“, „პრიკასშიცი შკაფში“ და „კაკო ყაჩაღი“.

ქართულმა წარმოდგენებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ყვარლის გლეხობაზე. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული შთაბეჭდილება „კაკო ყაჩაღმა“ გამოიწვია, რადგან დიდი ილიას თავისი პოემა სწორედ ყვარლის მიდამოებში ჰქონდა გაშლილი და კუდიგორა „ზემოდან დაჰყურებდა ამ სოფელს“.

ყურადსაღებია კოტე მარჯანიშვილის მოგონება, სადაც იგი აღნიშნავდა: „ჩვენს მაყურებელს იყვნენ პატივსაცემი კახელი გლეხები. რა აზრისანი იყვნენ ისინი ჩემი წარმოდგენების შესახებ, არ ვიცი... მხოლოდ ის მახსოვს, გემრიელად შეექცეოდნენ გომიჯს, ვაშლს, ჩურჩხელებს და სხვა საჭმელ-სასმელს, რითაც უხვად ვუმასპინძლდებოდი მათ, რადგან „ჩემი წმინდა მსახურება“ მიმდინარეობდა ვეებერთელა მარანში, რომელსაც ჩვენს სახლში ქვედა სართული ექირა. ნაზრძანები მქონდა მოეხადათ ერთ-ერთი

ქვევრი და გვერდზე ხელადა დაედგათ. ხელადის რამდენჯერმე შემოვლის შემდეგ, დიდის გატაცებით მიწვევდნენ სცენაზე... მალე მთელ მახლობელ სოფლებში გავითქვი სახელი. ბოლოს სამაზრო ქალაქ თელავამდე მიაღწია ჩემმა სახელმა...

ერთხელ თელავის თეატრის ანტრეპრენიორმა აჯიმამუდოვმა მთხოვა მონაწილეობა მიმეღო რომელიღაც პიესაში. მე დავეთანხმე და, მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიელის ხალათი მეცვა, ამაყად ვატარებდი გასტროლიორის სახელს.

რეპეტიციაზე დასასწრებად მე არ მეზარებოდა 36 ვერსის ცხენით გავლა ყვარლიდან თელავამდე და იქიდან ყოველ ღამე სოფელში დაბრუნება. დადგა წარმოდგენის დღე. ჩემთვის საჭირო იყო ფრაკი... მთელი ქალაქი მოვიარეთ, მაგრამ არავის არ აღმოაჩნდა იგი. მე ანტრეპრენიორს განვუცხადე, რომ თუ ფრაკი არ მექნებოდა, ვერ ვითამაშებდი.

დაქანცული და გაოფლიანებული აჯიმამუდოვი ხელახლა გაიქცა ფრაკის საშოვნელად. თეატრთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი... გარს მეხვეოდა თაყვანისმცემელ ქალიშვილთა მთელი გუნდი... აჯიმამუდოვმა ფრაკი ვერ იშოვა, მაგრამ მუნდირი მომიტანა... მე ცივად გადავხედე, მერე ქალიშვილებს „ჰამლეტისებურად“ შევავლე თვალი და წკეპლის ტყლაშუნით წარმოვთქვი: ეს ფრაკი არ არის, და მე არ ვითამაშებ...“

ქალების სახეზე აღფრთოვანება ამოვიკითხე, აჯიმამუდოვი დაბნეული შემომცქეროდა... მერე გაისმა ტყლაშუნი, ლოყაზე ტკივილი ვიგრძენი... მან მე მცემა, მცემა...

ჩუმად შევიპარე ძალუაჩემის სახლში. არავის არ დავემშვიდობე, შეგვაზმე ცხენი და ბნელ ღამეში სოფლისაკენ გამოვეშურე“, – ასე იწყება კოტე მარჯანიშვილის მოგონებათა წიგნის პირველი ფურცლები.

...– და, ეს იყო ბედისწერის დასასრულის დასაწყისი (მარჯანიშვილი 2010: 99-100).

ასე დაამთავრა კახეთის დიდ სცენაზე თავისი პირველი ნაბიჯები კოტე მარჯანიშვილმა.

სამაგიეროდ, თავის ძირძველ კუთხეში აკურთხა კოტე მარჯანიშვილი დიდი ხელოვნების მომავალ რაინდად მისმა პირველმა რეჟისორმა, სისხლითა და გენით ნათესავმა კოტე მესხმა: „ნიჭს გაუფრთხილდი... ყველას უჩვენე ვინ არის კოტე მარჯანიშვილი!“...

გაფრთხილება, რწმენა, შთაგონება წინასწარმეტყველური გამოდგა. კოტე მესხს უყვარდა ტალანტების აღმოჩენა“ (მარჯანიშვილი 2010: 101).

ცნობილი მსახიობი ეფემია მესხი თავის მოგონებაში აღნიშნავდა: „თბილისში შევხვდი ახალგაზრდა 21-22 წლის კოტე მარჯანიშვილს. ამ ხნის განმავლობაში მას თითქმის ყველანი შემოეცალნენ. დედა გარდაეცვალა. ორი უფროსი დაც. ერთი მონაზვნად აღიკვეცა. ერთი გათხოვდა. უმცროსი ძმა ვლადიმერი მეზღვაურად წავიდა. ასე რომ, ეხლა მარტო იყო გამგე და პატრონი თავისი მამულისა.

...ჩემმა ძმამ კოტემ ურჩია მას წამოსულიყო ჩვენთან ქუთაისში და იქ

დაეწყო მუშაობა.

კოტეს ძალიან გაუხარდა ეს წინადადება და სიტყვა მოგვცა, რომ ორ კვირაში ის ქუთაისში ჩამოვიდოდა... მართლაც ორ კვირასაც არ გაუვლია, რომ კოტე მარჯანიშვილი მოვიდა ჩვენთან ქუთაისში. ჩემმა ძმამ კოტემ მას დაუწყო მზადება დებიუტისათვის.

მახსოვს, როგორ ღელავდა ის ამ დროს, როგორ ვამხნევებდით ჩვენ. ამბობდა: „თუ შევერცხვი და ცუდად ვითამაშე, იმავე დამეს გაეწევ თბილისში, რომ არავის დავენახო... კოტემ ჩინებულად ჩაატარა თავისი პატარა როლი. თითქმის მთელი სეზონი გაატარა მან ჩვენს დასში. გათამამდა, გაეწაფა. ძალიან ლამაზი იყო, თაყვანისმცემლები მრავალი ჰყავდა და ეს ამხნევებდა ახალგაზრდა მსახიობს.

ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის სასცენო მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის ნუცა ჩხეიძე: „ეს იყო 1894 წლის 30 იანვარს. ა. დიუმას „ცოდვის შვილში“ ვთამაშობ ისევ პატარა ქალს, ადას. მახსოვს ერთი მიზან-სცენა, ეფემია მესხს ვყავდი გულში ჩაკრული და რაღაცას ვუამბობდი. ერთი ფრაზა შემეშალა, იქვე სცენაზე წაულაპარაკე, ვაიმე, ასე არ უნდა მეთქვა-მეთქი. და იქვე გავასწორე. ფეფიკომ და სცენაზე მყოფმა კოტე მარჯანიშვილმა ძლივს შეიკავეს სიცილი... ეს პიესა უფრო იმიტომ მოვიგონე, რომ სხვათა შორის, მაშინ პირველად ითამაშა კოტე მარჯანიშვილმა. ის ახლო ნათესავი იყო კოტე მესხისა, ბიძაშვილები და მოგვარე ნათესავები ქუთაისში ჰყავდა, ჩამოვიდა მათთან ქუთაისში და პირველად აქ დაიწყო მუშაობა, როგორც მსახიობმა. ძალიან მოხდენილი ახალგაზრდა იყო“ (მარჯანიშვილი 2010: 101).

ამავე წლის 12 ოქტომბერს დასი სუნდუკიანის „ბეპოს“ ამზადებდა, რომელშიც კოტე მარჯანიშვილი „კ. ყვარელის“ ფსევდონიმით იყო გამოცხადებული.

გენერალური რეპეტიციის შემდეგ შენობაში ცეცხლი გაჩნდა და 15-20 წუთში თეატრი სრულიად განადგურდა. ეს იყო უბედურება ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში (მესხი 1959: 15).

სცენური ნათლობის გარდა, სწორედ ქუთაისში იპოვა კოტე მარჯანიშვილმა თავისი პირველი სიყვარულიც: „ქუთაისში მოსკოვიდან ჩამოვიდა რუსული დასი ჩინებული შემადგენლობით. ამ დასში იყო ახალგაზრდა მსახიობი ქალი ჟივოკინა ნადეჟდა დიმიტრის ასული, შვილიშვილი თავის დროზე სახელოვანი კომიკის ჟივოკინის. ძალიან ლამაზი მსახიობი. კოტე მარჯანიშვილს შეუყვარდა ეს ქალი და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა. აღარავის რჩევას ყური არ უგდო, ხანი აღარ დააყოვნეს, იმათ დაიწერეს ჯვარი თბილისში და როდესაც ეს დასი წავიდა, ჩვენი კოტე ჩაეწერა მათთან მსახიობად და თან გაჰყვა ახალგაზრდა ცოლს“ (მესხი 1940: 27).

25 წლის მანძილზე კოტე მარჯანიშვილმა რუსეთში, უკრაინასა და რიგაში მრავალი თეატრალური კოლექტივი გამოიარა და დააარსა. 25

წლის მანძილზე ღრმად და ყოველმხრივ შეიცნო ცხოვრება, ადამიანები, სხვა ხალხების კულტურა, გაიცნო მთელი მსოფლიოს ხელოვნება, თავისი ძალები გამოსცადა სხვადასხვა თეატრალურ დასებთამ.

ამბობენ, რომ ხელოვანი უკეთესად, სრულად და უფრო ღრმად მხოლოდ თავის ხალხთან კავშირის საფუძველზე, მშობლიურ ნიადაგზე, მშობლიური მიწის სურნელთან ერთად შეიცნობა. მარჯანიშვილი სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ერთი დიდი ვალი გადაუხდელი დარჩა – ვალი სამშობლოს წინაშე. ამის შეგრძნებამ და ახლის შექმნის წყურვილმა ჩამოიყვანა იგი 1922 წლის 6 სექტემბერს საქართველოში.

თუკი გულწრფელად აღიარებენ, ბევრ მაშინდელ თეატრის მომუშავეს არ ესმოდა ყოველივე ის, რაც თეატრში ხდებოდა. „მე შემდგომში, მარჯანიშვილთან მუშაობის დროს ბევრჯერ შემიმჩნევია, როდესაც რაიმეს აკეთებდა, მისი მუშაობა ბევრისათვის რჩებოდა სრულიად გაუგებარ და მიუწვდომელ საიდუმლოებად“, – წერდა თამარ ვახვახიშვილი.

რუსთაველის სახელობის თეატრში სულიერების დამკვიდრებისათვის იბრძოდა კოტე მარჯანიშვილი: „...მე არ ვამბობ, რომ ხელოვანი არ ცდება, მაგრამ ხელოვნებაში ყველაზე საშინელი და საძაგელი შეცდომა სიმართლის დამახინჯებაა. ეს ყოველად დაუშვებელია... და ისევე, როგორც უნამუსობის ლაქას, მას ვერაფრით ვერ წაშლი, ვერც ჭკუით, ვერც ნიჭით, ვერც ვაჟაკობით... ადვილია, როცა არ სტყუი, და მწელია, როცა თამაშობ ცრუობ“, – ასეთი იყო თეატრის უდიდესი რეფორმატორის კრედი.

საქართველოში მარჯანიშვილი მალე ძმათა გაუტანლობის მსხვერპლი გახდა, რაც მუდამ ყველა დიდი ადამიანის ხვედრია. 1926 წლის 4 ივლისს რეჟისორმა თეატრი დატოვა.

მარჯანიშვილისა და საზოგადოების სურვილით ქუთაისში მეორე სახელმწიფო თეატრი შეიქმნა. მან ქუთაისში ჩამოსვლისთანავე დასს მიმართა: „იცი, როცა ოჯახი შედუღაბებულია, ქვას გახეთქავს. თეატრი კი იგივე დიდი ოჯახია და საკმარისია ერთმა რომელიმე წევრმა უღალატოს, რომ დაინგრეს. ჩემი ერთადერთი პირობაა დისციპლინა, ერთსულოვნება და ენთუზიაზმი“...

იყო რაღაც სიმბოლური იმაში, რომ მრავალი წლის წინ კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა ამ შესანიშნავი თეატრალური ტრადიციების ქალაქში, ქუთაისში, მარჯანიშვილთა ბუდეში დაიწყო. აქ მიიღო მან პირველი „ნათლობა“ და ქართული თეატრის კორიფეს კოტე მესხის ლოცვა-კურთხევა. ხეტიალის, ძიებისა და შემოქმედების მრავალი წლის მანძილზე სანთელივით ატარა მარჯანიშვილმა ეს ლოცვა-კურთხევა. და აი, ის კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს. წინ კი ფართო გზა ელოდა, ისევ ძიებები, მშფოთვარე შემოქმედება და განუწყვეტელი მოძრაობა.

ოცდაცამეტი წლის შემდეგ ქუთაისში ახალი თეატრი კვლავ ანდრია მარჯანიშვილის შთამომავალმა დააარსა. ხელოვნების სამყაროში

მარჯანიშვილის პირმშო დაიბადა და დამკვიდრდა ქუთაისში.

„ახალგაზრდობის დასით 1928 წლის 7 აგვისტოს კოტე მარჯანიშვილი უკვე ქუთაისში იყო. მისმა სახელმა კიდევ ერთხელ ააჯანყა ქართული თეატრალური აზროვნება. მისი სიცოცხლით სავსე თვალეზში გამოკრთოდა დაუშრეტელი ენერჯია და უტეხი ნებისყოფა. „მე ისეთ ჩიხში, როგორც ქუთაისია, დიდი ხანია აღარ მიმუშავია, მაგრამ თუ თქვენ ყოჩაღად იქნებით, ერთგულად იმუშავებთ, გაძლევთ სიტყვას, რომ ყველგან წამოვალ თქვენთან, თუ გინდ სოფელშიაც.“

საქმის შექმნა შეიძლება ყველგან, ნამდვილი საქმის, დიდი საქმის, ოღონდ, ყმაწვილებო, ერთსულოვნება იყოს!“ – ასე მიმართა ახალგაზრდა კოლექტივს დიდმა რეჟისორმა.

დასმა სეზონისათვის მზადება დაიწყო. პირველ სპექტაკლად „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ წარმოადგინა. თეატრი ხარაზიშვილისეულ ძველ შენობაში დაბინავდა, რომელიც საფუძვლიანად შეკეთდა. ახალგაზრდულმა თეატრალურმა კოლექტივმა პირველ სპექტაკლის დადგმისთანავე მიაღწია გამარჯვებას, სადაც ნათლად გამოიკვეთა, რომ თეატრს სიცოცხლე ეწერა და მის წინ ფართო გზა გადაიშალა.

„დასრულდა სპექტაკლი. ოვაციებს ბოლო არ უჩანს. ქუთაისის თეატრის პატარა შენობა, ხალხით გაჭედილი, – ჰქუხს და ბობოქრობს. ხალხს დარბაზიდან გასვლა აღარ უნდა. მრავალჯერ გამოიძახეს კოტე მარჯანიშვილი და სპექტაკლის მონაწილენი სცენაზე. ეს ოვაციები და აღტაცება მერე ქუჩაში გადმოიღვარა.“

ხალხით სავსე ქუჩა ახალი სიხარულით შეხვდა თავის საყვარელ, საამაყო შვილს კოტე მარჯანიშვილს“, – აღნიშნავდა პრესა.

ქუთაისში მარჯანიშვილმა უმთავრესად თანამედროვე დრამატურგიაზე გაამახვილა ყურადღება. იგი შეეცადა ამ კოლექტივში განეხორციელებინა ის, რაც რუსთაველის სახელობის თეატრში ვერ მოასწრო.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისის თეატრში დაიდგა 27 პიესა, აქედან 19 თანამედროვე ავტორს ეკუთვნოდა. თეატრის პირველი შეხვედრა თანამედროვე თემასთან იყო შალვა დადიანის კომედია „კაკალ გულში“, რომლის პრემიერა 1928 წლის 15 დეკემბერს შედგა. თეატრმა კომედიური სპექტაკლები პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერზე“ მუშაობით განაგრძო და იგი 1929 წლის 27 მარტს წარმოადგინა. ამას მოჰყვა პიესები „როგორ“ და „ხატიჯე“.

ქუთაისის თეატრის სცენაზე შედგა პრემიერა დია ჩიანელის პიესაზე „ბაილი“ და დემნა შენგელიას „თეთრები“.

ასევე ბრწყინვალე წარმოდგენები იყო შოუს კომედია „წმინდა ქალწული“, ლოპე დე ვეგას დრამა „ცხვრის წყარო“ და კირშონის დრამა „ლიანდაგი გუგუნებს“.

კოტე მარჯანიშვილის ნიჭისა და ტალანტის აპოგეა, მისი სცენური

შედგერი ქუთაისის თეატრში „ურიელ აკოსტა“ გახლდათ.

მართლაც, ფასდაუდებელია სპექტაკლ „ურიელ აკოსტას“ მნიშვნელობა როგორც მარჯანიშვილის შემოქმედებაში, ისევე მთელი ქართული თეატრის ცხოვრებაში.

მარჯანიშვილმა შექმნა სპექტაკლი დემაგოგიისა და უსამართლობის სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ადამიანის მაღალი პრინციპების გამარჯვებაზე, უკუღმართობასა და ვაჟკაცობაზე. ეს იყო სიმართლისათვის შეწირულთა ჰიმნი. 1928-1929 წლების სეზონი კოტე მარჯანიშვილმა „სალამოთი დახურა“.

დასი თბილისში გაემგზავრა. აუარებელი ხალხი დახვდა თეატრს სადგურზე... გასტროლები თვენახევარს გაგრძელდა. ყველა წარმოდგენაზე ოპერის თეატრის უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და წარმოდგენები დაუსრულებელი ოვაციებით მთავრდებოდა. უკანასკნელ წარმოდგენაზე ნაჩვენები იყო ცალკეული მოქმედებები დადგმებიდან. დარბაზში ქუხდა ოვაციები და შემახილები: „გაუმარჯოს კოტე მარჯანიშვილს! გაუმარჯოს თეატრს!“...

ხალხი, მოწინავე ინტელიგენცია მოითხოვდა მარჯანიშვილის თბილისში დაბრუნებას ახალ კოლექტივთან ერთად. მარჯანიშვილმა თეატრი საგასტროლოდ უკრიანასა და მოსკოვში წაიყვანა. ეს იყო ქართული თეატრის პირველი დიდი მასშტაბის გასვლა რესპუბლიკის გარეთ და იგი წილად ხვდა თეატრალურ კოლექტივს, რომელიც ქუთაისში ჩაისახა.

ორი სეზონის განმავლობაში თეატრის არსებობა ქუთაისში იყო კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების დიდი აპოგეა, სადაც მან შექმნა მსახიობთა მთელი პლეადა, რომელშიც გააერთიანა განსხვავებული ინდივიდუალობის, ჟანრის, ტემპერამენტის მსახიობები მარჯანიშვილისეული მხატვრული პრინციპით ამაღლებული ფორმების, მაღალი რომანტიკის, უკომპრომისო სიმართლისა და მოქალაქეობრიობის თეატრის პრინციპით.

თეატრის გასტროლების დამთავრების შემდეგ საგანგებოდ გამოიცა წიგნი. გასტროლების შემდეგ დიდი რეჟისორი თბილისში გადმოიყვანეს დასთან ერთად.

1931-1932 წლებში კოტე მარჯანიშვილი ავადმყოფობის მიუხედავად მოსკოვში მუშაობდა ოსტროვსკის „ქარიშხალზე“, თბილისში კი – შექსპირის დრამატურგიაზე, ახმოვანებდა „ოტელოსა“ და „რიჩარდ მესამეს“.

ეს ზღვასავით დაუდევარი, შემართული და ყალყზე შემდგარი სასცენო ხელოვნების გენია 61 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„სულელური სიტყვაა სიკვდილი, სიკვდილი არ არსებობს. ის, რასაც დატოვებ შენს შემდეგ, ერთგვარი გამარჯვებაა იმაზე, რასაც ეწოდება სიკვდილი“.

მისი გარდაცვალებიდან ზუსტად ორი კვირის თავზე, 1933 წლის 30 აპრილს, საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრს კოტე მარჯანიშვილის სახელი მიაკუთვნეს. 1964 წელს კოტე მარჯანიშვილის ნეშტი ზ. ფალია-

შვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ზადიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს, სიცოცხლეში იმ ეკლიან გზაზე მავალ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, რომელთა დაუძლეველი ბედისწერა თავისუფლება და თავგანწირული სულისკვეთება იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

მარჯანიშვილი 1948: მარჯანიშვილი კ., კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო კრებული. თბილისი, 1948.

მარჯანიშვილი 2010: მარჯანიშვილი მ., მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი. თბილისი, 2010.

მესხი 1940: მესხი დ., მოგონებები. თბილისი, 1940.

მესხი 1959: მესხი ს., წერილები თეატრის შესახებ. თბილისი, 1959.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.83-91>

შუა საუკუნეების კახეთის
ეპიგრაფიკული ძეგლების
ენობრივი თავისებურებანი

**Linguistic Peculiarities of Medieval Kakheti
Epigraphic Monuments**

მაია მიკაუტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Maia Mikautadze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

The article discusses some linguistic features of the epigraphic monuments of medieval Kakheti, in particular the events that are particularly interesting in terms of the phonetic-phonological study of these monuments.

1. In the written monuments of medieval Kakheti, in order to convey the Asomtavruli Q [ɑ] allophone, it is found in all the positions where it can be expected. Violations during its use are quite frequent since the IX century, but according to these data already from the XI century the absence of diphthongs in oral speech, as Z. Sarjveladze and L. Basilaia suggested, is not proven.

In Khutsuri monuments of the XII-XVI centuries, the Q grapheme is actively revealed in accordance with orthographic norms; e.g. [ა ა], [ო ა], [უ ა] diphthongs are also presented. In the monuments of the XI-XV centuries written in the Mkhedruli alphabet, in all the positions where [ɑ] was expected, there is [ა].

We believe that in this period, as well as in the archaic or V-VIII centuries of Georgian language there was a phoneme /o/, whose syllabic [i] and non-syllabic [ɑ] allophones were conveyed by the graphemes b and Q, respectively. In our opinion, for this period some transcribers or performers find it difficult to distinguish between [o] and [ɑ] sounds. The fluctuations in the perception of [i] and [ɑ] allophones cause fluctuations in orthographic norms: confusion of the writings of the graphs Q and b.

2. In the monuments made in Asomtavruli in the X-XI centuries, we have 79.5% d spelling and 20.5% e spelling. Only the d sits in the position between the sonorant consonant and the vowel. The V-s observed in the C-C position are found mainly in the /khav/ stem, as well as in the descending stems, after sonorants and adverbs as a sign of the S1 person.

When detecting graphemes d and e in the Khutsuri monuments of the XII-XVIII centuries, the peculiarities increase in positions C-V and C-C, which are interesting for us.

In the XII-XVIII century works created with the Mkhedruli alphabet in CN-V and CS-V, and C-C positions violations of orthographic norms while revealing V are widely detected.

In general, as the analyzed material showed, the peculiarities that appear in terms of phonetic or phonematic structure in the epigraphic monuments of medieval Kakheti, the issue of ascending or descending diphthongs containing [ɑ], detection and transmission of [ɟ], and [ʎ] allophones, establishing u- grapheme sequence in the C-C position between consonants, detection of ʒ grapheme positions, frequency, and confusion of its usage, unexpectedness in phonetic processes...) echoes and is similar to the peculiarities that can be found in the monuments made in different parts of Georgia during the same period.

Events confirmed in the monuments of the X-XIII centuries are especially interesting, which are conditioned and explained by the transition period during the development of the Georgian alphabet as well as the Georgian literary language. From the linguistic point of view, this is a very difficult and interesting time. It's a period when the Mkhedruli alphabet starts to develop from the Nuskhuri alphabet, and transition from so called old Georgian writing style to the middle period or a new style of literary language takes place.

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკული ძეგლები, კახეთი, ენობრივი ცვლილებები, ფონეტიკურ-ფონოლოგიური თავისებურებანი.

Keywords: Epigraphy monuments, Kakheti, Linguistic changes, Phonetic-phonological peculiarities.

კახეთის წერილობითი საბუთები, სამწუხაროდ, მტერთა მრავალგზისი შემოსევის შედეგად ძირითადად განადგურდა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის წარწერები, რომლებიც ამ მხარეში ისტორიულ ძეგლებზეა (ხუროთმოძღვრება, ეკლესიის მოხატულობა, ოქრომჭედლობა, ფერწერული ხატები, ნაქარგობა) შემორჩენილი. ამ წარწერებიდან მიღებული ცნობები ძალიან საყურადღებოა კახეთის ისტორიული და კულტურული ვითარების შესახებ იმ თეთრი ლაქების (ხარვეზების) ნაწილობრივ შესავსებად, რომელიც წერილობითი საბუთების განადგურების შედეგად გვაქვს სახეზე.

ეს ძეგლები არაერთზის გამბდარა მეცნიერთა კვლევის საგანი. მათზე შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა ცალკეულ ეპოქებში მოქმედ საერო ხელისუფალთა და ეკლესიის მესვეურთა თუ ამ მხარის არქიტექტურისა და მხატვრობის მნიშვნელოვანი ძეგლების შემოქმედ ოსტატთა სახელები.

შემონახული წარწერები ძვირფას და საინტერესო მასალას იძლევა, აგრეთვე, ქართული დამწერლობათმცოდნეობისა და ენის კვლევისათვის.

ჩვენ განვიხილავთ შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ზოგიერთ ენობრივ თავისებურებას, კერძოდ კი იმ მოვლენებს, რომლებიც აღნიშნულ ძეგლთა ფონეტიკურ-ფონოლოგიური შესწავლის თვალსაზრისითაა განსაკუთრებთ საინტერესო. მასალები მოიცავს ისტორიულად ცნობილ ტერიტორიას (გარეკახეთი, ქიზიყი, შიგნიკახეთი, საინგილო და სხვ.), რომელზედაც ვრცელდებოდა კახეთის მფლობელთა ძალაუფლება.

1. [ა]-ის შემცველი დიფთონგები

[ა]-ის შემცველი დამავალი დიფთონგების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი ვარაუდით, უკვე XI ს. ზეპირ მეტყველებაში [ა]-ის შემცველი დიფთონგები აღარ გვხვდება და სწორედ ამით იხსნება თავდაპირველ მხედრულ ანბანში [ა]-ის გადმომცემი გრაფემის არარსებობა (საკითხის ისტორიისათვის იხ. მიქაუტაძე 2005ა: 6-12, 40-45).

ამ საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებით საყურადღებოა ლაპიდარულ თუ ეპიგრაფიკულ ძეგლთა და ისტორიული საბუთების მონაცემები, ვინაიდან მათში, მკაცრად ნორმირებულ სალიტერატურო ძეგლებთან შედარებით, ხელშესახებად იგრძნობა იმ პერიოდის ზეპირი მეტყველების გავლენა.

IX-XI სს. წერილობით ძეგლებში ასომთავრული Ⴀ [ა] ალოფონის გადმოსაცემად ყველა მოსალოდნელ პოზიციაში გვხვდება, თუმცა IX ს.-დან საკმაოდ ხშირია დარღვევები მისი გამოყენების დროს.

IX-XI სს. ზოგადად საქართველოში არსებულ ლაპიდარულ წარწერებსა და ისტორიულ საბუთებში Ⴀ სახელობითი ბრუნვის ნიშნად V-# პოზიციაში 53% დაფიქსირდა, ი - 40%, შემთხვევათა მხოლოდ 7%-ია წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნის გარეშე:

დიდება (ურბნისი X - შოშ. 187); შურტაი (ზედაზნ. X - შოშ. 118); ქვამ (კოშკები X - შოშ. 108; უბისა XI, სილ. 2 - 156); მოსლვამ (ნიკორწმ. XI - სილ. 90); ძმაი (II სვ. XI - 3-156)... (მიქაუტაძე 2005: 52).

კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში Ⴀ სახელობითი ბრუნვის ნიშნად V-# პოზიციაში 72% დაფიქსირდა, შემთხვევათა 28% წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნის გარეშე. ი ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად ამ პერიოდის ძეგლებში არ დადასტურებულა.

მოსწრაფებად ქმნა (აკურა - IX ს.), წმიდაი ესე საყდარი (აკურა - IX ს.), ქრისტე სტეფანეი შეიწყალე (საბუე - IX ს.), ქრისტე ადიდე სავლამ

(ნაბაზრევი - 1025 წ.), ქრისტე შეიწყალე კაცად (ნინოწმინდა - X-XI ს.), ქრისტე შეიწყალე ივანე (გურჯაანი - XI ს.), წმიდა მარიამ (იყალთო - X-XI ს.), წმიდა თევდორე (იყალთო - X-XI ს.), წმიდა გიორგი (იყალთო - X-XI ს.), დიდი ჭირი დავთმე სიგლახაკისა (იყალთო - IX ს.)...

ხარება (გურჯაანი - X ს.); წმიდა ესე ეკლესია (იყალთო - IX ს.)...

#-V პოზიციაში \supset შეგვხვდა 53%, ი - 47%:

იოანე (ნაბაზრევი - 1025 წ.), მწსუ ქრისტე (იყალთო - X-XI ს.), მწსუ, ესო (იქვე), იოვანესა, იოვანე (იქვე), მეოხებითა იოვანესა (იყალთო - IX ს.)...

V-C პოზიციაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილად მხოლოდ \supset შეგვხვდა და ისიც ერთ მაგალითში: მონასა შენსა გიორგი აბას (ალავერდი - XI ს.)...

საწარვე ტექსტებში \supset გრაფემის გამოყენების ორთოგრაფიული ნორმებით დადგენილი წესები ძირითადად გატარებულია.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ XI საუკუნეში [ე] დიფთონგი უკვე მოშლილია, [ო], [უ] და [ა] დიფთონგები კი მოგვიანებით გამარტივდა (სარჯველაძე 1984: 90-91; ბასილაია 1979: 110).

\supset -ის გამოყენებისას ორთოგრაფიულ ნორმათა დარღვევები იოტის კლების ან იოტამეტობის საფუძველზე IX-XI ს. ძეგლებში, V-VIII ს. ძეგლებთან შედარებით, მართალია, იმატებს, მაგრამ ამ მონაცემებით უკვე XI ს. ზეპირ მეტყველებაში დიფთონგთა არარსებობა, როგორც ამას ზ.სარჯველაძე და ლ. ბასილაია ვარაუდობდნენ, არ მტკიცდება.

XII-XVII სს. ხუცურით შესრულებულ კახეთის ეპიგრაფიკულ წარწერებში ასეთი სურათი გვაქვს: სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვნის მომდევნო ბოლოკიდურ V-# პოზიციაში \supset დაფიქსირდა 14%, ი - 22%, დანარჩენ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილი არაა; V-C პოზიციაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანთა ხმოვნით ნაწილად \supset შეგვხვდა 56% და ი - 44%; #-V პოზიციაში \supset შეგვხვდა 3%, ი - 97 %.

მაგალითები: იოვანე (დავით-გარეჯა - 1467 წ.); მე, მიწაი, მცირე, სარგის ძე არასლანისი (დავით-გარეჯა - 1352 წ.); შენდობა ბრძანეთ (დავით-გარეჯა - 1467 წ.); აღვაშენე ეკლესია ესე (გრემი - 1593 წ.); თაყუანის გცემთ ვითარ პეტრე და მოწაფენი ქრისტესნი (ეკლესია აღდგომისა - 1605 წ.)...

XII-XVII სს. ხუცურით შესრულებულ ძეგლთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ პერიოდის ქართულში \supset გრაფემა აქტიურად არ ვლინდება ორთოგრაფიულ ნორმათა შესაბამისად; ე.ი. [ა], [ო], [უ] დიფთონგებიც მეტ-ნაკლებად სახეზეა.

\supset გრაფემის ნაცვლად I გრაფემის დაწერილობას ამ პოზიციებში, XI ს. ძეგლების მსგავსად, [ე]-ის გამოხატვლად ვთვლით (მიქაუტაძე 2005: 58-62).

[ე] ზგერატოკომპლექსის გადმოცემა და ასომთავრული h გრაფემის გამოყენება XII-XVIII სს. ძეგლებში განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რომელი ანბანით არის შესრულებული ესა თუ ის ძეგლი.

X საუკუნიდან ხელნაწერებში თავს იჩენს **О,Ѡ** დაწერილობა, XI საუკუნის ბოლოდან მკვიდრდება **О,Ѡ** (**||უჭ**) გრაფემათმომდევრობა (მიქაუტაძე 2005: 39).

ჭ გრაფემა უმარცვლო **უ**-ს შემდეგ კახეთის წერილობით ძეგლებში მე-18 საუკუნემდე არ შეგვხვდება: დასუეს, გამოგუიბრწყინდა (თოდას ციხე – XIII ს.); მოძლუარო, ჩუენ, თქუენთანა (ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.)... გამომხატულში, განმზრახულში, საკურულში (ერეკლე II-ის კარის ეკლესია – XVIII ს.).

XI-XV სს. მხედრულით შესრულებულ ძეგლებში, ყველა იმ პოზიციაში, სადაც მოსალოდნელი იყო **[ა]**, ძირითადად წარმოდგენილია **ი**: სახელობითი ბრუნვის ბოლოს V-# პოზიციაში – 97,5%, ხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობით ბრუნვაში, V-C პოზიციაში – 95,8%, ხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ნათესაობითში – 86,4%, სახელის მხოლოდ ი-თი გაფორმებული ფუძეებია, -ცა ნაწილაკიც ყოველთვის გაფორმებულ ფუძეს დაერთვის, ნანათესაობითარ სახელობითში **ი [ა]**-ს ადგილზე ყველგან სახეუა; ხმოვანფუძიან სახელთა მოქმედებითსა და ნანათესაობითარ მოქმედებითშიც **ი** ყველგანაა **[ა]**-ს პოზიციაში (მიქაუტაძე 2005: 62-64).

ამავე პერიოდის კახეთის მხედრულით შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები საკმაოდ მწირია, თუმცა ის თითო-ოროლა მაგალითი, რომელიც მოვიპოეთ, ზემოთ წარმოდგენილ პროცენტულ მაჩვენებლებს რეალურად ვერ ცვლის.

მიგვაჩნია, რომ ამ პერიოდშიც, ისევე როგორც არქაულ თუ V-VIII სს. ქართულში, არსებობდა /ი/ ფონემა, რომლის მარცვლოვანი **[ი]** და უმარცვლო **[ა]** ალოფონები გადმოიცემოდა შესაბამისად **I** და **ⵇ** გრაფემებით. ჩვენი აზრით, ამ პერიოდისთვის ზოგ გადამწერს თუ შემსრულებელს უჭირს **[ი]** და **[ა]** ზგერათა სმენით გარჩევა. **[ი]** და **[ა]** ალოფონთა აღქმის რყევა იწვევს ორთოგრაფიულ ნორმათა რყევას: **I** და **ⵇ** გრაფემათა დაწერილობების აღრევას.

2. **[ვ]** და **[უ]** ალოფონთა გამოვლენა და გადმოცემა

ასომთავრული **ⴌ** და **О,Ѡ** და მათგან მომდინარე **ვ** და **უ** გრაფემებით გადმოცემული ზგერების ბუნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა: მეცნიერთა ნაწილი მათ კბილბაგისმიერ ზგერებად მიიჩნევს, ნაწილი – წყვილბაგისმიერად (საკვითხის ისტორიისათვის იხ. მიქაუტაძე 2005 ბ: 7-23).

აღნიშნული გრაფემების გამოვლენა განსაკუთრებით საინტერესოა არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის, სონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის და თანხმოვნებს შორის პოზიციებში.

ⴌ-სა და **О,Ѡ** გრაფემათა გამოვლენა და დაწერილობის განაწილების პროცენტული მიმართება ჩვენთვის საინტერესო პოზიციებში ასეთია:

არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის:

X-XI სს. ლაპიდარულ წარწერებში არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციასში 79,5% **ქ** დაწერილობა გვაქვს და 20,5% **ც** დაწერილობა.

IX-XI სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციასში 93,9% **ქ** გრაფემა წერია და 6,1% – **ც**. X-XI სს. ი. დოლიძის გამოქვეყნებულ სამართლის ძეგლებში ეს შეფარდებაა – 49,4%-50,6%. იმავე პერიოდის კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში – 67%-33%.

მაგალითები:

განუსვენენ უფალო (აკურა – IX ს.); მეხვამ მნე ეყავ, თაყვანისცემა, მოყურათა (ალავერდი – XI ს.); მხატოვარი (X ს.); ჯოჯარი, სალოცველად შეილთათვის (სტელა – VII ს.); ლახოვარი (იყალთო – X-XI სს.)...

სონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციასში ჩვენ მიერ შესწავლილ IX-XI სს. ხელნაწერებსა და ლაპიდარულ წარწერებში მხოლოდ **ქ** ზის, მათ შორის კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც: პირველისა, (ალავერდი – XI ს.); სურვილითა, ფარვათა (ალავერდი – XVII ს.)...

C-C პოზიციასში ერთადერთ შემთხვევაშია **ც** დაწერილობა: ქოჯრივი (იყალთო – X-XI სს.), ისევე როგორც – **ქ**: მოგენი (იქვე).

რაც შეეხება სონანტების მომდევნოდ [ვ]-ს ბუნებას ლვ, მვ, ნვ, რვ კომპლექსებში, მკვლევართა აზრით, ისტორიული ხანის ქართულში ეს ვ კბილბაგისმიერია; თანამედროვე ქართულში კი, ერთი ვარაუდით, ამ კომპლექსებში გვაქვს კბილბაგისმიერი ბგერა, მეორე ვარაუდით კი იგი აქ წყვილბაგისმიერია და [ვ]-ს მეტათეზისიც იხსნება მისი გაწყვილბაგისმიერებით (ახვლედიანი 1949: 205; როგავა 1962: 108-118; უთურგაიძე 1976: 102-109).

ზემოთ აღნიშნულ კომპლექსებში ჩვენ **ქ** გრაფემით გამოსახულ ბგერას წყვილბაგისმიერად მივიჩნევთ.

XII-XVIII სს. ხუცურ ძეგლებში **ქ** და **ც** გრაფემების გამოვლენისას თავისებურებანი ჩვენთვის საინტერესო C-V და C-C პოზიციებში იმატებს.

ვ გრაფემის გამოვლენის მაღალი სიხშირე ამ პერიოდის ლაპიდარულ წარწერებსა და სვანეთის ეპიგრაფიკული ძეგლებისა თუ ისტორიული საბუთების C_N-V და C-C პოზიციებში დადასტურება იმისა, რომ ამ ასონიშნით წყვილბაგისმიერი [უ] ალოფონია გადმოცემული (მიქაუტაძე 2005: 42-45).

მხედრულით შესრულებულ ძეგლებში ვ და უ გრაფემათა გამოვლენის პოზიციები ძირითადად მსგავსია ასომთავრულ ძეგლებში **ქ** და **ც** გრაფემათა გამოვლენის პოზიციებისა.

ჩვენთვის საინტერესო C_N-V და C-C პოზიციებში ვ და უ ასონიშნათა განაწილების სურათი ასეთია:

ისტორიულ საბუთებში არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციასში – 71,5% უ გრაფემა წერია; ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ 76,6%-ია უ; მარიამისეულში – 76,3%; XII-XIII სს. სვანეთის წერილობით

ძეგლებში – 7,5%; XIV-XVI სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში (წარწერებში) – 24%; XIII-XVI სს. სვანეთის ისტორიულ საბუთებში – 17%; XII-XIII სს. „სამართლის ძეგლებში“ – 64,8%; ხოლო XV ს. სამართლის ძეგლებში – 70,45%. სხვა შემთხვევებში აღნიშნულ ძეგლებში ვინაია (მიქაუტაძე 2005: 45-50).

კახეთის XII-XVII სს. ძეგლებში აღნიშნულ პოზიციაში უ გრაფემა 33% გვხვდება; დანარჩენ შემთხვევებში ვინაია.

მაგალითები: შეუნდვენ (ოზაანი – XII-XIII სს.); სიტყვისა, ჩვენ, ცვა (კუნტუზის ეკლესია – 1574-1605 წწ.); ჩვენ საქართველოსასა (სამრეკლო – 1699 წ.), ცოდვილი (უდაბნოს მოწამეთა – 1698 წ.); გასამარჯვებლად, ცოდვათა, ცვა (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.); ჩვენ, ცოდვილი, მარხვა, ქვის (დავით-გარეჯა – XVII ს.); ცოდვილმა, აღვაშენე (გრემი – 1593 წ.), ენდრონიკეშვილი, დიდმარხვა (დავით-გარეჯა – 1673წ.); მოიყვანენ, ცოდვილისა, სიკვდილი ესე, დამარხვით, ყოველთათვის, წინაშე მრისველისა (ალავერდი – 1695წ.); ლოცვად, თქვას, თვეს (დავით-გარეჯა – 1352 წ.)...

ჩემისათვის, სიყუარულისათვის, ცოდვისათვის (სამრეკლო – XV ს.); ჩუენ, თქუენტანი (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605წწ.), გასამარჯუებლად (ეკლესია აღდგომისა – 1574-1606 წ.); სამი კუამლი კაცი (გრემი – 1593 წ.); ჩუენ, გუექმენ, წისქული (გრემი – 1593 წ.) ...

შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში უი კომპლექსი ორჯერაა წარმოდგენილი ჯ დაწერილობით: ენდრონიკაშვლმან, ქისიყის მოურავისა შვლმან (სამრეკლო – 1699 წ.).

სონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში ჩვენ მიერ შესწავლილ XII-XVIII სს. ყველა ძეგლში მხოლოდ ვინაია, მათ შორის კახეთის ძეგლებშიც:

იხილვებოდეს, აღუცილვებელ არს (დავით-გარეჯა – 1352წ.); მფარველ, ცვა-ფარვათა (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605წწ.); მფარველ (ეკლესია აღდგომისა – 1574-1606 წ.)...

თანხმოვნებს შორის C-C პოზიციაში მხედრულ ისტორიულ საბუთებში 66,7%-ია უ გრაფემა; ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ – 95,8%; მარიამისეულში – 95,8%; XII-XIII სს. „სამართლის ძეგლებში“ – 84%; XV ს. „სამართლის ძეგლებში“ – 80%; სვანურ ისტორიულ საბუთებში – 86,3%. სხვა შემთხვევებში აღნიშნულ პოზიციაში ვ გრაფემა გვხვდება; იგივე ვ-ა ყფ ფუძეში, ძირითადად, მხოლოდ ისტორიულ საბუთებშია ამ ფუძეში 57,1% უ.

მოცემულ პოზიციაში კახეთის XVI-XVII სს. ძეგლებში ფიქსირდება მხოლოდ ვ გრაფემა; ღვთაებითა (სამრეკლო – 1699 წ.), ღვთივ სასოებელნი (წმ. ნიკოლოზის ეკლესია – 1574-1605 წწ.), თებერვლისა (უდაბნოს მოწამეთა – 1698 წ.)... სხვა შემთხვევები არ დაგვიფიქსირებია.

როგორც დავინახეთ, XII-XVIII სს. მხედრულით შესრულებულ ძეგლებში C₁-V და C₂-V და C-C პოზიციებში ვ და უ გრაფემათა გამოვლენის

სიბშირის სურათი მყარი არ არის. კერძოდ: ამ ასო-ნიშანთა გამოყენება აღნიშნულ პოზიციებში XII-XVI სს. ძეგლებში მსგავსია V-XI სს. ძეგლებში T და O-ღ გრაფემათა გამოყენებისა, შესაბამისად. თუმცა ორთოგრაფიულ ნორმათა დარღვევები T-ს გამოვლენისას წარწერებსა თუ ხელნაწერებში საგრძნობლად იმატებს.

ზემოთ წარმოდგენილი როგორც წარწერების, ასევე ისტორიული საბუთების ენათა ანალიზი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ როგორც ასომთავრულით, ასევე მისგან მომდინარე ნუსხურითა და მხედრულით შესრულებულ ისტორიული ხანის ძეგლებში T-ს გრაფემებით გადმოცემული ზგერა, ძირითადად, წყვილზგაგისმეორია.

3. ფონეტიკური პროცესები

შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში თავს იჩენს ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები; ფონეტიკური პროცესების ამსახველი მსგავსი ნიმუშები მეტ-ნაკლებად დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეპიგრაფიკულ ძეგლებზე და საყურადღებოა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

მაგალითები:

ასიმილაცია: გუმზადისანი (ალავერდი - XI ს.); ენდრონიკეშვილი (დავით-გარეჯა - 1673 წ.)...

დისიმილაცია: მეფე ერაკლე (სამრეკლო - 1699 წ.)...

ზგერათა დაკარგვა: იკარგება რ და ლ ზგერები: მოზმანდეთ, ჳემწიფის (დავით-გარეჯა - 1673 წ.); სიბშით (ალავერდი - XI ს.)...

ზგერათა განვითარება: ვითარდება ა, ლ, ვ და ნ ზგერები: გალახაკისა (იყალთო - IX ს.); განთავისუფლებლად, აუცილებელ არს (ალავერდი - 1695 წ.); ფიცარსა ზედან (ალავერდი - 1695 წ.); მოვედით ჩვენ ფარიად ცოდვილი (დავით-გარეჯა - XVII ს.); შენდობასა გვიბმანებადეთ (დავით-გარეჯა - 1673 წ.)...

სუბსტიტუცია: კ და ქ ზგერები: ჳელითა ქალატოზისა (სამრეკლო - 1699 წ.)...

კ და გ ზგერები: იოანე გალატოზი (ნაბაზრევის ეკლესია - 1025 წ.)...

ზ და ს ზგერები: ქისიყის მოურავისა შვლმან (სამრეკლო - 1699 წ.); მამაო ნიკოლოს (წმ. ნიკოლოზის ეკლესია - 1574-1605 წწ.)...

ვ და რ ზგერები: მღრდელთ მოძღუარო (წმ. ნიკოლოზის ეკლესია - 1574-1605 წწ.)...

როგორც გაანალიზებულმა მასალამ გვიჩვენა, ის ზოგიერთი თავისებურება, რომელიც ფონეტიკური თუ ფონემატური სტრუქტურის კუთხით შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში იჩენს თავს ([მ]-ის შემცველი დამავალი თუ აღმავალი დიფთონგების საკითხი, [ვ] და [უ] ალოფონთა გამოვლენა და გადმოცემა, უჭ გრაფემათმომდევრობის დამკვიდრება თანხმოვნთა შორის C-C პოზიციაში, მოულოდნელობები ფონეტიკური პროცესებში...), ეხმიანება და მსგავსია იმ თავისებურებებისა,

რომლებიც იმავე პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესრულებულ ძეგლებში გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახვლედიანი 1949: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949.

ბარნაველი 1961: ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა. თბილისი, 1961.

ბასილაია 1979: ბასილაია ლ., ა ასოს დაწერილობის საკითხისათვის XI-XIII საუკუნეთა მხედრულ წერილობით ძეგლებში. ჟურნალი „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1979, №4.

მიქაუტაძე 2005 ა: მიქაუტაძე მ., პალატალიზებულ დიფთონგთა საკითხი V-XI საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით. ქუთაისი, 2005.

მიქაუტაძე 2005 ბ: მიქაუტაძე მ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით. ქუთაისი, 2005.

ოთხმეზური 1981: ოთხმეზური გ., XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი, 1981.

როგავა 1962: როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. თბილისი, 1962.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.

სილოგავა 1980: ქართული წარწერების კორპუსი II, ლაპიდარული წარწერები. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი, 1980.

უთურგაძე 1976: უთურგაძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი, 1976.

შოშიაშვილი 1980: ქართული წარწერების კორპუსი I, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XI სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი, 1980.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.92-98>

**თეკლა ბატონიშვილი და ისტორიულ-კულტურული
პარადიგმის ცვლილების დასაწყისი საქართველოში
რუსეთის კოლონიური პოლიტიკის პირობებში**

**Tekla Batonishvili (princess) and
the beginning of the change
of the historical-cultural paradigm in the conditions
of the Russian colonial policy in Georgia**

რუსუდან მიკაუტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

მადონა რობაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Rusudan Mikautadze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Madona Robakidze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

The endless Iranian-Ottoman invasions shook the basics of Georgia's political, economic, and cultural foundations. Persian cultural expansion was especially noticeable in aristocratic circles and endangered the Georgian national thought, for which Western values had been defined since the Middle Ages, as Georgian culture had followed the path of Western development since pre-Christian times. In the XVII-XVIII centuries, the expansion of Persian culture was observed especially in literature and music and created an obvious danger for the degeneration of Georgian national thought. It was in this situation that Erekle II promoted Anton the Catholicos to the royal court, with the help of which appeared the main line against the expansion of Eastern culture and the pursuit of European culture, in which the Russian Empire was to play an important role.

Striving for Russia and giving preference to Russian orientation was not an

easy political move. However, Georgian thinkers believed that this would be the best way for Georgia to get closer to Europe and European culture, that it would be an opportunity to separate from Eastern cultural traditions, the final definition of Georgia's general cultural orientation.

Capitalist relations were slowly being established in the country, the Georgian bourgeoisie was formed, but Russia's colonial policy prevented Georgia from gaining a foothold in the ongoing processes in Europe. The Georgian people were in real danger of degeneration and extinction. Tekla Batonishvili and the advanced Georgian society correctly assessed the created threat and unleashed the national liberation movement in order to preserve their identity. Tekla Batonishvili shared the goals and action plans of the members of the Georgian National Liberation Movement, moreover, her son, Alexander Orbeliani, was one of the organizers of the 1832 conspiracy.

Colonial ideology had a devastating effect on most of the Georgian nobility, who replaced the vital interests of the country with the colonial yoke. But the national spark still lived on in the advanced sections of society. Through their way of life, beliefs, and literary or publicist works, they tried to bring the ideas of enlightenment and European culture to Georgia, which later laid the foundation for a powerful movement of „Tergdaleuli“, a struggle to raise the national self-awareness and self-consciousness of the country.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ორიენტაცია, კულტურული ექსპანსია, განმანათლებლური იდეები.

Keywords: cultural orientation, cultural expansion, ideas of Enlightenment.

გვიანფოდალური საქართველო განუწყვეტლივ იყო თავდასხმის ობიექტი მაჰმადიანური სახელმწიფოების მხრიდან. ირან-ოსმალეთის გაუთავებელმა შემოსევებმა ძლიერ შეარყიეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლები. XVIII ს.-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ირანის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამის დასტური იყო ნადირშაჰის მიერ ქართლში მეფედ თეიმურაზ მეორის, ხოლო კახეთში – მისი შვილის, ერეკლე მეორის დანიშვნა.

ერეკლე მეორის მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის შედეგად ქართლ-კახეთი ეკონომიკურად ნელ-ნელა გაიმართა წელში, გაიზარდა ქალაქების რიცხვი, განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა ხელოსნობა, გაჩნდა მცირე ფაბრიკები და ქარხნები, ფეხის მოკიდება დაიწყო კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა, თანდათან გაიზარდა სავაჭრო და სავაზო კაპიტალის მნიშვნელობა, ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა, გაჩნდა ქართული ბურჟუაზია,

მკვეთრად გამოხატული სახე მიიღო სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დიფერენციაციამ.

ეს იყო პერიოდი, როცა ქართლ-კახეთის სამეფო ცდილობდა დაკავშირებოდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერ სახელმწიფოებს, გაეგზავნა ახალგაზრდები საზღვარგარეთ განათლების მისაღებად, მოეწვია ისეთი ადამიანები, რომლებიც შეძლებდნენ კაპიტალისტური წარმოების შექმნას და განვითარებას ქვეყანაში. როგორც პროფ. ვ. ბერიძე შენიშნავდა: „ადგენენ პროექტებს სახელმწიფო მართვის სისტემის შეცვლის შესახებ, იწყება მუშაობა ჯარის რეორგანიზაციისათვის, აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლებისა და ფულის სისტემის სრულყოფასთან გარდაქმნისათვის, ამუშავებენ კოდექსს მეფის უფლების, სამღვდელოების, მოხელეებისა და სასამართლოს შესახებ, ცდილობენ, მოაგვარონ სკოლის საქმეც“ (ბერიძე 1936).

თუმცა ერეკლე მეორეს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის აღორძინება დროებითი მოვლენა იყო, რომ ქართული სახელმწიფო მარტო ვერ გაუმკლავდებოდა მაჰმადიანურ გარემოცვას და საჭირო იყო ძლიერი მფარველი. სწორედ შექმნილმა ვითარებამ განაპირობა რუსეთის აქტიური გამოჩენა ქართულ სინამდვილეში, როგორც დასავლეთთან დაბრუნების შემოვლითი გზისა. რუსეთის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი საქართველოსთვის არ იყო მარტივი გადასაწყვეტი. ამის შესახებ წერდა კიდევ ბატონიშვილი თეკლა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე გიორგი იძულებული იყო დათანხმებულიყო და აღნიშნავდა, რომ „სცდებიან იგინი და სცოდავენ ღმერთსა, რომელნიცა აბრალებენ ძმასა ჩემსა გიორგის ქვეყნის გაცემას და სამეფოს დაცემას“. მას მიაჩნდა, რომ გიორგი იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა გარეშე მტრული ძალების მეტისმეტი მოძალების გამო.

თეკლა ბატონიშვილის პოლიტიკური მრწამსი ემთხვეოდა იმ პერიოდის ქართველ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა შეხედულებებს, მათ მიზნებსა და მოქმედებას. თეკლა იყო ერთადერთი ერეკლე მეორის შვილებს შორის, რომელიც არ იწონებდა მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მიმართულ მისი დედისა და ძმების ქმედებებს. „ვერ გავამართლებ ვერცა დედასა ჩემსა დედოფალსა დარეჯანსა, ვერც ძმათა და დათა ჩემთა, კარგად ვიცი, როგორ აწუხებდნენ მეფესა“ (უთურაშვილი 1991: 21). იგი ასკვნიდა, რომ ვიყავით ღირსი დასჯისა და დავისაჯენითო.

რუსეთისკენ სწრაფვა და რუსული ორიენტაციისათვის უპირატესობის მინიჭება არ იყო მარტივი პოლიტიკური ნაბიჯი. თუმცა ქართველი მოაზროვნეები მიიჩნევდნენ, რომ ეს იქნებოდა საქართველოსთვის საუკეთესო გზა დაახლოებოდა ევროპას და ევროპულ კულტურას, რომ ეს იქნებოდა აღმოსავლური კულტურისაგან გამიჯვნის შესაძლებლობა, საქართველოს ზოგადკულტუროლოგიური ორიენტაციის საბოლოო განსაზღვრა.

ქართული აზროვნებისთვის ევროპა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში-დანყო განმსაზღვრელი ფაქტორი, რადგან „თავად, როგორც ადრექრისტიანული კულტურა, იმთავითვე დასავლური კულტურის განვითარების კვალში იდგა და იქიდან ამოვარდნას საკუთარი რაობის დაკარგვას უიგივებდა“ (ზახტაძე 2001: 338), ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ეროვნული აზროვნება თავის ტიპოლოგიურ, კერძოდ, დასავლურ ნიშან-თვისებებს ავლენდა და აღმოსავლურობისაგან გამიჯვნას ცდილობდა. ამის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კი ანტონ კათალიკოსი იყო.

XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლურ-სპარსული ელემენტები ფართოდ იყო შეჭრილი ქართულ სინამდვილეში, განსაკუთრებით არისტოკრატიულ წრეებში. ცნობილია ერეკლე მეორის წერილი თეკლასადმი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ვერ გაერჩია თეკლას კალიგრაფია გამოგზავნილ წერილში, რადგან მის მიერ დაწერილი ქართული ასოები უფრო არაბულს გავდაო. სპარსული კულტურის ექსპანსია განსაკუთრებით ლიტერატურასა და მუსიკაში შეინიშნებოდა და ქმნიდა აშკარა საშიშროებას ქართული ეროვნული აზროვნების გადაგვარებისთვის. სწორედ ასეთ სიტუაციაში დააწინაურა სამეფო კარზე ერეკლე მეორემ ანტონ კათალიკოსი, რომლის დახმარებითაც გამოჩნდა მაგისტრალური ხაზი აღმოსავლური კულტურის ექსპანსიისათვის ზღვარის დადებისა და ევროპული კულტურისკენ სწრაფვისა, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი რუსეთის იმპერიას უნდა შეესრულებინა.

მაგრამ 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი, რომლითაც ქართველი ერი სახელმწიფოებრიობას ინარჩუნებდა, რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოდ დაარღვია, ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, შემდეგ კი დანარჩენი პოლიტიკური ერთეულები მოაქცია იმპერიის შემადგენლობაში. ქართველი ერი სხვისი ბატონობის უღელქვეშ აღმოჩნდა. რუსეთის იმპერია არად დაგიდევდათ თავის ბატონობაში მოქცეული პატარა ერების სასიცოცხლო ინტერესებს და მათ გაქრობა-ჩაყლაპვისა და გადაგვარება-ასიმილაციისთვის არაფერს იშურებდა.

დასავლური კულტურული ღირებულებებისკენ სწრაფვა ქართველი ხალხს გადაგვარება-მოსპობის რეალობად ექცა. მოწინავე საზოგადოებამ სწორად შეაფასა შექმნილი საფრთხე და გააჩაღა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი იდენტობისა და რაობის შესანარჩუნებლად.

როგორც ჩანს, თეკლამ თავიდანვე აუღო ალღო რუსული კოლონიური პოლიტიკის არსს არა მხოლოდ სამეფო ოჯახის, არამედ მთელი ქვეყნის მიმართ. რუსი ჩინოვნიკები ცდილობდნენ, ამოეძირკვათ ყველაფერი: ქართული, ენა, ტრადიციები, განათლება, წარმოეჩინათ ქართველი ხალხი ველურებად, არაცივილიზურებად. ამიტომ ცდილობდა თეკლა დაერწმუნებინა თავისი მეუღლე, ვახტანგ ორბელიანი, რომ 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს კახელების მხარე დაეჭირა და არა რუსებისა.

თუმცა რუსი მმართველები ქართველ თავადებს ოჯახების ამოწყვეტით ემუქრებოდნენ, თუ მათ მხარეს არ დაიჭერდნენ. ამ მიმომე მდგომარეობაში თეკლას გადაწყვეტით უთქვამს მეუღლისთვის: „ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ რაც ერთიან კახელებს მიუდგეთ, წადით, ნულარ დააყოვნებთ რამეს. აქ ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს, თქვენს ცოლ-შვილებს, თუნდა სულ ერთიან ლუკმა-ლუკმად დაგვჭრან, ეს არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენს ძმებს, კახელებს“ (უთურაშვილი 1991: 24).

თეკლა დიდ დროს უთმობდა თავისი ვაჟების ეროვნულად აღზრდის საქმეს, მათ ზნეობრივ, ფიზიკურ, მუსიკალურ აღზრდას. ალექსანდრემ, დიმიტრიმ და ვახტანგმა, დედის გავლენით, შესანიშნავი განათლება მიიღეს. ალექსანდრემ, ქართულთან ერთად, იცოდა რუსული და თურქული, ვახტანგი კი შესანიშნავად ფლობდა ფრანგულს. თეკლას დამსახურებით, მისი შვილები გადაურჩნენ ეროვნული სულის გამხრწნელ პოლიტიკას რუსეთის მხრიდან, რადგან ვახტანგ ორბელიანმა ჩინ-მედლებზე გაცვალა სამშობლო, გადავიდა რუსეთის მხარეზე, აითვალწუნა ქართული ენა და თურმე ჯავრობდა, რომ მისი შვილები ქართულ წერა-კითხვას სწავლობდნენ. თეკლას ხშირად მოჰყავდა თავისი შვილებისა და რძლებისთვის ქეთევან დედოფლის მაგალითი და თვითონაც გმირულად შეხვდა იმ განსაცდელებსა და გადასახლებას, რომელიც რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა არგუნა მის ოჯახს.

თეკლა და მისი სამივე ვაჟი აქტიური მონაწილეები იყვნენ 1832 წლის შეთქმულებისა, ალექსანდრე კი მისი ერთ-ერთი ორგანიზატორიც გახლდათ. აჯანყება ვერ განხორციელდა მოლაღატეობის გამო. თეკლას სამივე ვაჟი მოუნახულებია საპყრობილეში განაჩენის გამოტანის წინ და გაუმხნევებია ქართველი მეფეების გმირობის ისტორიული მაგალითებით.

თეკლა ბატონიშვილი გამოცდილი დიპლომატიც ჩანს, რომელიც კარგად იცნობდა ცარისტულ ცენზურას. ამიტომაც შვილებისადმი გაგზავნილ წერილებში იგი რუსეთის იმპერატორს (ნიკოლოზ პირველს) კეთილმოწყალე და სამართლიან ხელმწიფედ მოიხსენიებდა. ეს ერთგვარი ტაქტიკური მანევრი იყო, რათა რუსთა მმართველობის გული მოეგო და მისი ვაჟი ალექსანდრე ეხსნა სასიკვდილო განაჩენისაგან. თუმცა გადასახლებას ვერც თვითონ გადაურჩა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ დაუმტკიცდა შეთქმულებაში მონაწილეობა. 1834 წლის აგვისტოში იგი სამუდამოდ გადაასახლეს კალუგაში თავის ვაჟთან, ვახტანგთან ერთად, მაგრამ იმპერატორის ნებით მომდევნო წლის გაზაფხულზე უკან დაბრუნდა საქართველოში.

ილია ჭავჭავაძე თეკლას დახასიათებისას შენიშნავს, რომ იგი განათლებული ყოფილა, იცოდა საღმრთო წერილი, მისდროინდელი ქართული მწერლობა. შემკული ყოფილა ჭკუით, სიბრძნითა და სათნოებით, ამასთანავე გამოირჩეოდა დიდი მხნეობითა და გამჭირაზობით. ერეკლე მეფეს თავისი უმცროსი ასული განსაკუთრებით ჰყვარებია და ხშირად

უთქვამს თურმე: „ჩემს ვაჟიშვილებს თეკლას სიკეთე რომ სჭირდეთ, ზედნიერი ვიქნებოდით“ (ჭავჭავაძე 1953).

ანტიკოლონიური გამოსვლების მარცხმა, სახელმწიფოებრიობის მოშლამ, ცარიზმის მზაკვრულმა პოლიტიკამ ქართველი არისტოკრატის ოჯახები დააბნია, ბევრი მათგანი ჩინ-მედლების ბრწყინვალეობამ მოხიბლა და რუსი კოლონისტების სამსახურში ჩააყენა. რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკა ითვალისწინებდა თავადაზნაურობის გადაგვარებას, ამ მიზნით სათამაშო სახლების, ტრაქტირების გახსნას, რამაც ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილის ზნეობრივი დაცემა და გაფუქსავატება გამოიწვია. ბევრი მათგანი ყიდდა მამულებს, რომლებსაც ქაღალდის, ბილიარდის თამაშში აგებდა, ხშირი იყო მამულების გამო საჩივრები, ჩხუბი და აყალ-მაყალი. ვ. ორბელიანი შენიშნავდა, რომ რუსების მოსვლამდე მთელი საქართველო რომ შემოგეარათ, ერთ „შეგარცხვინოს“ ვერ გაიგონებდი, არამცთუ ლანძღვა-გინება გაეგონათ ერთმანეთში. ეხლა შემოვიდა ამ რუსების დროსა რუსეთის მუჟიკების ლანძღვა და გინება, თორემ უწინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართველოში. ეს იყო ნაკლულოვნება უწინდელს დიდკაცებში, რომ ერთმანეთის მოშურნენი იყვნენ“ (უთურაშვილი 1991: 68).

ეროვნული მუხტის შესუსტებამ და ქართველი არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილის რუსეთის მხარეზე გადასვლამ თეკლას ვაჟების, განსაკუთრებით ალექსანდრეს ჯანმრთელობის გაუარესებამ გადასახლების შედეგად და ოჯახურმა ტრაგედიებმა თავისი კვალი დატოვა მათ ოჯახზეც. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თეკლა მეტწილად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით არის დაკავებული და ცდილობდა, ფეხი აეწყო ახლადმემოჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობებისთვის საქართველოში. იგი გახლდათ ერთ-ერთი პირველი, რომელმაც თავის მამულში (თბილისის გარეუბანში) გააშენა ბაღი და დაიწყო დაქირავებული შრომის გამოყენება. მასთან გარიგების საფუძველზე მუშაობდნენ იმერეთიდან ჩამოყვანილი მებაღეები. ბაღის შემოსავალი წლიურად 160 მანეთიდან 500 მანეთამდე გაზარდა. მასვე, სოფ. ასანხოჯალოში, მაშავერას ნაპირზე, რომელიც მას მზითევში ერგო დედის მხრიდან, გაუყვანია სარწყავი არხი, რითაც შრომა გაუადვილა და მოსავალი გაუმრავლა მის კუთვნილ 40 კომლ თათრების ოჯახს. სოფელი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა თეკლას ოჯახს პურიით. თეკლას ოჯახი მანავში ამუშავებდა ზვარს და იქიდან მიღებული ღვინის დიდ ნაწილს ბაზარზე ყიდდა. გარდა ამისა, რუსული სახელმწიფოსგან ის იღებდა პენსიასაც, თუმცა მაინც უჭიოდა ფინანსური სახსრების ნაკლებობას.

თეკლას ალლო და გამჭრიახობა გამოიკვეთა გირავნობის წესით გასესხებაში, ანუ მევახშეობაში, რომლითაც მაშინ დაკავებული ყოფილა ფეოდალური არისტოკრატის ოჯახები. ამაზე მეტყველებს რამდენიმე

ცნობა სესხის გაცემისა სარგებლით და მოვალის სახლის დაგირავებისა, ბოლოს ამ სახლის თეკლას სარგებლობაში გადასვლის შესახებ. თუმცა ჩანს, რომ თბილისის ბურჟუაზია ანგარიშს უწყევდა თეკლას წარმომავლობას და აუქციონზე მას კონკურენტი არ გამოსჩენია, რაც იშვიათი მოვლენა იყო იმ პერიოდში. თეკლას ოჯახი (იგი სიცოცხლის ბოლომდე, 1776-1846 წლებში ცხოვრობდა უფროს ვაჟიშვილ ალექსანდრესთან და მის ოჯახთან ერთად) რენტაბელურად იყენებდა შემოსულ ფულად სახსრებს და ცდილობდა ახალი დროისთვის ფეხის აწყობას. მათ მოახერხეს მეურნეობის გარდაქმნა კაპიტალისტურ ყაიდაზე და თავიდან აიცილეს ქონებრივი დეგრადაცია, განსხვავებით თავადაზნაურთა ბევრი სხვა ოჯახისაგან. მისმა ვაჟებმა და მათმა შემოქმედებამ გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოში XIX ს.-ის მეორე ნახევრის განმათავისუფლებელი იდეების ჩამოყალიბებაში.

თუმცა ქართული კულტურა ამ პერიოდში რჩება იმ პროცესების მიღმა, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს ევროპის ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბებას იწყებს ახალი მეცნიერული პარადიგმა, იწყება სოციალურ-პოლიტიკური და მენტალური ცვლილებები, იქმნება ინდივიდუალისტური საზოგადოებები, ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის კულტი. რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ დაამაბუნა ქართული ეროვნული ცნობიერება და თვითშეგნება, თუმცა მიმიედ, მაგრამ მაინც მასში აღწევს ახალი დროის ევროპული კულტურის ზოგიერთი თვისება, მაგალითად, განმანათლებლური იდეები, რომელთა იმპორტს რუსეთის გავლით ეწეოდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მათ შორის თეკლას ვაჟი ალექსანდრე ორბელიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბახტაძე 2001: ბახტაძე ი., ქართული კულტურა-დასავლეთი. თბილისი, 2001.

ბერიძე 1936: ბერიძე ვ., დავით რექტორი - ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი. თსუ შრომები, ტ. I. თბილისი, 1936.

უთურაშვილი 1991: უთურაშვილი ი., თეკლა ბაგრატიონი. თბილისი, 1991.

ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე ი., თხზულებები, ტ. III. თბილისი, 1953.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.99-111>

**შტრიხები ბარბარე ჯორჯაძის
ლიტერატურული პორტრეტისათვის**

**Strokes by Barbare Jorjadze
for a literary portrait**

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Avtandil Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

Assessing the role of Barbare Jorjadze (1833-1895) in the history of Georgian literature, the fact that she was an active participant in the struggle between the generations in the 60s and 70s of the XIX century and uncompromisingly defended the conservative position of the older generation became more interesting than her literary heritage. Views. It should also be emphasized that B. Jorjadze was the first professional female writer in Georgia, who made creative work the main direction of her life. she was even such a popular figure at the time that the authors of many letters and poems about their author, published in periodicals at the time, praised her work, especially the performances based on her plays. Unfortunately, this creative popularity of Barbara Jorjadze turned out to be so short that „the author herself lived longer than his work“ (Vakhtang Kotetishvili).

The interest of today's readers in the work of Barbare Jorjadze is essentially determined by the fact that through her we are given even more opportunities to know the reality of Georgia in the time of the writer.

Barbare Jorjadze's writing abilities were most evident in her prose texts. The two main factors that made such an assessment of his work created in this genre became the following: The narrative drama of the stories narrated in them and the linguistic controversy, which is significantly different from the poetic texts, the obvious distancing of the narration from the old Georgian grammatical forms and the closeness to the spoken speech. Of Barbare Jorjadze's prose works, the novelistic texts about the invasion of the armed gangs of the North Caucasus Mountain tribes in Kakheti and the decrease of the local population in Kakheti are especially important for today's readers. In the writer's prose narratives, this tragic event is first and foremost connected with Shamil's name.

Barbare Jorjadze's creative recognition was also related to the success she achieved with the performances based on her plays. In particular, her dramatic works were very popular in the writers' life and were firmly established in the repertoire of Georgian theaters of that time.

One of the main factors determining the interest of today's readers in the creative heritage of Barbare Jorjadze should be considered the fact that the writer often appeared in the role of an active defender of women's rights. From this point of view, her artistic-publicist texts, as well as her active practical participation in public activities are extremely interesting.

საკვანძო სიტყვები: ბარბარე ჯორჯაძე, თაობათა ბრძოლა, პროზა, პიესები, შამილი.

Keywords: Barbare Jorjadze, generational struggle, prose, plays, Shamili.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ბარბარე ჯორჯაძის როლის შეფასების დროს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე უფრო მეტი ინტერესის საგნად ის ფაქტი იქცა, რომ იგი XIX საუკუნის 60-70-იან წლებში „მამათა“ და „შვილთა“ შორის გამართული ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო და უკომპრომისოდ იცავდა ძველი თაობის წარმომადგენელთა კონსერვატიულ შეხედულებებს. არადა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენი მწერლობის დიდოსტატთა მხატვრულ ნააზრევთან შედარებით აშკარად შექმნიმცხრალია და ნაკლებად ფასეული, თავისი მხატვრული შემოქმედებითაც და პუბლიცისტური ნააზრევითაც მან მაინც შეძლო მოკრძალებული წვლილის შეტანა შესაბამისი პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ბარბარე ჯორჯაძის მწერლური მემკვიდრეობის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებას უნდა მივაქციოთ, რომ იგი ქართული მწერლობის ისტორიაში ქრონოლოგიური თვალსაზრისით პირველი პროფესიონალი ქალი მწერალი იყო, რომელმაც შემოქმედებითი მოღვაწეობა თავისი ცხოვრების უმთავრეს მიმართულებად აქცია. მართალია, პოეტურ სიტყვასთან წილნაყარი ქალი ავტორები ჩვენს ლიტერატურაში მანამდეც გვხვდებოდნენ, მაგრამ ამ მიმართულებით გამოვლენილი მათი შესაძლებლობები ნაკლები მასშტაბის მომცველ მოვლენას წარმოადგენდა და ხსენებულ პიროვნებათა ცხოვრებაში მხოლოდ ეპიზოდურად ვლინდებოდა.

ბ. ჯორჯაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში იმდენად პოპულარული პიროვნება იყო, რომ მის შემოქმედებასთან, განსაკუთრებით კი მისი პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებთან, დაკავშირებით იმხანად მრავლად გამოქვეყნებული წერილებისა და მწერლისადმი

მიმდინელი ლექსების ავტორები მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის შემოქმედებით მოღვაწეობას. მაგალითად, ეფემია ანდრონიკაშვილი მას „მარად ბრწყინვალე მზეს“ ადარებდა, გიორგი თუმანიშვილი კი მას ამ სიტყვებით ასხამდა ხოტბას: „ჰოი მნათობო კახთა შორის და მდედრთა სქესო, სწორ-უპოვარო, უცხო მთქმელო და უტურფესო, ძვირფასო უნჯო, მშვენიერო და უაღრესო, ოქროდ მოიმიკის, რაც ცისკარში კალმით დასთესო... პოეტავ დიდო! არ დაგეშრება სიტყვათა წყარო!“ (კოტეტიშვილი 1965: 291).

ბარბარე ჯორჯაძისადმი ამგვარ დამოკიდებულებას არა მარტო დღესდღეობით ნაკლებად ცნობილი პიროვნებანი გამოხატავდნენ, არამედ მაშინდელი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც. მათ შორის აქ, პირველ ყოვლისა, აკაკი წერეთელი მინდა გავიხსენო. მიუხედავად თაობათა შორის გამართულ უკომპრომისო დაპირისპირებაში ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ პოზიციებზე დგომისა, ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებას აკაკი არა მარტო ზეპირსიტყვიერი სახით აძლევდა მაღალ შეფასებას, არამედ წერილობითი ფორმითაც. ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებისადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის გარემოება, რომ მას იგი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ წარმატებულ პირველ ქალ მწერლად მიიჩნევდა.

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს გაზეთ „დროების“ 1868 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილიდან „რამოდენიმე სიტყვა შესახებ ვ. ბ. ჯორჯაძისა“: „გოლვიან ზაფხულში, როდესაც დამწვარი და ნაყოფის ვეღარ აღმომცენი დედა-მიწა მხოლოდ მარტო მტვერს იდენს გახურებულს ზურგზედ, სადმე მოწმენდილ ცის კიდეზედ ერთი ნაგლეჯი ღრუბლის, თავის თავად ვერ შემძლებელი ვერც ჰაერის გაგრილებისა და გაწმენდისა და ვერც დედა-მიწის დაღბობისა, ყოველის კეთილ-მუშაკის გულს ახარებს!.. სურვილი მოჰკვრის მას სხვა და სხვა იმედებს და სიხარულით ეუბნება კეთილი მუშაკი თავის თავს: „კიდევ სადმე გამოჩნდებიან, ღვთის მადლით, ამ ცაზედ სხვა ნაგლეჯებიც ღრუბლისა, შეუერთდებიან ერთმანეთს, დაჰფარვენ სრულიად ცას და იწყებენ წვიმას, რომლითაც გაიწმინდება ჰაერი და იხარებს დამზალი, გულ-მამდარი და გულ-უხვი დედა-მიწაც.“ – ამ ღრუბლის ნაგლეჯის მსგავსად მოსჩანს ჩვენში ჯერ მხოლოდ მარტოთ ვ. ბ. ჯორჯაძისა“.

სამწუხაროდ, ვ. კოტეტიშვილის ხაზგასმით, ბარბარე ჯორჯაძის ამგვარი შემოქმედებითი პოპულარობა იმდენად ხანმოკლე გამოდგა, რომ „თვით ავტორმა უფრო დიდხანს იცოცხლა, ვიდრე მისმა შემოქმედებამ“ (კოტეტიშვილი 1965: 290).

როგორც ითქვა, ბარბარე ჯორჯაძე XIX საუკუნის 60-70-იან წლებში თაობათა შორის გამართული ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო და იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული თავისი წერილებით უკომპრომისოდ უპირისპირდებოდა ილია ჭავჭავაძესა და ახალი ლიტერატურული თაობის სხვა წარმომადგენლებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პაექრობასთან დაკავშირებული საკითხები დღესდღეობით

კარგადაა ცნობილი, ამ დაპირისპირებაში ბ. ჯორჯაძის მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებ; ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მისი შემოქმედებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძემ მოგვიანებით აშკარად შეიცვალა. სწორედ ამის თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მისი რედაქტორობით გამომავალი „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ბარბარეს მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტებიცა და მის შემოქმედებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული წერილებიც.

ბარბარე ერისთავი, რომელიც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში მისი მეუღლის – ზაქარია ჯორჯაძის გვართაა დამკვიდრებული, დაიბადა 1833 წელს თელავის მახლობლად მდებარე სოფელ ქისტაურში. ბარბარეს მწერლური ინტერესების ჩამოყალიბებაზე არსებითად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მისმა უფროსმა ძმამ, ცნობილმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა, რომელსაც იგი თავისი „სულიერი მამის“ სახელითაც მოიხსენიებდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ბარბარეს სასკოლო განათლება არ ჰქონია მიღებული, თვითგანვითარების გზით მან მაინც შეძლო, მრავალმხრივად განსწავლულ პიროვნებად რომ ჩამოყალიბებულიყო.

ბარბარე მშობლებს თორმეტი წლის ასაკში მიუთხოვებით სოფელ გრემში მცხოვრები ზაქარია ჯორჯაძისათვის, რომელიც ცხოვრებისეულ ასპარეზზე ხელმოცარულ პიროვნებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საარსებო სახსარის მოსაპოვებლად ზაქარიას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში უხდებოდა სამსახური, მის ამგვარ მცდელობებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მათ ოჯახს ფაქტობრივად მკვიდრად საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონია.

1889 წელს ბარბარე და მისი მეუღლე საცხოვრებლად აზერბაიჯანის ქალაქ ლენქორანში გადავიდნენ, სადაც მათი ვაჟი მაზრის უფროსის თანაშემწედ მუშაობდა. უცხო გარემოში მცხოვრები ბარბარეს სულიერ დეპრესიას კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შესძინა მეუღლის გარდაცვალებამ.

როგორც რაფიელ ერისთავისთვის ლენქორანიდან გამოგზავნილი წერილიდან ვიგებთ, სულიერადაც და ეკონომიკურადაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მწერალს გადაუწყვეტია სიცოცხლის დარჩენილი დღეები მონასტერში გაეტარებია. კერძოდ, აი. რას წერდა იგი თავის ძმას ამასთან დაკავშირებით: „ძმაო, ეხლა ჩემი შენთან სავედრებელი ეს არის – აღმისრულო ეს ჩემი თხოვნა: მომწყინდა უსიამოვნო ქვეყანაში ცხოვრება და მინდა ერთი დღის სიცოცხლე მონასტერში გავატარო. მიმიღებენ მცხეთაში, რომ შევიდე მწირად თუ არა? მე ხომ დიდი ფული არა მაქვს რა... ამ ჩემს მოწერას ნურავისთან გაამხელ, და თუ მიმიღებენ, მაცნობე. მინდა ეს ჩემი განზრახვა შევასრულო და ვიყო მლოცველი შენი და შენი ცოლ-შვილისა“ (ირემადე 1946: 41).

სამწუხაროდ, ბევრი სხვა სურვილის მსგავსად, ბარბარემ ოცნება ვერ აისრულა და იძულებული გახდა 1893 წლამდე კვლავაც ლენქორანში

დარჩენილიყო, 1893 წელს კი შეძლო, მშობლიურ კახეთში რომ დაბრუნებულიყო. 1895 წლის აპრილში თბილისში მომავალი ბარბარე გომბორის გზაზე ცუდად გახდა და გარდაიცვალა. დასაფლავებულია თელავში.

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მისი მეშვეობით კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა გვეძლევა მწერლისდროინდელ საქართველოში არსებული რეალობის შეცნობისა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისეული ნააზრევი მხატვრული ოსტატობის მხრივ ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოისუსტებს და აშკარად თვალხილული ფორმითაა აღბეჭდილი ქართველ რომანტიკოსთა და მომდევნო ლიტერატურულ თაობათა წარმომადგენლების, პირველ ყოვლისა კი გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებითი ზეგავლენით, მისი მხატვრული ნააზრევი მაინც ქმნის გარკვეულ საფუძველს იმის სათქმელად, მწერალმა ახალი შტრიხებით რომ შეძლო წარმოესახა თავის დროის ქართული ყოფითი რეალობა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ბარბარე ჯორჯაძის ის ლექსები, სადაც თავისი დროის ქართული ყოფა მწერალს, ერთის მხრივ, წარსულთან მიმართებით აქვს წარმოსახული, მეორეს მხრივ კი მომავლის იმედიან პერსპექტივასთან მისადაგებული ფორმით. მაგალითად, გრემის ნაქალაქევის ნანგრევებთან განმარტოებული პოეტი წარსული დიდების იავარქმნითა და აწმყო მდგომარეობის უპერსპექტივობით განპირობებულ თავის გულისტკივილს ერთმანეთთან შეპირისპირებული სახით ამგვარად გამოხატავს (ჯორჯაძე 1988: 22):

აველ გალავანს შემოზღუდულსა,
ტამარსა, ტახტსა შეურყეველსა,
მთავარ-ანგელოზად სახელდებულსა,
ყოველთ მორწმუნეთ მახარობელსა.
განვჰკრთი მშვენიერებ ძველ ხელოვნურსა
ლეონ მეფის მიერ ჰაზრს გონივრულსა,
რისთვის და ვისთვის აღშენებულსა,
გარნა საგნისთვის გაცუდებულსა...
დავსცრემლე გრძნობით, გავბედე თხრობა:
აღზდეგ, მეფეო, განცვიფრდე რომა,
გაკვირვებს ვგონებ კი არ რაობა,
რავდენ საგანზედ ჰქმნა მგლოვარობა!
ღვაწლიც შენებრივ მტრათ ქცეულა,
ტახტ-გვირგვინი შენი გადაქცეულა,
ქალაქი მტერთგან ვით დანგრეულა,
ამასთან შურიც განქარვებულა.

ქართველ რომანტიკოსთა პატრიოტული საგოდებლების აშკარა ზეგავლენით აღბეჭდილი ამ ლექსით ავტორმა ნათლად გამოხატა წარსულ დროებასა და აწმყო სინამდვილეს შორის არსებული კონტრასტული

განსხვავებულობით განპირობებული ის გულისტკივილი, რომელიც მისი პოეტური ნააზრევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს.

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებაში ეროვნული პრობლემის გააზრებას დიდი მასშტაბი შესძინა იმ ფაქტმა, რომ უმძიმესმა პირადცხოვრებისეულმა რეალობამ პოეტი იძულებული გახადა, სიცოცხლის გარკვეული პერიოდი სამშობლოსაგან შორს, ლენქორანში, გაეტარებინა. სწორედ ამ გარემოებით განპირობებული ნოსტალგიური გრძნობა გამოხატა მან ლექსში „ლენქორანი“, სადაც სამშობლოსაგან იძულებითი განშორებით განპირობებული სულიერი სასოწარკვეთა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის უმძიმეს ეპიზოდებთან მისადაგებული ფორმითაა გამოხატული (ჯორჯაძე 1988: 29):

ქვეყნები ესე სხვა და სხვა სევდას სევდაზედ მიმატებს,
 სპარსთაგან წინაპართ ტანჯვას თვალწინ მიხატავს, მაგონებს.
 მუსრს რომ ავლებდნენ ჩვენს მხარეს, ჩვილ ყრმათა კალო მოღლეწეს,
 მით ვერ აძლობდნენ მძვინვარეს, ქვა ქვაზედ აღარ გაუშვეს...
 სად იყო მათი სამსობლო, განხრწილი ძვლების მფარავი!
 ჰსჯიჯგნინდა ყვავი, ყორანი, ეს იყო შესაზარავი...
 შემთხვევით გადმოვიკარგე, მოვშორდი ტკბილსა სამშობლოს,
 და ვაჰ, თუ შავი სამარე აქ გამითხარონ მეც ბოლოს.

ბ. ჯორჯაძის ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვის რომანტიზებული ფორმით წარმოსახვა ორგანულად აღმოჩნდა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ისტორიული და თანადროული ყოფის საჭირბოროტო პრობლემათა გააზრებასთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე იმ ბრძოლათა ამსახველი ეპიზოდების მხატვრულ-დოკუმენტური ფორმით წარმოჩენა, რომელთაც საქართველოს ცალკეული მხარეების ასაკლებად მართავდნენ ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი მოსახლეობის შეიარაღებული ბანდები. როგორც ბ. ჯორჯაძის ბიოგრაფიიდან ცნობილია, ამ ტრაგიკული მოვლენის შესახებ მწერალმა არა მარტო სხვათა მონათხრობებიდან და ისტორიული მასალებიდან იცოდა, არამედ ამ თავდასხმათა საფრთხე თავად მასაც და მის მახლობელ ადამიანებსაც განუცდიათ არაერთგზის.

ეს ყველაფერი ბარბარე ჯორჯაძემ ღრმად შთაშვებულად ფორმით ასახა იმ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტებში, რომლებშიც კახეთში შამილის შეიარაღებული რაზმების ლაშქრობებთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი. კახეთის ასაკლებად ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა, კერძოდ კი ლეკთა, შემოჭრის შედეგად შექმნილი ტრაგიკული რეალობა წარმოსახა ბარბარე ჯორჯაძემ პოემაში „შუამთის მონასტრის მწირი“. კერძოდ, ხსენებულ ნაწარმოებში ავტორი გვიამბობს XVI საუკუნეში კახეთის ამ სოფელში კახთა მაშინდელი მეფის – ლევანის მიერ მისი ყოფილი მეუღლის თხოვნით აგებულ მონასტერში სტუმრობის ამბავს. როგორც ცნობილია, ლევანისა და მისი გურული მეუღლის – თინათინის

დრამატული ოჯახური თავგადასავალი ისტორიული სიმართლით არის მოთხრობილი ვასილ ბარნოვის რომანში „მიმქრალი შარავანდედი.“ ულრან ტყეში მდებარე ამ მონასტერში სტუმრად მისულ პოეტს იქ მყოფმა ბერმა იქაურობა დაათვალიერებინა და თინათინის მონაზვნურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბის მოთხრობის შემდეგ თავისი ოჯახური ტრაგედიაც უამბო. ბერის მონათხრობისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მისი მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება კახეთის ასაკლებად შემოჭრილ ლეკთა ვანდალიზმზე. ბერის ნაამბობს მეტ სიმბაფრეს ისიც სძენს, რომ ამ ვანდალიზმის მსხვერპლად ქცეულ პიროვნებებს თავად ისიცა და მისი ოჯახის წევრებიც წარმოადგენდნენ.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ ბარბარე ჯორჯაძის მწერლური შესაძლებლობები ყველაზე მეტად მის პროზაულ ტექსტებში გამოვლინდა. ამ ჟანრში შექმნილი მისი ნაწარმოებებისთვის ამგვარი შეფასების მიცემის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორებად, ჩემი აზრით, ორი უმთავრესი გარემოება იქცა: მათში მოთხრობილ ამბავთა სიუჟეტური დრამატიზმი და პოეტური ტექსტებისაგან მნიშვნელოვანწილად განსხვავებული ენობრივი სისადავე, ძველქართული გრამატიკული ფორმებისაგან მისეული მონათხრობის აშკარა დისტანცირება და სასაუბრო მეტყველებასთან სიახლოვე.

ბარბარე ჯორჯაძის პროზაული ნაწარმოებებიდან დღევანდელი მკითხველისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნოველისებური ტექსტები, რომლებშიც კახეთის სოფლებში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ტომთა, უმთავრესად ლეკთა, შეიარაღებული ბანდების შემოჭრის ამსახველი ამბებია მოთხრობილი. როგორც ითქვა, მწერალმა, როგორც ამ კუთხეში დაბადებულმა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქვე ნაცხოვრებმა პიროვნებამ, ხსენებული ტრაგიკული მოვლენის შესახებ არა მარტო წიგნებიდან და სხვათა ნაუბრებიდან იცოდა, არამედ თავადაც არაერთგზის გამხდარა კახეთში ლეკთა შემოსევებისა და მათ მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის აკლება-აწიოკების პირადად მხილველიც. აქედან გამომდინარე, ხსენებული პროზაული ტექსტები დღევანდელი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო ქმნილებებად, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებული ეპიზოდების მოთხრობის თვალსაზრისით უნდა მივიჩნიოთ. მათი მეშვეობით მწერალი ამ რეალობის უშუალოდ თვითმხილველი პიროვნების ემოციით მოგვითხრობს კახეთში ლეკთა შეიარაღებული რაზმების შემოჭრასა და მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევასთან, ხოცვა-ჟლეტასა და მათი სახლ-კარის გადაწვასთან დაკავშირებულ ამბებს.

მწერლის მიერ მოთხრობილი ამ ვანდალიზმის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტს ერთ-ერთი მათგანიდან: „ოთხ ივლისს, რიჟრაჟზედ, ფოხლიდგან ლეკის ჯარი ჩამოიშალა და ორ ნაწილად გაიყო. ერთმა ნაწილმა ალაზნის გამოღმით გამოსწია და მეორე ნაწილი მიუბრუნდა შილდას. იქ წაუკიდეს სახლებს ცეცხლი. ვინც

სადმე სიმაგრეში შეხიზნულები იყვნენ, იმათ აღარ მიუტრიალდნენ, ხოლო თავიანთ სახლებში ვინც კი იყვნენ, დაერივნენ იმათ. შეიქმნა სისხლის ღვრა. დედას ხელიდგან სტაცებდნენ ჩვილ შვილს და თვალწინ ახლიდენ მიწაზედ. ვინ იცის, რამდენი სული კაცი და დედაკაცი ტყვედ გაისტუმრეს და რამდენი საცხოვრებელი აიკლეს...

ლეკებმა ახლა საბუისკენ გამოსწიეს, წაუკიდეს ცეცხლი სახლებს და ვისაც-კი მოახლებდნენ სადმე, ჰხოცდნენ უწყალოდ“ (ჯორჯაძე 1986: 77).

ავტორისეულ მონათხრობს კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ის ფაქტი, რომ კახეთის ასაკლებად შემოჭრილ მძარცველთა წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის თავგანწირულ ბრძოლასთან დაკავშირებული ცალკეული ეპიზოდები მწერალს რომანტიზებული ფორმით აქვს მოთხრობილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნოველა „დიკლო-შენაქოში“. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად მოკლედ გავიხსენოთ ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა.

ნოველის დასაწყისში მწერალი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს კავკასიის მკვიდრთა ყოფაში დამკვიდრებულ იმ ტრადიციას, რომელსაც გარანტირებულად მყარი საფუძველი უნდა შეექმნა ამ რეგიონში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. კერძოდ, ავტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „ძველისძველად კავკასიის მთის სხვადასხვა სოფელში, სადაც ცხოვრობენ ლეკნი, დიდონი, ქისტნი, ხევსურნი და თუშნი, ჩვეულებათ დაედოთ, რომ ერთი თემი მეორე თემს მოციქულებს მიუგზავნიდა, ჩვენში ზავი დავდოთო და რამდენი წლითაც ორივე მხარეს ჰსურდა, ზავს დასდებდნენ... ზავის დამდებნი ისე იყვნენ შეკრულნი მტკიცე პირობით, რომ არც ერთ მხარეს არ შეეძლო დანიშნულ ვადამდის მიხდომა, ტყვეების მოტაცება და სისხლის ღვრა“ (ჯორჯაძე 1986: 45).

დიდოელთა ნაიბი ამირხანი და დიკლო-შენაქოს თუში მოსახლეობა სწორედ ასეთი სამშვიდობო ზავის საფუძველზე შეთანხმდნენ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ერთმანეთს არ უმტრობდნენ და მშვიდობიან ურთიერთობას შეინარჩუნებდნენ. მაგრამ დიდოელთა ბელადმა თუშებისათვის მიცემული პირობა დაარღვია და იგი დიდძალი რაზმით შეიჭრა დიკლო-შენაქოში. ამირხანის მიერ მიღებული ამ მზაკვრული გადაწყვეტილების შესახებ თავის თუშ მეგობარს – ღვთისიას რამდენიმე საათით ადრე ამცნო მასთან ფარულად მისულმა დიდოელმა ყონაღმა. ღვთისიამ ეს ამბავი თანასოფლელებს შეატყობინა და მზაკვრულად მომხედური მტრის მოსაგერიებლად თუშები საბრძოლველად მოემზადნენ. ღვთისია და მისი ოჯახის წევრები საკუთარ კოშკში გამაგრდნენ და სოფელში შემოჭრილ დიდოელ ლეკებს, რომელთაც თუშთა საცხოვრებელ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს.

ლეკთა ბარბაროსულ ქმედებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან: „დიკლოსა და შენაქოს ხალხი აიშალა. შეიქმნა წივილ-კივილი და

უშველებელი ვაების ხმა. ლეკნი გულ-დამშვიდებულ თუშებს შემოესივნენ და შეიქმნა სისხლის ღვრა... თუშები ძალზედ ომობდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ სამი ათასიან ლეკის ჯართან. ლეკნი ხოცავდნენ ხალხს... იყო ერთი საშინელება“ (ჯორჯაძე 1986: 48).

თუშთა ამგვარი მდგომარეობა კიდევ უფრო უნუგეშო გახადა იმან, რომ მათ ტყვია-წამალიც გაუთავდათ. ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში აღმოჩენილმა ღვთისიამ, რომელიც კოშკში თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებთან ერთად იყო გამაგრებული, გადაწყვიტა, მასთან ერთად მყოფნი კოშკში ჩაკეტილი დაეტოვებინა, თავად კი გარეთ გამოსულიყო და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე განეგრძო ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. მაგრამ მის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად აღუდგება წინ მეუღლე და თავის ამგვარ ქმედებას მას ამ სიტყვებით განუმარტავს: „რას შერები, ღვთისიავ! მანამ ცოცხალი ვარ, სად გაგიშვებ?! განა ეს შენისთანა კაცისთვის პატიოსნებაა, დედა და ცოლი გაგიუპატიურონ, შენი საყვარელი შვილი კი ტყვეობასა და სატანჯველს გამოატარონ? არ იცი, რომ ჩვენი ცოდო მკვდარსაც მოეკითხება და შენ საიქიოსაც თან საწუხრად გაგყვება?“ (ჯორჯაძე 1986: 51).

ამიტომაც ასეთ უიმედო მდგომარეობაში მყოფი ის და მისი ოჯახის წევრები მტერს ცოცხლად რომ არ ჩაეგდო ხელთ, მეუღლეს კატეგორიულად მოსთხოვა, ყველა მათგანი საკუთარი ხელით განეგმირა, თავად მას კი ლეკების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მხოლოდ ამის შემდეგ განეგრძო. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ღვთისიას მეუღლის ამგვარი ქმედებით ბარბარე ჯორჯაძემ იდეალიზებული ფორმით ცადა გამოეხატა ქართველი ქალის პატრიოტული თავგანწირვა და ზნეობრივი სისპეტაკე.

რადგანაც შექმნილი მდგომარეობიდან თავდასახსნელი სხვა გზა არ არსებობდა; ღვთისია იძულებული გახდა, რეალურად აღესრულებინა მეუღლის კატეგორიული მოთხოვნა და საკუთარი ოჯახის წევრთა სისხლში მართლაც გაესვარა ხელი.

შამილის ციკლის მოთხრობებზე საუბრის დროს აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება – იმ უმოქმედობის ხაზგასმით დაფიქსირებას, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში იმხანად არსებული რუსული საჯარისო შენაერთები და მათი ხელმძღვანელები იჩენდნენ ლეკთა თარეშის აღსაკვეთად. კერძოდ, ხსენებული მოვლენის ამსახველ მოთხრობებში მწერალი თუმცა ფრაგმენტულად, მაგრამ ნაკლებად შენიღბული გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ლეკთა თარეშისგან მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად რუსი ხელისუფალნი და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საჯარისო ნაწილები არათუ თავად არ აკეთებდნენ რამეს, არამედ მათი ცალკეული წარმომადგენლები თვითონაც ხდებოდნენ ამ ტრაგიკული მოვლენის თანამონაწილენი.

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი აღიარება იმ წარმატებებთანაც აღმოჩნდა დაკავშირებული, რაც მან თავისი პიესების საფუძველზე დადგმული სპექტაკლებით მოიპოვა. როგორც ცნობილია, მწერლის

დრამატურგიული თხზულებანი მის სიცოცხლეში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მყარად იყო დამკვიდრებული იმდროინდელი ქართული თეატრების რეპერტუარში. ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამ ნაწილის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას მაშინდელ ქართულ პრესაში ხსენებულ სპექტაკლებზე გამოქვეყნებული რეცენზიებიც ადასტურებს. კერძოდ, აღნიშნულ პუბლიკაციათა ავტორები მწერლის დრამატურგიულ ხელოვნებას ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ.

მაგალითად, გაზეთ „დროების“ 1879 წლის 182-ე ნომერში დაბეჭდილ რეცენზიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „მშვენიერის ენითაც, შინაარსითაც და სცენის მხრივაც“ ბ. ჯორჯაძის პიესა „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ „არც ერთ ჩვენ გ. ერისთავის პიესებს არ ჩამოუვარდება უკან“ და „ერთ საუკეთესო ორიგინალურ კომედიად უნდა ჩაითვალოს ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში“.

ბარბარე ჯორჯაძის ხსენებულ პიესას გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1898 წლის 703-ე ნომერში მეგახლავარის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში ანალოგიურ შეფასებას აძლევდა მ. ნასიძეც. კერძოდ, მისი აზრით, „კენინა ბარბარე ჯორჯაძისა შესანიშნავი ქალია ჩვენს მწერლობაში... იგი სალიტერატურო ასპარეზზე იმ დროს გამოვიდა, როდესაც ჩვენი ახალი მწერლობა და მწიგნობრობა ფეხს იდგამდა... „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ ჩინებულ პიესად უნდა ჩაითვალოს“ და „არაფრით ჩამოუვარდება... გამოჩენილ კომედიებსა და დრამებს თ. გ. ერისთავისას და ანტონოვისას. გ. ერისთავმა თავისი კომედიებით შეჰქმნა სკოლა დრამატიულ მწერლობისა. აი, ამ სკოლის მოწაფეა კნ. ბარბარე ჯორჯაძეც“.

მიუხედავად იმისა, რომ ბარბარე ჯორჯაძის დრამატურგიულ თხზულებათა ამგვარი შეფასება დღევანდელი თვალთახედვით აშკარად გადაჭარბებულია და მათი სიუჟეტური დრამატიზმის საფუძვლად ქცეული კოლიზიები ნაკლებად მნიშვნელოვანი, მხატვრული ოსტატობისა და სასცენო ხელოვნების წარმომჩენი დეტალები და სიტყვიერი ოსტატობის დონე კი ნაკლებად ფასეული, თავისი პიესებით მწერალმა მაინც შეძლო საგულისხმო წვლილის შეტანა იმჟამინდელი ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრების პროცესში.

ბარბარე ჯორჯაძის პიესები დღევანდელი მკითხველისთვის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ შესაბამის პერიოდში არსებული რეალობის შესაცნობადაა საინტერესო და არა მათ სიუჟეტურ საფუძვლად ქცეული კურიოზული პიროვნული ურთიერთობებით. და კიდევ ერთიც: მისეული მონათხრობით მწერალი ახერხებს მეტ-ნაკლებად ფასეული ახალი წახნაგებით წარმოსახოს იმ პერიოდის დიდ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში უფრო მასშტაბურად და მეტი სიტყვიერი ხელოვნებით წარმოჩენილი მაშინდელი ჩვენი ყოფის ცალკეული მხარეები.

მაგალითად, თავისი კომედიით – „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ – ბარბარე ჯორჯაძემ ცადა, მაყურებლისათვის ახალი რაკურსით დაენახებინა

ეკონომიკურად საფუძველგამოცლილი და ზნეობრივად დეგრადირებული ფეოდალური არისტოკრატის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ცხოვრებისეული რეალობა. ფეოდალური არისტოკრატის ყავლგასული წარმომადგენლის უმძიმესი ცხოვრებისეული რეალობიდან მოთხრობილი ერთი კურიოზული ეპიზოდის მეშვეობით ბარბარე ჯორჯაძე შეეცადა, მკითხველისთვის (მაყურებლისთვის) კომიკური ფორმით დაენახებინა ნაწარმოების მთავარ პერსონაჟად ქცეული ამ დიდგვაროვანი არისტოკრატის ამაო მცდელობა, დაქორწინების გზით დაეღწია თავი უმძიმესი ეკონომიკური გასაჭირისათვის.

როგორც ითქვა, იქიდან გამომდინარე, რომ ბარბარე ჯორჯაძის პიესების თემატიკა დღეისათვის უკვე საკმაოდ ყავლგასულიცაა და შესაბამის პერიოდში მოღვაწე ცნობილ ქართველ მწერალთა მიერ გაცილებით უფრო მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებით ხორც-შესხმული, თანამედროვე მკითხველისათვის ისინი ნაკლები ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამონაკლისად მხოლოდ პიესა „შური“ შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების სიუჟეტურ საფუძველად ქცეული ინტრიგა არაერთი სხვა მწერლის შემოქმედებაში ვლინდება მეტ-ნაკლებად მსგავსი ვარიაციებით, თავისი ამ ნაწარმოებით ბარბარე ჯორჯაძემ მაინც შეძლო საკმაოდ შთამბეჭდავი სიტყვიერი ხელოვნებით მოეთხრო ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ავანტიურისტული სასიყვარულო თავგადასავალი.

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ის ფაქტიც უნდა მივიჩნიოთ, რომ მწერალი ქალთა უფლებების აქტიურად დამცველის როლშიც ხშირად გვევლინება. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მისი როგორც მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტები, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური პრაქტიკული მონაწილეობაც. ბარბარე ჯორჯაძის მიერ ამ მიმართულებით გამოთქმული შეხედულებანი ჩვენს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც კონსერვატიულ შეხედულებათა ტყვეობაში იყო მოქცეული და ქალს უფლებრივად შეზღუდულ და ოჯახურ გარემოს მიჯაჭვულ პიროვნებად მიიჩნევდა, სრულიად მიუღებელ თვალსაზრისად მიაჩნდა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ბარბარე ჯორჯაძე ამ საკითხში ქართველ „სამოციანელთა“ დიდი თაობის წარმომადგენელთა თანა-მოაზრედ მოგვევლინა და თავისი შესაძლებლობების დონეზე ბევრი რამ გააკეთა ქალთა უფლებების დასაცავად. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „კვალის“ 1893 წლის მე-16 ნომერში გამოქვეყნებული წერილიდან „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“: „დღეს სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა. ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მემურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც

თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა“ (ჯორჯაძე 1988: 141).

ქალთა და კაცთა უფლებრივი თანასწორობისაკენ მოწოდების იდეამ ბარბარე ჯორჯაძის მხატვრულ შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსები: „კაცებს“, „კაცი“ და სხვ. მამაკაცებისადმი მიმართული თავისი ამ ლექსებით ბარბარე ჯორჯაძე აქტიურად დაუპირისპირდა მაშინდელი ჩვენი საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის ანტიფემინისტურ თვალთახედვას, რომლის მიხედვითაც ქალი მხოლოდ ოჯახს მიჯაჭვულ და მამაკაცის უსიტყვოდ მორჩილ, უფლებებზეზღუდულ პიროვნებად იყო მიჩნეული. მისი ამ თვალთახედვისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად იგი ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში დაუცხრომელი სიყვარულით გარემოსილ იმ ქალებსაც მოიხსენიებს ხოტბაშესხმული ფორმით, რომლებსაც მამაკაცებზე არანაკლებად მნიშვნელოვანი როლი აქვთ შესრულებული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ბარბარე ჯორჯაძის ფემინისტური თვალთახედვა იმდროინდელ ქართულ ყოფაში დამკვიდრებული ქალთა დაქორწინების მანკიერი ჩვეულების მხილებითაც გამოვლინდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი მოთხრობები: „თაზო მომღერალი“ და „სოფელს ხევთა პირაში.“

კერძოდ, „თაზო მომღერალი“ მწერალი პრინციპულად დაუპირისპირდა მაშინდელი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ ცხოვრების წესად დამკვიდრებულ იმ ტრადიციას, რომლის ძალითაც ქალი უფლებრივად მკაცრად შეზღუდულ და მამაკაცის ნება-სურვილის უსიტყვოდ მორჩილ არსებად იყო მიჩნეული. სწორედ ამ დაპირისპირების განზოგადებულ გამოვლინებად აქცია მწერალმა ღარიბი აზნაურის – თაზო მომღერლისა და მდიდარი სახელმწიფო მოხელის – მანუჩარ მძლავრადის ქალიშვილის სიყვარულის ტრაგიკული ისტორია.

რაც შეეხება მოთხრობას – „სოფელს ხევთა პირაში“, მასში რომანტიზებული ფორმითაა მოთხრობილი თებროსა და მალხაზოს სასიყვარულო თავგადასავალი.

ბარბარე ჯორჯაძის ღვაწლის შეფასების დროს ქეთევან ირემამემ მის პედაგოგიურ დამსახურებასაც მიაქცია ყურადღება. კერძოდ, როგორც მან მწერლის საარქივო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გაარკვია, 1880-იან წლებში მას შეუდგენია იაკობ გოგებაშვილის „დედაენისაგან“ არსებითად განსხვავებულ პრინციპებზე დაფუძნებული პირველ-დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელო, რის შესახებაც თავის ძმას – რაფიელს ასეთ რამეს აუწყებდა: „დედაენა არ მომწონს ამისთვის, რომ ეხლანდელს დროში ზღაპრებს არ უნდა შეაჩვიო ყმაწვილი. გონება უნდა გაუხსნა და რაც იმას შეეფერება, ის ასწავლო. რაფიელ-ჯან, ხომ გაგიგონია „ცუდათ ჯდომასო ცუდათ შრომა სჯობიაო“. მეც ასე ვიშრომე და შევადგინე სამოსწავლო წიგნი, სახელად უწოდე „დასაწყისი სწავლისა...“ ვამჯობინე

ასე: ჯერ მთელი ანბანი მხატვრობით შეისწავლოს ბავშვმა“ (ირემამე 1946: 45).

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი განხილვა სცილდება წინამდებარე ნარკვევის მიზანდასახულობის ფარგლებს, ამასთან დაკავშირებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებ და აღნიშნულ ფაქტს მხოლოდ იმის ნათელსაყოფად ვაფიქსირებ, ბარბარე ჯორჯაძე მრავალმხრივი საქმიანობით გამორჩეულ მოღვაწეს რომ წარმოადგენდა და თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს მხოლოდ ერთი მიმართულებით არ ავლენდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ირემამე 1945: ირემამე ქ., ლიტერატურული მედალიონები. თბილისი, 1945.

კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები. თბილისი, 1965.

ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პიესები, მოთხრობები, წერილები. გამოსაცემად მოამზადა მ. მაღალაშვილმა. თბილისი, 1986.

ჯორჯაძე 1988: ჯორჯაძე ბ., რჩეული თხზულებანი. შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო მ. მონიავამ. თბილისი, 1988.

დროება 1879: ქართული თეატრი. „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და „იჭვიანი“. გაზეთი „დროება“, №182, 1879.

ცნობის ფურცელი 1898: მე გახლავარ (მ. ნასიძე), თეატრის მატინე. ქართული თეატრი. „რას ვეძებდი და რა ვპოვე“, კომედია კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №703, 1898.

დროება 1868: წერეთელი ა., რამოდენიმე სიტყვა შესახებ კ. ბ. ჯორჯაძისა. გაზეთი „დროება“, №3, 1868.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.113-117>

**რიჩარდ უილბრაჰამი
კახეთის შესახებ**

**Richard Wilbraham
about Kakheti**

ოთარ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Otar Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

Due to its strategic geopolitical location, Georgia has always been in the center of attention of the rulers of many countries around the world. One of the clear expressions of this interest should be the fact that specially sent persons from Europe and Asia often came to Georgia on various missions. Many of them, through their writings on their travels in Georgia, have preserved important information about the situation in our country. One such figure was Richard Wilbraham, Captain of the British Army in the 19th century. Who interestingly told us about his impressions of his stay in Georgia in the book - „Travels in the Trans-Caucasian Provinces of Russia, and along the southern shore of the lakes of Van and Urumiah, in the autumn and winter of 1837.“ The work named after Richard Wilbraham has not been translated into Georgian and the information, he provided about our country has not yet been the subject of special study.

The interest in the material reflecting the presence of Richard Wilbraham in Georgia is essentially determined by the fact that it provides us with important information on issues such as: social and cultural situation in Tbilisi in the 1930s and in different regions of Georgia.

An important factor in the confidence in the authorial narrative is the fact that Richard Wilbraham was an eyewitness, or even a direct participant, in almost every important event that took place in the Tbilisi province during his stay in our country. The present article focuses only on the part of the book mentioned above, which contains impressions of his presence in Kakheti.

საკვანძო სიტყვები: რჩარდ უილბრეკემი, კავკასია, საქართველო, მოგზაურობა.

Keywords: Richard Wilbraham, Caucasus, Georgia, Travel.

თავისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო, საქართველო ყოველთვის იყო მოქცეული მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მესვეურთა ყურადღების ცენტრში. ამ ინტერესის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველოში სხვადასხვა მისიით ხშირად ჩამოდიოდნენ ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან სპეციალურად წარმოგზავნილი პიროვნებები. ბევრმა მათგანმა საქართველოში მათ მოგზაურობასთან დაკავშირებით დაწერილი თავიანთი ნაშრომებით მეტად მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა XIX საუკუნეში დიდი ბრიტანეთის არმიის კაპიტანი რჩარდ უილბრეკემი (Richard Wilbraham), რომელმაც საქართველოში თავისი ყოფნის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები საინტერესოდ მოგვითხრო წიგნში – „მოგზაურობა რუსეთის ტრანსკავკასიურ პროვინციებსა და ვანისა და ურუმის სამხრეთ მხარეებში 1837 წლის შემოდგომა-ზამთარში“ (Travels in the Trans-Caucasian Provinces of Russia, and along the southern shore of the lakes of Van and Urumiah, in the autumn and winter of 1837). რ. უილბრეკემის დასახელებული ნაშრომი ქართულად თარგმნილი არ არის და ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით მის მიერ მოწოდებული ცნობები დღემდე არ ქცეულა შესწავლის საგნად.

სამწუხაროდ, რ. უილბრეკემის შესახებ საბაზისო ბიოგრაფიული ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, იგი ნამდვილად რომ წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის არმიის ერთ-ერთ თვალსაჩინო სამხედრო ფიგურას, ამაში მასთან დაკავშირებით ინტერნეტით მოპოვებული მწირი მასალითაც ვრწმუნდებით. კერძოდ, როგორც ირკვევა, რ. უილბრეკემს სამხედრო კარიერა 1828 წელს დაუწყია. 1833 წელს იგი ლეიტენანტი გამხდარა, 1836 წელს კი კაპიტნის ჩინი მიუღია. მისი წარმატებული სამხედრო კარიერისა და სახელისუფლებო წრეებში მოპოვებული ნდობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ იგი დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ ხელისუფლებას სპეციალური დიპლომატიური მისიით გაუგზავნია სპარსეთში. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჩვენთვის საინტერესო ნაშრომი მას სწორედ ამ დავალების შესრულების შემდგომ სამშობლოში საქართველოს გავლით დაბრუნების დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე დაუწერია.

საქართველოში რ. უილბრეკემის ყოფნის ამსახველი მასალისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ იგი საგულისხმო

ცნობებს გვაწვდის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა სოციალური და კულტურული ვითარება XIX საუკუნის 30-იანი წლების თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. წინამდებარე ნაშრომში კი ზემოხსენებული წიგნის იმ მონაკვეთზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელშიც ბრიტანელი ავტორი კახეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს მოგვითხრობს.

კაპიტანი რ. უილბრეკემი საქართველოში სპარსეთში საგანგებო მისიის დასრულების შემდგომ გამოემგზავრა და 1837 წლის 31 აგვისტოს სომხეთის გავლით შემოვიდა, აქედან კი ზუსტად ორი თვის შემდეგ, 31 ოქტომბერს, გაემგზავრა. წიგნში მკაფიოდაა გადმოცემული ის ემოციები და შთაბეჭდილებები, რაც ბრიტანელ კაპიტანს ჩვენი ქვეყანაში სტუმრობის დროს დაეუფლა. როგორც მისი მონათხრობით ვრწმუნდებით, მას საკმაოდ კარგად გაუცნია ჩვენი ქვეყანა. ამ საქმეში კი მას დიდი დახმარება იმ ფაქტმა გაუწია, რომ ამ ხნის განმავლობაში ის თბილისის გუბერნიაში მომხდარი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის თვითმხილველი ან სულაც უშუალო მონაწილე ყოფილა. ამის დასტურად ის ფაქტიც შეიძლება მოვიყვანოთ, რომ თბილისში ყოფნის პერიოდში ბრიტანელ კაპიტანს, კავკასიის იმჟამინდელი ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან არაერთგზის შეხვედრის გარდა, შესაძლებლობა მიეცა, 1837 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველთანაც (1796-1855) ჰქონოდა აუდიენცია რამდენჯერმე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რ. უილბრეკემის ჩამოსვლას სახელისუფლებო წრეებიდან არათუ კეთილგანწყობით არ შეხვედრიან, არამედ პირველ ეტაპზე მის თავისუფალ გადაადგილებასაც კი ზღუდავდნენ ყველანაირად. მაგალითად, სწორედ ამის გამო დარჩა კაპიტანს აუხდენელ სურვილად, ემოგზაურა სამეგრელოსა და იმერეთში, თუმცა ცოტა მოგვიანებით აღნიშნული წნეხი რამდენადმე შემცირდა, რამაც რ. უილბრეკემს შესაძლებლობა მისცა, რამდენიმე დღით კახეთს სწევოდა.

როგორც წიგნიდან ირკვევა, ბრიტანელ კაპიტანს კახეთში სტუმრობისას კაზაკ მსახურთან ერთად სხვა თანამგზავრიც ახლდა. მართალია, წიგნის ავტორი მის ზუსტ ვინაობას არ ასაჯაროებს, მაგრამ მას გერმანელ ღვინით მოვაჭრეს უწოდებს, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე დღე გაატარა მასთან ერთად. რაც შეეხება თავად რეგიონს, უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რ. უილბრეკემი მას ღვინის სამშობლოდ მოიხსენიებს.

წიგნში საინტერესოა ალწერილი და დახასიათებული როგორც ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, ისე ისტორიული მნიშვნელობის მქონე ის საცხოვრისი, სადაც ბრიტანელ კაპიტანს დროის გატარება მოუხდა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ამ ძეგლზე საუბრის დროს ბრიტანელი კაპიტანი იმ სავალალო მდგომარეობაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელშიც ქვეყანაში არსებული დუბჭირი მდგომარეობის გამო უწყვედა ცხოვრება მოსახლეობას. ამ თვალსაზრისით ასევე ძალზე საინტერესოა წიგნის ის

ეპიზოდები, რომელშიც იმდროინდელ ქართველ თავადთა ყოფაზეა საუბარი. მეტად მნიშვნელოვანია ავტორისეული მონათხრობის ის ადგილიც, სადაც ბრიტანელი მოგზაური ქალთა შესახებ საუბრობს და მათ იმდროინდელ მდგომარეობას ირანში ამ თვალსაზრისით არსებულ ვითარებას ადარებს. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს წიგნიდან:

„ჩვენი მასპინძელი ახალგაზრდა ქართველი თავადი გახლდათ; მისი პრიმიტიული საცხოვრებელი თელავში ნანგრევებად ქცეული იმ ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ კუთხეში იყო განთავსებული, რომელიც საქართველოს უკანასკნელი მეფის, მამაცი და უიღბლო ერეკლეს საბოლოო ციტადელს წარმოადგენდა. უფრო უბრალო არქიტექტურული ნიმუშის ნახვა, როგორც ეს სახლი გახლდათ, ძნელი წარმოსადგენი იყო: ოთახი, სადაც ჩვენ ვისხედით, მაქსიმუმ თორმეტი კვადრატული ფუტი თუ იქნებოდა და იქ მხოლოდ გრძელი, ვიწრო ფორმის მერხი და მაგიდა იდგა; ხის კედლები კირხსნარით იყო დამუშავებული და ძნელად უმკლავდებოდა წვიმას, რომელიც ნიაღვრად ჩამოდიოდა. მიუხედავად ამისა, თავადის სტატუსი, რომელიც ჩვენს მასპინძელს გააჩნდა, მუშათა კლასზე მაინც მაღლა იდგა: მას ჰქონდა ვენახი, სადაც თავის მსახურებთან ერთად მუშაობდა და რომლის მოსავლითაც იგი ცხოვრობდა. სპარსეთის მსგავსად, ქალები საოჯახო საქმიანობას ეწეოდნენ და გარეშე თვალს იყვანდნენ მოფარებულები. თუკი რომელიმე მათგანი მცირე ხნით სახლის კარს გარეთ გამოჩნდებოდა, იგი აუცილებლად მოსასხამში იქნებოდა გახვეული თავიდან ბოლომდე. ჩვენი მასპინძელი ძალზე სტუმართმოყვარე აღმოჩნდა ამ სიტყვის სრულყოფილი გაგებით და დამღლელი დღის შემდეგ ჩვენ არ გვქონია რაიმე გაუგებრობა თანხის გადახდასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით - გემრიელი ღვინის მირთმევის შემდეგ“ (Wilbraham 1839: 189-190).

გფიქრობ, ქართული ყოფის საფუძვლიანად მცოდნე მკითხველს არგუმენტირებული განმარტება არ დასჭირდება საიმისოდ, ბრიტანელი ავტორი ქართველ ქალთა მდგომარეობის ამგვარი აღწერით აშკარად მცდარ ინფორმაციას რომ გვაწვდის და მათ ასეთ დისკრიმინაციულ პირობებში არასოდეს რომ არ უწყევდათ ცხოვრება.

ქართული სტუმარმასპინძლობის განსაკუთრებულობას რ. უილბრეჰემი სიღნაღში მის სტუმრობასთან დაკავშირებული ეპიზოდის მოთხრობის დროსაც უსვამს ხაზს. კახეთის ამ ლამაზ ქალაქში ყოფნისას მისთვის მასპინძლობა თავად სიღნაღის მაზრის ხელმძღვანელს გაუწევია, რომელსაც წიგნის ავტორი, შეცდომით, ოლქის გუბერნატორად მოიხსენიებს. ბრიტანელი კაპიტნის თქმით, მასპინძელთან საერთო ენის გამოხატვა და მასთან თბილი ურთიერთობის დამყარება თვით საერთო საკომუნიკაციო ენის არარსებობის შემთხვევაშიც კი გამხდარა შესაძლებელი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სიღნაღელ ქალთა მდგომარეობაზე საუბრის დროს რ. უილბრეჰემი ზუსტად იმეორებს თელაველ ქალებთან დაკავშირებით მოწოდებულ ინფორმაციას. ნათქვამისათვის მეტი

სიციხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ტექსტიდან:

„მაღალ ვენახებში მიმავალი გზის გავლა თითქმის შეუძლებელი გახდა... მშობლიური ქვეყნის უდაბნოს ნაჩვევი ჩემი პატარა არაბული ცხენი მძიმე-მძიმედ, არაქათის გამოცლამდე, მიდიოდა; წვიმა კი კვლავც ძლიერდებოდა. თელავიდან სიღნაღში მიმავალ გზაზე მხოლოდ კაზაკ კომპანიონთან ერთად ყოფნა მომაბეზრებელი აღმოჩნდა... ქალაქში შესვლისთანავე იგი (კაზაკი კომპანიონი – ო. ნ.) ოლქის გუბერნატორის სახლისკენ გავგზავნე, რათა მისთვის ეთხოვა, რამდენიმე ხნით ჩემთვის ბინა რომ მოეპირავებინა. იგი ძალიან ღირსეული კაცი აღმოჩნდა და თავის სახლში მიმიპატიჟა, სადაც იმდენად კომფორტულ ოთახში მოვეწყვე, რომლის მსგავსიც კარგა ხნის ნანახი არ მქონდა. ქალის ხელი იქ ყველაფერს ეტყობოდა. ჩემი მასპინძელი რუსი იყო და არცერთ სხვა ენაზე არ შეეძლო საუბარი. ამას ემატებოდა ისიც, რომ არც მთელ სიღნაღში მოიძებნა ვინმე ისეთი, ვინც თარჯიმნობას გამიწევდა. მიუხედავად ამისა, ჟესტიკულაციითა და იმ რამდენიმე რუსული სიტყვით, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ვისწავლე, ჩვენ ძალიან კარგად გავუგეთ ერთმანეთს და სასიამოვნო ვახშმის შემდეგ ძალზე ბედნიერი გავემართე ჩემს უჩვეულოდ დიდებულ საწოლში“ (Wilbraham 1839: 194-196).

რ. უილბრეჰემის რამდენიმედღიანი ექსკურსია კახეთში ოქტომბრისთვის დასაწყისში განხორციელდა და ამ რეგიონისათვის უმნიშვნელოვანეს პერიოდს, რთველს დაემთხვა. აქედან გამომდინარე, ბრიტანელი კაპიტანი რთველთან დაკავშირებული ყველა იმ პროცესის უშუალო თვითმხილველი გახდა, როგორცაა ყურძნის კრეფა და ღვინოდ დაწურვა, მაჭრის ტიკებში შენახვა და სარეალიზაციოდ გამზადება და ა. შ. წიგნის ავტორი, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, თუ რამდენად დიდ ადგილს იკავებდა ღვინო ქართველი კაცის ყოველდღიურ ცხოვრებაში:

„თელავში ჩვენი მისვლა რთველის პერიოდს დაემთხვა, თუმცა გადაუღებელმა წვიმებმა ხალხის შრომა შეაჩერა; ამდენად, მე ღვინის დაყენების პროცესის მომსწრე გახდი. ეს შეიძლება ითქვას, რომ ძალიან მარტივია... მე ასევე დავაგემოვნე ბოთლში ჩამოსხმული რამდენიმე წლის ბრწყინვალე ღვინო. ის იყო საოცარი და სასიამოვნო არომატის მქონე სასმელი.

ქართველებს მსოფლიოში ყველაზე მაგარი მსმელების რეპუტაცია აქვთ: ყოველდღიური დოზა, რომლის გარეშეც მშრომელ კაცს მუშაობა არ შეუძლია, ოთხი ბოთლია; უფრო მაღალი საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენლები კი ამ რაოდენობასაც აჭარბებენ...

ჩემი იმედი კარგ ამინდთან დაკავშირებით უმაღვე გაქარწყლდა: ღრუბლებმა დაბლა დაიწია და ძლიერი წვიმა დაიწყო. შემდეგ რამდენიმე წუთით გადაიკარა და შესაძლებლობა მომეცა წარმომედგინა, თუ რამდენად საოცარი იქნებოდა ეს პეიზაჟი მშვენიერ ამინდში. ჩვენ რამდენიმე ლამაზი სოფელი გავიარეთ თავის მაღალსახურავიანი და ფართო ვერანდიანი

სახლებით. თითოეული მათგანი მდინარის სანაპიროს შემალღებულ ადგილზე იდგა და სამხრეთისკენ იცქირებოდა... მიუხედავად ცუდი ამინდისა, ყველაფერი ძალზე ხალისიანად გამოიყურებოდა: ქალები ჯგუფ-ჯგუფად თავთავიანთ საცხოვრებელს შეფარებოდნენ; რქოსან საქონელ შებმული უამრავი ვაგონი კი, რომელზეც ახლადდაწურული ღვინო მოეთავსებინათ, თბილისისკენ მიემართებოდა. აღსანიშნავია, რომ კასრების ნაცვლად საქართველოში ღვინოს კამეჩის ტყავში ინახავენ“ (Wilbraham 1839: 191-194).

მოკლედ, ასეთია რიჩარდ უილბრეჰემის წიგნის კახური ეპიზოდი. მიუხედავად მოცულობითი სიმცირისა, ვფიქრობთ, იგი ახალი შტრიხებით შეავსებს და გაამდიდრებს ჩვენი ქვეყნის ამ მხარესთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ მოწოდებულ ცნობებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

Wilbraham 1839: Wilbraham R., *Travels in the Trans-Caucasian Provinces of Russia, and along the southern shore of the lakes of Van and Urumiah, in the autumn and winter of 1837*. London, 1839.

http://az.lib.ru/b/berzhe_a_p/text_1876_imperator_nikolay_na_kavkaze.shtml

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.118-129>

**კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები
(პალეოგრაფიულ-ენობრივი ასპექტები)**

**Epigraphic monuments of Kakheti
(paleographic-linguistic aspects)**

რუსუდან საღინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Rusudan Saginadze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

The epigraphic monuments of Kakheti are distinguished in the Georgian Lapidarium, including the inscriptions of Gremi, Khirsa, Ikalto, Akura, Ninotsminda and others. The epigraphy of Kakheti was studied by M. Brose, E. Taqaishvili, Pl. Ioseliani, A. Khakhanashvili, G. Chubinashvili, A. Shanidze, T. Barnaveli and others.

Our goal is to study the inscriptions of Kakheti from the palaeographic-linguistic aspect. For this purpose, we mainly use the material given in the „Corpus of Georgian Inscriptions“ Volume I (compiled by N. Shoshiashvili, 1980), as well as the internet resources.

It is known that in Georgia, in addition to Georgian inscriptions, there are ancient Greek, Aramaic, Hebrew, Syriac, Armenian, Arabic, Turkish, Persian and other inscriptions both monolingual and bilingual. There is also a trilingual (Georgian, Persian, Armenian) inscription Trilingua (Gremi) and inscriptions in four languages Tetralingua (Gareji, 1352), which is very rare, preserved in Kakheti.

In the paper we discuss the inscriptions (IX-XI centuries) preserved in Iqalto Monastery Complex (Telavi), Khirsi Fathers' Monastery (VI century, Sighnaghi), Mamadaviti (Davit Garejeli) Monastery, Ninotsminda (Sagarejo), that are made in three types of Georgian alphabet: Asomtavruli, Nuskhuri, Mkhedruli. Transient types from Asomtavruli to Nuskhuri can also be found, Asomtavruli-mingled

Nuskhuri.

The language of inscriptions is mainly within the norms of the old Georgian language, but there are also some changes. For example: 1) Different cases of descending diphthong disorder, containing -**ა** (iota): a) **ა** is missing: The vowel-based noun მეფობა mepoba (to reign) is unmarked in nominative case, it is without **ა**: ...მეფობა ღ(ირსი) ლეონისი... mepoba gh(iris) Leonisi (Khirsi Fathers' Monastery)... b) there is excessive amount of -**ა**, it is written instead of -i in the possessive pronoun შენა shena (your) in the nominative case: ...აღაშენა [წმიდა] ესე საყდ[არი] შენა ... aghashena [tsmida] ese saqd[ari] shna (ibid)... c) **ა-ის** added to a proper noun in nominative case. For example, the anthroponym კაციაა Katsiaa (or კაცაა Katsaa: Z. Sarjveladze – author): ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე კ(ა)ც(ია)ა... K(rist)e sh(eitsqal)e k(a)ts(ia)a (Inscription of Ninotsminda temple, X-XI centuries)... 2) The აღ- (agh) verb prefix is simplified, ა- (**ა**)-**ის** used instead of it in the verb ავმართე: ესე ჯუარი მე, მარზუნ, ავმართე სალოცველად ჩემდა... ese juari me, Marzun, avmarte salocvelad chemda... (David-Gareji Baptist Church) and others.

Although the epigraphic monuments of Kakheti are damaged, not fully readable and it is difficult to obtain detailed information about the palaeographic and linguistic features of the relevant period, its data is important for studying the history of Georgian spiritual and material culture, language and script.

საკვანძო სიტყვები: ქართული ეპიგრაფიკა, დამწერლობა, ნორმა, ცვლილება.

Keywords: Georgian epigraphy, script, norm, change.

კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებს, მათ შორის, გრემის, ხირსას, იყალთოს, აკურას, ნინოწმინდისა და სხვა წარწერებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ლაპიდარიუმში. კახეთის ეპიგრაფიკას იკვლევდნენ მ. ბროსე, ე.თაყაიშვილი, პლ. იოსელიანი, ა. ხახანაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, თ. ბარნაველი და სხვები. თ. ბარნაველის წიგნში „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები“ (1961) თავმოყრილია მრავალი წარწერა (სარჯველაძე 1984: 19). კახეთის წარწერები შესულია, აგრეთვე, წიგნში „ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 1: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)“ (1980).

როგორც ცნობილია, IX საუკუნიდან ირღვევა ძველი ქართული ენის ნორმები და ჩნდება საერო სტილის ნაწარმოებთა ენისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებიც ნასაზრდოებია ცოცხალი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ინოვაციებით. ეს ის პერიოდია ქართული ენის ისტორიაში, როცა სალიტერატურო ენის სკოლები,

გადამწერები თუ წარწერათა შემსრულებლები ცდილობენ, დაიცვან V-IX საუკუნეთა ნორმები (სალინაძე 2017: 294). ჩვენი მიზანია, ამ ვითარების გათვალისწინებით, გავაანალიზოთ კახეთის ეპიგრაფიკა, ყურადღება გავამახვილოთ წარწერათა პალეოგრაფიულ და ენობრივ თავისებურებებზე.

ამისთვის ძირითადად ვიყენებთ „ქართული წარწერების კორპუსის“ I ტომში (1980) გამოქვეყნებულ მასალას, აგრეთვე, ინტერნეტრესურსებს,

საქართველოში, გარდა ქართული წარწერებისა, არის ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული, სირიული, სომხური, არაბული, თურქული, სპარსული და სხვ. როგორც მონოლინგუური, ისე ბილინგუური (მათ შორის ყველაზე ცნობილია არმაზის ბილინგვა). შემონახულია, ასევე, სამენოვანი წარწერა **ტრილინგვა** (გრემი) და ოთხენოვანი **ტეტრალინგვა** (გარეჯი, 1352 წ., ქართ.-სომხ.-სპარს.-უიღურული – არაბულ დამწერლობაზე დაფუძნებული, 32 ასოიანი გრაფიკული სისტემა), რაც ძალზე იშვიათია.

საკმაოდ ვრცელი სამენოვანი წარწერა **ტრილინგვა** შემონახულია **კახეთში, გრემში** (ყვარელი). გრემის ნაქალაქარი გვიანი შუა საუკუნეების ძეგლია, თუმცა ვარაუდობენ, რომ მისი ფესვები შორეულ წარსულში უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს პერიოდისა და განვითარებული შუა საუკუნეების მასალა, საგნები („ქართლ. ცხოვრ. ტოპოარქეოლ. ლექსიკ.“ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=450>).

ვახუშტი ბაგრატიონი გრემის შესახებ წერს: „ალაზანს ერთვის საბუე-გრემის წყალი, გამომდინარე დიდოეთსა და მას შორის კავკასს და მომდინარე, ვითარცა წინანი მდინარენი. ამ წყალზედ არს გრემი, რომელ ქმნეს ქალაქად... (1466 წ.) აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოხრა შააბაზ, მიერთ არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი“ /ქვ 4: 546, 14/ (იქვე).

გრემი შედგებოდა სამი ძირითადი ნაწილისაგან: მთავარანგელოზის ანსამბლი – ციტადელი, მეფე-დიდებულთა უბანი და სავაჭრო უბანი. მათ შორის ძირითადი ნაგებობაა მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც ლეონ მეფის (1520-1574) ბრძანებითაა აგებული. ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე, ინტერიერის მხრიდან, შემონახულია ბერძნული წარწერა: „ქ. აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლადწმინდა ტამარი ყოველთა უდიდესთა მიქაელისა და გაბრიელისა, სახელოვანი მეფის ლეონის შეწევნით, ხარჯით, გულმოდგინებითა და შრომით, მაშინ, როდესაც მღვდელმთავარი იყო ნიკოლოზი (1577 წ.) აგვისტოს თვის 29-ს, მეოთხე დღეს, საბას წინამძღვრობის დროს... ქართულარიოსი, ბერმონაზონი და პროტოსვინგელოზი სალონიკელი“ (ყაუხჩიშვილი 1951: 332-335). ტამარში რელიგიური ხასიათის სხვა მოკლე ქართული და ბერძნული წარწერებიც არის შემორჩენილი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=>

term&d=25&t=450).

გრემის დასავლეთ ნაწილში მდებარე „თარსაგალავნის“ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ეკლესიის დასავლეთის კედელზე, კარის თავზე, არის შემორჩენილი სამეწიფოვანი სამშენებლო წარწერა **ტრილინგვა**. ქართული არის მხედრულით შესრულებული ვარიანტი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას გრემის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მშენებლობის შესახებ: „მე ფრიად ცოდვილმან მათარსი აღვაშენე კარის ეკლესია ესე ყოვლად წმიდისა, ბრძანებითა და შეწყენითა მისი მისისა და ჟამსა შინა მეფობასა მისისა პატრონის ალექსანდრესითა, წელსა მეოცდასამესა ქკსა სპა (1593 წ.) და შევსწირეთ კინი შესაწირავი ესე სამი კუამლი კაცი, ერთი წისქვილი, ერთი ვენახი და ორი ქულბაქი, სახსრად სულისა ჩემისა. რამანცა ადამის მონათესავემან ამა ეკლესიაზედა მჯდომს კაცზედა ნასად ხელი დადვას ან ეს არ გაუთაოს, ღმერთმან მას ნურა გაუთაოს რა. ამინ კირიალეისონ“ (შანიძე 1940: 6) (იქვე).

მიუთითებენ, რომ სამივე წარწერაში ერთი შინაარსია, მაგრამ ზუსტი თარგმანი არ არის. ისინი ერთმანეთს აესებს და მთლიანობაში იძლევა ინფორმაციას 1595 წელს, ალექსანდრეს მეფობის დროს, მათარსი ზაქარიას მის მიერ მეუღლის საფლავზე კარის ეკლესიად ღვთისმშობლის ტაძრის აგების შესახებ (გრემის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია: <https://www.about.ge/ka/pois/?poid=925>).

ა. შანიძეს მიაჩნია, რომ წარწერაში მოხსენიებული **მათარსი** უნდა იყოს ალექსანდრე მეფის კარის მდივანი, რომლის ხელით დაწერილი დოკუმენტი შემორჩენილია კიდეც – ესაა ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნი (1577 წ.). მეცნიერის მოსაზრებით, ამ ადგილის ძველი სახელი – „თარსა-გალავანი“ ორგვარად შეიძლება აიხსნას: შეიძლება ის აღმშენებლის სახელიდან მომდინარეობდეს – (მა)თარსას გალავანი; მეორე მხრივ კი, სპარსულად ის „ქრისტიანთა გალავანს“ უნდა ნიშნავდეს. ამ ეკლესიას გალავანი ერტყა – თარსა-გალავანი (თარსა გალავანი: http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/tt/tarsa_galavani.html).

რამდენიმე წარწერა არის შემორჩენილი თელავში, **იყალთოს სამონასტრო კომპლექსში**, რომელიც მოიცავს რამდენიმე ნაგებობას. ესენია: ფერიცვალების ეკლესია, იყალთოს სამება, სამეკლესიანი ბაზილიკა, იყალთოს აკადემია; იყალთოშია, ასევე, წმინდა სტეფანეს ეკლესია (VI ს.), ნათლისმცემლისა (XVII-XVIII სს.) და მთავარანგელოზის ეკლესიები (XVII-XVIII სს.). იყალთოს სამონასტრო კომპლექსი ერთ-ერთი ასურელი მამის, ზენონის, მიერ უნდა იყოს დაარსებული VI საუკუნეში. გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს (XI-XII სს.) აქ აკადემია დაუარსებია. მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, აკადემიისა და სატრაპეზოს ნანგრევები და 3 ეკლესია: VIII-IX საუკუნეების ფერისცვალების ეკლესია „ღვთაება“ (აგებულია იმ ძველი ეკლესიის ადგილას, რომელშიც დაკრძალული იყო ზენონი), სამების მცირე ეკლესია, რომელშიც, მიუხედავად საფუძვლიანი გადაკეთებისა,

შემორჩენილია VI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესიის ნაწილები და ყველაწმიდის ერთნავიანი ეკლესია, რომელიც, მკვლევართა მოსაზრებით, აგებული უნდა იყოს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე (<http://saunje.ge/index.php?id=876&lang=en>).

იყალთოში შემონახულია ჯვრის განმარტებითი წარწერა, რომელსაც ათარიღებენ IX-X საუკუნეებით. იგი შესრულებულია ნუსხურით, ქარაგმულია, რაც გამოხატულია მოგრძო რკალით, რომელიც ზემოდან აქვს დასმული ორ სიტყვას, ანუ აერთიანებს ორ სიტყვას: **ΧΨ ΨΧΨΙ** წარწერა გაშიფრულია და ასე იკითხება: **ჯ რ ქ რ ტე - ჯ(უა)რ(ი) ქრ(ის)ტე(სი)** (კორპუსი 1980: 311). მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში მოცემული მეორე წევრი სუბსტანტიური მსაზღვრელი უნდა იყოს პოსტპოზიციური წყობისა, მაგრამ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება **-ს** (მავრცობი ი ხმოვნით) მოკვეცილია, არ ჩანს.

IX-X საუკუნეებით არის დათარიღებული იყალთოს სამშენებლო წარწერაც. იგი საინტერესოა როგორც პალეოგრაფიული, ასევე, ენობრივი ასპექტით. წარწერა მოთავსებულია ჯვრის მარცხენა და მარჯვენა ფრთების ქვევით და შესრულებულია ასომთავრულნარევი ნუსხური სახეობით, ძალიან წვრილი ასონიშნებით და ძნელად ამოსაკითხია, ადგილ-ადგილ შეუძლებელიც არის ტექსტის წაკითხვა.

ჯვრის მარცხენა ფრთის ქვეშ არსებული წარწერა მოიცავს ათ სტრიქონს: **1. მზზ 2. აასა 3. გალა 4. ხაკისს 5. მნათეო 6. ზასაცო 7. დვილი 8. სას[ა] - ერ 9. ისა [აღ]ეშენა 10. [წ]ა ესე < ესე > ეკლა.**

წარწერა გაშიფრულია ასე: **მეოხებითა იოვანესა | გ < ა > ლა | ხაკისს(ა) | მნათეო | ზასა ცო | დვილი | სას[ა] - ერ | ისა [აღ] ეშენა წ(მიდ)ა ესე < ესე > ეკლ(ეს)ა** (კორპუსი 1980: 312).

ჯვრის მარჯვენა ფრთის ქვეშ არსებული წარწერა უფრო ვრცელია, მოიცავს ცამეტ სტრიქონს: **11. დიდი 12. ჭირიდა 13. ვთმესიგ 14. ლახაკისა 15. ა 16. ცოდვილიესე 17. ლოცვასა 18. მომესენ 19. თ -- მდა 20. გა --- რო 21. სუფალ 22. ნოჩემ 23. ნო.**

წარწერის შინაარსი აღდგენილია ასე: **დიდი | ჭირი და | ვთმე სიგ | ლახაკისა | ა | ცოდვილი ესე | ლოცვასა | მომ(ი)ესენ(ე) | თ -- მ | და | გა --- რო | ს უფალ | ნო ჩემ ნო (იქვე).**

წარწერებში გვხვდება **ა** (სიგ|ლახაკისა|ა|), **ჯ** (უფალ), **ჭ** (მომესენ, მომ(ი)ესენ(ე)|თ) ბგერათა შესატყვისი ნუსხური გრაფემები. **ა**-ს გამოყენების ფაქტები მოწმობს, რომ ძველი ქართული ენის ნორმები შერყეულია: 1) **ა** არის საკუთარი სახელის თავკიდურა პოზიციაში: იოვანესა, 2) **ა** ზოგჯერ დაკარგულია ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითში: წ(მიდ)ა ესე ეკლ(ეს)ა.

საზოგადო არსებითი სახელი მეტწილად გავრცობილია სამ ბრუნვაში: მიცემითი: **მნათეო|ზასა, ლოცვასა**
ნათესაობითი: **სიგლახაკისა | ა |**
მოქმედებითი: **მეოხებითა**

ნათესაობითში გავრცობილია საკუთარი სახელიც: **იოვანესა**. ამ სახელში ა ხმოვნის გაჩენას, ჩვენი აზრით, განაპირობებს საზღვრულის გავრცობილი ფორმა: **იოვანესა მნათეოქნასა**.

იყალთოს სამშენებლო წარწერებში გამოიყოფა სხვადასხვა ტიპისა და წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის რამდენიმე წყვილი. მაგალითად: **დიდი ჭირი** – პრეპოზიციური წყობის ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია ზედსართავი სახელით; სხვა შემთხვევაში მსაზღვრელი, რომელიც გადმოცემულია კუთვნილებითი ნაცვალსახელით, პოსტპოზიციურია: **უფალწო ჩემწო**; გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის განსაზღვრული ნაწევრით გათიშვის შემთხვევაც: **წ(მიდ)ა ესე < ესე > ეკლ(ეს)ია**; წარწერებში გამოყენებულია განსაზღვრულნაწევრიანი სახელიც, მაგალითად, **ცოდვილი ესე**. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ტექსტში შეიმჩნევა წარწერის შემსრულებლის გარკვეული სტილი. ამაზე მიუთითებს კიდევ ერთი სახელური სინტაგმა, მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი **ჭირი სიგლახაკისაქ**, რომელიც გათიშულია ზმნით: **ჭირი დაქთმე სიგლახაკისაქ**. წყვილის ერთ-ერთი სახელური წევრი **სიგლახაკისაქ** პოსტპოზიციური წყობის მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელია.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში, სიღნაღიდან 11 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს **ხირსის მამათა მონასტერი** (VI სკ.), რომელიც რამდენიმე ნაგებობას მოიცავს. მათ შორის მთავარია სტეფანწმინდის სახელობის ტაძარი, სამნავიანი ბაზილიკა. იგი წმინდა პირველმოწამე სტეფანეს სახელზე აუშენებია სტეფანე ხირსელს (552-557 წწ.), რომლის წმინდა ნაწილებიც ამავე მონასტერშია დაბრძანებული. ხირსის მონასტრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „კვალად ხორნაბუჯის ჩრდილოთ არის ხირსას მონასტერი, რომელი ჰყო 13 მამათაგანმან წმიდა სტეფანემ, დიდ კეთილ-შენი. დაფლულ არს მუნვე წმიდა სტეფანე. ზის წინამძღვარი“ (ხირსის მამათა მონასტერი: <http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/khirs/khirs.htm>). ხირსის მონასტრის მთავარი სიწმინდე იყო წმინდა პირველმოწამე სტეფანეს ნეკა თითი. გადმოცემით, ეს სიწმინდე აქ მონასტრის დამაარსებელმა – ღირსმა სტეფანემ ჩამოაბრძანა. დღეს ეს სიწმინდე ბოდბის დედათა მონასტერშია დაბრძანებული. ეტიმოლოგიურად თითქმის აუხსნელია მონასტრის სახელწოდება **ხირსა**. არსებობს რამდენიმე მოსაზრება: 1. **ხირსა** მიღებულია სიტყვისაგან „ღირსი“, 2. მონასტრის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს იქვე, ახლოს, გამომავალი მდინარე ხირსას სახელთან, 3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მოსაზრებით, **ხირსა** ადგილის სახელი იყო პალესტინაში და შესაძლოა სირიიდან მოსულ წმინდა მამას მის აღსანიშნავად ეწოდებინა მონასტრისათვის (იქვე).

მონასტრის ფასადზე და შიგნით შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდში (X-XIX სს.) შესრულებული ექვსი წარწერა. სამხრეთ კედელზე, სარკმლის თავზე, არის **არქიტრავი** (ბერძ. arche – საწყისი, მთავარი და ლათ. Trabs – კოჭი), რომლის ზემოთ ჩადგმულ აყვავებული ჯვრის რელიეფზე



(ჰორიზონტალურ ფრთებზე) არის ქართული ასომთავრული წარწერა. ჯვრის მარცხენა ფრთასთან შედარებით მარჯვენა ფრთა დაზიანებულია და წარწერა თითქმის არ იკითხება. ამოკითხულია რამდენიმე სიტყვა: **✠ ✠ ოღ ♂ ოღ** – „ქრისტე ადიდე კვირიკე მეფე“ (IX-X სს.). ვარაუდობენ, რომ წარწერაში მოხსენიებული უნდა იყოს კახეთის მეფე **კვირიკე I** (893-918 წწ.). მას, გადმოცემის თანახმად, სტეფანე ხირსელის მიერ აგებული მცირე ეკლესია შეუცვლია გუმბათიანი ტაძრით. იგი განახლებულა XVI საუკუნის 40-იან წლებში, ლევან კახთა მეფის დროს (<http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/khirs/khirs.htm>). წარწერა დაქარაგმებულია. ტექსტში მოცემული შესიტყვება **კვირიკე მეფე** მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის ამსახველია. ხმოვანფუძიანი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი – **მეფე** – სახელობით ბრუნვაში გაუფორმებელია, **ა**-ს გარეშეა წარმოდგენილი. შესაძლოა, ეს ფაქტი ძველი ქართული ენის იმ პერიოდის ენობრივი ვითარების ამსახველიც იყოს, როცა სახელი **მეფე** საკუთარ სახელად აღიქმებოდა და ბრუნების პარადიგმაც შესაბამისი იყო, იბრუნებოდა საკუთარ სახელთა მსგავსად (შდრ., **ფარაო** – ავტ.).

ზ. სარჯველაძეს დასახელებული აქვს ხირსის წმინდა სტეფანეს ეკლესიის წარწერა ამ სახით: **✠ ✠ ოღ ♂ ოღ** – „ქრისტე ადიდე **გაგიკა მეფე**“. მას მიაჩნია, რომ წარწერა უნდა დათარიღდეს 1029-1038 წლებით, და მიუთითებს, რომ ფორმა **გაგიკა** გამოავლენს სახელობითი ბრუნვის ნიშანს საკუთარ სახელთან (სარჯველაძე 1984: 19). მეცნიერს მიაჩნია, რომ **ა** გამოხატავს **ი** ხმოვანს. თუ დავაზუსტებთ, გამოდის, რომ ფორმა ანთროპონიმი **გაგიკა** საინტერესოა არა მხოლოდ იმით, რომ გაფორმებულია სახელობითში, არამედ იმითაც, რომ გვიჩვენებს **ა**-სა და **ი** ხმოვნის აღრევის ფაქტს.

სამხრეთ კედელზე, სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ, ჩადგმულია რელიეფური ჯვრები. მარჯვენა ჯვრის ფრთებში არის, ასევე, ასომთავრული წარწერა: **✠ ✠ ოღ ♂ ოღ** – **ქ. ქე ად მეფობა (დირსი) ლეონისი. ა. ნ. უ. ო.** წარწერაში მოხსენიებული უნდა იყოს ლევან კახთა მეფე: **ქ. ქ(რისტე) ად(იდ)ე მეფობა დ(ირსი) ლეონისი. ა(მე)ნ. უ(ფალ)ო.** წარწერის მიხედვით დამავალი დიფთონგი მოშლილია: პოსტპოზიციური წყობის სუბსტანტიურ მსაზღვრელთან ხმოვანფუძიანი სახელით გადმოცემული საზღვრული – **მეფობა** – სახელობით ბრუნვაში გაუფორმებელია, **ა**-ს გარეშეა წარმოდგენილი.

ხირსის მონასტრის შიგნით, იატაკიდან 2 მ-ის სიმაღლეზე, შელესილობის ქვეშ, დატანებულია თავდაყირა შეტრიალებული ასომთავრულით შესრულებული **სამშენებლო წარწერა**, რომელიც ფრაგმენტულია, ორივე სტრიქონის დასაწყისი გადაშლილია, ამოკითხულია სხვადასხვაგვარად:

ა. I სტრიქ.: ო.ღ ოღ ♂ ოღ — **II სტრიქ.:**
✠ ✠ ოღ ♂ ოღ

..... ოა ერისთ(ა)ობ(ას)ა — II სტრიქ.: ნი ქრ(ო)ნ(ი)კონი იყუს
რგ. ა(მე)ნ (მხედრ. ტრანსკრიპცია თ. ბარნაველის წაკითხვით) (ბარნაველი

1961: 148-149).

ბ. I სტრიქ.: 𐌖𐌃𐌆𐌀𐌃 — II სტრიქ.: 𐌀𐌆𐌒 𐌒𐌗𐌀𐌃 𐌖𐌒𐌖 𐌆𐌆
..... ერისთვობ[ასა] — II სტრიქ.: [ქრონიკ]ონი იყო სივ. ამინ
 (კორპუსი 1980: 310).

თ. ბარნაველის ვარიანტის მიხედვით წარწერა შეიძლება დათარიღდეს ასე: ქრონიკონი: **რგ** = 106, $106 + 780 = 886$ (კორპუსი 1980: 309), მეორე ვარიანტის მიხედვით კი დათარიღება შეიცვლება: 1) ქრონიკონი: **სივ** = 216, $216 + 780 = 996$ ან: 2) ქრონიკონი: **ივ** = 16, $16 + 780 = 796$. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო ჩანს პირველი ვარიანტის მიხედვით დათარიღება (886 წ.), რადგან წარწერაში მოხსენიებული კვირიკე I, რომელსაც სტეფანე ხირსელის მიერ აგებული მცირე ეკლესია შეუცვლია გუმბათიანი ტაძრით, დაახლოებით ამ პერიოდში მეფობდა.

ხირსის მონასტრის დასავლეთ კედელში ჩადგმულია კიდევ ერთი წარწერიანი ფილა, რომელზეც მოხსენიებულია იმპერატორი ალექსანდრე I მხედრობასთან ერთად: „ადიდე ღმერთო იმპერატორი ალექსანდრე პირველი და **მხედრობანი მისნი**. ამინ. და არხიმანდრიტი ნიკიფორე“ (იქვე). წარწერაში ყურადღებას იპყრობს ნარიან მრავლობითში დასმული შესიტყვება მხედრობანი მისნი. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის, ჩვეულებრივ, სრული შეთანხმებაა როგორც ბრუნვაში, ისე რიცხვში.

რამდენიმე წარწერაა შემონახული **აკურაში** (თელავი). სოფლიდან 1,5 კმ მანძილზე, ტყეში, მდინარე ვანთისხევის ნაპირზე, მდებარეობს **მამადავითის (დავით გარეჯელის) მონასტერი**, რომლის მთავარი ეკლესია IX საუკუნის ბაზილიკაა. მასზე შემორჩენილია ოთხი ასომთავრული წარწერა, რომელთაგან ერთი საღებავითაა შესრულებული, ორი შელესილობაზეა ამოღარული და ერთიც ლაპიდარულია. ძველი გამოკვლეული აქვს აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილს. მისი ვარაუდით, მონასტერი დაარსებულია 855 წელს დიდი საეკლესიო მოღვაწის წმინდა ილარიონ ქართველის მიერ (კორპუსი 1980: 312: <http://saunje.ge/index.php?id=666&lang=en>). წარწერებს X-XI საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

სამსტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული წარწერაა მონასტრის საკურთხევლის სარკმლის ძირში, შირიმის ქვაზე. იგი გაყოფილია ქვის გახეთქვის შედეგად მიღებული ნაპრალოვანი ხაზით, რაც ართულებს წარწერის სრულყოფილად ამოკითხვას: **𐌖𐌆𐌆 𐌀𐌆 𐌖𐌆𐌆 𐌖𐌆𐌆 𐌖𐌆𐌆 𐌖𐌆𐌆**. ტექსტი შეიცავს მოსახსენებელს გიორგის ძეთა: **გ(ან)უს(უენ)ე უ(ფალო) სუ(ლს)ა გ(ი)ორგის ძეთ(ა)ს(ა)** (კორპუსი 1980: 313). წარწერაში მოცემულია ორი სახელური სინტაგმა: **სულსა ძეთასა** და **გიორგის ძეთასა**. აქ გამოიყოფა ორი მსაზღვრელი, ორივე სუბსტანტიური: პირველი – **ძეთასა**, ორმაგი ბრუნების, მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელია, საზღვრულთან შეთანხმებულია მიცემით ბრუნვაში, ხოლო მეორე – **გიორგის** – მართულია ნათესაობით ბრუნვაში.

აკურას წარწერა შესრულებულია ღრმა კვეთით, ასომთავრულიდან



ნუსხურზე გარდამავალი ასოებით, რომლებიც დაფერილია წითელი ფერის საღებავით. ტაძრის წარწერები შეისწავლა თ. ბარნაველმა და პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე IX საუკუნით დაათარიღა.

მამადავითის მონასტრის დასავლეთ ფასადზე, თაღის ქვედა ნაწილში, მოთავსებულია კირის ნოტიო ბათქაშზე ამოდარული ორი დიდი ასომთავრული წარწერა. დარები დაფარულია წითელი საღებავით. ზოგი ასო გამოყვანილი ყოფილა მხოლოდ საღებავით. წარწერა ჩასმულია წითელი საღებავებითვე შესრულებულ ჩარჩოში. ქარაგმები ახსნა და წარწერები ამოიკითხა თ. ბარნაველმა (1961 წ.):

1. Ⴀ ႠႠ ႠႠႠႠႠႠ ႠႠႠ ႠႠႠ ႠႠႠႠႠႠ ႠႠႠႠႠႠႠ ႠႠႠႠႠႠႠ ႠႠႠႠႠႠႠ

--- ႠႠႠႠ --- ႠႠႠ ႠႠႠႠ --- ႠႠႠႠ

„ქ. წმიდაო ღმრთისმშობელო შეიწყალე ტ ბ ლ და შვილნი მისნი; მოსწრაფებაჲ ქმნა [და] ალაშენა [წმიდაჲ] ესე საყდ[არი] შენა“.

2. ႠႠ ႠႠႠ ႠႠႠႠ ႠႠႠႠ ႠႠႠႠ --- ႠႠႠႠ ---

ႠႠႠ ႠႠႠ --- ႠႠ --- ႠႠ ---

„წმიდაო ღმრთისმშობელო შეეწიე ერისთავთ ერისთავსა დვლთა და ძეთა მისთა...“ (ბარნაველი 1961: 45-46).

ენობრივი თვალსაზრისით პირველ წარწერაში გამოვყოფთ **მ**-ს გამოყენების ორ ფაქტს: **მოსწრაფებაჲ** (ან: **მოსწრაფაჲ** – ავტ.) და **შენა**. პირველ შემთხვევაში დაცულია ძველი ქართული ენის ნორმა, ხმოვანფუძიანი სახელის აუსლაუტში შენარჩუნებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფი **მ**, მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს იოტამეტობასთან, **მ** არის **ო**-ს ნაცვლად კუთვნილებითი ნაცვალსახელის სახელობით ბრუნვაში; წარწერაში მოცემულია რამდენიმე სინტაგმა: 1) **წმიდაო ღმრთისმშობელო** – ზედსართავი სახელით გადმოცემული პრეპოზიციური წყობის ატრიბუტული მსაზღვრელი (**წმიდაო**) შეთანხმებულია საზღვრულთან (**ღმრთისმშობელო**) წოდებით ბრუნვაში; 2) **შვილნი მისნი** – კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული პოსტპოზიციური წყობის ატრიბუტული მსაზღვრელი (**მისნი**) შეთანხმებულია საზღვრულთან (**შვილნი**) ბრუნვასა (სახელობითში) და რიცხვში (ნარიან მრავლობითში); 3) ანალოგიური ვითარებაა მესამე წყვილში – **საყდ[არი] შენა**, ოღონდ მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მხოლოდითშია. ცალკე გამოვყოფთ კიდევ ერთ ენობრივ ფაქტს: **[წმიდაჲ] ესე საყდ[არი]** – აღდგენილი მსაზღვრელის **[წმიდაჲ]** გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში გვაქვს განსაზღვრული **ესე** ნაწევრით გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში.

ანალოგიური ვითარებაა მეორე წარწერის ორ წყვილში: **წმიდაო ღმრთისმშობელო** და **ძეთა მისთა**. მეორე წყვილის მსაზღვრელი (**მისთა**) შეთანხმებულია საზღვრულთან (**ძეთა**) მიცემით ბრუნვასა და თანიან მრავლობითში. ორივე წარწერაში მოცემული ყველა სინტაგმა სინტაქსურად

ძირითადად ძველი ქართული ენის ნორმათა ფარგლებშია.

ზ. სარჯველაძე ასახელებს დავით-გარეჯის ნათლისმცემლის გამოქვაბულ ეკლესიაში VII საუკუნის სტელაზე შესრულებულ კიდევ ერთ წარწერას, რომელიც ასე იკითხება: **ესე ჯუარი მე, მარზუნ, ავმართე სალოცველად ჩემდა და ცოლისა, შვილთათჳს** (სარჯველაძე 1980: 19). წარწერაში ყურადღებას იპყრობს რამდენიმე სიტყვაფორმა: 1) **ავმართე** ზმნაში **აღ-** ზმნისწინის ნაცვლად წარმოდგენილია მისი გამარტივებული ვარიანტი **ა-**; 2) პირველი პირის ნაცვალსახელის ნათესაობითში მოცემულია **-და** ელემენტი: ჩემდა, საზოგადო არსებითი სახელი (**შვილთათჳს**) იმავე ბრუნვაში **-თჳს** თანდებულიანია.

რამდენიმე წარწერა შემორჩენილი **ნინოწმინდაში** (საგარეჯო) გუმბათიანი ტაძრის ნანგრევებში (აღმ. და დას. კედლის ნაწილი) VI საუკუნისა (გ. ჩუბინაშვილი). რესტავრირებულია ჯერ XI-XII საუკუნეებში, შემდეგ – XVIII საუკუნის II ნახევარში. 1824 წელს ტაძარი მიწისძვრის შედეგად დანგრეულა (<http://saunje.ge/index.php?id=781&lang=en>). აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულია ხუთი წარწერა, რომელთაგან ოთხი ძირითადად ასომთავრულია, ერთი კი შესრულებული უნდა იყოს უცნობი დამწერლობით (ჰერეთული – ა. შანიძე; ალბანური – პ. ინგოროყვა, ს.კაკაბაძე; კრიპტოგრამა – თ. ბარნაველი). ოთხივე წარწერას მიაკუთვნებენ ერთსა და იმავე დროს (X-XI სს.). დათარიღების საფუძვლად მიჩნეულია პალეოგრაფიული ნიშნები: 1) მიდრეკილება ოთხხაზოვნებისკენ, განუსხურება-გაკუთხოვნებისაკენ (ნუსხური **ც** I წარწერაში, **ტ** და **მ** – III წარწერაში), 2) განკვეთილობის ნიშნების გარეშე წერა (კორპუსი 1980: 314-315).

ოთხივე წარწერა მლოცველთა მოსახსენებელია:

I. მოსახსენებელი კაციასი:

ქ-ი ყ-ი ნ-ეა — ქ(რისტე)ე შ(ეიწყალ)ე კ(ა)ც(ია)ა (ქართ. წარწ. კორპ.

1980: 314);

II. მოსახსენებელი თევდორესი:

ქ-ი ყ-ი ტ-ი — ქ(რისტე)ე შ(ეიწყალ)ე თ(ევდორ)ე (იქვე);

III. მოსახსენებელი სტეფანესი:

1) **ქ-ი ყ-ი ს-ეჟ-ი** — ქ(რისტე)ე შ(ეიწყალ)ე სტ(ე)ფ(ან)ე (იქვე: 315-

316);

თუ გავითვალისწინებთ ამ წარწერის ბოლო ნაწილსაც (**ჲა**), რომლის ამოკითხვაც არის შესაძლებელი, იგი მიიღებს უფრო სრულყოფილ სახეს:

ქ-ი ყ-ი ს-ეჟ-ი ჲ ჲა — ქ(რისტე)ე შ(ეიწყალ)ე სტ(ე)ფ(ან)ე დ(ა)

მ(...)**ა** (ავტ.);

IV. მოსახსენებელი ბაკურდუხტისა:

ქ-ი ჴყს-ჲ ს-ხ-ი ყღ-ჲჴ-ჲჲს-ი — ქ(რისტე)ე მ(ოი)კს(ე)ნ(ე) ს(უ)ლი

ბ(ა)კ(უ)რდ(უ)ხტ(ი)სი (იქვე).

ნინოწმინდის ტაძრის წარწერებში რაიმე მნიშვნელოვანი ენობრივი

მოვლენა არ შეიმჩნევა, თუ არ ჩავთვლით იოტი (მ) და ხარი (ვ) ბგერების გამომხატველ ასომთავრულ გრაფემებს რამდენიმე სიტყვაში: **კაცია** (I წარწ.), **მოიკსენე** (IV წარწ.). ვფიქრობთ, ნუსხური გრაფემა ა (იოტი) უნდა იყოს III წარწერის ბოლოს: **ჟა**. ამგვარი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ქარაგმიანი სიტყვის დასაწყისი ნუსხური გრაფემა (მ). ეს სიტყვა შეიძლება იყოს საკუთარი სახელი **მართამ**. შდრ., I წარწერაში მოხსენიებული ანთროპონიმი **კაცია** (ან **კაცამ**: ზ. სარჯველაძე – ავტ.). ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით, საკუთარი სახელი სახელობით ბრუნვაში არ დაირთავდა ბრუნვის ნიშანს. IX საუკუნიდან წერილობით ძეგლებში სპორადულად გამოვლინდება საკუთარი სახელის საზოგადოსთან გათანაბრების ტენდენცია. საანალიზო ფორმა **კაცია** (და **მართამ** – ავტ.) სწორედ ამ პერიოდისაა, წარწერას X-XI საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ამგვარად ათარიღებს I წარწერას ზ. სარჯველაძეც, მაგრამ მას მიაჩნია, რომ წარწერაში მოხსენიებულია არა **კაცია**, არამედ საკუთარი სახელი **კაცამ**, რომელიც ნაწარმოებია **კაც** სახელისაგან კნინობითის – ა სუფიქსით, **კახამ**, **სულამ** სახელთა მსგავსად (სარჯველაძე 1984: 19). დამაჯერებლობას არც ეს მოსაზრებაა მოკლებული, თუმცა ჩვენამდე დაზიანებით მოღწეული წარწერა რომელიმეს უარყოფის საშუალებას არ იძლევა.

IX-XI საუკუნეებით დათარიღებულ კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა პალეოგრაფიულ-ენობრივი ასპექტით მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ წარწერათა შემსრულებლების ენობრივი სისტემა, ჩვეულებრივ, ჯერ კიდევ ძველი ქართული ენის ნორმათა ფარგლებშია, თუმცა, ენის ცვალებადობის პრინციპიდან გამომდინარე, აქა-იქ, მაგრამ მაინც, დაჩნდება დარღვევებისა თუ აღრევის ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ წარწერათა ტექსტები დაზიანებულია, სრულყოფილად არ იკითხება და ჭირს შესაბამისი პერიოდის ენობრივ თავისებურებათა შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიღება, კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მონაცემების გათვალისწინება ფასეული იქნება როგორც ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის, ისე ენისა და დამწერლობის ისტორიის შესწავლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარნაველი 1961: ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბილისი, 1961.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.

საღინაძე 2017: საღინაძე რ., იმერეთის ლაპიდარულ წარწერათა (IX-XII სს.) ენა. ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XXI. ქუთაისი. 2017.

კორპუსი 1980: ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ. 1: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შემდგენელი ნ. შოშიაშვილი. თბილისი. 1980.

ელექტრონული რესურსები

გრემის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია: <https://www.about.ge/ka/pois/?poid=925> დამოწმება: 20.10.2021.

თარსა გალაგანი: <http://www.dzglebi.ge/dzglebi/tt/tarsagalavani.html> დამოწმება: 19.10.2021.

ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე. თბილისი, 2013: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=25&t=450> დამოწმება: 24.10.2021.

ხირსის მამათა მონასტერი: <http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/khirs/khirs.htm> დამოწმება: 19.10.2021.

<http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/khirs/khirs.htm> დამოწმება: 19.10.2021.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.130-138>

**პიროვნების ემანსიპაციის საკითხი
ბარბარე ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივი
აზროვნების ჭრილში**

**The issue of personality emancipation
of Barbare Jorjadze in the context
of worldview thinking**

მარიამ სულხანიშვილი

დუზჯეს უნივერსიტეტი
თურქეთი, დუზჯე

Mariam Sulkhaniashvili

Duzje University
Turkey, Duzce

ABSTRACT

The interrelationship between women and men, which is presented by Georgian writers in fiction, is considered by us as a driving force and factor in the emancipation of the individual. Our reasoning concerns our point of view and we have also chosen the material appropriate for the interpretation of our own views. Our opinion, in general, on the nature of national literature and its main factors, is based on the thoughts of Georgian classics in this direction. We believe that the examples we have discussed speak to national values, and in this respect, Georgian literature is very interesting.

We present the three most important factors from the national literature. The theme of pure love in Konstantine Gamsakhurdia's worldview thinking implies the inner, spiritual deification of man, woman, and man. We believe that his generalized face is a natural phenomenon for the Georgian reality, and his ideological imagination in artistic creation is an irreplaceable paradigm of every time, which fulfills the didactic direction, in terms of the emancipation of the person.

The second example concerns the manifestation of the free nature of a woman's inner nature, an incomparable example of which was given to us by Vazha-Pshavela. Aghaza's original, free inner world is a truly irreplaceable paradigm of an emancipated woman, in the formation of which an active role

belongs to a Georgian man.

The third topic reveals in a very original way the natural state of the Georgian man, and his inner character, which from our point of view we still consider in general, as one of the most important factorscharacteristics of the national literature. This is where the inner goal and strength of a Georgian person unfold. Man is inwardly mystical with the God-human beginning. Of course, all three moments are our natural state, which in no way detracts from the sense of reality.

Against the background of these discussions, by which we interpret the nature of Georgian literature in general, we see the goal of the inner spiritual set of Georgian women and men towards a common idea. This idea is a sacred idea, strictly adhered to by moral and ethical laws. Against this background, Barbare Jorjadze's artistic vision contradicts and deviates from the common goal.

The tragic scene in the novel „Mariam“ is unacceptable for us personally, because it does not correspond to the natural state of a Georgian woman. The didactic character of Georgian literature is revealed in the spiritual unity of the man with the god-human beginning, and in the woman - in his divinity.

It is difficult to morally support a woman who has cleverly, cleverly killed a person, even an enemy of her own homeland. We think this is a writer's childish fantasy.

Barbare Jorjadze feels and revives the Amazons in her inner world with an atavistic feeling. Of course, when discussing the nature of the worldview credo of Georgian literature, such paradigms would be unacceptable. Such is our vision.

საკვანძო სიტყვები: პიროვნების ემანსიპაცია, ბარბარე ჯორჯაძე, ქალის ფენომენი.

Keywords: Emancipation of personality, Barbare Jorjadze, Phenomenon of woman.

პიროვნების ემანსიპაცია კაცობრიობის თანმდევი პროცესია. უპირველესად იგი პიროვნების ინდივიდუალიზაციას გულისხმობს, რომელიც შინაგანი თავისუფლების პულსაციით ხასიათდება. პიროვნებისთვის თავისუფლების მიღწევა შინაგან სამყაროში მიმდინარე რთული სულიერი პროცესია და კონკრეტულ მოცემულობაში დომინანტი როლის შემსრულებელიმისივეგონებრივიპოტენციალია, რომელიცგადაჯაჭვულია ადამიანის სულთან. პიროვნების მხრიდან ემანსიპაციის გამოვლინების მოთხოვნა ხდება სამართლებრივ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ჭრილში, ხოლო ჩვენი საუკუნის გლობალური დაინტერესება განსაკუთრებულად ქალისა და მამაკაცის უფლებების გათანაბრებამ გამოიწვია. ვფიქრობთ, ეს მეტად საინტერესო თემატიკაა თავისი მრავალმხრივი ასპექტებით.

საპირისპირო სქესთა შორის ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების ფორმაციათა ცვლა ორგანულ კავშირშია, ზოგადად, პიროვნების ემანსიპაციასთან, რომელიც, ჩვენი აზრით, უშუალოდ განაპირობებს ამ პროცესებს და ამიტომაც მიგვაჩნია, რომ მასზე მსჯელობა მასთან მიმართებით განიხილება.

რაც შეეხება ბარბარე ჯორჯაძის პიროვნებას, იგი ერთგვარ პროგრესულად მოაზროვნე ქალბატონად გახლავთ წარმოდგენილი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში. ის ქალთა უფლებების დამცველად კი მოიაზრებოდა იმ დროში და მისმა პერსონამ ერთგვარი სიმბოლური სახეც კი შეინარჩუნა დღემდე ამ სტატუსით. ბარბარე ჯორჯაძე ინდივიდუალიზმის თავისუფალი გამოვლინების პარადიგმა იმ თამამი და გაბედული ნაბიჯების გამო, რომელმაც ის, როგორც პიროვნება, საზოგადოებრივი ცხოვრების საბრძოლო ასპარეზზე გამოიყვანა მეტად რთულ და საინტერესო ეპოქაში. ზოგადად, ქართულ სინამდვილეში, ქართველი ქალიც და მამაკაციც ყოველთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლებისთვის და ისინი საკუთარ სიცოცხლესაც არ ამაღლიდნენ ამ დიად იდეას. მეცხრამეტე საუკუნეში ბარბარე ჯორჯაძეც აქტიურად ერთვებოდა ბრძოლაში დაცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს თავისუფლების საქმეში. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მის მიერ მხატვრულ სამყაროში შექმნილ იმ საინტერესო დეტალებზე, რომლებმაც ქართველი ქალი განსხვავებულ ამპლუაში წარმოგვიდგინა. მწერლის მსოფლმხედველობრივი კრედო ქართველი ქალის თავისებურ გაგებას ემყარება, თუმცა რამდენად მისაღებსა თუ მიუღებელს ქართული აზროვნებისთვის, ეს კიდევ სულ სხვა განსახილველი საკითხია. ერთი რამ აუცილებლად შესამჩნევი ფაქტია, რომ ბარბარე ჯორჯაძე ერთგვარი „თამამი რაინდის“ როლშია წარმოდგენილი საკუთარ ფანტაზიებში. ვიდრე დეტალების დახასიათებაზე გადავალთ, დასახელებული თემის ზოგადი განხილვის კუთხით გვსურს ქართული მწერლობიდან სამიოდე მაგალითის მოხმობა. ვფიქრობთ, მათი განზოგადება ჩვენს სათქმელს უფრო ნათელს გახდის და წარმოაჩენს ქართული მწერლობის სპეციფიკას ზოგადად, თუ როგორ ვლინდება სქესთა შორის ურთიერთობები ქართველ მწერალთა მენტალურ წარმოსახვაში. ჩვენი აზრით, მათი დიდაქტიკური ზეგავლენა ზრდის და აყალიბებს ზოგადად ადამიანის პიროვნებას და, შესაბამისად, ეს ურთიერთობები განაპირობებენ პიროვნების ემანსიპაციის რთულ პროცესებს ქალშიც და მამაკაცშიც, მათივე სულიერი და მენტალური ზრდის კვალობაზე.

ქალისა და მამაკაცის პიროვნული ურთიერთობის ტრადიციულ ჭრილში განხილვისას ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ მამაკაცი და მისი ფუნქციური დატვირთვა უფრო განსჯით, გონებრივ უნარებს ეფუძნება, ხოლო ქალი ემოციურია, მგრძნობიარეა და, შესაბამისად, სხეულიც ნატიფი აქვს. ამამია მისი ხიბლი. ჩვენი აზრით, იგი ყოველთვის სიყვარულის



გამომწვევ ებრძოდა დარჩება სქესთა ბრძოლაში. ამ ორი საწყისის შერწყმა ქმნის მთელი მთავარი განცდა და ამგვარ სრულყოფილებაში სწრაფვისას თავისთავად იძულება და ვლინდება ადამიანის პიროვნება იმ გაგებით, რომ მამაკაცი ქმნის ქალს და ქალი „შობს“ მამაკაცს ზუსტად ისეთს, როგორც მას ეს სურს. ეს ტრადიციული წარმოდგენა, მათი მიწიერი სხეულებით გამოხატული განსხვავებული ფიზიოგნომიკა ადაპტირებულია სულიერ პლანში. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ უკავშირდება ადამიანის პიროვნების ემანსიპაციას. ემანსიპირებული პიროვნება კი თავისებური სპეციფიკური ნიშნით აყალიბებს საპირისპირო სქესთა შორის ურთიერთობებს. ეროვნული ფაქტორი და დრო ის ატრიბუტებია, რომლებიც ყოველთვის დარჩება მათი ხასიათების უშუალო მსაზღვრელად.

ქართველი ქალის გარეგნული სახისმეტყველების შესახებაც გვსურს შევნიშნოთ ორიოდე სიტყვით, რომ ძველი ბერძნული სკულპტურული ხელოვნება კოლხი ქალების სახის გამომეტყველების მიხედვით იქმნებოდა, რომელიც მისტიური სპეციფიკით ხასიათდება. ყოველივე ეს მომდინარეობდა ადამიანის სულიდან, რომელიც პიროვნების ცნობიერებას უშუალოდ განაგებდა. სულის იდუმალება გარეგნულ ფაქტორებზე მუშაობდა. უძველესი კოლხური მისტიკებიდან აღმოცენებული მითები სულიერ გზებზე გვესაუბრებიან, რომელთა წარმოშობას ადამიანის შინაგანი თავისუფლება განაპირობებდა. ეს პროცესები შემდგომში, უკვე ისტორიულ რეალობაში, პიროვნების მიერ თვითდათმობის, მსხვერპლისუნარიანობის უდიდეს პოტენციალში ყალიბდებოდა. ამდღობული იდეისადმი საკუთარი თავის მსხვერპლად მიძღვნა უწყვეტად ქმნიდა კავკასიური რასის პროფილს. ეს გახლდათ საერთო, თანაბრად აქტიური მებრძოლი სულისკვეთების გამოვლინება როგორც მამაკაცში, ასევე ქალში. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ეს დამოკიდებულებები უკვე ტრადიციად იყო გადაქცეული და ცალსახად წარმოდგენდა ინსპირაციის წყაროს პიროვნების ემანსიპაციაში. ქართველი ქალბატონის, საზოგადო მოღვაწის ბარბარე ჯორჯაძის სახისმეტყველებაც, ჩიხტიკოპით და ქართული ტრადიციული სამოსით შემკული მეცხრამეტე საუკუნის ისტორიულ ნიშაში, გამოხატავდა სულიერი თავისუფლებისა და თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლის შეუდარებელ სახეს ქალურ ამპლუაში.

ქალურ ასპექტში ქართული ხასიათის თვითგამოვლინების შესახებ ღრმად დაფიქრებული მეცნიერი მიხეილ თარხნიშვილი ეძიებდა წმინდა ნინოს ლეგენდის შექმნის საიდუმლოს და ლეგენდის რეალურობამდე მივიდა: „ახლა ვიცით, სად უნდა ვეძიოთ ნინოს ლეგენდის საფუძველი: არა მოსე ხორენელთან, არამედ ქართველი ერის ისტორიისა და რელიგიურ-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში“, – წერდა მეცნიერი. ჩვენის მხრივ კი შევნიშნავთ, რომ ანალოგიურად გაიაზრება წმინდა გიორგის კულტიც. უდავოა, რომ ქართველთა თვითშეგნება

სულიერ პლანში რელიგიურ სიწმინდეს ემსახურებოდა ოდითგანვე. ეს მომენტები ბუნებრივად აისახებოდა ეროვნულ მწერლობაზე. ქართველი მწერლები მხატვრული ფანტაზიებით ინდივიდუალურ სპექტრში ახდენდნენ უძველესი მისტიკებიდან მომდინარე მითოსური სახეების მეტამორფოზას. ისინი შემოქმედებით ქმნიდნენ ახალ მითოსებს და მხატვრული სახისმეტყველებით თავადვე უკეთებდნენ ინტერპრეტაციას საკუთარ სულიერ სამყაროს. ქართული ტრადიციის თანახმად, როდესაც საუკუნეების წიაღში ქალს მზითავად „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ, ცხადი ხდება ერის უშუალო დამოკიდებულება სულიერი განსწავლულობისადმი. ამ შემთხვევაში ჩვენ ხაზს ვუსვამთ შოთა რუსთაველის პიროვნებას, როგორც სულიერ ადებტს, რომელიც ერს აღმზრდელად ევლინება შუა საუკუნეებში. მის მიერ მოცემული ინიციაციის დოქტრინები ადამიანის შინაგან თავისუფლებაზეა ორიენტირებული და შესაბამისია განცდაც, ქართულ სინამდვილეში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

მწერლობის დიდაქტიკური ხასიათი, როგორც სულიერი ინიციაციის გზის მაჩვენებლის, კონსტანტინე გამსახურდიასთან მეტად ორიგინალურ სახეს იღებს. მწერლისეული მხატვრული წარმოსახვიდან ჩვენთვის მეტად საინტერესოა მამაკაცისა და ქალის ურთიერთსიყვარულის შეუღარებელი ნიმუშები. სცენა სიყვარულის ისტორიის დასასრულისა ასეთია: ორი მოსიყვარულე სულიდან ერთი კვდება, მეორე თავს იკლავს. ამ ტრაგედიის განცდაც თავისთავად მწერლის სულიერ სამყაროში ხდება. სიყვარული არამიწიერი გაგებით ხასიათდება: „ამიტომაც უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე შევიცნობდი, თუ რა იყო ქალი და კაცი“, – ამბობს მისი რომანის გმირი. მის წარმოდგენაში ქალი და მამაკაცი სულიერი ინტიმისთვის არიან შექმნილნი, სადაც ერთმანეთის შეცნობა წარმოშობს სიყვარულს. მისი რომანის გმირებს თუ დაეუკვირდებით, თითოეული თითქოსდა გამიზნულად მიისწრაფვის სიკვდილისაკენ, საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვის გზას გადიან ერთმანეთისადმი ტრფობისას და ამით ისინი ზიარნი არიან მიღმა, სულიერ სამყაროსთან. მწერლის ეს სიტყვებიც ამგვარ სენტენციად ყალიბდება: „მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადუამოდ, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი“. სიყვარულის საზომი მსხვერპლისუნარიანობის სიდიდით ფასდება და ამგვარი ზვარაკი ზრდის და აყალიბებს პიროვნების შინაგან სულიერ წყობას, ანიჭებს მას თავისუფლების განცდას და პიროვნების არსებობის მარადიულობას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ქართველი ქალის მზრდელი ძალა ქართველ მამაკაცშია ჩადებული და, პირიქით, ქალია თავად შემოქმედი ძალა ქართველი მამაკაცის სულიერებისა. სული კი, ზოგადად, შემოქმედებით პროცესშია უნივერსალურ იდეასთან: „მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი“. სულის ამგვარი მარტივილობა ქმნის მზისშვილობის განცდას პიროვნების ემანსიპაციაში, რომელიც ერთგვარ ინიციაციის დოქტრინას წარმოადგენს სულიერი ადებტისათვის. ეს უკანასკნელი კი როდი გახლდათ უცხო ქართული სინამდვილისთვის. პირიქით, ამ იდეას ემსახურებოდა



ყოველთვის დიდი და ფასეული ქართული მხატვრული ლიტერატურის არსებობა საქართველოში. საგულისხმოა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით იდეა ამოზრდილია ქართული ხალხური „ეთერიანიდან“, რომელიც საუკეთესოდ ადასტურებს იმას, რომ მსგავსი ტენდენცია სულიერ ასპექტში, ზოგადად, ქართულ გაგებას და მის მენტალურ წარმოსახვას ახასიათებდა.

ქალისა და მამაკაცის მიწიერ ასპექტში ურთიერთობის იგივე თემატიკა განვიხილოთ გრიგოლ რობაქიძესთან, ოღონდ ცოტა განსხვავებული კუთხით. მისი ერთ-ერთი ლექსი „ირუბაქიძის ხასა“ გენიალურად ასახავს ქალისა და მამაკაცის ურთიერთკავშირ(ებ)ს ჩვენს ეროვნულ რეალობაში. სენსუალიზმი, რომელიც ამ ლექსში ვლინდება, ბუნებრივი მახასიათებელია საპირისპირო სქესთა შორის ლტოლვის. გენიალურია ეს კონკრეტული მხატვრული ნიმუში ამგვარი ვნების გადმოცემისას. სცენა, სადაც მამაკაცური ენერჯია ხვდება ქალის ენერჯიას, მთელი სისავსით და კულმინაციური განცდით გამოითქმება მხატვრულ ენაზე. მას სურს ფიზიკურად დაეუფლოს ქალს. სულით ხორცამდე აღტკინებული კიდეც იპყრობს ქალის ვნებიან სხეულს, მაგრამ რაღაც მომენტში მისი მიწიერი ყოფიერება თითქოსდა ორდება და სულიერი სხეული ენაცვლება ამ დროს. ხილვაც ფართოვდება და შინაგანი მზერით ქალის სულიერ საშოში იღვრება მარადვარსებრი მზიური ენერჯია. ეს ქართველი კაცის ბუნებისათვის დამახასიათებელი სულიერი მდგომარეობაა, რომლის ძალმოსილებაც იმდენად წმინდაა და ამაღლებული, რომ მისი ჭეშმარიტი ბუნების გამზიანება თავისთავად ხდება მიწიერი ყოფიერების ასპექტში. მიწიერი ქალი უკვე მადონად და ღვთისმშობლად გადაიქცევა. შემოქმედის დანაპირები ამგვარია: „აგამზეურებ როგორც შუბის ტარს ირუბაქიძის...“ კაცი აწმინდანებს ქალს ქართულ რეალობაში. ეს კონკრეტული ლექსი საუკეთესოდ იძლევა ამის დასტურს. ეს გახლავთ რეალობა ქართული სულიერებისა.

და ბოლოს, ჩვენეული ხედვით ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც შევხებით ვაჟა-ფშაველას „სტუმართ-მასპინძელში“. ალაზას მიერ ზვიადაურის დატირების სცენა სულით ხორცამდე შეძრავს ადამიანის შინაგანი სამყაროს წყობას და სულ სხვა რელსებზე გადააწყო მას. „ნეტავი იმას, ვინაცა მაგის მკლავზედა წვებოდა, ვისაცა მკერდი აწ კრული, მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!“ ალაზამ მოკლული მტერი ქალური ბუნებიდან გამომდინარე დაიტირა. ქალის ფენომენი ბუნებრივად აირეკლავს მამაკაცის ვაჟკაცობას და ამ გასაოცარ რეალობას მთელი სიზუსტით გენიალურად გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა. ქალი თავისუფალი რჩება მთის მკაცრად დადგენილ ადათ-წესებშიც კი. იგი არავისი კუთვნილება არ გახლავთ და ის, საკუთრივ შინაგანი სულიერი წყობით, არსებობს როგორც თავისთავადობა. უმსგავსო, ვაჟკაცისთვის შეუფერებელი საქციელის გამო, ბრანძორეულ დიაცს სურს მტრის განადგურება, რათა სიკვდილისგან იხსნას თავისი რჩეული, თუმცა რჯულს ვერ გადადის, ქალად ყოფნის რჯულსა და

კანონს. იგივე ძალმოსილებით სიკვდილითვე დათრგუნოს ბოროტება, აღაზას ქალური ბუნების სისასვე ვერ დაიტევს ამას. სამაგიეროდ, მას შეუძლია გლოვა და მოთქმა, საკუთარი სულისა და გულის მსხვერპლად მიტანა და ამაღლებული იდეის შექმნა საკუთარ წარმოსახვაში. ქალის ფენომენის გენიალური წვდომაა ვაჟა-ფშაველას მიერ დანახული. არაფერია გამოგონილი, ეს რეალობაც ბუნებითად ახასიათებს ქართული ყოფიერების სინამდვილეს. სახლში დაბრუნებულს კი აი, რას ეუბნება ქმარი: „იტირე?-მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა, დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. „უცხო კაცის მოზარე“ ქალს სულიერ თანადგომასა და სოლიდარობას უცხადებს საკუთარი ქმარი. ეს არის საქართველო და ასეთი პარადიგმები მეტყველებს ქართული ფენომენის ღირებულებებზე, ქართველი ადამიანის მენტალობასა და პიროვნულ ღირსებაზე. მთაში აღზრდილი ჯოყოლა საუკეთესოდ ფლობს ქალის საიდუმლოს. მთაში ქალში განხორციელებული თავისუფლებისმოყვარე უკვდავი სული ხელშეუხებელია. მამაკაცი თავადვე იცავს მის თავისუფლებას. ამ სიტყვებით გამოხატული ჯოყოლას საქციელი ერთგვარი თავისუფალი არჩევანის წინაშეც აყენებს საკუთარ ცოლს, ქალის ბუნებას. ამ სიტყვების მოსმენის შემდგომ აღაზა, ბუნებრივად, ქმრის ერთგული უნდა დარჩეს. ის უკვე ვეღარ გაცვლის ჯოყოლას ზვიადაურში, რადგან მისი „მფლობელი“ ქმარი ზვიადაურზე არანაკლები ვაჟკაცი გამოდგა. ეს მაგალითი საუკეთესო პარადიგმად მიგვაჩნია იმ ტენდენციის გამოსავლენად, რომ ჩვენში ქალი არავისი საკუთრება არ გახლდათ. თავისი ბუნებით ის თავისუფალი არჩევანის წინაშე იდგა მუდამ. ჩვენს ეროვნულ მენტალურ აზროვნებაში ქალი იმისია, ვინც ძლიერია. ეს სიმლიერე კი ყოველთვის კეთილშობილების საზომით იზომებოდა. ქალს მხოლოდ უნდა ფლობდეს საწინააღმდეგო სქესის ადამიანი. მორალი და ზნეობა, ვაჟკაცობასთან ერთად, ის აუცილებელი პრიორიტეტებია ორივე სქესისთვის, რომელსაც სულიერი სიწმინდისაკენ მიჰყავს ადამიანის პიროვნება.

ამდენად, ჩვენ სამი კლასიკოსი მწერლის დახმარებით, სამიოდვე მაგალითის კონკრეტიზაციით შევეცადეთ განზოგადებულად გადმოგვეცა სახე ქართული სინამდვილისა, სადაც საუკეთესოდ ვლინდება ქალისა და მამაკაცის დანიშნულება ადამიანის პიროვნული ზრდის კვალობაზე. პიროვნულ ზრდაში, როგორც ამ მაგალითებიდან გამოჩნდა, ქართული მწერლობის დიდაქტიკა უპირობოდ გულისხმობს ადამიანის პიროვნების ზიარებას მიღმა სამყაროსთან, რაც საბოლოოდ არის სულის ხსნა. სოციალურად გათანაბრებულნი თუ სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონენი ამ მიზნის მისაღწევად ერთნაირი თავდადებით იღვწიან ცნობიერად თუ ქვეცნობიერად. ქალისა და მამაკაცის სულიერი პოტენციალები თანაბარია დიად იდეასთან მიმართებისას. ბარბარე ჯორჯაძის ისტორიული პიროვნებაც ამგვარი დიადი იდეისათვის მებრძოლთა ამპლუაში განიხილება. მისი ისტორიული პროფილი, უდავოდ, ავლენს მის შეუპოვარ ხასიათს და სამშობლოსადმი თავდადებულ

თამამი, გაბედული ქალის როლს, ხოლო მისი შემოქმედებიდან ვხედავთ ერთ უჩვეულო ფაქტს, ვგულისხმობთ ნოველა „მარიამს“, სადაც ქართველი ქალის სახით მკვლელი ადამიანი წარმოგვიდგება. ულამაზესი მარიამი ჯერ კიდევ უმწიფარ ასაკში ხდება მკვლელი. ის, მართალია, მკვლელობის ამ საშინელ დრამას საერთო მტრის წინააღმდეგ ავითარებს, მაგრამ მკვლელის როლში ყოფნას და შემდგომ მის სულიერ რეაბილიტაციას ისე გრძნობს მწერალი, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს, რადგან ამ ყველაფრის უკან საკუთარი ხალხი და სულზე უტკბესი საქართველო იდგა მის წარმოდგენაში. ჩვენი თვალთახედვით, ეს უჩვეულო მოვლენა თავად მწერლისეული სულის დრამაა. მკვლელობის როლში ყოფნა მარიამს, ქალს სულიერ სრულყოფილებაში არსებობის განცდას უნდა ართმევდეს, სულიერი წესითა და მორალური კანონით. მარიამი კი გამარჯვებულის იმიჯით ამაყად წარსდგება მეფის წინაშე და დედოფლის მანტიასაც ირგებს. თითქოსდა ამ გზით მტერზე ძლევამ, იმან, რომ მარიამმა ამ გზით საკუთარი მოყვასი გადაარჩინა სიკვდილს და უბედურებას, მას სიამაყის განცდა შესძინა. მის მიერ შექმნილმა სახემ მზაკვრობა ისე ოსტატურად მოირგო და შეითვისა, რომ უცხო ტომის კაცი, სამშობლოს ასაოხრებლად მოსული მტერი გაბრუვდა. ამ მომენტების კითხვისას მკითხველს უბრალოდ ისეთი განცდა რჩება, რომ ეს ყოველივე ბარბარე ჯორჯაძის ბავშვური ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონია რეალობასთან. თუმცა ჩნდება კითხვა, რატომ უნდა გასჩენოდა მას სულში ამგვარი მისწრაფებანი და საიდან უნდა მოეტანა მას მსგავსი ხასიათის გამოვლენის სურვილი? ნუთუ სამშობლოს სიყვარულის უდიდეს განცდას შეეძლო ყოველივე ეს გამოეწვია? ნუთუ საკუთარ ამბიციას მტერზე ძლევაში შეეძლო ის მორალური და ზნეობრივი კანონებიდან ისე გამოეყვანა, რომ თანახმა ყოფილიყო მზაკვარ მკვლელადაც გადაქცეულიყო? იქნებ მისი უბრალო მწერლური ჟინია, რომელსაც ჰქონდა ამბიცია, პატრიოტულ მოტივებზე შეექმნა მხატვრული ლიტერატურა? ყველა შემთხვევაში ამბიციური ფაქტია, ჩვენი თვალთ დახახული, რომელსაც მეტისმეტი ვაჟკაცობა და გულოვნობა უდევს საფუძვლად საწინააღმდეგო სქესთა შორის პაექრობაში. იმ მენტალიტეტისთვის, სადაც ქალი წმინდა სიყვარულის იდეას სწირავს საკუთარ პიროვნებას, სადაც ქართველი მამაკაცით მოხიბლული ქალი-ამორძალი ვაჟის მზიურ ენერგიას სვამს ისე, რომ წმინდა მადონად გადაიქცევა, სადაც ქალი საკუთარი გრძნობით ეწირება მტრად მოსულ უცხო ტომის კაცს, ბარბარე ჯორჯაძის მარიამი მკვლელი ხდება საკუთარი მამის ინსპირაციის წყალობით. საინტერესოა, რომ მის წარმოსახვაში ასეთი იდეის ავტორი სწორედ მამაკაცია.

ვფიქრობთ, ქართული მწერლობის დიდაქტიკური ხასიათიდან გამომდინარე, ქართველი ქალი თავისი ბუნებით მკვლელის როლს ვერასდროს შეიფერებს. მსგავსი სულიერი მდგომარეობა უბრალოდ შეუთავსებელია ქართველი ქალის მარადყამული კანონმდებლობისათვის, იმ სულიერი გზისთვის, რამაც თითოეული ჩვენგანი ჩვენივე ქალურ ამპლუაში ამაღლებულ იდეას უნდა გვაზიაროს. ამ ასპექტშიც, ამ

კონკრეტული მისიის აღსრულებისას, ქალური ბუნება მკვლელის როლთან ვერ დაზავდება, ვერც ქართული მწერლობის დიდაქტიკური ხასიათი შეიწყნარებს მას. ვფიქრობთ, ბარბარე ჯორჯაძე ამ გრძნობის გადმოცემისას საკუთარმა ატავისტურმა განცდამ შეიპყრო და საუკუნეების წიაღში დააბრუნა. ის ნამდვილი ამორძალია, რომლის ფანტაზიაშიც მამაკაცის სიყვარულის განცდამ იმდენად იმპლავრა, რომ მზაკვრობით თავის მოკვეთის სცენა კიდევ ერთხელ გაითამაშა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გამსახურდია 2011: გამსახურდია კ., დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა. თბილისი, 2011.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., წერილები, ესსეები. თბილისი, 1991.

ვაჟა-ფშაველა 1993: ვაჟა-ფშაველა, პოემა „სტუმარ-მასპინძელი“, თხზულებანი, ხუთტომეული, ტომი III. თბილისი, 1993.

რობაქიძე 1988: რობაქიძე გრ., გველის პერანგი, ფალესტრა, ქართული საბჭოთა რომანი. თბილისი, 1988.

ჯორჯაძე 1988: ჯორჯაძე ბ., რჩეული თხზულებები. თბილისი, 1988.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.139-148>

**სამცხე-ჯავახეთიდან სანავარდოში
(ყვარლის მუნიციპალიტეტი)
მიგრირებულთა შტოგვარებისა და მეტსახელების
სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი**

**Structural and Semantic Analysis
of Surnames and Nicknames
of Migrants from Samtskhe-Javakheti
to Sanavardo (Kvareli Municipality)**

მაია ქუჩიშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ახალციხე

Maia Kukchishvili

Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

ABSTRACT

The population from different parts of Georgia constantly moved from one place to another. The reason for this was different historical factors at different times. The object of our research is the anthroponymy of the population displaced from Samtskhe-Javakheti to the village of Sanavardo (Kvareli Municipality) during historical migrations. The migrant population from all Samtskhe-Javakheti municipalities (Akhaltsikhe, Adigeni, Aspindza, Borjomi, Akhalkalaki, Ninotsminda) lives next to the locals and gives a diverse picture.

The surnames of the population of the village Sanavardo and the surnames derived from them are quite interesting. As far as we know, surnames are derived from ancestral names or nicknames. The surname is an anthroponymic category, the semantics and structure of which is quite enviable and noteworthy in terms of anthroponymy, as well as the study of the country's history, migration, demography, and social issues. In almost all parts of Georgia, there are surnames derived from the other surnames. In the village of our study, the surnames which have been derived from the main surname are obtained by the abbreviation (e.g. Balianti), or by the name or nickname of the father (Besoanti), mother (Pranchiaanti), and ancestor (Davituanti).

The analytical material confirms the different ways of formation of surnames which is mainly due to the end of the stem of the surname. The different surnames according to the stem are mainly formed with the following endings: -aanti, -atni, -oanti, -otni, -ainti -ienti, -uanti.

The role of nicknames in the formation of surnames is special. The most interesting is composite surnames derived from nicknames of several generations. For example, GogalatTekle's Paata, Khanot's Baliantebi.

As for the village nicknames, they are diverse in terms of semantics and formation. On the basis of the analysis of the material, we highlighted nicknames according to a foreign origin, women, physical features, characters, frequently uttered words, or just different signs or conditions, origin, or ethnic marks. Example: Marshali, Kantuzha, Karako, Jojo, Fekhshvela, Tonka, Tskhvaro, Khvliko, Batiputskia, Vargaveli, Rusi Nina, and others.

Particularly noteworthy is the fact that the formation of surnames and nicknames characteristic to Samtskhe-Javakheti gives an almost similar picture in the anthroponymy of the village Sanavardo today.

საკვანძო სიტყვები: სამცხე-ჯავახეთი, ანთროპონიმია, შტოგვარები, მეტსახელები.

Keywords: Samtskhe-Javakheti, Anthroponymy, derived Surnames, Nicknames.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა თითქმის მუდმივად გადასახლდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ამისი გამომწვევი მიზეზი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ისტორიული თუ ეკონომიკური ფაქტორი იყო.

ჩვენი კვლევის ობიექტია ისტორიული მიგრაციების დროს სამცხე-ჯავახეთიდან **სოფელ სანავარდოში** დასახლებული მოსახლეობის ანთროპონიმია.

სანავარდო მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე (კუჭატანის თემში). ზღვის დონიდან 310 მეტრია, ყვარლიდან – 7,5 კილომეტრი. 2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 840 ადამიანი (<https://ka.wikipedia.org/wiki/სანავარდო>). დაახლოებით 350 კომლია რეგისტრირებული. ჯერ კიდევ იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა 1768-1830-იან წლებში“ მოიხსენიება სოფლის სახელი: „სანავარდო ნეკრესის ადგილს რაც მიეწერება სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო ადგილნი: სანავარდო... (ჩამონათვალში აგრეთვე, გავაზი, ნეკრესი, კურტანიძე, გრძელმინდორი, წმინდა სტეფანე, ჭუკატანი...)“ (იოანე ბაგრატიონი, „ქართლ-კახეთის აღწერა (1768-1830)“ (<http://umurgulia82.blogspot.com/2017/09/1768-1830.html>).

სოფელში არის მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი.



გადმოცემით იციან, რომ ეკლესიის ადგილს **ხაშმიანს** ეძახდნენ (ხაშმი – ავადმყოფობა ციებ-ცხელების მსგავსი; ხაშმით დაავადებული – გადატ. გულბოროტი, ღვარძლიანი (ზედგინიძე 2014: 236). ინფორმატორის გადმოცემით, ხაშმიანი ანუ ციებიანი, კოლოიანი, მალარიანი ტერიტორია. „ერეკლე მეფის დროს ჟამიანობა იყო, სადაც ეკლესია იყო, იქ ცხოვრობდა ხალხი. ამის გამო სოფელი დაიცალა. ხალხი წამოვიდა და სანავარდოს ამჟამინდელ ტერიტორიაზე დასახლდა რამდენიმე კომლი. დღესაც არიან ის გვარები, ვინც მაშინ დასახლდნენ – სიხაშვილები, სიმონიშვილები (პერსიმონოვი იყო მათი გვარი – მღვდლისშვილი, ბოლო ათწლეულებში დაიბრუნეს გვარი). მათ დიდ პაპას საქულა პაპას ვეძახდით, მეტგვარად ჯაღალაანთებს ვეძახით მათ შთამომავლებს“ (ინფორმატორი: მ. მანანაძე).

„ჩვენები (მესხები) 1907 წელს პირველად უდიდან ჩამოსულან (ადიგენის მუნიციპალიტეტი). ჯერ ყულიჯანიშვილები და პარუნაშვილები. ყულიჯანაშვილ ფანჩოს მოუყვანია ქუქჩიშვილების ქალი ზიდუე (მეტსახელია), თერე რქმეგია, ხიზაბავრელი დავითო პაპას და. პირველი ის ჩამოსულა სანავარდოში, შემდეგ ძმებისთვის ურჩევია და წაუყვანია. მათ მოჰყვენ ტატურაშვილები კუჭატანში (2-3 კმ.-ია სანავარდოდან). იქ დასახლდნენ ჯერ და მერე სანავარდოში გადმოსახლდნენ; ლეკიშვილებიც ასევე“ (ინფორმატორი: მ. მანანაძე).

შემდეგ ჩამოსახლებულან სამცხე-ჯავახეთიდან სხვა გვარის ხიზაბავრელები (სულ 41 გვარი), ვარგაველები (2 გვარი, ასპინძის მუნიციპალიტეტი), უდელები (12 გვარი, ადიგენის მუნიციპალიტეტი), ვალელები (1 გვარი, ახალციხის მუნიციპალიტეტი), ჯავახეთის სომხური მოსახლეობა (7 გვარი), ცემიდან (1 გვარი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი), სულ 65 გვარის მოსახლე.

ამჟამად სანავარდოში ადგილობრივების (კახელების) გვერდით, რომლებიც მცირე ნაწილს შეადგენენ, ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთიდან, კერძოდ, **ასპინძის** (ხიზაბავრა, ვარგავი), **ადიგენის** (უდე, ბოლაჯური), **ახალციხის** (ვალე), **ახალქალაქის** (მერენია, ალასტანი), **ნინოწმინდის** (უჯმანა), **ბორჯომის** (ცემი) მუნიციპალიტეტებიდან მიგრირებული მოსახლეობის შთამომავლები. რამდენიმე კომლად ფიქსირდება **თბილისელი** (ავლაბრელი) სომხები.

როგორც რ. თოფჩიშვილი განმარტავს, ქართული გვარსახელები ძირითადად ოთხ ჯგუფად იყოფა: ეპონიმური, ეთნონიმური, გეოგრაფიული და პროფესიული. ამ ოთხი ჯგუფის გვარსახელებიდან პრიორიტეტი ეპონიმურ გვარსახელებს ეკუთვნით. ქართულ გვარსახელებში გამოყოფენ მეხუთე ჯგუფსაც, რომელსაც „შერქმეულ გვარსახელებს“ უწოდებენ (თოფჩიშვილი 1997: 91-97).

საინტერესოა სურათს ქმნის სანავარდოს მოსახლეობის გვარები და მათგან წარმოქმნილი შტოგვარები, რამაც ჩვენი დაინტერესება გამოიწვია. სოფელში სულ 71 გვარის მოსახლეა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, გვარები წინაპართა სახელებისა და მეტსახელებისგანაა წარმოქმნილი.

საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი გვარის დანაყოფის/განაყოფის/შტოგვარის/მეტგვარის/ქვეგვარის (სხვადასხვა ტერმინით) სახელები. გვარი ანთროპონიმული კატეგორიაა, რომლის სემანტიკისა და სტრუქტურის დადგენა საკმაოდ საშური და საყურადღებო საქმეა როგორც ანთროპონიმიკის, ასევე ქვეყნის ისტორიის, მიგრაციების, დემოგრაფიის, სოციალური საკითხების შესწავლის კუთხით.

სანავარდოს შტოგვარები მიღებულია როგორც გვართა დეზინტეგრაციის გზით, ასევე მამის, დედის, წინაპრის სახელისა ან მეტსახელისგან.

საკვლევ მასალაში გვხვდება სამცხე-ჯავახეთიდან მიგრირებულია გვარები, რომელთა შტოგვარების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი საინტერესო სურათს იძლევა.

მოძიებული მასალა დაყვავით შემდეგ საკითხებად: თითოეული ადგილიდან (სოფლიდან) მიგრირებულთა გვარები, მათი შტოგვარები ცალ-ცალკე, ასევე, გამოვიკვლიეთ შტოგვართა სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი. მეტსახელები დავაჯგუფეთ შესაბამის კატეგორიებად, გავანალიზეთ ისინი სტრუქტურული და სემანტიკური თვალსაზრისით.

შტოგვარები წარმოვადგინეთ მხოლოდ **კუთვნილებითი** ფორმით (მაგ.: კურდღელაანთი), რადგან მოსახლეობა ძირითადად სწორედ ამ ფორმით გამოიყენებს ან **-ებიან** მრავლობითს დაურთავს; თუმცა შტოგვარი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს **გვარეულობის** (მაგ.: კურდღელაანი) და **ადგილის** (მაგ.: კურდღელაანთსა) მიხედვით.

ხიზაზავრიდან მიგრირებულთა გვარები და შტოგვარები

ანთაძე – ანთაძეები ამჟამად სოფელში აღარ ცხოვრობენ. ერთი ანთაძე ხიზაზავრაში მოკლეს და ცოლს, სოფინ ბაბოს დააბრალეს. მერე ის გადმოხვეწილა სანავარდოში და აქვე გათხოვილა. ეს იყო ექიმ პეტრეს (ჯანაშვილის) და. სოფინ ბაბოს შთამომავლები ანთაძეები სოფელში აღარ ცხოვრობენ, მაგრამ კარგად მოიკიდეს ფეხი ჩვენკენ. ჰექტობით მიწები შეიძინეს, ააშენეს ღვინის ქარხანა და სასტუმრო.

ბალიაშვილი – ბალიანთი, ჩათოანთი, კურდღელაანთი, მახროანთი (მიხეილი ერქვა და მახრო დაარქვეს), ხანოთბალიანთი.

ბაღდოშვილი – ბაღდოვეებად ეწერნენ, 90-იან წლებში გადაიკეთეს. ბათოზაანთი.

გელაშვილი – იყვნენ გელათნი, ახლა აღარ არიან სოფელში.

გოგალაძე – გოგალათნი.

დათაშვილი – დათათნი.

ველიჯანაშვილი – ვენჯალათნი, აკოანთნი.

ზურაბაშვილი – ზურაბიენთი, ხვლიკოანთი, ბიჭოანთი.

თენოშვილი – თენოთნი, ჩახალაანთი.

კალაიჯიშვილი – კალაიჯიანთი.

კელოშვილი – კელოთნი/კეღვიენი, აქელოანთი.

მაზმიშვილი – რიჯათნი// ცხვაროანთი (კაცს ჯერ ჩუმა ერქვა, მერე ცხვარო დაარქვეს), ყურუმსალანთი.

მამუკაშვილი – აღარ არის ეს გვარი. სკრიდან დედა ჰყავდა მამუკაშვილი, ბიჭიც დედის გვარზე იყო. მამით პარუნაშვილი, ბებიით გოგალაძე იყო. გოგალათ თეკლეს პაატა, ასე ვიხსენიებთ.

მანანაძე – ეს გვარი ქუქჩიშვილის თავდაპირველი გვარია. მათ კახეთში მიგრაციისთანავე დაიბრუნეს პირვანდელი გვარი მანანაძე. **დავითუანთი** (დიდ პაპას დავითა რქმევია); **ოტანოანთი**; **კანტუყიანთები**, **მატანთი**.

მელქონაშვილი – მელქონათი, ნონოანთი (ნონო კაცის მეტსახელი იყო, ისე ვანო ერქვა. ძლიერი კაცი ყოფილა, მოჭიდავე ხიზამხარელს დასჭიდებია).

მურადაშვილი – კარაქუანთები; **ვილგემაათნი**//**ფანჩოანთი**; **კოსტანთი** (ტატურაშვილებიც არიან მსგავსად).

პაპაშვილი – პაპათნი, **ბატიპუწკიანთი**//**მარშლიანთი** (ცოლ-ქმრის მეტსახელებიდან არის წარმომდგარი და ორივე მეტგვარით მოიხსენიებენ).

ლევიშვილი – ლეკოანთი.

პლაჭიაშვილი – პლაჭიანთი.

ტატურაშვილი – ტატურაანთი, კოსტანთი, ერკემელაანთი – **ჯოჯოანთი**, **აგეტისაანთი**, **პრანჭიანთი**, **ტონკაანთი**.

ფილიშვილი – ბესოანთი.

ფირფირაშვილი – ფირფირაანთები იყვნენ, ახლა აღარ არიან, ტონკაანთი.

ქუქჩიშვილი – ქუქჩიანთი/ქუქჩინთი, ფეხშველაანთი, ფორიანთი// ფორიჩაანთი, ქოჩიანთები//ქოჩიპეტრეანთი.

ყრუაშვილი – პეტყანაანთი, ცაცალაანთი, პრიშოანთი, ბასილაანთი.

შემაზაშვილი – შემაზათი. ამ გვარის ქალები არიან გამოთხოვილი სოფელში.

ხუციშვილი – ხუციანთი. ქალები იყვნენ და ამჟამად აღარ არიან.

ვარგავიდან მიგრირებულთა გვარები

შეშაბერიძე – ბეთქეშაანთი, ლენტუანთი.

თარხნიშვილი – ფარყაანთი, აბრამაანთი.

უდიდან მიგრირებულთა გვარები და შტოგვარები

ათოშვილი – ათოთი/ათუანთი.

ბალახაშვილი – ბალახათი, ტარასაანთი, ტუყუკიანთი (უდემიც ასე ეძახიან. საფრანგეთში ყოფილა და ფრანგულად უკანმოზრუნებულის სტატუსით ტუყუკი შეურქმევიათ. უდემი გარდაიცვალა ეს კაცი, შვილები სანავარდოში ჰყავს), **ჩხაკუნაანთი** (გიქოშვილები იყვნენ და გილოთებს ეძახდნენ უდემივე. შვილებს ჩხაკუნაანთებს ვეძახით) **გიქოშვილი** – გიქოთი.

კაკოშვილი – ბესოანთი.

მერაბიშვილი – **მერაბათი** – უკვე აღარ არიან. ქალს ჩრიხვი ერქვა. ზედსიძედ მოუყვანია ყვარლიდან და ჩრიხვიანთები ერქვათ.

ნორსუანთები – ახალქალაქიდან არიან სომხები, შერეული ქართველები არიან.

პარუნაშვილი – თეთროანთი; ჯაფარაანთი, მარშლიანთი/ბატი-პუწკიანთი (ცოლ-ქმარია, ორივე სახელით მოიხსენიებენ).

ყულიჯანაშვილები – კოპიაანთი, ცხრიაანთი, ტოროცაანთი, ზნაჩიტაანთი, ჩარუხჩიანთები.

წალდაძე – მანუკიანთი (მანუკა სომეხი ხარაზი იყო ხარფუხიდან, აზიაცკებს კერავდა. ზედსიძედ შევიდა წალდაძეების ოჯახში).

წამებულიძე (მარტიაშვილი) – კაკლოანთები/ბატონიანთი.

სომხური გვარები და შტოგვარები

აკოფოვი – თბილისელი სომხები არიან, **მანუკაანთი**, ხარფუხიდან.

ამირხანიანი – ახალქალაქიდან, სოფელ მერენიდან. **ვარლამაანთი** (ქართველებთან შერეული ქორწინება აქვთ).

ამირხანოვი – ნინოწმინდიდან, სოფელ უჯმანადან არიან. **რუბენაანთი**.

არუშანოვი – თბილისიდან, ავლაბრელი სომხები არიან. მამას იასონა ერქვა, **იასონაანთი**. გვარი გადაიკეთეს არეშიშვილად.

გურგენიანი – **ზორჯომის მხრიდან**.

დარზინიანი – ახალქალაქი; **ქუხილევანიანი** (ქუხილევანე – მეტსახელიდან).

ვართანოვი – სოფელში დაგვხვდნენ, დროთა განმავლობაში გაქრა ეს გვარი, მაგრამ შეილიშვილმა გოგომ გააგრძელა ფუძე, ჩამოვიდა და დასახლდა. შაიშმელაშვილიები არიან, მაგრამ **ნასყიდაანთ** ვეძახით (ნაშვილები ჰყოლია შეილი და მეტსახელად ბავშვს ნასყიდა შეარქვეს).

კინოევი – ახალსოფლიდან არიან გადმოსულები, იქ საიდან მივიდნენ, არ იცან. **ქინიძედ** გადაუკეთებიათ გვარი. მათ წინაპარს **სომეხ გრიშას** ვეძახდით.

ნონოიანი – ახალქალაქი; **ავეტაანთი**.

პეტროსოვი – ახალქალაქიდან არიან ალასტნელი სომხები, გადაიკეთეს გვარი და ერთმა შტომ მიიღო გვარი **მესხიშვილი** (ვალელი, მესხი ცოლი მოიყვანა) – ნორსუანთები – შერეული ქორწინება აქვთ; ხოლო მეორემამ **გულეურად** გადაიკეთა გვარი.

ულარჯევი – ადიგენი, ბოლაჯური. **ბოლაჯურიანთი**.

ხაჩატურიანი – ახალქალაქი, **სომხიანთ ნიკალაანთი**.

ხუგოევი – ოსური გვარია, რამდენიმე წელია გვარი გადაიკეთეს **ხუგოშვილებად** (გაბროშვილის ჯღანოს გოგო გათხოვდა ოსზე და მერე სოფელში დასახლდნენ), **ხუგაანთი**.

ადგილობრივი გვარები და შტოგვარები

ზაიდოშვილი – სიღნაღიდან, თოხლიაურიდან; **ზაიდუანთი**, **ლაზაანთი**.

გაბროშვილი – ყვარლიდან; **ჯღანოანთი**.

გურგენიძე – პიანთი.

დოღმაზაშვილი – ჟაპრეანთი.

იაკობაძე – თბილისიდან.

კობიაშვილი – მარტყოფიდან, **კობიაანთები**.

მოსიაშვილი – ყვარლიდან.

სამნაშვილი – სართიჭალიდან.

სიხაშვილი – (ძირძველი გვარია სოფელში), **მაწანწალაანთი**.

პიტურიშვილი – გურჯაანიდან.

ქუნანაშვილი – წეკვანთი.

ქარენაშვილი – ყვარლიდან; **მასკვიჩაანთი**, **ალიანთი**.

ღვალაძე – ყვარლიდან, ჭიკაანიდან; **ზაზაიანთი**.

ციხაშვილი – აქვე ნასოფლარიდან იყვნენ, ძირძველი გვარია, მაგრამ გადასახლდნენ.

ხუროშვილი – სიღნაღიდან; **გლახოანთი**.

ჯაგაშვილი – ჯაგანთი.

ჯანგიძე – რაჭიდან.

ბერიძე – ეს გვარი სოფელში არის ორი სხვადასხვა წარმოშობის. პავლე იყო, ცოლი ჰყავდა ქურთი, ბავშვობაში მახსოვს, წვერას ვეძახდით. ცოლს შუშანა ერქვა. მათ შთამომავლებს ქურთიანთებად მოვიხსენიებთ – ქურთიანთ ბადური, **ქურთიანთ** დათო დ ა შ. ბორჯომიდან, ცემიდან არიან. მეორე ბერიძეები მესხეთიდან არიან, ასპინძის რაიონიდან. ამათ ბებოს ვერო ერქვა, ხიზაბავრიდან იყო, ვენჯალათი იყო. მათ შვილებს და შვილიშვილებს **ვეროანთებათ** იხსენიებენ (ინფორმატორი: მ. მანანაძე).

მანველიშვილი – ვალედან არიან. ახლაც ასე ვამბობთ – ვალელი სოსო, ვალელი გაბო, ვალელი გურამი და ა.შ. (ინფორმატორი: ი. მანანაძე).

როგორც ვხედავთ, **შტოგვარების ძირითადი ნაწილი მეტსახელებიდან არის წარმოქმნილი**.

შტოგვარები ძირითადად მამა-პაპის მეტსახელიდან და გვარიდან არის ნაწარმოები, თუმცა ვხვდებით **ქალის მეტსახელებიდან ნაწარმოებ მეტგვარებსაც**: **პრიშოანთი** (ქალის სახელი პრიშო), **ბატიპუწკიაანთი** (ქალის მეტსახელი ბატიპუწკია), **წეკვანთი** (ქალის მეტსახელი წეკვა), **ჯღანოანთი** (ქალის მეტსახელი ჯღანო), **ვეროანთი**...

გვაქვს კომპოზიტური წარმოებაც – გოგალათ თეკლეს პაატა, ხანოთ ბალიანთები.

გვაქვს ორმაგი წარმოებაც – სომხიანთ ნიკალაანთი.

სოფელ სანავარდოს მეტგვარების / შტოგვარების დაბოლოება სხვადასხვაგვარი წარმოებით გვხვდება: **-ანთი**, **-ათნი/-ათი**, **-ოანთი**, **-ოთნი**, **-აინთი** **-იენთი**, **-უანთი**.

-ანთი – თუ ა ხმოვანზე ბოლოვდება, ორი აა იყრის თავს და გვაქვს **-აანთი** (კურდღელაანთი, ბატიპუწკიაანთი, კოსტაანთი, ერკემელაანთი,

პრანჭიანთი, ტონკანთი, ფირფირანთები, ფეხშველანთი, პეტეყანანთი, ცაცალანთი, ბასილანთი, ვილგემათნი, კოსტაანთი, ტატურაანთი...)

-ათნი - გვხვდება გვარის შემოკლებულ ფორმებში: დათათნი, გოგალათნი, გელათნი, პაპათნი.

-ათი - შემაზათი.

-ოანთი - თუ ო-ზე ბოლოვდება სახელი, მაშინ დაბოლოება გვაქვს

-ოანთი (მახროანთი, პრიშოანთი, ჯოჯოანთი, ნონოანთი, ოტანოანთი, ცხვაროანთი, ხვლიკოანთი, ბიჭოანთი, ფანჩოანთი, ბესოანთი...)

-ოთნი - დაბოლოება გვხვდება ისეთი გვარების შემოკლებულ ფორმებში, რომელთა ფუძეც -ო-ზე ბოლოვდება: თენოშვილი, კელოშვილი > თენოთნი, კელოთნი.

-იანთი - თუ ი- ზე ბოლოვდება, გვაქვს -იანთი: მარშლიანთი, ბალიანთი, კანტუჭიანთი, პლაჭიანთი (შდრ., ხიზაბავრაში გვხვდება პლაჭიენთი).

კალაიჯიანთი (ხიზაბავრაში გვხვდება კალაიჯიენთი).

ქუჭიანთი/ქუჭიენთი (ხიზაბავრაში გვხვდება ქუჭიენთი).

ხუციანთი (ხიზაბავრაში გვხვდება ხუციენთი).

ზურაბიენთი, ვენჯალათნი, კელოთნი/კელვიენ.

-უანთი - დაბოლოება გვხვდება ისეთ ფორმებში, რომლის მეტსახელის ფუძეც -უ-ზე ბოლოვდება: დავითუანთი, კარაქუანთი.

სანავარდოს მეტსახელები და მათი სემანტიკური ანალიზი

საკუთარ სახელთან ერთად უძველესი წარსულიდან გავრცელებულია ადამიანისთვის მეტსახელის შერქმევა. ადამიანის ხასიათის თვისებები, გარეგნობა, პროფესია, ნაკლი და ღირსება, უცხოური წარმოშობის ან ხშირად გამოყენებული სიტყვები, წარმომავლობა, ცხოველთა და მცენარეთა სახელები და კიდევ ბევრი რამ შესაძლოა იქცეს მეტსახელის შერქმევის საფუძვლად, რომელსაც ქვემოთ დავაზუსტებთ და მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს.

შვეცადეთ, დაგვეჯგუფებინა და წარმოგვედგინა სანავარდოში გავრცელებული მეტსახელები სემანტიკის მიხედვით, აქვე გამოვყავით კომპოზიტიური მეტსახელები, რომლებიც საკმაოდ საინტერესო სურათს იძლევა კომპოზიტის შემადგენელი ნაწილების გამო.

კომპოზიტიური მეტსახელები: ბატიპუწკია, პეტეყანა, ქუხილევანე, ქოჩეპეტრე...

უცხოური წარმოშობის: კურიცა, ტუჟუკი (უკანდაბრუნებული საფრანგეთიდან), ჟაპრე, მასკვიჩა, ზნაჩიტა...

ქალის: პრანჭა, ცეკვანა, ბატიპუწკია, წეკვა, ჩრიხვი, ჯღანო...

ფიზიკური ნიშნის მიხედვით: ჯოჯო, ჩლავი, კარაქო, ჭროლა, ბეხო (მოფეხვილი ქალი იყო, ქუხილევანე (მჭექარე ხმა ჰქონდა), კალია, ჯღანო (უშნო)...

ხასიათის თვისების მიხედვით: კანტუჯა(კაცი ომში მსახურობდა და კანტუზია მიიღო, მას მერე ნერვიული და ფიცხი იყო, ამიტომ შეარქვეს კანტუჯა); პრანჭა, ბატონა, ცეკვანა, ჩუმა, ცხვარო, ჩხაკუნა, ლაბა, ჯაფარა (შავი, პატარა კაცი იყო), ჯორი...

ხშირად წარმოთქმული სიტყვების გამო: ოტანო (მეტსახელიდან ოტანო – მოიტანოს ვერ ამბობდა ბავშვობაში და ასე იძახდა), ბაბაია, ზნაჩიტა...

სხვადასხვა ნიშნის ან მდგომარეობის: ბურსა (მდ. ბურსაში გაჩნდა), მაწანწალა, ბატიბუწკია, ტონკა, პეტყანა (ყანებს დარაჯობდა), ნასყიდა (უშვილეზეათ), ჩათო (სიმონა ერქვა, თხის ბალნისგან დაწნულ თოვს ჰქვია ჩათო. ნამჯას რომ ეზიდებოდნენ, ასეთი თოვით უჭერდნენ ხიზაბავრაში ურემზე და აქაც ეგეთ თოვს ხმარობდა ეს კაცი. ამიტომ დაარქვეს ჩათო), კარაქო (კარაქო მეტსახელია, მიხო ერქვა. ასე იმიტომ შეერქვა, რომ სიღარიბეში ცხოვრობდა და გარეთ რომ გამოვიდოდა, უღვაშებზე კარაქს წაისვამდა, რომ სხვისთვის დაენახებინა, რომ არ უჭირდა და კარაქს ჭამდა).

პროფესიის: მარშალი, მეცხვარე, გენერალი...

ზოგადი: ფორია, ნონო, ერკემელა, კოწო, მახრო, ბაბაია, ლენტო, ერკემელა...

რეალურ პირებთან მსგავსება ან სრულიად საპირისპირო – დერიუგინი (დაბალი ყოფილა და საპირისპირო მნიშვნელობით დაურქმევიათ კალათბურთელის სახელი), ფარსადანი...

წარმომავლობის ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით – რუსი ნინა, ვარგაველი, ქურთიანთი...

როგორც ცნობილია, მეტსახელის შერქმევის შემდეგ ადამიანს ნამდვილ სახელს ხშირად აღარ ეძახიან სოფელში. მართალია, ინდივიდუალური წარმოშობისაა და ადამიანს დაერქვა კონკრეტულ გარემოებათა წყალობით, თითოეულ მეტსახელს ძირითადად მაინც ობიექტური მოტივაცია ახლავს. მიუხედავად ამისა, მეტსახელის მატარებელი პირის ფიზიკური სიკვდილი ყოველთვის არ იწვევს თავად მეტსახელის გაქრობას, პირიქით, დიდი ნაწილი სახინჯრად გადასული მეტსახელებისა საგვარეულოა და გვარში თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე და ცოცხლობს კომლთან ერთად. მეტსახელი იძენს სოციალურ ღირებულებას და არსებობას განაგრძობს (ქუქჩიშვილი 2016: 277). ამისი კარგი მაგალითებია სანავარდოს ანთროპონიმია, რომელიც განვიხილეთ. უმეტეს შემთხვევაში წინაპრის სახელი ხდება ოჯახის შტოგვარის საფუძველი.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სანავარდოში ადგილობრივების გვერდით, რომლებიც მცირე ნაწილს შეადგენენ, ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთიდან, კერძოდ, **ასპინძის** (ხიზაბავრა, ვარგავი), **ადიგნის** (უდე, ზოლაჯური), **ახალციხის** (ვალე), **ახალქალაქის** (მერენია, ალასტანი), **ნინოწმინდის** (უჯმანა), **ზორჯომის** (ცემი) მუნიციპალიტეტებიდან მიგრირებული მოსახლეობის შთამომავლები.

რამდენიმე კომლად ფიქსირდება **თბილისელი** (ავლაბრელი) სომხები (2-3 გვარი).

საანალიზო მასალაში დასტურდება **შტოგვართა** სხვადასხვაგვარი წარმოება, რაც ძირითადად განპირობებულია გვარის/შტოგვარის ფუძის დაბოლოებით.

განსაკუთრებულია მეტსახელების როლი შტოგვართა წარმოებისას, ასევე, საინტერესო სურათს იძლევა კომპოზიტური შტოგვარები, რომელნიც რამდენიმე თაობის მეტსახელებიდან არის მიღებული.

რაც შეეხება სოფლის **მეტსახელებს**, ისინი სემანტიკისა და წარმოების თვალსაზრისით მრავალფეროვან სურათს იძლევიან.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სამცხურ-ჯავახურისთვის დამახასიათებელი შტოგვართა და მეტსახელთა წარმოება თან წაჰყოლიათ სანავარდოში მიგრირებულებს და, გადასახლებულთა სხვა ეროვნებისა (სომეხი, ოსი) თუ ადგილის მიუხედავად, შტოგვართა წარმოება მათთვისაც მსგავსი გაუხდიათ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ზედგინიძე 2014:** ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი. თბილისი, 2014.
- თოფჩიშვილი 1997:** თოფჩიშვილი რ., ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის, ტ. I., ქუთაისი, 1997.
- იოანე ზაგრატიონი 1986:** იოანე ზაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა (1768-1830). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა). თბილისი, 1986.
<http://umurgulia82.blogspot.com/2017/09/1768-1830.html> დამოწმება: 20.10.2021.
- ქუჭიშვილი 2016:** ქუჭიშვილი მ, მეტგვართა წარმოებისათვის მესხურში (სოფ. ხიზაბავრის მაგალითზე). ქართველური ონომასტიკა, ტ. III. 2016.
<https://ka.wikipedia.org/wiki/სანავარდო>. დამოწმება: 20.10.2021.

ინფორმატორები:

- მარინე მანანაძე, 1954 წ.**, ექთანი, სოფ. სანავარდოს მკვიდრი.
- იური მანანაძე, 1949 წ.**, ეკონომისტი, სოფ. სანავარდოს მკვიდრი.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.149-156>

**შიდაშიგრაფია კახეთიდან - პოლიტიკური და
ეთნიკურ-კულტურული ისტორიის საკითხები
(დასავლეთ საქართველოში მიგრირებულ
გვართა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

**Internal Migration from Kakheti -
Issues of Political and ethno-cultural history
(On ethnographic materials of surnames migrated
to West Georgia)**

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

David Shavianidze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

One part of a proud and difficult way of studying and understanding causes, forms, directions and time of internal migration process of Georgian population is description and complex-ethnohistoric research of the processes of moving from one historical-ethnographic unit to others.

During years, ethnographic materials collected in different time, tell us a history of moving of population of Georgian historical-ethnographic unit-Kakheti to different communities of Imereti. According to ethnohistoric research of the surnames: Khizaneishvile(←—Gelkhvidze), Chakhunashvili, Gabelashvili, Bakhutashvili, Topadze, Nanikashvili, Arsenidze, Makharoblidze, Makharashvili, Devdariani we learn causes and directions of the migration of the surnames (twice migration); issues of political history and relationship; origin of surnames formed on names created by social status, professional and other signs, eponyms [the surname Khizaneishvili is derived from a nickname Khizana; Khizana was an ancestor of the slave of the Chkheidze. They were from Dimi).; Surname Chakhunashvili comes from a person nicknamed 'Chakhuna' - a carpenter from Sighnaghi who moved to Gadishi- a village in Vani; Surname Arsenidze derives from a proper noun Arsen. The Arsenidze- 'Three nests' live in Sochkheti; The

Makharashvili moved from Kaheti are offspring of someone called Makhara]; issues connected with creed, icon [Some people go to Gurna from Kakheti at Tekhisoba to scarify. They associate one of their icons to this place; The area where Gabelashvili lived is called a 'priest area']; the cases of adoption; issues of language forms; the cause of migration alongside with many other reasons is considered to be a difficult historical period. It became vivid that the cause of migration was absence of land and water. The history of nobles and social status of slaves are being studied. Historians also study how refugees got surnames from their survivors; the story of 'relapsing fever' at different times [It's true that toponyms of Tsitelkhevi 'sakhazino' (treasury) and 'sakhadi' (relapsing fever) is not formed from the surnames of any people, but they are the names of the places where they hide from their enemies and people deceased with relapsing fever.] Interesting materials for researching ethno-cultural history are found in toponyms, second inherited names of the surnames [The Nanikashvili are called 'Svani' due to the fact that they are quarrelsome; The Arsenidze in Sochkheti are called 'Kakhelian' as they are from Kakheti. The Gelkhvidze in Khani are called 'Brundebi' (You are returning). None of the representative of this surname will tell you the truth. They will lead you to the lie) 'Farneebi' (nickname created according to physical characteristics 'farna is – a kind of red-white bean, 'Konkrikhebi' (Kokrikhi is the top of the ridge in Lechkhumi. Compare Konkrikha in Okriba// konkrokhi is said to be a parvenu, an unsuitable person, mostly a woman) 'Fatsureebi' (the part of the people of this surname is fast, hustling people'. Fatsura is a frisky, energetic dog in Guria, 'Mtsvanila' (Greens) A grandfather made children help him fasten trimmed part of the vine and then fed them with greens); Part of Khizaneishvili is 'Lekvitshamia' (puppy eaters). Also, there is an example of a cultural mosaic- the surname Laferadze. It's possible that all elements existing in Georgian language-cultural life aren't stated.

Hence, unlike Professor Guram Bedoshvili, we consider that these surnames were in Imereti before they were stated in documents and not only issues of Kakheti and Kartli.

Ethnographic materials on the migrated surnames in West Georgia from Kakheti are one of the first sources of ethnohistorical issues. Penetration of natives of different parts of Georgia in the region implemented a consolidation of Georgian ethnic unit and understanding notion of unity.

საკვანძო სიტყვები: ეთნოისტორია, ანთროპოტოპონიმები, გვარის მთავარი სალოცავები, გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები.

Keywords: Ethnohistory, Anthropotoponyms, The main shrines of the genus, The second hereditary names of the genus.

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრთა შიდა მიგრაციული პროცესების შედეგების კვლევისთვის სანდო

წყაროა კახეთიდან იმერეთში და, პირიქით, მოსახლეობის მიგრაციის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალები.

მიგრაციის აღმწერი ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევით ირკვევა: გადასახლების მიზეზები და დრო; გვარების შეცვლის, ეპონიმურობის, ძირსალოცავთან დამოკიდებულების საკითხები; სოციალური მდგომარეობის და შვილად აყვანის შემთხვევები, ტოპონიმთა (ანთროპოტოპონიმთა) წარმოების თავისებურებები.

მიგრაციის დრო, მიზეზები და მიმართულებები

კახეთიდან გადმოსახლებული ჩხეიძეთა დიმიელი ყმა **ხიზანეიშვილების** ძირი გვარი **გელზვიძე** ყოფილა. მიგრაციის მიზეზად ისტორიული ძნელებდობა სახელდება: „ხიზნობის გამო გამხდარა ხიზანეიშვილი“.

გვარსახელის ფონეტიკური ვარიანტები – ხიზანაშვილი // ხიზანეიშვილი ძირითადად XVII ს. II ნახევრიდან დასტურდება ქართლში.

ჩიჯავაძეთა და ლორთქიფანიძეთა სათავადოების ყმა-გლეხი **ჩახუნაშვილების** (სოსელია 1973) წინაპარი სიმონი დაახლოებით ორი საუკუნის წინათ მოსულა ბაღდათში. ვანის სოფელ გადიდში სიღნაღიდან გადმოსახლებული **ჩახუნაშვილები** როხში დამკვიდრების მიზეზად „ვანის საცხოვრის-სამკვიდროში“ მიწის სიმცირეს და უწყლობას ასახელებენ. როხიდან წასული ჩახუნაშვილები ცხოვრობდნენ გურიაში, სოფელ **ლესაში**.

გვარი ეპონიმურია. მომდინარეობს ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი მეტსახელიდან **ჩახუნა**: „წინაპარს ეძახდნენ იმის გამო, რომ ხის ხელობა სცოდნია“.

ოკრიბის სოფელ ძმუისში **გაბელაშვილების** ორი შტო მკვიდრობს. სოფელში გაჩენილა „პელაგრა“ ავადმყოფობა (კაცს კანს აძრობდა და კლავდა), ხალხი იხიზნებოდა¹. ამ სახადს დართვია შიმშილობა. სარჩოს „მისაწნევნად“ კახეთში წასულა სალომე **ზაზუნაძია**, გადარჩენილი გაბელაშვილის ცოლი და თან წაუყვანია შვილი **ბერიკა**. პატარა დაუტოვებიათ კახეთში, ერთ ოჯახში გასაზრდელად პირობით, რომ გვარს არ შეუცვლიდნენ. ბერიკას გვიან შეუტყვია თავისი გვარის ადრინდელ საცხოვრისზე. დასახლებულა ისევ ძმუისში. „მასთან ერთად გვარი გაუმრავლებია კახეთიდან მოსულს, გაბელაშვილის გვარმიდებულს“.

ლეჩხუმის სოფელ **ლაჯანას** მკვიდრი **მახარობლიძეები** „კახეთიდან გათურქება-გადაგვარებას გამოქცეული“ **მაყაშვილების** შთამომავლები არიან. გვარი მახარობლიძე ყველაზე ადრე საისტორიო დოკუმენტებში 1684 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრად მოწმდება. მაყაშვილი კი უფრო ადრე XV ს. ბოლოს შედგენილ საბუთში „სვეტიცხოვლის კახური მამულების გადამოწმების თაობაზე“ ფიქსირდება (ალექსიძე 2004: 103).

¹შდრ.: სახიზნო – წითელხევის ეს ტოპონიმი იმ ადგილის სახელია, რომელიც აღნიშნავს „მოურჩენელი სენით დაავადებულთა თავშესაფარს, სადაც მიდიოდნენ, მიჰყავდათ სახადიანი ავადმყოფები“

ეთნოგრაფიული მასალებით, წყნორის მკვიდრი **მახარაშვილები** კახეთიდან მოსული ვინმე **მახარას** შთამომავლები არიან. საისტორიო დოკუმენტები კი, მახარაშვილების მკვიდრობას ქვემო ქართლში, **არდისუბანში** ადასტურებენ. 1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნში აღნიშნული გვარისანი ჩაწერილი არიან როგორც **მახარანი** (თოფჩიშვილი 1997: 101).

ქუთაისის მკვიდრი **გელაშვილების** წინაპარი, დიდი ბაბუა, **გიორგი გელაშვილი** წარმოშობით კახეთიდან, **ზოდებედანაა**. „გიორგის მამა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულა. სამი წლის ერთადერთ ვაჟთან ერთად ჩამოსულა დიდი ბებია ქუთაისში, თავის მამის სახლში. ასე დაფუძნებულა ჩვენი განაყოფის გელაშვილი პირველად ქუთაისში“ (მთხრობელი: თ.გელაშვილი. ქუთაისი. 2021).

საკმაოდ დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო „მუდამკომლზე და ქუდზე კაცად სამშობლოსთვის გამოსული“ ყურაშვილების განსახლება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში. **ყურაშვილები** ჩანან ქვემო და შიდა ქართლში, აგრეთვე, შიგნით კახეთში. ლეჩხუმში მოსახლეობენ XVI საუკუნიდან.

ეთნოგრაფიული მასალებით, ქვემო ქართლის ყურაშვილების ნაწილი გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასულა და **ნასყიდიანცები** გამხდარან, ნაწილი შიგა კახეთიდან საინგილოში, ზაქათალას რაიონის სოფელ **ალიაბადში** გადასახლების მერე გამაჰმადიანებულა და **ყურბანოვები** არიან² (მასალები მოგვაწოდა მარიამ ყურაშვილმა, 2021).

სოფელ მმუისში **ზახუტაშვილების** გვარი მკვიდრობს. ზახუტაშვილების გვარის მიგრაციაზე, მიზეზებსა და პირველსაცხოვრისზე ისტორიული დოკუმენტებით დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალები არ გაგვჩნია, მაგრამ გადმოცემებსა და საბუთებში დაფიქსირებული დრო ერთმანეთს ემთხვევა. ოკრიბაში აღნიშნულ გვარს პირველად დავით მეფის 1784 წლის საბუთები იხსენიებს. სულ პირველად კი ეს გვარი 1622 წელს იხსენიება თეიმურაზ I-ის კარის დაცვის უფროსად, შემდეგ მოურავად: „Цар Теимуразъ даетъ Бахутову (Бахуташвили) слѣдующую грамоту: „Когда Персидский шахъ вель съ нами войну, отняль у насъ царство и мы удалились въ Кутамись (Кйтаись), онъ подаслал кънамъ съ цѣлью убить нас, но ты открыл ихъ и поймалъ ихъ, и такимъ образомъ спасъ насъ отъ смерти. За эту услугу мы пожаловали тебе имение и крестьян раиндашбили въ Кисисхе и должность моурава Кисисхевскоге (Пурцеладзе 1881: 15).

იაშვილების ყმა **ტოფაძეები** ისტორიული საბუთებითაც ოკრიბაში პირველად სოფელ ძიროვანში იხსენიებიან. 1755 წლის ბესარიონ კათალიკოზის შეწირულობის წიგნში ვკითხულობთ: „ლიხთიმერთა, ოდიშართა, პონტო აფხაზ გურიათა, რაჭა ლეჩხუმთ, სვანთ, ოსთ, დვალთა და სრულიად ჩრდილოეთისა საჭეთმპყრობელმან, რაჭის ერისთავის ძემან კათალიკოზ პატრიარხმან უფალმან ბატონმან ბესარიონ შემოგწირნეთ კნინი ესე შესაწირავი ძიროვანს ორი გლეხი ნასხიდა ტოფაძე და მისი ძმა

² ეთნოგრაფიული მასალების ეს მონაცემები გადამოწმებას და მომავალ კვლევას საჭიროებს.

მჭედელი ხუცია და მეორე გლეხი კუბლაშვილი ბაზიერის შვილები თამაზა, ნასხიდა და მამუკა შემომიწირავს..." (კაკაბაძე 1921: 55).

ეთნოგრაფიული მონაცემებით ტოფადეები დაახლოებით ორი საუკუნის წინ მოსულან კახეთიდან ოკრიბაში და დასახლებულან სოფელ **ძიროვანში**. აქედან წასული ტოფადეები ცხოვრობენ სოფელ აჯამეთსა და ცხენთაროში, სალომინაოში, გეგუთში, თერჯოლასა და თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქუთაისში, რაჭაში და სხვაგან.

ოკრიბაში მკვიდრობენ „ორი ბუდის, კახეთის და აჭარის ბუდის“ **ნანიკაშვილები**.

ოკრიბის სოფელ სოჩხეთის მკვიდრი **არსენიძეების** ერთი „ბუდეც“ კახეთიდანაა (მთხრობელები: ვალოდია და ალმა არსენიძეები, 1996).

ისტორიული მონაცემები მიუთითებენ აღნიშნული გვარის როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ასევე იმერეთში, კერძოდ ოკრიბაში, მკვიდრობას. „არსენისძე – ზარათის მცხოვრები ერთი კომლი იაკობ დეკანოზმა გელათის ხახულის ღმრთისმშობელს შესწირა ხელისძისეული ნასყიდი მამული, რომელზედაც დაასახლა თავისი გაზრდილი და ექვსი კომლი გლეხი. მათ შორის იყო ერთი კომლი არსენისძე (1259-1293) (სურგულაძე, ოდიშელი 1991:173). 1730 წლის გირავნობის წიგნის მოწმედ დასახელებულია არსენაძე პატა (შავიანიძე 2002: 72).

პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული ურთიერთობები

გვართა მიგრაციის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალები უმნიშვნელოვანესი წყაროა ქვეყნის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების შესასწავლად.

ჩახუნაშვილების გვარის ისტორია უახლესი ისტორიის მიმე მონაკვეთს შეგვახსენებს. **ეთნოგრაფიული მასალა:** „ჩახუნაშვილებს მოუწიათ სიაში მოხვედრის ბედნიერება კომუნისტებისგან და ორმოციან წლებში³ ახალციხეში გადანასახლები გვარია“.

XIX ს. 40-იანი წლების საარქივო მასალებით იმერეთის სოფელ **ლაშეს** მკვიდრი მახარობლაძე/მახარობლიძე **დევდარიანის** შინამოსამსახურეა. თუ მივიღებთ მახარობლიძეთა კახეთიდან მიგრაციას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმერეთში მოსულან და რომელიმე წინაპრის სურვილით თუ საჭიროებით, ან სვან დეუდორიანთა/დევდარიანთა ნებით მოხვდნენ ლეჩხუმში.

სოციალურ ურთიერთობათა კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა ლეჩხუმელი, სოფელ **ვანისჭალას** მკვიდრი **ნემსაძეების** გვარის ისტორია. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით აღნიშნული გვარის ხალხს ებარათ **ბაკურაძეები, მუშკუდიანები, მანაგაძეები, ყურაშვილები**.

გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები. ანთროპოტოპონიმები

ანთროპოტოპონიმები და გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები ეთნოსის თვითშეგნების, წარსული და ახალი ცხოვრების, მსოფლხედვის, ენობრივ-კულტურული ურთიერთობების შესწავლის წყაროა.

³ საუბარია XX საუკუნის 40-იან წლებზე

ხიზანეიშვილების ნაწილი „**ლეკვიჭამიები**“ არიან. მრავალფეროვანია ხიზანეიშვილების ძირ-გვარ **გელხვიძეების** მეორე მემკვიდრეობითი სახელები. **ბრუნდები** – „მართალს არ იტყოდნენ, კვალს დაგიბნევდნენ; **ფარნები** – „ფიზიკური მახასიათებლის მიხედვით შექმნილი მეტსახელი“; **ფარნები** – ფარნა წითელ-თეთრი ლობიოს ჯიშია (ღლონტი 1984: 535); **კონკრიხები** – მ. ალავიძის განმარტებით **კონკროხი** ლექსუმში ქედის წვერია (ღლონტი 1984: 300). **შდრ.**, ოკრიბაში კონკრიხა//კონკროხი იტყვიან მეტიჩარა, მდგომარეობის შეუფერებელი ქცევის მქონე პიროვნებაზე, უფრო ხშირად ქალზე; **„ფაცურები“** – „გვარის ეს ნაწილი ჩქარი ფაცურა ხალხია“. ფაცურა ცქვიტი, მოძრავი ძაღლის სახელია გურიაში (ღლონტი 1974: 538); **მწვანილა** – „ბაბუას ბავშვები მოუხმარია ვენახის ნასხლავის გასაბოჭად და შემდეგ უჭმევია მწვანილი“.

მახარობლიძეთა ეპონიმურ გვარს საფუძვლად უდევს მთელ საქართველოში გავრცელებული საკუთარი სახელი – **მახარობელი** (იგი პირველად XIII-XIV სს. საბუთებში იხსენიება).

სიღნაღიდან ჩამოსული **ჩახუნაშვილებისთვის** საფუძველი ხის ხელობის მცოდნე **„ჩახუნას“** დაუდვია.

ნანიკაშვილებს მაჩხუბრობის გამო **„სვანებს“** ემახიან; „არსენიძეების კახური შტოს ერთ განაყოფს მეტსახელით **„კახელი“** გამოარჩევენ.

„მღვდლის გარემო“ გაბელაშვილის „ნაცხოვრალს“ ჰქვია და შეგვახსენებს იმას, რომ აქ გაბელაშვილები ცხოვრობდნენ.

რწმენის, ძირხატთან დამოკიდებულების შესახებ

ადგილობრივ და მიგრირებულ გვარებს ლოცვისთვის, ღვთის რწმენის შენარჩუნებისთვის ტრადიციულად ჰქონდათ სალოცავი. ნებით თუ იძულებით მიგრაციიდან დროის გასვლის შემდეგ მიდიოდნენ ძირსალოცავში სულის საზრდოსთვის, პატიების სათხოვნელად, შეწევნისთვის. აღნიშნულ მსახურებაზე საუბრისას მთხრობელები გეუბნებიან, რომ „ძველები“ დადიოდნენ წელიწადში ერთ დღეს, დადიოდნენ ძირსალოცავში, ან იქ, სადაც დააბრძანებდნენ ძირი სალოცავის ნიშს. დადიოდნენ სალოცავად და საწირავად რომელიმე რელიგიურ დღესასწაულებზე, „ადდგომას გამოუტოვებლად“.

ეთნოგრაფიული მასალების კვლევით მიღებული, ქართულისთვის დამახასიათებელი ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: **ნემსაძეებისა და ბანძელაძეების** გვარების წარმომადგენლები ყოველ წელს იკრიბებიან ვანისჭალის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტერში⁴ კვირაცხოვლობის დღესასწაულზე. „საერთო საგვარეულო სალოცავის მოლოცვით კი საფუძველი ეყრება ნათესაობის მსგავს ერთობას“⁵.

ოკრიბის სოფელ მუხურაში, **კირკიტაძეების უბანში** მცხოვრები **ბოჭორიშვილების** ერთი ნაწილი კახეთიდან წარმომავლობას ამბობენ.

⁴ნემსაძეებს საგვარეულო, ციხე-სალოცავი, „უდიდესი და უძველესი ნალოცი ადგილი“ აქვთ, აგრეთვე, ვანისჭალაში.

⁵ნემსაძეები ასევე, ცხოვრობენ გურიაში, სოფ. მთისპირში.

ისინი თავიანთ დღესასწაულად ასახელებენ კახეთში, სოფელ ბუმეტში ბოჭორიშვილების ტრადიციულ დღეობას „ტებისობა“, რომელიც აღინიშნება აღდგომის ყოველ მესამე კვირას. დღესასწაულზე ხსნიან ქვევრს და ადღეგრძელებენ ბოჭორიშვილების გვარს.

საკითხის კვლევისას ყურადღებას იქცევს მთხრობელთა მიერ გამოყენებული ტერმინი „ძველები“. პირდაპირი მნიშვნელობით გადმოცემულ შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანია „ტერმინით მონაყოლი“ მიზეზი, რის გამოც აღარ ხდებოდა სალოცავის მოლოცვა. მიზეზი კი იყო რელიგიის, რწმენის დევნა მეოცე საუკუნეში. საკუთარი სალოცავის, ნიშის რწმენის აწმყოში ვეღარ, აღარ გაღვივებას ხელი შეუწყო კულტურული გლობალიზაციის პერიოდის იდეოლოგიებმა რელიგიური თავისუფლების შესახებ, რწმენისადმი ინდივიდუალურმა მიდგომამ.

შვილად აყვანის ტრადიციის შესახებ

გვარსახელებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების კვლევით ირკვევა, რომ საქართველოში შვილად აყვანილი ქონებრივ-უფლებრივი, სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით ბიოლოგიური შვილის ტოლი, სანათესაოში ნათესავად აღიარებული იყო: „შვილად აყვანა იყო მშვილბელი ოჯახის უფლება, საშუალება, გაეგრძელებინა არსებობა“.

„ნანიკაშვილს უშვილებია აჭარელი დიასამიძე და შემდეგ შეძენია საკუთარი შვილი „სისხლი ნანიკაშვილი. გარჩევით არც ერთი არ გაურჩევია არავის არც მშობელს და არც სანათესაო-სამოყვროს“.

კულტურული მოზაიკურობის საკითხი

კულტურული მოზაიკურობის, ქართული ენობრივ-კულტურული სამყაროს საერთოობის დასტურია ადამიანის მეტსახელები: ჩახუნა და ლაფერა. ერთიც და მეორეც კოლხურ სინამდვილეშია გავრცელებული, მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ „ჩახუნა“ გავრცელებული ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოში და იგი საფუძვლად დასდებოდა გვარს ჩახუნაშვილი. იგივე შეიძლება ვთქვათ ლაფერადის გვართან დაკავშირებით. არაა გამორიცხული, რომ გვარი წარმოქმნილიყო დამოუკიდებლად დასავლეთ საქართველოშიც და მას საფუძვლად დასდებოდა ხელობის აღმნიშვნელი სახელი „ლაფერ“.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს პროფესორ გურამ ბედოშვილს. იგი იმოწმებს ქართული სამართლის ძეგლებში დაცულ საბუთს და მასზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ეპონიმიური გვარი ლაფერაშვილი (/ლაფერაძე <-სახელიდან რაფიელი) წარმოქმნილია ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე, რომ იგი კახურ-ქართლური ენობრივი ფაქტია და, ამდენად, მას საფუძვლად ვერ დაედებოდა გურულ-იმერულში დადასტურებული სიტყვა – ლაფერა, რაც ხის დიდ და ბრტყელ პირიან კოვზს, ქვაბიდან ღომის ამოსაღებ პატარა ნიჩაბს ეწოდება (დლონტი 1984: 324; ბედოშვილი 1989: 15-17).

ქუთაისში დაფუძნებულ გელაშვილს დარჩენია ერთი ვაჟი. მას კი

ორი ქალიშვილი. მაშასადამე, გვარი შეიძლება დავარქვათ სოციუმს იმის მიუხედავად, რომ იგი შეიძლება შეწყდეს, პირველ თაობაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: კახეთიდან დასავლეთ საქართველოში მიგრირებულ გვართა ეთნოგრაფიული მასალები ეთნოისტორიულ საკითხთა კვლევის პირველწყაროა. შიდა მიაგრაცია ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის „ერთ სულ და ერთ ხორც ცხოვრებას“ უზრუნველყოფდა.

გამოყენებული ლიტერატურა

დოკუმენტები... 1953: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II(XV-XIXსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1953.

თოფჩიშვილი 1997: თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბილისი, 1997.

კაკაბაძე 1921: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1921.

პირთა ლექსიკონი 2004: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტომის რედაქტორი ზ. ალექსიძე, ტ. II, თბილისი, 2004.

პირთა ლექსიკონი 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტომის რედაქტორები: მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, ტ. I, თბილისი, 1991.

სოსელია 1973: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. I, თბილისი, 1973.

სოსელია 1981: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ტ. II. თბ.ილისი, 1981.

დლონტი 1984: დლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა., თბილისი, 1984.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.157-160>

**ერთგვაროვანი ქართველური
ონომასტიკური მასალისათვის
(კახეთი : კახათი)**

**For homogeneous Kartvelian
onomastic material
(Kakheti : Kakhati)**

რევაზ შეროზია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, ზუგდიდი

Revaz Sherozia

Shota Meskhia State
Teaching University of Zugdidi
Georgia, Zugdidi

ABSTRACT

Kartvelian oral linguistic space can be conditionally divided into two types, Eastern and Western. These two forms of oral speech do not go beyond a single linguistic system. Therefore, it is completely natural for them to have common grammatical or lexical elements. Of particular interest is the onomastic material in which the history of the nation is reflected.

The article discusses the names of the historical corners of Georgia Kakheti, Kukheti (Kakhi) and the relationship between the village of Kakhati on the Black Sea coast, in the Enguri River basin in western Georgia. It is assumed that these names are formed according to one common root (kakh). The Kakhetian and Kakhetian forms are distinguished only by the vowel part (e: a) of the top producer.

Also, the name of the village on the right bank of the Enguri, the name of Tagilon-i (Atangeli) and the term Atengenoba in Khevsureti, are considered as stems made from one root (tangel).

We think that the name of the village in western Georgia, Tagilon, meant the

place dedicated to the feast dedicated to the Archangel, while Athena remained to celebrate this feast. In this case, the reason for the similarity of the East-West forms can be easily explained (in terms of toponymy, obviously, the meaning of a religious holiday would be overshadowed).

Kakh-et: Like Kakh-at Tagilon: Atengena indicates the unity of Georgia and the Kartvelian linguistic space.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ონომასტიკა, ისტორიული კუთხეები, კახეთი, კახათი.

Keywords: Kartvelian Onomastic material, Historical corners, Kakheti, Kakhati.

ქართველური ზეპირი ენობრივი სივრცე შეიძლება პირობითად ორ, აღმოსავლურ და დასავლურ სახესხვაობად დავყოთ. ზეპირი მეტყველების ეს ორი ფორმა ერთი ენობრივი სისტემის ფარგლებს არ სცილდება, ამიტომ სრულიად ბუნებრივია მათში საერთო გრამატიკული თუ ლექსიკური ელემენტების არსებობა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფორმები, რომლებშიც ერის ისტორია ირეკლება, ამიტომაც მსგავს ონომასტიკურ მასალას ქართველოლოგთა ყურადღება არ მოჰკლებია.

ასეთი ონომასტიკური ფუძეა **კახ-ეთ-ი**, რომელიც საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს აღნიშნავს. მისი მიმართების შესახებ ისტორიულ **კახ-ი**, **კუხ-ი** ცნებებთან და საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებები დაწვრილებით არის მიმოხილული (პაპუაშვილი 1993: 403-439), ამიტომ მათი კრიტიკული ანალიზი აქ არ იქნება მოცემული. ყურადღება მიიქცია რამდენიმე ფაქტობრივმა მონაცემმა.

1. **კახეთი** და **კუხეთი** ადრიდანვე დაუკავშირდა ლეონტი მროველისეულ **კახოს** და **კუხოს** ფორმებს. ამიტომ **კახეთი**, **თუშეთი**, **სვანეთი**... გეოგრაფიული სახელების შესახებ გაკეთდა დასკვნა: „...აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებისგან იმავე **-ეთ-**ის საშუალებით გეოგრაფიული სახელები კეთდება: **ხევსურ-ეთ-ი**, **თუშ-ეთ-ი**, **მთიულ-ეთ-ი**, **სვან-ეთ-ი**, **ოს-ეთ-ი**...“ (შანიძე 1973: 138).

მსგავს მსჯელობას სხვაგანაც ვხვდებით: „ტოპოფორმანტები იშვიათია, ქართულში შეგვიძლია დავასახელოთ **-ეთ** და **-ურა // -ულა**. პირველი მათგანი ეთნონიმისგან (ხაზი ჩემია – რ.შ.) აწარმოებს ქვეყნის ან კუთხის სახელს (მაგ.: **სვანი>სვანეთი**, **კახი>კახეთი**...)“ (ცხადაია 2005: 70).

2. ონომასტიკურ გამოკვლევებში მოსალოდნელი იყო, რომ ყურადღება მიექცეოდა **-ეთ** მაწარმოებლის (**კახ-ეთ-ი**...) ფარდ **-ათ** ფორმანტს მეგრულ მეტყველებაში. მხოლოდ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ჰპოვა ადგილი **-ეთ** : **-ათ** შეპირისპირებამ (ფენრიხი... 2000). დასავლურ ქართველურ მეტყველებაში **-ათ** სუფიქსიანი ტოპონიმები სამეხარბი არ არის (**ბოზოყვათი**, **ზანათი**, **თეკლათი**, **ფერსათი**, **კვარიათი**, **სხლათი**, **ჩიზათი**, **გელათი**...). ამავე

დროს, სარწმუნო არ ჩანს, რომელიმე ზემოთ დასახელებული ტოპონიმი „ეთნონიმისაგან“ მომდინარეობდეს.

შენიშვნა: ცნებათა აღრევად გამოიყურება, როცა სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა მიმართ „ეთნიკური“, „ეთნონიმი“ ტერმინები გამოიყენება. ხევსური თუ ეთნიკურ სახელად მიიჩნევა, მაშინ საქართველო სხვადასხვა „ეთნოსების“ კრებული გამოვა. ასეთ ეთნიკურ დანაწევრებას ცდილობდა რუსეთი ორი საუკუნის მანძილზე.

3. ცთომილება, რომ გეოგრაფიული ტერმინი **კახეთი** ეთნონიმისგან არის ნაწარმოები, როგორც ჩანს, სპეციალისტებს ხელს უშლიდა, **კახ-** ძირიანი სხვა ფორმებისთვისაც მიექციათ ყურადღება (გამონაკლისია კახი საინგილოში). ერთი ასეთი ტოპონიმია **კახ-ათ-ი**. ეს არის საკმაოდ მოზრდილი სოფლის სახელწოდება შავ ზღვასთან, მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე. **კახ-ეთ-ი** და **კახ-ათ-ი** ფორმები მხოლოდ ტოპონაწარმოებლის გახმოვანებით სხვაობენ, ძირი კი საერთო ქართველურია.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნიკო მარის დაკვირვება. იგი შენიშნავდა, რომ „ქართული ტომებისათვის“ დამახასიათებელია **ხ-ზე** დაბოლოებული სახელები, როგორიცაა **კოლ-ხ-ი**, **კა-ხ-ი**, **მეს-ხ-ი** (მოსო-ხ-ი), **ჯავა-ხ-ი** (ტაო-ხ-ი)... სხვა საკითხია, მსგავსი სეგმენტაცია ყველა შემთხვევაში დასაშვებია თუ არა, მაგრამ საგულისხმოა **კოლხი** და **კახი** ფორმების გვერდიგვერდ განხილვა.

ძირეული მორფემის მიხედვით, **კახ-ეთ-ი** რომ შესაძლებელია **კოლხ-ეთ-ს** დაუკავშირდეს, გვაფიქრებინებს ქართველურ წყაროებში დადასტურებული **კაუხეთი**, **კოხეთი** ფორმები (პაპუაშვილი 1993: 426).

შენიშვნა: გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქართველ მემატრიანებთან **კოლხეთი** ტერმინი არ გვხვდება. შესაძლებელია ეს უკავშირდებოდეს **კოლხეთის** (საქართველოს) ადმინისტრაციის (სამეფო კარის) აღმოსავლეთ საქართველოში, **ქართში** (მცხეთაში) გადმოტანას ფარნავაზის დროს. ჩვენი მემატრიანები კი თხრობას აქედან იწყებენ, როგორც ჩანს, იმ დროის ჩანაწერებზე დაყრდნობით... („ვითარცა წერილი არს...“).

აღმოსავლურ-დასავლურ ქართველურ ტერმინთა თანხვედრა **კახეთ :** **კახათ** ფორმებით არ ამოიწურება. ი. ყიფშიძე ლექსიკონში მიუთითებს, რომ ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფელი **თაგილონი** ორად იყოფა და მეორე ნაწილს **ათანგელი** ეწოდება (ყიფშიძე 1994). მსგავსი სახელი აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება.

ალ. ჭინჭარაულს „ხევსურულ ლექსიკონში“ აღნიშნული აქვს: „ათენგენა დღესასწაული, რომელიც ივლისის მეორე ნახევარში იმართება ხევსურეთის ხატებში (მოდის ათენაგენოს სებასტიელი ეპისკოპოსის სახელიდან)“ (ჭინჭარაული 2005).

თაგილონი, ათანგელი, ათენგენა ფუძეებისთვის საერთო ძირად

თაგილ, თაგელ, თანგენ გამოიყურება. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი (მ)თავარ ანგელოზის გაკომპოზიტებული და შემდეგ რედუცირებული ფორმაა ფონეტიკური ცვლილებებით. თავდაპირველად იგი, როგორც ჩანს, მთავარანგელოზისადმი მიძღვნილი დღესასწაულის გასამართავ ადგილს აღნიშნავდა **თაგილონის** შემთხვევაში, **ათენგენა** კი დარჩა ამ დღესასწაულის აღმნიშვნელად. ასეთი ახსნა თუ მისაღებია, გასაგები იქნება აღმოსავლურ-დასავლურ ფორმათა მსგავსების მიზეზი (ტოპონიმად ჩამოყალიბების პირობებში, ცხადია, რელიგიური დღესასწაულის მნიშვნელობა დაიჩრდილებოდა). **კახ-ეთ** : **კახ-ათ-ის** მსგავსად **თაგილონი** : **ათენგენა** საქართველოსა და ქართველური ენობრივი სივრცის ერთიანობაზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა

პაპუაშვილი 1993: პაპუაშვილი თ., ცნებები „კახი“, „კუხი“, „ჰერი“ და მათი შესაბამისი ქვეყნების „კახეთის“, „კუხეთის“, „ჰერეთის“ შესახებ. კრებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993.

ყიფშიძე 1994: ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი. თბილისი, 1994.

შანიძე 1973: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1973.

ცხადაია 2005: ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი. თბილისი, 2005.

ჭინჭარაული 2005: ჭინჭარაული ალ., ხევსურული ლექსიკონი. თბილისი, 2005.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.161-168>

**წინანდლის ტრაგედია
ფრანგი მწერლების – ანა დრანსესა და
ალექსანდრე დიუმას მიხედვით**

**Tsinandali tragedy by French writers:
Anna Drance and Alexandre Dumas**

მაგდა შიკაბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი
ეკატერინე შაკიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი
მანანა ხვინგია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Magda Chikaberidze

Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

Ekaterine Shakiashvili

Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

Manana Khvingia

Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

ABSTRACT

In 1857, Anne Drance's book „Shamil's Captive Women“ was published in France. The author was the governor of Davit Chavchavadze's children. She was captured by the Leks at the time of the attack on Tsinandali Palace in 1854 together with Chavchavadze's family members and taken to Imam Shamil in Dagestan. Shamil wanted to exchange his son, Jemal Ed-Din, for Georgian captives, who had been held hostage by the Russians and was growing up in Russia, far from his homeland, at the

Emperor's court. In the book, Anna Drance describes in detail her sad but exciting adventures.

The famous French writer Alexandre Dumas- father, who arrived in Georgia at the end of 1858, was also interested in the Tsinandali tragedy. In his book, he vividly conveys the impressions he gained during the trip. He paid a special visit to the Chavchavadze family, met Davit Chavchavadze's wife Anna personally and heard her tragic story directly from her. Alexandre Dumas's book *The Caucasus* was published in 1859 in Paris.

Both memoirs are original and reliable. Their story complements each other and creates a complete picture. They describe the story emotionally and evoke great empathy in the reader. The faces of historical figures revived by writers are interesting: Anna and Davit Chavchavadze, Iliko and Barbara Orbeliani, Shamil, Jemal Ed-Din ...

The memoirs of Anne Drance and Alexandre Dumas, as precious historical sources, have not lost their relevance even today. It has always been important and interesting for us to see Georgia seen by foreigners, the current historical events in us and the people at the epicenter of these events. That is why both works are still read with great attention and interest. As for the Tsinandali tragedy, it was another result of the Russian occupation of the Caucasus, which ended in casualties.

საკვანძო სიტყვები: ანა დრანსე, ალექსანდრე დიუმა, დავით ჭავჭავაძის ოჯახი, ლექები.

Keywords: Anna Drance, Alexandre Duma, David Chavchavadze family, Leks.

მე-19 საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში ევროპაში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს კავკასიის ომის ქრონიკებს. ევროპელებისთვის საინტერესო იყო ყოველგვარი ლიტერატურა, რომელიც ამ თემას შეეხებოდა. 1857 წელს საფრანგეთში გამოიცა ანა დრანსეს წიგნი „შამილის ტყვე ქალები“. ავტორი დავით ჭავჭავაძის შვილების გუვერნიორი იყო. ის ლექებმა 1854 წელს წინანდლის სასახლეზე თავდასხმის დროს ჭავჭავაძის სახლეულთან ერთად დაატყვევეს და დაღესტანში იმამ შამილს მიჰგვარეს. შამილს სურდა, ქართველ ტყვეებში გაეცვალა ვაჟიშვილი ჯემალ ედ-დინი, რომელიც რუსებს ჰყავდათ მძევლად და სამშობლოსგან შორს, რუსეთში, იმპერატორის კარზე იზრდებოდა. ლექების თავდასხმას ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის, ჭავჭავაძეების უმცროსი ქალიშვილი –სამი თვის ლიდა. ანა დრანსე წიგნში დაწვრილებით აღწერს თავის სევდიან, მაგრამ საინტერესო თავგადასავალს.

წინანდლის ტრაგედიით აგრეთვე დაინტერესდა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა-მამა (1803-1870), რომელიც საქართველოში 1858 წლის ბოლოს ჩამოვიდა. ამბობენ, რომ მას სწორედ ანა დრანსეს

„შამილის ტყვე ქალების“ წაკითხვის შემდეგ გაუჩნდა სურვილი, საქართველო და კავკასია ენახა. მან თავის წიგნში ცოცხლად გადმოსცა მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებანი. ის საგანგებოდ ეწვია ჭავჭავაძეების ოჯახს, პირადად გაიცნო დავით ჭავჭავაძის მეუღლე ანა და უშუალოდ მისგან მოისმინა მისი ტრაგიკული ისტორია. ალექსანდრე დიუმას მოგზაურობის წიგნი **„კავკასია“ 1859 წელს პარიზში** გამოიცა.

მკვლევარი **აკაკი გაწერელია** ალექსანდრე დიუმას მოგონებებს ნაკლებად ორიგინალურად მიიჩნევს. მისი მტკიცებით, წინანდალზე ლექების დაცემისა და იქიდან დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ჯალაბის გატაცების ეპიზოდი **„დიუმას მთლიანად მოთხრობილი აქვს ვერდერევესკის წიგნის მიხედვით, ოღონდ ზოგიერთი მომენტის გამოკლებით. გარდა ამ წიგნისა, დიუმა სარგებლობს დრანსეს მოგონებებითაც“** (დიუმა 1970: 13).

ალექსანდრე დიუმა რომ პირველწყაროს ეყრდნობა, მისი ნაამბობიდანაც ჩანს. მწერალი მემუარებში აღწერს, როგორ მოუთხრეს ტრაგედიის მთავარმა გმირებმა – ანა ჭავჭავაძემ და მისმა დამ, ბარბარე ორბელიანმა, თავიანთი თავგადასავალი: „საბრალოს [ანა ჭავჭავაძეს] თვითონ ძალა არ შესწევდა დაწვრილებით ეამბნა ყოველივე და მისმა დამ ჩამოართვა სიტყვა, და როგორც დანტეს „ჯოჯოხეთში“, ვიდრე ფრანქესკო ამბავს ჰყვება, პაოლო ტირის, **თავადი ჭავჭავაძის მეუღლეც ტიროდა, სანამ მისი და ამბავს მოგვითხრობდა**“ (იქვე: 310).

ალექსანდრე დიუმა არ უარყოფს, რომ კარგად იცნობს თავისი **თანამემამულის – ანა დრანსეს** წიგნს. ის „კავკასიაში“ შენიშვნის სახით წერს: „ქალბატონმა დრანსემ მოგონებების წიგნში სათაურით „ფრანგი ტყვე ქალის მოგონებები შამილზე“ თავისი თავგადასავალი ისეთი განსაცვიფრებელი სისადავითა და სიზუსტით მოგვითხრო, რაიც დამახასიათებელია იმ დაკვირვების ნიჭისთვის, რომელსაც ქალები ზედმიწევნით ფლობენ“ (დიუმა 1970: 301). რაც შეეხება **ევგენი ვერდერევესკის წიგნს „შამილთან ტყვეობაში“, რომელიც 1856 წელს რუსულად დაიბეჭდა, ხოლო 1857 წელს ლონდონში მისი ინგლისური თარგმანი გამოვიდა, ალექსანდრე დიუმა არსად ახსენებს.**

ფრანგი მწერლების – **ანა დრანსესა და ალექსანდრე დიუმას** ნაამბობი ერთმანეთს ემთხვევა. ისინი ემოციურად აღწერენ ამბავს და მკითხველშიც დიდ ემპათიას იწვევენ. საინტერესოა მწერალთა მიერ გაცოცხლებული ისტორიულ პირთა სახეები: **ანა და დავით ჭავჭავაძეები, ილიკო და ბარბარე ორბელიანები, შამილი, ჯემალ ედ-დინი...**

ორივე მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს შამილის განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებს: ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, სამართლიანობასა და სტუმართმოყვარეობას. **ანა დრანსესგადმოცემით, „როდესაც [შამილს] ამბავი მიუტანეს, თუ რა სასტიკად გვექცეოდნენ მგზავრობისას, განკარგულება გასცა, ჩვენგან იმ ადამიანთა სახელები შეეტყო, ვისაც ვუჩიოდით; შამილი**

მათ დასჯას აპირებდა“ (დრანსე 2010: 69). **ალექსანდრე დიუმას** აოცებს, რომ „წარჩინებულმა ტყვე ქალმა [ანა ჭავჭავაძემ] შამილისადმი ნამდვილი აღტაცება შეინარჩუნა. ეს არის მაღალი თვისებების მქონე ადამიანი და მისი სახელი სრულიადაც არ არის გაზვიადებულიო, – მითხრა თავადის მეუღლემ“ (დიუმა 1970: 299).

საინტერესოა მემუარისტების თვალით დანახული ანა ჭავჭავაძე. ანა **დრანსეს** გადმოცემით, ის იყო თბილი და პასუხისმგებლობიანი ადამიანი: „არასოდეს დამავიწყდება ის საბედისწერო წუთები, როდესაც კნენა ჭავჭავაძე, ყოველთვის გულთბილად რომ იყო ჩემდამი განწყობილი, მომეხვია და სინანულის გრძნობით აღვსილმა მითხრა: – ეჰ, ეს რა მომივიდა, მაძამ? ძალიან გთხოვთ, მომიტევეთ იმ უბედურებისათვის, რაც ჩემი მიზეზით შეგემთხვევათ. ღმერთო ჩემო! რატომ არ დაგატანეთ ძალა, გაქცეულიყავით?“ (დრანსე 2010: 14).

ალექსანდრე დიუმა ხატავს ანა ჭავჭავაძის, ლამაზთვალეზა მელანქოლიური ქალის, პორტრეტს, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე: „თავად ჭავჭავაძის მეუღლე საქართველოში, ამ ლამაზი თვალებით სახელგანთქმულ ქვეყანაში, ცნობილია, როგორც ულამაზესი თვალების მქონე მანდილოსანი. მაგრამ შეხედვისთანავე გაცეცხობს მისი წმინდა ბერძნული პროფილი, უკეთ რომ ვთქვათ, მისი წმინდა ქართული პროფილი, რაიცა გულისხმობს ბერძნულ სიწმინდეს, თუ მას სიცოცხლე მივუმატეთ... ამ საუცხოო პროფილიდან თავადის მეუღლის სახეს ღრმა სევდის იერი გადაჰკრავს. რა უნდა იყოს საწყისი ამ მელანქოლიისა? ის ხომ ბედნიერი ცოლი და მრავალი შვილის დედაა? იმიტომ ხომ არ არის ის სევდიანი, რომ ბუნებამ ისურვა მეტისმეტად დიდი სილამაზით დაეჯილდოებინა, როგორც ზოგიერთ ყვავილს აჯილდოებს იმდენად დიდი სილამაზით, რომ მათ სურნელების გარეშე არსებობა აღარ შეუძლიათ? ან იქნებ დღემდე გრძელდება მოგონება იმ საშინელი შემთხვევისა, რომლის მიზეზითაც თითქმის ერთ წელიწადს იყო თავის მოჯახს მოშორებული“ (დიუმა 1970: 299).

ორივე მემუარისტის გადმოცემით, ლეკები დიდად აფასებდნენ ილიკო **ორბელიანს**, გამოჩენილი ქართველი პოეტისა და მოღვაწის, **გრიგოლ ორბელიანის** ძმას. მან შამილთან ტყვეობაში ცხრა თვე გაატარა. **ალექსანდრე დიუმას** სიტყვით, ლეკებს ილიკო ორბელიანის ეშინოდათ, მაგრამ პატივს სცემდნენ და აღტაცებულნი იყვნენ მისი ვაჟკაცური საქმეებით. როცა მათ გაიგეს, რომ ერთ-ერთი ტყვე ქალი ილიკო ორბელიანის ქვრივი იყო, შემოეხვივნენ და „საცოდავ, ორი დღის ნასიარულებ, ნაშიმშილევსა და დატანჯულ ქალს ისე ეპყრობოდნენ, როგორც ნამდვილ დედოფალს“ (დიუმა 1970: 317). ლეკები ცდილობდნენ, ენუგეშებინათ და გაემხნევებინათ იგი. ეუბნებოდნენ, პატარა გიორგი გამოცხადებული მამაა და მაინც ვიცნობდით, კიდევ რომ არ გვცოდნოდა, ვინ იყო. ზოგნი იმასაც

უმტკიცებდნენ, დანამდვილებით ვიცით, ილიკო თურქებს არ მოუკლავთ და აუცილებლად დაგიბრუნდებათ.

ანა დრანსეს გადმოცემით, ილიკო ორბელიანის სახელის ხსენებაც კი მფარველობდა მათ. თავად იმამი შამილი ორბელიანის ქვრივსა და მის ოჯახს უდიდეს პატივს სცემდა.

ორივე მემუარისტი ორიგინალურია და სანდო. მათ მიერ მოწოდებულ ფაქტები ერთმანეთს ავსებს და სრულ სურათს ქმნის. მაგალითად:

ალექსანდრე დიუმა: 1854 წელს კახეთში ლეკების მოსალოდნელ თარეშზე ხმები დადიოდა, რის გამოც თავადის მეუღლე თბილისში შეყოვნდა. ის, როგორც წესი, მასში გადასახლდებოდა ხოლმე წინანდალში და იქ ოქტომბრამდე რჩებოდა. ამჯერად ჭავჭავაძეებმა თბილისი 18 ივნისს დატოვეს (დიუმა 1970: 300).

ანა დრანსე: ქალაქში ხმა დაირხა, კახეთში შამილი თავდასხმას აპირებსო, რისიც ჭავჭავაძეების სახლეულს ნაკლებად სჯეროდა. თავადმა ჭავჭავაძემ საჭიროდ სცნო, გადაემოწმებინა ხმები. სანდო წყაროებიდან მიღებულმა ცნობებმა ის დაამშვიდა და წინააღმდეგობა აღარ გაუწია ცოლ-შვილის გამგზავრებას (დრანსე 2010: 5).

ალექსანდრე დიუმა: დავით ჭავჭავაძე წინანდლიდან გაიწვიეს და ორი დღის სავალზე ჩააბარეს ციხესიმაგრის უფროსობა. ქმარმა წასვლამდე ანუგეშა შეშინებული ცოლი, თბილისიდან თელავში ჯარი იგზავნებაო. გარდა ამისა, მდინარე ალაზანი ადიდებულებო და მდინარეზე ლეკების გადმოსვლა შეუძლებელი ჩანდა. **სამი დღის შემდეგ** დავით ჭავჭავაძისგან წერილი მოვიდა, რომელიც იუწყებოდა ციხეზე **ხუთი თუექვის ათასი ლეკის შეტევის** შესახებ. ის ოჯახს არწმუნებდა: ციხესიმაგრე მაგარია, გარნიზონი – მამაცი, საშიში არაფერიაო. დავით ჭავჭავაძე თავად ასე დამშვიდებული რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად ურჩევდათ წინანდლიდან გაქცევას. **ანა ჭავჭავაძეს ქმრის სახიფათო მდგომარეობა უფრო აფიქრებდა, ვიდრე თავისი** (დიუმა 1970: 302).

ანა დრანსე: თავადს ბრძანება მოუვიდა ალაზანგაღმა გასულიყო და ციხესიმაგრის უფროსობა მიეღო. მან დაამშვიდა ოჯახი, რომ არ შეშინებოდათ. თავადის რწმენით, კოკისპირული წვიმა ხელს შეუშლიდა ლეკებს მდინარე ალაზნის გადალახვაში. ამასობაში კი თბილისიდან თელავში ჯარი ჩამოვიდოდა. გამომშვიდობებისას დავით ჭავჭავაძის ქცევასა და სიტყვებში სევდა ჩანდა. ის დიდხანს მდუმარედ უმზერდა თავის ოთხი თვის ლიდიას. საწყალი მამა! საყვარელ არსებას უკანასკნელად ხედავდა.

მესამე დღის მიწურულს თავადისგან ცნობა მიიღეს, რომ იგი **400 კაცი** იცავდა ციხესიმაგრეს, რომელსაც თავს დასხმოდა **ლეკთა რიცხვმრავალი რაზმი**. როგორც ადრე, ისე ახლა ის არწმუნებდა მეუღლეს, რომ საშიში არაფერი იყო და სთხოვდა, **მეორე წერილის მიღებამდე წინანდალი არ მიეტოვებინა** (დრანსე 2010: 8-9).

აშკარაა, რომ ალექსანდრე დიუმა არ სარგებლობს ევგენი

ვერდერევისკის წიგნით „მამილის ტყვეობაში“, რასაც ქვემოთ მოტანილი ამონარიდებიც ცხადყოფს.

ვეგენი ვერდერევისკი: „იმავე სადამოს, დაახლოებით 8 საათზე, ქალბატონის მიერ გაგზავნილი კაცი ალაზნიდან შეტყობინებით დაბრუნდა, რომ ლეკების ერთი ნაწილი უკვე მდინარის აქეთა მხარეს გადმოსულიყო და სანაპიროზე განლაგებულყო, თუმცა თელავის მაზრის უფროსი, თავადი ანდრონიკოვი, იქვე ძლიერი მილიციით იდგა.

ეს იყო გასაქცევად ყველაზე მარჯვე დრო, მაგრამ ეს შესაძლებლობა არავინ გამოიყენა. მაცნეს არ დაუჯერეს. ქალბატონი თინია და დარეჯან გამგრელიძე ამტკიცებდნენ, რომ ამბის მომტანს შიში ალაპარაკებდა – შიშისგან ჰქონდა დიდი თვალები. ქალბატონი თინა მკაცრად აკონტროლებდა, რომ არავის ელაპარაკა არსებული მდგომარეობის (საფრთხის) შესახებ ქალბატონ ანა ილიას ასულთან. პრინცესა ანა ილიას ასული იმდენად დაკავებული იყო მეტუძური შვილით, **ოთხი თვის ლიდიათი**, რომელსაც თავად აჭმევდა, რომ არც შეეძლო თვალი ედევნებინა ყოველი დეტალისა თუ წვრილმანისათვის და, შესაბამისად, რატომღაც სხვებს აძლევდა ოჯახის მართვის უფლებას“ (Вердеревский 1856: 22).

ალექსანდრე დიუმა: ღამის თორმეტ საათზე თავადის ერთმა გლეხმა, სახელად ზურიკამ, ითხოვა დასაზვერად გამიშვითო. ქალბატონმა ნება დართო და ბიჭი სამი საათის შემდეგ უკან დაბრუნდა. ლეკებს მისთვის სროლა აეტებათ, სამ-ოთხ ადგილას ტანისამოსი გახვრეტილი ჰქონდა. ლეკები ალაზანზე როდი გადმოსულიყვნენ, როგორც მოელოდნენ. ისინი მდინარის გაღმა დაბანაკებულებდნენ. ცეცხლი კი მარცხენა ნაპირზე პურის ძნებს ეკიდა. მოტანილ ამბავში დამამშვიდებელი ის იყო, რომ ლეკები მართლა ვერ გადმოსულიყვნენ ალაზანზე (დიუმა 1970: 302-303).

საინტერესოა ორი მწერლის მიერ გადმოცემული ცნობები ვაჭრის (მედუქნის) შესახებ. **ვეგენი ვერდერევისკის** მტკიცებით, ის ლეკების მიერ მოგზავნილი ჯაშუში იყო, ხოლო **ალექსანდრე დიუმა**, რომელიც ანა ჭავჭავაძის მონათხრობს ეყრდნობა, მას სომეხ ვაჭრად მიიჩნევს და ღალატში ხელაღებით ვერ ადანაშაულებს.

ვეგენი ვერდერევისკი: „საათ-ნახევრის შემდეგ სასახლეში მოიყვანეს ვიღაც უცნობი კაცი. ის სულ სველი იყო და ამბობდა, რომ ლეკებს თავი ალაზნის გადმოცურვით დააღწია. უცნობი თავს სიღნაღელ მედუქნედ აცხადებდა და წინანდლის სასახლეში ითხოვდა ღამის გასათევს. ქალბატონის თანხმობის გარეშე ვერ გაბედეს მისი თხოვნის შესრულება. ქალბატონმა ნება დართო, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ შენიშნა, რომ ის ეზოში იარაღს ტენიდა. ამან ეჭვი აღუძრა და სასახლეში მყოფი სამი მამაკაცი მაშინვე აღჭურვა თოფებით, დენთითა და ტყვიებით; უბრძანა, მედუქნე ერთი წუთითაც არ მიეტოვებინათ უყურადღებოდ, ხოლო თუ მისი მხრიდან რაიმე საეჭვო ან ბოროტ განზრახვას შენიშნავდნენ, მოეკლათ.

ალიონზე ეზოდან გასროლის ხმა გაისმა... ეს იყო საღალატო გასროლა

მედუქნისა, რომელიც, ქალბატონის გაფრთხილების მიუხედავად, საღამოს არ განუიარაღებიათ...

გასროლა მოღალატისა, რომელიც, უეჭველია, მთიელთა ჯაშუში იყო, ამნობდა სასახლის დაუცველობას და რომ მძარცველებს წინააღმდეგობის გარეშე შეეძლოთ გადმოსვლა და გაძარცვა. გასროლისთანავე მთელი სასახლე ფეხზე დადგა. არც მედუქნე და არც საღამოს მის მცველებად მიჩენილნი აღარ დახვდათ არც ეზოში, არც ბაღსა და არც მათთვის მითითებულ ადგილებში...“ (Вердеревский 1856: 22-23-24).

ალექსანდრე დიუმა: „ზურიკას დაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე სასახლეში ერთი სომეხი ვაჭარი მოვიდა, თან მნიშვნელოვანი თანხა მაქვს და გზის გაგრძელებას ვერ ვბედავო, – თქვა მან. მაგრამ ეს კაცი ისეთი გამოთქმით ლაპარაკობდა სომხურად, რომ მთიელი უნდა ყოფილიყო. ქალბატონმა თავის კაცებს უბრძანა, მოსულისთვის იარაღი აეყარათ, ხოლო თუ გაქცევას მოისურვებდა, კიდევ ესროლათ მისთვის. მაგრამ ხომ შეიძლებოდა შემცდარიყვნენ, ამიტომ დასძინა, ვახშამი ეჭმიათ და მზრუნველობა გაეწიათ...“

დილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ბაღის მხრიდან თოფის ხმა გაისმა და შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ეს თავდასხმას არ ჰგავდა, რადგანაც მხოლოდ ერთხელ გაიგონეს სროლა. მაგრამ ეს შეიძლებოდა ნიშანი ყოფილიყო...“ (დიუმა 1970: 303-304).

ანა დრანსესა და ალექსანდრე დიუმას მიერ შემონახული საქართველოს ისტორიის საინტერესო ფრაგმენტები დღესაც დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში. ისინი პირველადი ისტორიულ წყაროებია და მათი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. ცალკე აღნიშვნის ღირსია ფრანგი მწერლების მხატვრული ოსტატობა. ისინი ცოცხლად, დინამიკურად გადმოსცემენ შთაბეჭდილებებს, ნანახსა და გაგონილს და დიდ ზემოქმედებას ახდენენ მკითხველზე. მეტად შთაბეჭდავია კახეთის (წინანდლის) პეიზაჟები, რომლებიც ზუსტად ასახავს საქართველოს ბუნების გაუხუნარ მშვენიერებას.

„წინანდალი ივნისის თვეში ფერიების სასახლე გეგონებათ: აქ ერთმანეთში არეულია ყვავილები, ყურძენი, ბროწეული, ლიმონი, ნარინჯი, ცხრატყავა, ვარდები. მცენარე და ხილი ერთდროულად ყვავის, იფურჩქნება და მწიფდება. ჰაერი გაჟღენთილია მრავალი ერთმანეთში არეული სურნელებით“ (დიუმა 1970: 301).

„ხედი ამ სასახლიდან მომხიბვლელია. მის წინაშე, თვალმიუწვდომ სივრცეზე, გადაშლილია ალაზნის ველი, რომელსაც სამართლიანად შეიძლება უწოდო ბუნების საოცრება. ეს საკვირველი ხალიჩა გემოვნებით არის მოქსოვილი სოფლების, ზვრების, ბაღების, ტყეების, მინდვრებისა და კორომების მიერ. ველს შუაზე კვეთს ალაზნის ფართო ზოლი, ხოლო იქით, მოშორებით, ქალწულებრივად ხასხასა, ხშირი ტყეებით დაფარული ცადაზიდული მთები მიჯარულან. მას შორეულსა და იდუმალს ხდის მსუბუქი ნისლოვანების თხელი, ფაქიზი, საუცხოო მოხატულობანი...“

ძნელია იპოვო ქვეყანა, რომელიც ამაზე მეტად იყოს დაჯილდოებული ბუნების სიკეთით“ (დრანსე 2010: 4-5).

ანა დრანსესა და ალექსანდრე დიუმას მოგონებებს, როგორც ძვირფას ისტორიულ წყაროებს, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო უცხოელების თვალით დანახული საქართველო, ჩვენში მიმდინარე ისტორიული მოვლენები და ამ მოვლენების ეპიცენტრში მყოფი ადამიანები, ამიტომ ორივე ნაწარმოები დღესაც დიდი ყურადღებითა და ინტერესით იკითხება. რაც შეეხება წინანდლის ტრაგედიას, ის რუსეთის მიერ კავკასიის ოკუპაციის კიდევ ერთი შედეგი იყო, რომელიც მსხვერპლით დამთავრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

დიუმა 1970: დიუმა ა., კავკასია. თბილისი, 1970.

დრანსე 2012: დრანსე ა., შამილის ტყვე ქალები. თბილისი, 2012.

Вердеревский 1856: Вердеревский Е.А., Плен у Шамиля. Санкт-Петербург, 1856.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.169-174>

**ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედება
ფემინისტური კრიტიკის ზრდილში**

**Barbare Jorjadze's work
in the context of feminist criticism**

სოფიკო ჟუმბურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Sofiko Chumburidze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

From the second half of the nineteenth century, like in Europe and America, the issue of women's emancipation began to be actively debated in Georgia. It is noteworthy that during this period women themselves began to fight for their rights, and the turning points in the spiritual realm were reflected in their work in an interesting way; the difficulties and internal contradictions that accompanied the liberation from traditional morality became apparent. Female authors were well aware of the new realities and social challenges that emancipated women faced.

Barbare Jorjadze (1833-1895), an excellent representative of Georgian culture of the nineteenth century, a writer, and public figure, was one of the first fighters for the emancipation of women. Advancing the fight for women's rights also highlighted the problem of the relationship between literature and feminism. Consequently, a feminist critique of literature also emerged.

Feminist critique is interested in the female author and not the female reader. Were the women authors educated? What are the peculiarities of their autobiographical texts? Did they need to use pseudonyms? How was their work perceived and valued in a given society? Male authors mostly wrote about women as mothers and were less interested in their legal status. By the end of the nineteenth and early twentieth centuries, women were already realizing that they had to create their own lives. Women were seen as a group oppressed by men,

invoking examples and history from the past to reinforce their arguments and discuss women's condition, and their problems globally.

This article discusses Barbare Jorjadze's work in the context of feminist critique. Georgian feminist critique of the second half of the nineteenth century would have been inconceivable without the letters of Barbare Jorjadze about the problems of women and their social status. She focused on an unacceptable tradition, the change of which was the main task.

Barbare Jorjadze's work was an example for Georgian women to defend their rights and take an active part in the public arena. This „home-grown woman“, as she was ridiculed by her opponents, portrays the situation of women in Georgia quite well.

Barbare Jorjadze's work and her past life proved that she had never gotten used to the difficult situation for a woman. She was able to become a notable person of her time through her tireless work and struggle, and her work clearly shows the necessity of the struggle for gender equality and the urgent need in the Georgian life of the second half of the XIX century.

საკვანძო სიტყვები: ფემინიზმი, ქალთა უფლებები, ემანსიპაცია, ბარბარე ჯორჯაძე.

Keywords: Feminism, Women's Rights, Emancipation, Barbare Jorjadze.

ქალთა ემანსიპაციის საკითხის წინ წამოწევამ ლიტერატურისა და ფემინიზმის ურთიერთმიმართების პრობლემაც გამოკვეთა. შესაბამისად, გაჩნდა ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკაც. ზემოხსენებული საკითხი პირველად ინგლისელმა მწერალმა და ფემინისტმა ვირჯინია ვულფმა წამოჭრა 1929 წელს დაწერილ ესეში „საკუთარი ოთახი“. აღნიშნული ესე ითვლება ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის მთავარ ნაშრომად, მას საფუძვლად უდევს ორი ლექცია, რომელიც მწერალმა 1928 წელს ნიუჰემისა და გირტონის კოლეჯებში ჩაატარა. ერთ-ერთი ლექცია შეეხებოდა თემას: ქალი და მხატვრული ლიტერატურა. მან განიხილა ქალთა ისტორიული უნარშეზღუდულობა მრავალ სფეროში, მათ შორის სოციალურ, საგანმანათლებლო და ფინანსურ სფეროებში. ვირჯინია ვულფი ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქალ მწერლებს სჭირდებათ საკუთარი ოთახი საკუთარ და ფული, რომ შეძლონ და მამაკაცების მსგავსად განვითარდნენ შემოქმედებითად. ის მთავარ პრობლემად ხედავს კონტრასტს, თუ როგორ არიან იდეალიზებული ქალები მამაკაცების მიერ დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში და როგორ ექცევათ მათ პატრიარქალური საზოგადოება რეალურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ვირჯინია ვულფი „საკუთარ ოთახში“ წამოჭრის, ეს მწერალ ქალთა სიმცირეა.

მამაკაცი ავტორები ძირითადად წერდნენ ქალებზე, როგორც დედებზე და მათი უფლებრივი მდგომარეობა ნაკლებად აინტერესებდათ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მერცხე საუკუნის დასაწყისში ქალები უკვე ხვდებოდნენ, რომ თავად უნდა შეექმნათ თავიანთი ცხოვრება, ქალებს მამაკაცების მიერ ჩაგრულ ჯგუფად მოიაზრებდნენ, წარსულის მაგალითებსა და ისტორიას მოიხმობდნენ, რათა თავიანთი არგუმენტები გაეძლიერებინათ და ქალთა მდგომარეობა, მათი პრობლემები გლობალურ ჭრილში განეხილათ. ამ პროცესში მათ ხელი შეუწყო ქართულ-ევროპული კულტურის დაახლოებამ; ამ პერიოდის ქალი ავტორების შემოქმედებაში საინტერესოდ აისახა სულიერ სფეროში მომხდარი გარდამტეხი ცვლილებები, მკაფიოდ გამოჩნდა ის სირთულეები და შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც ტრადიციული მორალისაგან განთავისუფლებას ახლდა. ქალმა ავტორებმა კარგად დაინახეს ახალი სინამდვილე და სოციალური გამოწვევები, რომელთა წინაშეც ემანსიპირებული ქალები აღმოჩნდნენ.

ქალთა უფლებებისთვის ერთ-ერთი პირველი მეზრმოლი გახლდათ ბარბარე ჯორჯაძე. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ფემინისტური კრიტიკა წარმოუდგენელია მისი წერილების გარეშე, ქალთა პრობლემებსა და მათ საზოგადოებრივ მდგომარეობას რომ შეეხებოდა. ის ყურადღებას ამახვილებდა მიუღებელ ტრადიციაზე, რომლის შეცვლა მთავარ ამოცანად ესახებოდა. აღსანიშნავია, რომ ბარბარეს პოზიცია პირადული მოტივითაც იყო განპირობებული. ის 12 წლისა გაათხოვეს, როცა, მისივე თქმით, ჯვრისწერა თამაშობა ეგონა.

სხვა ქართველ მოღვაწეთა მსგავსად, ბარბარესაც ქალთა განათლება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიაჩნდა, ის ქართველ მამაკაცებს მიიჩნევს ეგოისტებად, რომელთაც არ სურთ, საკუთარმა დებმა განათლება მიიღონ და მათი თანასწორი გახდნენ. ბარბარე მოუწოდებს ქართველ კაცებს თავი დაანებონ შურიანობას და იზრუნონ ქალთა განათლებაზე, რათა „ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან, თუკი საქმეს არ უშველიან რასმე“ (ჯორჯაძე 1893: 7). როგორც ვხედავთ, ბარბარე ჯორჯაძე აქტიურად მოითხოვდა, რომ ქალისთვის განათლების უფლება მიეცათ.

ბ. ჯორჯაძე საინტერესოდ აღწერს ქართველი ქალის ისტორიულ მდგომარეობას: „პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდნენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასმახობდნენ: შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს; ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ, სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“ (ჯორჯაძე 1893: 7). ქალისთვის ჩაკეტილი საზოგადოებრივი სარბიელი და ჩაგრული მდგომარეობა ამით არ სრულდება, რადგან არანაკლებ მძიმე

მდგომარეობაში არიან ქალები ოჯახში ქმრების მხრიდან: „მამაკაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედაკაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალისჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოღალატენი და ვინ მოსთვლის, რა არ უწოდებია კაცს, ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა სიტყვებით: მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამზახიო“ (ჯორჯაძე 1893: 7). მოხმობილი ციტატა ცხადყოფს, რომ ბარბარე ჯორჯაძემ ზუსტად აღწერა ის მძიმე მდგომარეობა, რასაც ქალები საუკუნეების განმავლობაში უხმოდ იტანდნენ. მამაკაცი ყოველმხრივ ამცირებდა ქალს და ალერსიან სიტყვას მხოლოდ ეგოისტური მოსაზრებით თუ გაიმეტებდა. ბარბარე ჯორჯაძე ქალთა ჩაგრულ მდგომარეობას აღწერს. მთავარ მიზეზად კი განათლების პრობლემას მიიჩნევს. ქალებს არ შეეძლოთ სრულფასოვანი განათლების მიღება და დროის შესაფერისად ცხოვრება, კაცების დარად მოღვაწეობა და საკუთარი ბედის დამოუკიდებლად წარმართვა. აღნიშნული სტატიიდან ირკვევა, რომ ქალები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ დასცინოდნენ, მოიხსენიებდნენ უჭკუოებად, უგულოებად, ფარად იყენებდნენ სარწმუნოებასაც და დედაკაცს ღმერთის მიერ მამაკაცის მსახურად გაჩენილად თვლიდნენ, ქალების დასამცირებლად სიტყვებს არ იშურებდნენ, მწერალი ქალი ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად ბიბლიასაც იმოწმებს და ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე ამახვილებს ყურადღებას: „თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას“, – აღმფოთებას ვერ ფარავს ბარბარე ჯორჯაძე ასეთი უთანასწორობისა და უსამართლობის გამო (ჯორჯაძე 1893: 8).

ნათელი ხდება, რომ ქართველი კაცები ყოველმხრივ ცდილობდნენ ქალის ღირსების დამცირებას, უკრძალავდნენ სწავლა-განათლებას, რადგან ისინი ღმერთის მიერ ქალად დაბადებული იყვნენ, მათ არ შეეძლოთ მმართველობა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა.

მოხმობილ სტატიაში ყურადღებას იქცევს ბარბარე ჯორჯაძის ერთი ორიგინალური მოსაზრება იმის შესახებ, რომ განათლებას მოკლებული ქართველი ქალიც კი ახერხებდა შვილების სწორად აღზრდასა და ცხოვრებისეულ საკითხებზე საფუძვლიან მსჯელობას: „საბრალო ქალებს იმ დაჩაგრით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა, და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დამცველებად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი?..“ (ჯორჯაძე 1893: 8).

ბარბარე ჯორჯაძის მოღვაწეობა იყო მაგალითი ქართველი

ქალებისათვის დაეცვათ თავიანთი უფლებები და აქტიურად გამო-სულიყვნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ეს „შინ ზრდილი ქალბატონი“, როგორც მას დამცინავად მოიხსენიებდნენ მოწინააღმდეგენი, საკმაოდ კარგად გვიხატავს ქალთა მდგომარეობას მაშინდელ საქართველოში. ბარბარე იყო პირველი ქალი, რომელიც თვით ილია ჭავჭავაძესაც კი შეეკამათა (თუმცა მათი პოლემიკა ქალთა მდგომარეობას არ ეხებოდა), ხოლო 1859 წელს ქართული მწერლობის საკითხებთან დაკავშირებით ლავრენტი არდაზიანთანაც ჰქონდა პოლემიკა. ბარბარე ჯორჯაძეს მოწინააღმდეგეებთან ერთად მხარდამჭერებიც ბევრი ჰყავდა ქართულ საზოგადოებაში. დიმიტრი ბაქრაძემ 1860 წელს ისტორიული მიმოხილვა „ქართველი ქალები“ ბარბარე ჯორჯაძის წერილზე საუბრით დაიწყო: „იგი დაწერილია სასიამოვნო საუბრის ენით, აზრები გამოხატულია საღად და აღბეჭდილი ნამდვილის დედობრივის გრძნობით. სჩანს, კნ. ჯორჯაძისა ცნობისმოყვარეა, კითხვაში და მსჯელობაში დახელოვნებული, სამამულო ენისა და სიტყვიერების წარმატება გულითა სურს. არღვევს არდაზიანის კრიტიკას, რომლითაც ვითამც ის აღკრძალავს ლექსების საჭიროებას. თავისის სიტყვის დასამტკიცებლად ბუნებითს წესს იხსენებს, რომელსაც ადამიანში სხვადასხვა ნიჭი დაუნერგია. კნ. ჯორჯაძისა შიშობს, რომ ამგვარმა უსაფუძვლოდა აჩქარებულმა კრიტიკამ ახლად დაწყებული საქმე არ დაამციროს“ (ბაქრაძე 1860: 11). დ. ბაქრაძეს ბარბარე ჯორჯაძის დახასიათებისას ყურადღების მიღმა არ რჩება მისი განსწავლულობა ისტორიითა და საღმრთო წერილებით.

ბარბარე ჯორჯაძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის. საყურადღებოა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც მაღალი მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ გამოხატავს გულისტკივილს ქალთა უუფლებო მდგომარეობის გამო. ლექსის ავტორი პირდაპირ მიმართავს მამაკაცებს: ნუ გშურთ ჩვენი, ნუ გვგზრალეზთ ბოროტებას, ცბიერად ნუ მოგვიხსენიებთ, ნუ გვწამებთ ცილს, თქვენ არ გაქვთ ჩვენი ნდობა და ამასთანავე, როგორც ნივთი ისე ვართ თქვენს ხელში; შემდეგ მოჰყავს ისტორიული ფაქტები და ახსენებს მამაკაცებს, რომ ქალი იყო ქართველთა გამაქრისტიანებული წმინდა ნინო, საქართველოს გამაერთიანებელი თამარი და ქრისტიანობისა და ქვეყნისთვის წამებული ქეთევანი და თქვენ როგორ შეგიძლიათ, დედა, ცოლი, ასული ასე დაამდაბლოთ, ცდილობთ დაგვამუნჯოთ. მხოლოდ კეკელუცი, ლამაზი ქალის დანახვის დროს ჰკარგავთ ჭკუას. ბარბარე კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ქალი და კაცი თანასწორია, თანასწორად გაუჩენია ღმერთს და ამიტომ ის მოუწოდებს კაცებს:

„მაშ, აღგზარდეთ ზნითაც კარგად,

რომ ყოველ მხრით სრულნი ვიყოთ“ (ჯორჯაძე 1986: 185).

აღნიშნული ლექსით ბარბარემ ნათლად დაგვანახა ქალთა განცდები და პრობლემები, ამასთანავე, მამაკაცებს დაუსახა გზა, თუ როგორ

შეუძლიათ დაეხმარონ ქალებს, რომ ორივე სექსის წარმომადგენლები რეალურად გახდნენ მეგობრები და თანასწორნი.

ბარბარე ჯორჯადის აზრით, თუ ქართველი ქალის ყველა ღირსებას განათლებაც ერთოდა, მაშინ მისი „დანიშნულება და საღმრთო ვალი“ (ილია) კიდევ უფრო ფართოვდებოდა, „ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დამცველებად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი?“ (ჯორჯაძე 1893: 8). როგორც ვხედავთ, ბარბარე ჯორჯაძე საფუძვლიანად მსჯელობს ქალის როლსა და მის დანიშნულებაზე ქართულ სინამდვილეში.

ბარბარე ჯორჯაძე გამორჩეული იყო იმ მხრივაც, რომ მან, არა მარტო საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოიჩინა თავი და გახდა მისაბამი ქალი, არამედ ის იყო ბრწყინვალე დიასახლისიც, რასაც ადასტურებს 1874 წელს მის მიერ შედგენილი წიგნი „სრული სამზარეულო“, რომელიც დღესაც არ ჰკარგავს მნიშვნელობას და ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია ჩვენი ქვეყნისა.

ბარბარე ჯორჯადის შემოქმედება და მისი განვლილი ცხოვრება ადასტურებს, რომ ის არასდროს შეჰგუებია ქალისათვის არსებულ მძიმე ვითარებას, მან შეძლო თავდაუღალავი შრომითა და ბრძოლით თავისი დროის შესამჩნევი პიროვნება გამხდარიყო, მისი შემოქმედება კი ზედმიწევნით აჩვენებს გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის აუცილებლობასა და გადაუდებელ საჭიროებას XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბაქრაძე 1860: ბაქრაძე დ., ქართველი ქალები (ისტორიული მიმოხილვა). ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. ტფილისი, 1860.

ტაბატაძე 2013: ტაბატაძე ე., ქალთა ემანსიპაცია მე-19 საუკუნეში. თბილისი, 2013. <https://megobariblogi.wordpress.com/2013/06/21/> დამოწმება: 20.09.2021.

ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პიესები, მოთხრობები, წერილები. თბილისი, 1986.

კვალი 1893: ჯორჯაძე ბ., ორიოდესი ტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ. გაზეთი „კვალი“, №16, 1893.

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.176-180>

**ქორწინებასთან დაკავშირებული
ლექსიკა კახურში
(დაბა წნორის მასალების მიხედვით)**

**Vocabulary related to marriage in Kakheti
(According to the materials of Tsnori)**

ლუიზა ხაჩაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი
მარიკა თედორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Luiza Khachapuridze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Marika Tedoradze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

A wedding day is one of the most important days in a person's life. In the old days, weddings were held mainly in autumn, when the harvest was molten, the wine was crushed, and the wheat was ground.

In the paper, we present the material recorded by us in Tsnori, Signaghi Municipality. With the development of life, life-changing rituals change. Forgetting a broken tradition or custom has been accompanied by many lexical items as useless and useless. Therefore, we considered it necessary to find and fix the surviving lexemes.

Dating a man and a woman in the last century was mainly done by the deal, there were also cases of starting a family with love.

According to our respondent: „In the past, one could not get married or ask without an apostle“. As in other parts of Georgia, according to our materials, an apostle/mediator/ambassador is a man chosen by a family and sent to another family to like this girl and ask us to marry her. Voluntarily chooses and distribute to each

other.

According to the explanatory dictionary of the Georgian language, an apostle means a person sent (sent) with an assignment, a „mediator“. A mediator is the same as a mediator. The conciliator, the mediator, is the same as the matchmaker. Sulkhan-Saba Orbeliani: Machakali - mediator, an apostle - narrator, and missionary.

„Belga“ – According to today's materials, this is the pre-engagement period, negotiation. According to the definition of the Georgian language in the dictionary: Belga - is jewelry, worn by the bridegroom for the bride.

The best man was called the godfather, formerly also called Dadiani. It means brother-in-law with Sulkhan-Saba. The semantics of the wedding lexical units' „Shah“ and „Khoncha“ is interesting.

According to the people of Tsnoreli, a woman is a woman of the family, who is right and leads the family well, „Not all women are women“.

By studying the wedding customs and related lexical items, we can also study the moral-psychological characteristics of Georgians, and the forms of artificial kinship.

საკვანძო სიტყვები: კახური დიალექტი, დიალექტური ლექსიკა, ქორწინება.

Keywords: Kakhetian dialect, dialectal vocabulary, marriage.

ქორწინებისა და საოჯახო ურთიერთობების, ასევე საზოგადოების ყოფისა და კულტურის განვითარების პრობლემების დრმა მეცნიერული შესწავლა მე-19 საუკუნიდან დაიწყო. დღეისათვის ქორწინების ინსტიტუტს მრავალი სამეცნიერო დარგი იკვლევს: ეთნოლოგია, ფოლკლორი, სამართალმცოდნეობა, ენათმეცნიერება.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული წყაროთმცოდნეობითი მონაცემების თავმოყრა და გაანალიზება. საოჯახო ყოფის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართველ ეთნოლოგებს: რ. ხარაძეს, ი. ჭყონიას, ვ. ითონიშვილს, ა. რობაქიძეს, მ. ბეჟაიას, ნ. მაჩაბელს, ლ. მელიქიშვილს, თ. იველაშვილს, გ. გოცირიძეს, ა. ანთელავას, ნ. ხიზანიშვილის, თ. სახოკიას, ს. მაკალათიას და სხვებს.

ქორწილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღეა ადამიანის ცხოვრებაში. ქორწილები ძველად ძირითადად შემოდგომაზე იმართებოდა, როცა მოსავალი მოლეული ჰქონდათ, ღვინო დაწურული, ხორბალი დაფქული.

ნაშრომში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ სიღნაღის მუნიციპალიტეტის დაბა წნორში (1938 წლამდე საქობოს უბანი ეწოდებოდა, მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, ზღვის დონიდან 294 მ სიმაღლეზე, სიღნაღიდან 9 კმ, თბილისიდან 120კმ) ჩაწერილ მასალას.

ცხოვრების განვითარებასთან ერთად იცვლება ყოფა-ცხოვრება, რიტუალები... დღეს აღარ იშლება მეზობლების შემწვობით, თავიკაცებისა და თავიქალების მიერ ორგანიზებული ღვინისა თუ ჭირის სუფრები. მათი საქმიანობა ამჟამად სარიტუალო სახლებმა, კაფე-ბარებმა და რესტორნებმა შეითვისეს, რამაც შრომა ძალზე შეუმსუბუქა ადამიანებს, თუმცა ყველაფერს ორი მხარე აქვს და, როგორც ჩვენი რესპონდენტები ამბობენ, დღეს ქორწილი და კარგი ამბები სახლიდან რესტორნებში გადავიტანეთ, სახლში მარტოკა ჭირი დავიტოვეთ. მოშლილ ტრადიციასა თუ წეს-ჩვეულების მივიწყებას თან გაჰყვა ბევრი ლექსიკური ერთეული, როგორც უსარგებლო და გამოუყენებელი. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ შემორჩენილ ლექსებათა მოძიება და ფიქსაცია.

ქალისა და მამაკაცის გაცნობა გასულ საუკუნეში ძირითადად გარიგებით ხდებოდა. იყო სიყვარულით ოჯახის შექმნის შემთხვევებიც. ჩვენი რესპონდენტის თქმით: „ადრე **მოციქულის** გარეშე გათხოვება თუ თხოვება არ შეიძლებოდა. ახლობელს ან ამ საქმეში გაწაფულ კაცსა თუ ქალს დაელაპარაკებოდა ოჯახი და მიუგზავნიდა გოგოსა ან ბიჭის ოჯახსა. ის ოჯახი იტყოდა ხოლმე დაიცათ შევეკითხოთო ახლობლებს“ (შურა სპანდერაშვილი, 98 წლის).

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ჩვენი მასალების მიხედვითაც, **მოციქული/შუამავალი/ელჩი** არის კაცი, რომელსაც ირჩევს ოჯახი და აგზავნის მეორე ოჯახში, რომ მოგვწონს ეს გოგო და გთხოვთ, მოგვათხოვთ. **მაჭანკალი** კი თავისი სურვილით ირჩევს და ურიგებს ერთმანეთს.

საანალიზო ერთეულები ქართული ენის ლექსიკონებში შემდეგნაირად განიმარტება:

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **მოციქული** ნიშნავს „ვინმესთან რაიმე დავალებით გაგზავნილ (მიგზავნილ) პირს, შუამავალს“ (ქეგლ 1958: 1050). **შუამავალი** იგივეა, რაც შუაკაცი. **მომრიგებელი შუამავალი, იგივეა, რაც მაჭანკალი**. მაჭანკალი-ი (მაჭანკლისა) ძვ. საქმის მომგვარებელი ქალსა და ვაჟს შორის მათი დაქორწინების მიზნით, – შუამავალი, მაშვალი (იქვე: 110). **მომრიგებელი** – შუამავალი ისტ. საგანგებო მოხელე, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ აწესრიგებდა სადავო საკითხებს გლეხებსა და მემამულეთა შორის (იქვე: 798).

ანალოგიურად განმარტავს აღნიშნულ სიტყვაფორმებს ალ. ღლონტი და სულხან-საბა ორბელიანი: მაჭაკალი (ქიზიყ., ინგილ.) – მაჭანკალი, შუამავალი, მაშვალი (ალ. ღლონტი); მოციქული – **მომთხოვნი** და **მივლინებული** არს კაცმან ვინმე ამხანაგს(ა) ანუ უადრესსა მიუგზავნოს საქმესა რასამე ზედა. შუამავალი – დამ(ა)ზავებელი (სულხან-საბა).

შეიძლება ვთქვათ, **მოციქული/შუამავალი/ელჩი** ოჯახის ახლობელია, რომელიც კარგი სიტყვა-პასუხით გამოირჩევა და აგზავნის მეორე ოჯახთან დასამოყვრებლად, ხოლო **მაჭანკალი** ამ საქმით დაინტერესებული პირია, რომელიც თავად იჩენს ინიციატივას და ბოლოს გასამრჯელოსაც იღებს.

ისევ ჩვენს რესპონდენტს მოვუსმინოთ: „პირველი მოლაპარაკებიდან

მერე დათქვამდნენ დღეს, მივიდოდა **მოციქული**, ზოგი **შუამავალსაც** უწოდებდა და გაიგებდა ოჯახის აზრსა. ამის მერე მოდიოდნენ **ბელგითა**“ (მიშა ჭედლიშვილი, 80 წლის).

„ნიშნობამდე მიუტანდნენ ხოლმე, **„ბეს“ ზოგი „ბელგას“** ემახდა. ანუ ეს იყო ოქროს ბეჭედი და რამე სამკაული“ (მარო ბაკაშვილი, 80 წლის).

„მხოლოდ ბეჭედი უნდა გაეკეთებინათ ქალისთვის, დათქვამდნენ ნიშნობის დღესა და ერთი 20-30 მივიდოდა ოჯახში და **დანიშნავდნენ**. მანამდე კანონითა ბიჭი იმ ოჯახში არ შეიძლებოდა შესულიყო და იმ დღიდან ბიჭი უკვე ოჯახის წევრი ხდებოდა“ (რეზო ბაგალიშვილი, 75 წლის).

ბელგა – დღევანდელი მასალების მიხედვით, ეს არის **ნიშნობის წინა პერიოდი, მოლაპარაკება: „ბელგა** ნიშნავდა, რომ უნდა მისულიყვნენ და საჩუქრები მიერთმიათ, მოენახულებინათ. **ბელგა** ერქვა ნიშნობამდე წინა პერიოდს, აი ვიდრე დათანხმდებოდა ოჯახი“ (ლალი თვალმიხელაშვილი). ზუსტად ასე განიმარტება აღნიშნული ერთეული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: **ბელგა** – ძვ. ეთნ. ბეჭედი ან სხვა რამ სამკაული თუ ძვირფასეულობა, სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული მისი ცოლად შერთვის ნიშნად, ნიშანი. დიალექტური ლექსიკონების მიხედვით, საანალიზო ფორმა გავრცელებული იყო ქართლსა და მთიულეთში, როგორც ქალის დასანიშნავად საქმროს მიერ მიტანილი საჩუქარი; ბელგის მიცემა ანუ **დაბელგვა (დაწინდვა)** ნიშნავდა მოყვრობაზე შეთანხმების მთავარ წინაპირობას, რომლის შემდეგ **ნიშნობა** და **ქორწილი** იმართებოდა. სინონიმთა ლექსიკონში **ბელგას** პარალელური ტერმინებია: **ნიში, ჭდე**.

ნიში და **ჭდე** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და ალ. ღლონტის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში განსხვავებული დეფინიციით დასტურდება: **ნიში** – ამოდრმავებული ადგილი კედელში რისამე (ქანდაკების, ავეჯეულობის, ძველად – ხატის და სხვ.) შესადგმელად. **ჭდე** – ჩანაჭერი ხეზე, კვჭნი, ნაბალთი (ხშირად რისამე ნიშნად ან სამახსოვროდ), – ნაჭდევი. შდრ.: სულხან-საბა: **ნიში** – ნიშნით ნაწილი. ნიშანი[სასწაული], დამინიშნავს, ენიშნა, მონიშნული.

ივანე ჯავახიშვილის მითითებით, ქორწინების უძველესი წესი ყოფილა ქალის მოტაცებით ქორწინება, რომელმაც ამოწურა თავისი დრო და ადგილი დაუთმო მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, ანუ ნიშნობის საშუალებით ქორწინებას. მეცნიერი მიუთითებს, რომ ქალის მოტაცება, როგორც ქორწინების საშუალება, არც ერთ ქართულ სამართლებრივ ძეგლებში არ ჩანს, სამაგიეროდ, მისი კვალი შეიძლება მოიძებნოს ეთნოგრაფიულ მასალებში. ქორწინების წინაპირობად უნდა დავასახელოთ ნიშნობა, მაგრამ თვით ნიშნობასაც წინ უძღოდა ისეთი წესი, როგორიცაა საცოლის შერჩევა ანუ „გაჩხრეკა“, „შეზვერვა“, მაჭანკლობა, შუაკაცობა და სხვა სახის მოქმედებები.

ჩვენი ინფორმატორები საინტერესო მასალას გვაწვდიან მეჯვარეების /ხელისმომკიდების შესახებ: „ბაბოსგან გამიგია, ნეფე-პატარძალს გოგოსა და ბიჭს ემახდნენ. ხელისმომკიდეს **ნათლიას** ემახდნენ, ახლა **მეჯვარესაც**

უწოდებენ, გამიგია ადრე **დადიანსაც** ემახდნენ“ (ლალა თვალმიხელაშვილი, 30 წლის).

და-დიანი/მმა-დიანი – „გოგოს მეჯვარეს ემახდნენ – და-დიანი, ხოლო ბიჭის მეჯვარეს – მმა-დიანი. „პატარძალს მმადიანიც ჰყავდა და დადიანიც და ნეფეს მარტო მმადიანი, და ოჯახის ნათლიებიც ესენი იყვნენ მერე, ბავშვი რომ გაჩნდებოდა“. აღნიშნული ტერმინები „მმადიანი“, „დადიანი“ ექსპედიციებში, როგორც ქართლში, ისე აჭარაში, ხშირად შეგვხვდებოდა, მაგრამ ამ ფორმით თითქმის არც ერთ დიალექტურ და განმარტებით ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ. მოცემული ტერმინები უნდა მოდიოდეს **მმადი/მმადე** ფორმიდან:

მმად-ი, მმადე (მმადისა) – ძვ. ეთნ. დედოფლის გამყოლი კაცი – ძმობილი (შდრ., ხელისმომკიდე). „მმადებმა სამეჯერ შეუცვალეს ბეჭედი, თავს, დაახურეს ოქროს კავებიანი გვირგვინი“ (ნ. ლორთქ.). სულხან-საბასთან მმადი მაყარს ნიშნავს. საქორწინო და საქორწილო წეს-ჩვეულებების შესწავლით შეიძლება ვიკვლიოთ ქართველთა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების, ხელოვნური ნათესაობის ფორმები.

„მეჯვარეებს სპეციალური ლენტე უნდა ჰქონოდათ მხარზე. ლენტს არაფერი სახელი არ ჰქონდა, საქორწინო ლენტე ასე მოიხსენიებდნენ. რომელიც მხოლოდ მეჯვარეებს უნდა ჰკეთებოდათ“ (ნატა კაკაშვილი, 70 წლის).

საინტერესოა საქორწილო ლექსიკური ერთეულების – **შახი, ხონჩა** – სემანტიკა. რესპონდენტების თქმით: „აქ იციან **შახი**, თქვენებური ხონჩასავითაა, მაგრამ ძირითადად ტკბილეულისაგან, შოკოლადებისაგან შედგება, როგორც პატარა ნამდისზე, ისეა აცმული შოკოლადები და კანფეტები და მახარობელს აჩუქებდნენ, რომელიც თოფის სროლით მიდიოდა ქორწილში“ (ქეთო ტუხაშვილი, 65 წლის).

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ **შახი** მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან და „მეფეს“ ნიშნავს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში **ხონჩა** განმარტებულია შემდეგნაირად: შანის მსგავსი სამკაული; ძეწკვზე დაკიდებული ლითონის ფირფიტა. ყელსაბამი... ოქროს ხონჩით.

საანალიზო მასალის მიხედვით ჩანს, რომ მზითევი შეძლებაზე იყო დამოკიდებული. თუმცა ცდილობდნენ, აუცილებელი გაეტანებინათ: „მზითევი შვაფ-კამოდი მიჰქონდათ, შიფანერკა, ლოგინი აუცილებლად, ფარდაგი, ნიკელის საწოლი, ჯეჯიმი, სპილენძის ტაშტი, ლახანკა, ლაგანი, პირსახოცები, ჭურჭლის ტილოები. ტაშტს, ლაგანსაც ემახდნენ ადრე, ახლაც ხანდახან დიდი ხალხი ლაგნით მოიხსენიებს: მაიტა ლაგანი, ფეხები ჩავყარო. ხალიჩას ჯეჯიმს ემახდნენ, მაგრამ ეგ ძალიან ადრე, ყველა ხალიჩას არა, აბრეშუმის ძაფით ნაქსოვს, ადრე ხომ ყველაფერს ხელით ქსოვდნენ“ (ლალა თვალმიხელაშვილი, 30 წლის).

მზითევი ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები ლექსიკონებში შემდეგნაირად განმარტება: **ფარდაგი** – მსხვილი მატყლის ძაფის უხაო ქსოვილი საფენად და კედელზე გასაკრავად (ქეგლ). შდრ.: **ფარდაგი** –

კედლის შესამოსია (სულხან-საბა); **ჯეჯიმი** – ფარდაგულად ნაქსოვი ზოლიანი ქსოვილი (ქეგლ). ასევე, **ჯეჯიმი** – საფენი ფარდაგის მაგვარი, ფარდაგი (ალ. ღლონტი); **ლაგანი** – იგივეა, რაც ტაშტი (ქეგლ).

საინტერესოდ გვეჩვენება ის მომენტი, რომ ჩვენი მასალების მიხედვით **დედაკაცი** და **ქალი** აბსოლუტური სინონიმები არ არიან. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად: **დედაკაცი** – 1. ასაკ გადასული გათხოვილი ქალი; 2. ცოლი; ქალი (ქალისა), 3. მდედრობითი სქესის ადამიანი, – დედაკაცი (ქეგლ). სულხან-საბასთან **დედაკაცი** – დიაცი. ქალი – დიაცი ჩვილით ზებრადმდე ქალი არს. ალ. ღლონტი: დედაკაცი – გასათხოვარი მანდილოსანი, ქალიშვილი.

წნორელების თქმით, დედაკაცი ოჯახის ქალია, რომელიც მარჯვეა და კარგად უძღვება ოჯახს. „**ყველა ქალი კი არ არი დედაკაცი. კარგი, პატიოსანი და მეოჯახეა დედაკაცი, ქალი ზევრია, მაგრამა დედაკაცი კი ცოტაღა**“ (გოგი ნადირაშვილი, 73 წლის).

აღნიშნული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ დროის ცვლებადობასთან ერთად ტრადიციებიც შეიცვალა და მივიწყებას მიეცა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ლექსემები; შეიძლება ვთქვათ, რაღაც კუთხით გადარბდა სამეტყველო ენაც, გარემოებების ცვლებადობამ ფსიქოლოგიური ცვლილებებიც გამოიწვია და ენამ, როგორც აზრის მატერიალურმა გამოხატულებამ, სხვა სემანტიკით დატვირთა ესა თუ ის სიტყვა. გამომდინარე აქედან ვფიქრობთ, საშურია დაცლილი სოფლებიდან ეთნოლინგვისტურ ერთეულთა მოძიება, შეკრება და ფიქსაცია, რათა მომავალმა თაობამ არა მარტო იცოდეს მათ შესახებ, არამედ განავითაროს მშობლიური სალიტერატურო ენა და ზოგ მათგანს ტერმინოლოგიური დატვირთვაც შესძინოს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 2011.

კობახიძე 1987: კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, 1987.

ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, 1991.

ქეგლ 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად. თბილისი, 1964.

ღლონტი 1984: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.

ჯავახიშვილი 1982: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. 6. თბილისი, 1982.

<http://ena.ge/explanatory-online> განმარტებითი ლექსიკონი.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>

DOI: <https://doi.org/10.48614/yk.13.2021.181-191>

**მეაბრეშუმეობის აღორძინება კახეთში –
რეგიონის სოციალური პასუხისმგებლობა**

**Revival of the silk industry in Kakheti -
social responsibility of the region**

მზია ხოსიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Mzia Khositashvili

Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

ABSTRACT

Sustainable development goals have been adopted to achieve a better and more sustainable future for the entire planet. Defined by all UN member states by 2030 at the 70th session of the UN General Assembly in 2015. These goals address the contemporary global challenges we face: poverty, inequality, prosperity, peace, and justice, as well as climate and environmental challenges.

The article focuses on creating additional jobs in the Kakheti region, protecting cultural heritage, and the revival of silkworm breeding as one of the leading industrial sectors in Georgia.

The article shows the historical sources from the introduction of the silkworm in the fifth century to the production of silk in Georgia in the Middle Ages and its development as an industrial sector in the late 19th century and the 1920s of the 20th century.

Silk production in Georgia is considered an ancient agricultural sector, cultural heritage, and one of the characteristics of the Georgian identity. In the 60s of the 20th century, Georgia produced 4.5-5.0 million meters of natural silk fabric, and 100-120 thousand families were employed in silk production. In Kakheti, almost all the families living on the banks of the Iori and Alazani were busy taking care of mulberry silkworms. In the 60s of the last century, 4.0-4.5 thousand tons of silk were produced annually in Georgia.

Considering the views, reports, various studies, press releases, and sustainable

development goals expressed in the scientific circles on the issues of silkworm breeding, the opinion is expressed that if the leadership of the Kakheti region with the Georgian government consistently follows the 20-year-old It has been around for centuries and in just 50 years, due to the economic-political crisis or other problems, it has again become a source of employment and additional income for the population.

Kakheti region has the resources, in line with the goals of sustainable development, to revive the forgotten sector, which will contribute to the development of rural family businesses, employment of vulnerable people, as well as the introduction of new directions in the tourism industry.

The population will also become more active and contribute to the community, making the region more attractive to young people, investors, and tourists alike.

საკვანძო სიტყვები: მეაბრეშუმეობა კახეთში, დასაქმების ხელშეწყობა, ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა.

Keywords: silkworm breeding in Kakheti, employment promotion, tourism, cultural heritage.

გაეროს წევრი ყველა ქვეყნისთვის 2015 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები პრიორიტეტულად მიიჩნევენ სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის, შესაბამისად, მოსახლეობის თანასწორობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობას. ამისთვის მსოფლიოს ქვეყნებისთვის შემუშავებულია სიღარიბის დაძლევის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფუძნებაში მოსახლეობის დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმებას სხვადასხვა მცირე და საოჯახო წარმოებებში, მათ ჩართვას პროდუქტების განვითარებასა და გაყიდვაში.

მდგრადი განვითარების მიზნებში საქართველოსთვის მისადაგებულია 94 ამოცანა და 202 სამიზნე ინდიკატორი (მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი). ბუნებრივია, ამ კონცეფციის შესრულებისთვის მნიშვნელოვანია რეგიონების ჩართულობა და სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინება, რაც განისაზღვრება რეგიონის საბაზო დარგების ხვედრითი წილით ქვეყნის პროდუქციის საერთო მოცულობაში, რესურსების პოტენციალით, ტრადიციული დარგების აღორძინებითა და ხელშეწყობით, მოსახლეობის მენტალიტეტით და ა. შ.

საქართველოს აქვს სიღარიბისა და ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევის რესურსი. ამ მიმართულებით მთავრობას, უცხოურ და სათემო ორგანიზაციებს მრავალი ერთობლივი პროექტი აქვთ განხორციელებული,

თუმცა სოფლად ეს პრობლემა მაინც მწვავედ დგას. რა უშლის ხელს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობას?

საქართველოში ტრადიციულ დარგად სოფლის მეურნეობა მიიჩნევა, რომელშიც პრიორიტეტულად მევენახეობა-მეხილეობას განიხილავენ, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანას, თავისი ბუნებრივი კლიმატური პირობებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, აქვს სხვა, წარსულში წარმატებული დარგების, მათ შორის მეაბრეშუმეობის განვითარების საშუალებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და წარმოდგენილია 40 დასახელებით, საზოგადოებრივ და გარესამყაროს გამოცდილებასთან, ხელოსნობის დარგებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობის მიხედვით 13 დარგიდან 2018 წლიდან ჩამონათვალში მეაბრეშუმეობაც შედის. ყველა დარგი აგრძელებს განვითარებას და საქართველოს ეკონომიკაში გარკვეული წვლილის შეტანას, თუ არ ჩავთვლით ცხავატურ მეთუნეობას (ცხავატი ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე მოქცეული) და მეაბრეშუმეობას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, აბრეშუმის ჭია და აბრეშუმი ვახტან გორგასალს მეხუთე საუკუნეში შემოუტანია მას შემდეგ, რაც სპარსეთის მეფეს გაჰყოლია ინდოეთს სხვადასხვა ხალხების დასაპყრობად. „აქედგან, სხვა განმეულთა შორის, დაბრუნებისას მოიტანეს ქართველებმა აბრეშუმის ჭიის თესლი“ (ჯანაშვილი 1894: 41). მეურნეობის ამ დარგის განვითარებაც ამ პერიოდიდან იწყება. შემდგომ აბრეშუმის წარმოება ისე განვითარებულა, რომ ქვეყანა არა მხოლოდ სელისა და ბამბის, არამედ აბრეშუმის ნედლეულიდან მიღებულ ნაწარმსაც უკვე საექსპორტოდ იყენებდა „IX საუკუნიდან მოყოლებული, აბრეშუმის ქსოვილები თანდათან იკავებენ პირველ ადგილს საექსპორტო საქონელში“ (ჯავახიშვილი 1962: 169).

საქართველოში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებში უცხოელი მოგზაურები, საქმიანობისა და ინტერესების მიუხედავად, ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ქართულ სამოსზე, აბრეშუმის ქსოვილის წარმოებასა და უცხოურ ბაზრებზე მის პოპულარობაზე. მე-13 საუკუნის არაბი გეოგრაფის ზაქარია ალ კაზვინის ცნობით, ქსოვილით მდიდარი საქართველოდან გაჰქონდათ „მრავალნაირი ნაბდეები, ტანსაცმელი, ფაქიზი ნოხები, ქვეშაგები, თხელი შალი, აბრეშუმი და მისთანანი“ (ალ კაზვინი 1975: 40).

მე-13 საუკუნეში მცხოვრები ვენეციელი ვაჭარი, მოგზაური და მწერალი მარკო პოლო წერდა, რომ აბრეშუმის ძაფიდან აქ ქსოვდნენ ოქროქსოვილებს, ამ უკანასკნელს განსაკუთრებით თბილისში ამზადებდნენ (აბესაძე 1957: 146).

კარგად აწყობილ აბრეშუმის წარმოებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აბრეშუმის

წარმოება იბეგრებოდა და მოსახლეობა ხარკს აბრეშუმის ნაწარმითაც იხდიდა. კახეთის მეფე ოსმალეთს წლიურად 30 საპალნე აბრეშუმს უხდიდა. XVI-XVII სს. კახეთში მებარეშუმეობა უკვე ისე ყოფილა განვითარებული, რომ აბრეშუმი ღვინოსთან, ოქროქსოვილებსა და ზედაურებთან ერთად საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა (აბესაძე 1957: 148).

„XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული, საქართველოდან ირანში გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი. უცხოელი ვაჭრები (ისევე, როგორც ადგილობრივნი) თბილისში ყიდულობდნენ ქართული აბრეშუმის ფაბრიკატს, ხოლო შემდეგ უფრო ძვირად ყიდდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში“ (სანიკიძე... 2011: 130).

მე-17 საუკუნეში აბრეშუმის წარმოების მოცულობასა და ნედლი აბრეშუმის გატანასთან დაკავშირებით ფრანგი მოგზაური და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე ჟან შარდენიც შენიშნავს: „საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის, მაგრამ იმდენი კი არა, რამდენსაც მოგზაურები ამბობენ. იქაურებმა კარგად არ იციან აბრეშუმის მოვლის ხერხი. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, არზრუმში და სხვა გარეშე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ჰყიდიან“ (შარდენი 1935: 110).

ბუნებრივია, აბრეშუმი სხვა საქონელში გადაცვლის საგანიც შეიძლება ყოფილიყო, რასაც, სხვა წყაროებთან ერთად, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმის თურქეთიდან შემოტანილ საქონელში გაცვლის შესახებ იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მოგზაურობის ჩანაწერებიც ადასტურებს (ლამბერტი 1938: 143).

მოსახლეობა სამოსად, ზამბის, ბეწვეულისა და შალის ქსოვილებთან ერთად აბრეშუმს რომ იყენებდა, საქართველოში გავრცელებული ქსოვილების შესახებ მუზეუმებში დაცული ქსოვილების ფრაგმენტების კვლევის შედეგებიც მოწმობს. ფრესკებზე გამოსახული კტიტორებისა და დიდებულთა ჩაცმულობა აბრეშუმის უმაღლეს ხარისხზე მეტყველებს. მათგან საქართველოში წარმოებული აბრეშუმის ქსოვილიც უნდა იყოს. სამეფო კარის წევრები და თავადაზნაურობა უხვად გამოიყენებდნენ ძვირფას ქსოვილს, რომელსაც უმეტესად აბრეშუმი შეადგენდა. „მატერიალური უზრუნველყოფის შემთხვევაში ქალებსა და კაცებს ყვავილებით მოქარგული აბრეშუმის მდიდარი სამოსი აცვიათ“ (კალანდია... 2017: 135). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, ნაქარგობა, ტანსაცმლის გარდა, საოჯახო თეთრეულსაც ამშვენებდა. ამ ხელსაქმისთვისაც აბრეშუმის ძაფი იყო საჭირო. საქართველოს ბაზრებზე შინამრეწველური წესით დამზადებულ აბრეშუმის ქსოვილსაც (დარაია, ანუ თავთა, მერდინი) დიდი გასავალი ჰქონია. საექსპორტოდ გატანილი ქართული ოქრომკედით ნაქარგობა კი მთელ აზიაში საუკეთესო ნახელავად ითვლებოდა და ძვირადაც ფასობდა (იქვე: 331).

სავაჭრო ურთიერთობების გამძლიერებამ ხელი შეუწყო ქართული აბრეშუმის ცნობადობის გაზრდას და მისი ხარისხის აღიარებას. მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოდან ნადირის ბეწვეულთან, ზამბის

ქსოვილებთან, შავ გიშერთან და ცვილთან ერთად აბრეშუმიც გაჰქონდათ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ ოქროქსოვილებზე (დუმბაძე 1973: 89-92).

ადგილობრივი და უცხოური ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, 1828 წელს ფრანგ ვაჭარს, კასტელას თბილისში აბრეშუმსახვევი ფაბრიკა გაუხსნია. აქ წარმოებული პროდუქცია ადგილზეც იყიდებოდა და უცხოეთშიც მოთხოვნით სარგებლობდა.

აბრეშუმის ნედლეულის გადამუშავება რუსეთის იმპერიასაც სარფიან საქმედ მიაჩნდა. ამისთვის ამიერკავკასიაში 1836 წელს დაუარსებიათ „მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მესარეწეობის გამავრცელებელი აქციონერული საზოგადოება“, რომლის საქმიანობამ ხელი შეუწყო კავკასიაში მეაბრეშუმეობის აყვავებას. 1844 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში აღრიცხული იყო 3 ათასზე მეტი შინაური დაზგა, რომლებზედაც ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს ამზადებდნენ. ქუთაისის მაზრაში ათასამდე დაზგას ამუშავებდნენ. 1848 წელს აბრეშუმის გადამუშავებას უკვე 210 000 ოჯახი აწარმოებდა.

დარგის სპეციალისტები თვლიან, რომ მეაბრეშუმეობა აღმავლობას მე-19 საუკუნის 50-იანი წლებში განიცდიდა და 60-იანი წლებიდან კარგად განვითარებული აბრეშუმის წარმოება საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრ ეკონომიკურ ბერკეტს წარმოადგენდა. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში არსებულ აბრეშუმსახვევ საწარმოებში დამზადებული აბრეშუმი იყიდებოდა რუსეთში, კონსტანტინოპოლსა და საფრანგეთში (<https://agrokavkaz.ge/>). რომ არა 60-იან წლებში საფრანგეთიდან გავრცელებული აბრეშუმის ჭიის დაავადება, დარგი კიდევ უფრო მეტს შემატებდა ეკონომიკას.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ საქართველოში, შორეულ წარსულში მოხერხდა სრულიად უცხო წარმოების ათვისება, შემდგომ მისი განვითარება და წარმოების მაღალ დონეზე აყვანა. დაავადების გავრცელების შემდგომაც, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ისევ აღდგა აბრეშუმის წარმოება.

იმ პერიოდის მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, აბრეშუმის თესლის შემოტანისა და თუთის ნარგავების გაშენების გარდა, მოსახლეობის ჩართულობასა და დაინტერესებაზე ზრუნავდა. მთავრობა პრესის საშუალებით მუდმივად ავრცელებდა ინფორმაციას დარგისა და მისი განვითარების შესახებ. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ 1923 წლის აპრილს აბრეშუმის მსოფლიო ბაზრებზე არსებულ მდგომარეობას მიმოხილავდა, მოსახლეობას მილანის ბაზრებზე იტალიური ლირის მერყეობის გამო აბრეშუმის ფასების არამდგრადობასა და პარკის ფასების დაწევას, ციურხის ბაზრებზე მორიგებების სიმცირესა და მტკიცე ფასებზე, აგრეთვე, ამერიკაში სამომხმარებლო ბაზარზე აბრეშუმზე ინტენსიური მოთხოვნილებისა და, ამასთან, ნიუ-იორკში მორიგებების შემცირებების შესახებ აუწყებდა.

1923 წლის ოქტომბერში გაზეთ „კომუნისტი“ ცნობით, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სამ უმაღლეს ჯილდოთაგან ერთ-ერთი საქართველოს პავილიონს დაუმსახურებია ქართული მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის ექსპონატების წარმოდგენისთვის (კომუნისტი 1923, №248: 3).

მეაბრეშუმეობის ფართოდ გავრცელებისა და მოსახლეობის დასაქმების, სწავლების მიზნით შესაბამისი კურსებიც არსებობდა. მოსახლეობას იწვევდნენ თბილისის სააბრეშუმო სადგურთან გახსნილ მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსებზე. ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები მიზნად ისახავდა მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის ჭიის თესლის დამზადების (გრენაჟის) ინსტრუქტორების მომზადებას. კურსების მსმენელებს მოეთხოვებოდათ საზაფხულო სამუშაოებზე პეპლების შეკრება, მათი მიკროსკოპით გასინჯვა, თესლის გარეცხვა და ა.შ. (კომუნისტი 1924, №100: 3).

ისტორიულად, საქართველოში აბრეშუმის მოყვანისთვის სასურველ ადგილად დასავლეთში სამეგრელო და იმერეთი ითვლებოდა (აქ ამოქმედებულა 1895 წელს პირველი ძაფსაღები ფაბრიკა, საიდანაც მარსელში, ლიონსა და მილანში 100 ტონაზე მეტი პარკი იგზავნებოდა). ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის ცენტრი ხონი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში კი – კახეთი მიიჩნეოდა მეაბრეშუმეობისთვის შესაფერის ადგილად. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „...და ჰერეთის ქუეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს, არამედ უფროს გაღმა-მკარსა შინა და უმეტეს გლისენში“ (ლომოური 1941: 103).

იმდროინდელ საბჭოთა პრესაში კახეთში აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობასა და ხელისშემშლელ პირობებზე არაერთი ინფორმაცია დაბეჭდილა. დაწვრილებით განიხილავდნენ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულებას, იმ პრობლემებს, რომელსაც დაბრკოლებად მიიჩნევდნენ ხელახლა აღორძინებული დარგის განვითარებაში. „გარე კახეთის მოსახლეობა კარგა ხანია მისდევს მეაბრეშუმეობას. სამწუხაროდ, მეაბრეშუმეობის ეს დარგი დღემდე არ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე, ხელმძღვანელობა ამ საქმეზე მოისუსტებს; მოსახლეობას ვერ ეწევა სათანადო აგროკულტურული დახმარება“ (კომუნისტი 1931, №74: 2). გეგმის მატებასთან ერთად არ იზრდებოდა საკვები მასალა და არც გლეხი ზრუნავდა თუთის ხეების გაშენებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებას ითხოვდნენ კახეთის აბრეშუმის წარმოებაში დასაქმებულები.

საგაზეთო პუბლიკაციებში ყურადღება მიჰყრობილი იყო თელავზე, როგორც მეაბრეშუმეობის მრეწველობისათვის საუკეთესო აბრეშუმის მოყვანით ცნობილ ძლიერ რაიონზე. 20-იანი წლების ბოლოს თელავს ჰქონია ტექნიკურად საუკეთესოდ მოწყობილი ძაფსაღები ქარხანა 300-ზე მეტი დასაქმებული მუშით; თუმცა მეურნეობის ამ ძვირფასი კულტურის განვითარების საქმეს არც აქ ჰქონია სათანადო ყურადღება რაიონის

ხელმძღვანელობის მხრიდან, სამწუხაროდ, თვით მეაბრეშუმეობის სექციასაც მთელს კახეთში მხოლოდ ერთი აგრონომ-ინსტრუქტორი ემსახურებოდა.

მიუხედავად სამეურნეო ხასიათის ხარვეზებისა, მეაბრეშუმეობით კახეთში თითქმის ყველა ოჯახი იყო დაკავებული, ეს საქმიანობა მძიმე ფიზიკურ შრომას არ მოითხოვდა და ამიტომ ოჯახებში ჭიას უმეტესად დიასახლისები, ხანდაზმულები და მოზარდები უვლიდნენ. მოსავლელი ჭიის რაოდენობა ოჯახის შემოსავალზეც აისახებოდა, ამავე დროს ხდებოდა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ახალგაზრდა თაობის სამომავლოდ პერსპექტიულ საქმიანობაში ჩაბმა და მათი შრომითი უნარების გამომუშავება.

სოციალისტურ სისტემაში აბრეშუმის წარმოება კონცენტრირებული იყო მხოლოდ ინდივიდუალურ სექტორში, ქვეყანაში წარმოებული პარკის საერთო რაოდენობაში „საკარმიდამო“ მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი 95-98%-ს შეადგენდა (ნიკოლეიშვილი 2014: 50). ფიზიკურ პირს სახელმწიფო აძლევდა გრენაჟს და არსებული სტანდარტების შესაბამისად იზარებდა მისგან წარმოებულ აბრეშუმის პარკს. შემდგომ მისი გამოყენება ხდებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურულ საწარმოებში.

1964 წელს თუთის მიკოპლაზმური დაავადების, ფოთლის სიხუტუჭის გავრცელებამ დასავლეთ საქართველოში და შემდეგ, 1992 წელს, კახეთში მილიონობით თუთის ხე გაანადგურა, შემდგომ, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებისა და გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიაზე გადასვლის, საყოველთაო უმუშევრობისა და სიდუხჭირის, ომებისა და მოსახლეობის მიგრაციის გამო, მეაბრეშუმეობა კახეთში დავიწყებას მიეცა.

დღეისათვის დარგის სპეციალისტების მიერ გაწეული ძალისხმევით გამოყვანილ იქნა დაავადებისადმი მედეგი ჯიშები, შენარჩუნდა თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდი, რომელზეც ზრუნავს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მუდმივად ტარდება კონფერენციები, სადაც სპეციალისტები დარგის აღორძინების გზებს განიხილავენ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია დაკავშირებულია შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციასთან და მათთან ერთად მუშაობს პრობლემების გადაჭრის გზებზე, ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია, რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენელმა გამოცდილება გაუზიარა მონაწილეებს, გამოვლინდა დარგის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და დაისახა მისი აღორძინების გზები. პირველი ნაბიჯები გადადგმულია: 2016 წელს დაინტერესებულ ფერმერებსა და ნერგების მწარმოებლებს უსასყიდლოდ დაურიგდათ თუთის ჰიბრიდული ჯიშების ნერგები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, ჩართული არიან მეაბრეშუმეობის

აღორძინებისა და განვითარების პროექტში, აჭარაში სადემონსტრაციო ნაკვეთზე გაშენდა თუთის პლანტაცია, შეძენილია აბრეშუმის ძაფის საწარმო დანადგარები. საყურადღებოა, რომ აბრეშუმით არაბი ინვესტორებიც დაინტერესდნენ და სოფელ ნიჩბისში 22 ჰექტარზე თუთის პლანტაცია გააშენეს.

რადგან ჩვენი ინტერესის საგანი კახეთის რეგიონის მეაბრეშუმეობის განვითარებას და სოციალურ პასუხისმგებლობას უკავშირდება, შევნიშნავ, რომ კახეთის რეგიონის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში ყურადღება არ არის გამახვილებული მივიწყებული, ერთ დროს პოპულარული დარგების განვითარებასა და ხელშეწყობაზე, მეაბრეშუმეობა კი ნახსენებიც არ არის. კახეთს კი, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებს, დასაქმებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს გადასაჭრელი.

ზემოთ ნახსენები მდგრადი განვითარების ამოცანებიდან კახეთის რეგიონის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთათვის, პრიორიტეტულად მივიჩნევდი შემდეგ მიზნებს: 1. არა სიღარიბეს; 3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 4. ხარისხიანი განათლება; 5. გენდერული თანასწორობა; 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; 9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; 11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება; 12. გონივრული მოხმარება და წარმოება; დედამიწის ეკოსოტემები; 17. თანამშრომლობა საერთო მიზნებისათვის.

სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, კახეთში 309.600 ადამიანიდან სოფლად მოსახლეობის 80%-მდე – 238 ათასი ცხოვრობს; ცალკეული მუნიციპალიტეტის გარდა არ შეინიშნება მოსახლეობის ზრდა, სახეზეა მოსახლეობის დაბერების პროცესი, დასაქმების დონე 44,3%-ს შეადგენს, უმუშევრობის დონე – 10,4%, თვითდასაქმებულია მოსახლეობის 52,4%, უმუშევარია 12,7%. არ წყდება მიგრაცია; გაზრდილია შემწეობის მიმღები მოქალაქეების რიცხვი, შესაბამისად, იზრდება სიღარიბის მაჩვენებელიც. რადგან აბრეშუმის წარმოებაში უმეტესად ქალები მუშაობდნენ, შევნიშნავ, რომ მხოლოდ 55-დან 67 წლამდე ასაკის ქალების რაოდენობა 101240-ს, ანუ მოსახლეობის 32,7%-ს შეადგენს. შინამეურნეობიდან მიღებული შემოსავალი მცირეა – 3,5-ჯერ ნაკლებია დასაქმებულთა შემოსავალზე და 3-ჯერ ნაკლები გაცემულ პენსიაზე. მეაბრეშუმეობის აღორძინების შემთხვევაში ამ ასაკობრივი ჯგუფის ქალების დასაქმებით გარკვეულწილად შემცირდებოდა არსებული პრობლემები.

კახეთის რეგიონის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე: მშენებლობა, გზების დაგება-

შეკეთება, სარწყავი სისტემის მოწესრიგება და ა.შ. სადაც საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მამაკაცები არიან დაკავებული, გარკვეულწილად დარღვეულია გენდერული ბალანსიც. ზუნებრივია, ქალაქებში ქალთა სამუშაო ადგილები უფრო მეტია, ვიდრე სოფლად. რეგიონის ფაქტორული ანალიზის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებით, უკვე არსებულთან ერთად, სხვა საწარმო დარგების ამუშავება, ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარება, აგრომრეწველობის განვითარების ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

რეგიონის ხელმძღვანელობის სოციალური პასუხისმგებლობა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას და იქ მოსახლე ადამიანების/თემის კეთილდღეობაზე უნდა იყოს მიმართული. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ უცებ მოხდეს დარგის აღდგენა, თუმცა მის პოპულარიზაციასა და მოსახლეობის დაინტერესებას სწორედ მუნიციპალიტეტების საკრებულოებისა და თემის ერთობლივი ძალისხმევა შეუწყობს ხელს. სამოქმედო პროგრამა, რომელიც მეაბრეშუმეობის აღორძინებას ხელს შეუწყობს, შესაძლებელია 20-იან წლებში გაკვალოლი გზითაც განხორციელდეს, მით უმეტეს დღეს ამისთვის ტელევიზიებს, საკომუნიკაციო და სოციალურ ქსელებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ. ინსტრუქტორების მომზადება და ახალგაზრდების, საპენსიო ასაკს მიღწეული ქალების, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების უნარების განვითარება ამ მიმართულებით; იმის შეხსენებაც კი, რომ 60-იან წლებში ქართული აბრეშუმი მოწინავე პოზიციებს იკავებდა და 1998 წელს ქართული მზიური ჯიშის აბრეშუმის ძაფისგან დამზადებულ ქსოვილს ევროპის ხარისხის კომისიის მიერ „პლატინის ვარსკვლავი“ ჰქონდა მინიჭებული, საქართველოდან 5 მილიონი მეტრი ქსოვილი საექსპორტოდ გადიოდა, დამატებითი სტიმული იქნება მოსახლეობის დაინტერესებისთვის. სპეციალისტები თვლიან, რომ 3-4 წელიწადში შესაძლებელია აბრეშუმის წარმოების აწყობა.

რეგიონის ხელმძღვანელობის ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩნენ ერთეული მოხალისეები, რომლებიც უკვე შეუდგნენ აბრეშუმის ჭიის მოვლას სიღნაღში, სოფელ ქვემო მაღაროში. პირველი რიგის ამოცანა ამ საქმიანობაში მოსახლეობასთან დიალოგის დაწყებაა – სოფლისმეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწვევა, ლექცია-სემინარების ჩატარება და მოსახლეობისთვის ტრადიციული დარგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ინტერნეტის საშუალებით მუდმივი საკომუნიკაციო ჯგუფების, სოციალურ ქსელებში ფორუმების ორგანიზება; უკვე არსებულ საოჯახო მეურნეობებში დასაქმებულთა ოჯახის წევრებისა და სამეზობლოს ჩართვა ჯერ საგანმანათლებლო პროცესში, შემდეგ კი დასაქმება.

განათლების მიმართულებაზე თუ ვიმსჯელებთ, კახეთში 2 პროფესიული სასწავლებელია, სადაც, განათლების სამინისტროს ხელშეწყობითა და დარგის სპეციალისტების მოწვევით, აუცილებელია ერთ-ერთში მაინც მეაბრეშუმეობის სპეციალობის დანერგვა და

ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლების ყველა დონეზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფით.

რეგიონის, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის, ტურიზმის ხელშეწყობა ეკოსისტემების დაცვას და ახალი მიმართულებების დანერგვასაც ითვალისწინებს – ღვინის ქარხნებისა და მეურნეობების, საოჯახო მარნების – ტურისტულ მარშრუტებთან ერთად, ვიზიტორებისთვის საინტერესო იქნება აბრეშუმის წარმოების სხვადასხვა ეტაპების დათვალიერება: თუთის პლანტაციების გაშენებაში მონაწილეობა ან დათვალიერება, აბრეშუმის ჭიის მოვლა, ნედლი პარკის გაშრობის პროცესი, აბრეშუმის პარკისაგან ძაფის ამოხვევა თუ უკვე მიღებულ ქსოვილზე მოხატვა. ადგილობრივი ხალხური რეწვის ნიმუშებთან ერთად, აბრეშუმის ნაწარმის გაყიდვა მათ პოპულარიზაციას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას და მდგრადი ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

აქვე დავძენ, რომ საქართველოს საკუთარი მოხმარებისთვისაც სჭირდება ქსოვილიცა და ძაფიც, რომელიც ამჟამად უცხოეთიდან შემოდის. ქსოვილის წარმოების დაწყებამდე ნედლეულის გატანაც საკმაოდ მომგებიანია, სპეციალისტები თვლიან, საქართველოს კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვანი საბაზრო წილის დაკავება შეუძლია. საერთაშორისო ბაზარზე კი დიდი მოთხოვნაა აბრეშუმის ჭიაზე, გრენასა და პარკზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: თუ კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობასთან ერთად თანმიმდევრულად მიჰყვება 20-იანი წლებიდან მეაბრეშუმეობის აღორძინების გეგმას, შესაძლებელი იქნება, ეს დარგი, რომელიც საუკუნეებს ითვლის და სულ რაღაც 50 წელია აღარ ვითარდება, ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისისა თუ სხვა პრობლემების გამო, კვლავ გახდეს მოსახლეობის დასაქმებისა და დამატებითი შემოსავლის წყარო. მოსახლეობაც გააქტიურდება და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავის წვლილს შეიტანს, რეგიონი კი უფრო მიმზიდველი გახდება ახალგაზრდების, ინვესტორებისა და ტურისტებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე 1957: აბესაძე ნ., მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი, 1957.

დუმბაძე 1973: დუმბაძე მ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973.

ვახუშტი 1941: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“. რედაქტორები: თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი. თბილისი, 1941.

ალ-კაზვინი 1975: ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბილისი, 1975.

კალანდია... 2017: კალანდია გ., საგანელიძე ი., ზამბახიძე ი., ქსოვილი საქართველოდან. თბილისი, 2017.

ლამბერტი 1938: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938.

ნიკოლეიშვილი... 2014: ნიკოლეიშვილი გ., შაფაქიძე ე., მეაბრეშუმეობა – შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია. თბილისი, 2014.

სანიკიძე... 2011: სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.–XXI ს.–ის დასაწყისი). თბილისი, 2011.

შარდენი 1935: შარდენი ჟ., მოგზაურობა საქართველოში. ტფილისი, 1935.

ჯავახიშვილი 1962: ჯავახიშვილი ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III, ტანსაცმელი, ქსოვილები და ხელსაქმე. თბილისი, 1962.

ჯანაშვილი 1894: ჯანაშვილი მ., საქართველოს ისტორია. თბილისი, 1894.

წყაროები

კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია http://gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%931.pdf დამოწმება 10.12.2021.

კომუნისტი 1923: აბრეშუმის ბაზრების მდგომარეობა [მარტის დამლევს]. გაზეთი „კომუნისტი“, №93, 1923.

კომუნისტი 1923: გაზეთი „კომუნისტი“, 27 ოქტომბერი, №248, 1923.

კომუნისტი 1924: მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები. გაზეთი „კომუნისტი“, №100, 1924.

კომუნისტი 1925: აბრეშუმის პარკის დამზადების კამპანია [საქართველოში]. გაზეთი „კომუნისტი“, №158, 1925.

კომუნისტი 1931: მეაბრეშუმეობა გარე-კახეთში / გარეჯელი). გაზეთი „კომუნისტი“, №74, 1931. <https://agrokvkaz.ge> დამოწმება: 10.12.2021.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაბვითარების სტრატეგია <https://npr.gov.ge/source> დამოწმება 10.12.2021.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika> დამოწმება 10.12.2021.

<https://sdg.gov.ge/goals-details-inner/1> დამოწმება 10.12.2022.

ავტორთა მონაცემები
CONTRIBUTORS

ავტორთა მონაცემები

ნანა აბულაძე

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 33 60 67

ელ.ფოსტა: abuladze777@gmail.com

მანანა ზანძელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ტელ.: +995 593 32 34 60.

ელ.ფოსტა: manana57@yahoo.com

დალი ბეთხოშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 48 81 29.

ელ.ფოსტა: dali.betkoshvili@yahoo.com

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.

ტელ.: +995 577 25 12 72.

ელ.ფოსტა: maikoberidze@gmail.com

ეკა დადიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, ტარიელ ფუტყარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 598 10 14 72.

ელ.ფოსტა: dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

მაყვალა დავითაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 591 41 12 73.

ელ.ფოსტა: Tyupebi98@mail.ru

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ტელ.: +995 591 986 405.

ელ.ფოსტა: iamzevashakidze@gmail.com

მარიკა თედორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
 ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 66 86 03.

ელ.ფოსტა: marika.tedoradze@atsu.edu.ge

რუსუდან კაშია

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა, ისტორიის
 დოქტორი.

ტელ.: +995 599 18 96 44.

ელ.ფოსტა: rusudankashia@gmail.com

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის
 დოქტორი.

ტელ.: +995 577 25 12 75.

ელ.ფოსტა: maikoberidze@gmail.com

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი,
 ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 14 20 07.

ელ.ფოსტა: Mari_teron@yahoo.com

მაია მიქაუტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
 ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 598 89 34 20

ელ.ფოსტა: mikautadzemaia@gmail.com; maia.mikautadze@atsu.edu.ge

რუსუდან მიქაუტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
 ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 78 22 63.

ელ.ფოსტა: rusudan.mikautadze@atsu.edu.ge

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ფილოლოგიის
 დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 577 28 28 61.

ელ.ფოსტა: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

ოთარ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 68 98 99

ელ.ფოსტა: otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

მადონა რობაქიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 14 95 63

ელ.ფოსტა: madona.robaqidze@atsu.edu.ge

რუსუდან საღინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 577 72 74 28.

ელ.ფოსტა: r_saginadze@yahoo.com rusudan.saginadze@atsu.edu.ge

მარიამ სულხანიშვილი

დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების მოწვეული სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +90 53 72 88 62 47.

ელ.ფოსტა: marsulkh@gmai.com; mariamsulkhanishvili@duzce.edu.tr

მაია ქუჭიშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 591 41 12 73.

ელ.ფოსტა: kukchishvilim@gmail.com

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 49 47 70.

ელ.ფოსტა: david.shavianidze@atsu.edu.ge

ეკატერინე შაკიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 375 439.

ელ.ფოსტა: e.shakiashvili@gtu.ge

რევაზ შეროზია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 274 592

ელ.ფოსტა: rezosherozia@rambler.ru

დარეჯან ჩხიროძე

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ტელ.: +995 568 824 540.

ელ.ფოსტა: darejan.chkhirodze@gmail.com

მაგდა ჭიკაბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 34 25 53.

ელ.ფოსტა: mchikaberidze@gmail.com

სოფიკო ჭუმბურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 27 64 58.

ელ.ფოსტა: chumburidze.sofikoo@gmail.com

ლუიზა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 66 86 01.

ელ.ფოსტა: luizakhachapuridze@yahoo.com; luiza.kjachapuridze@atsu.edu.ge

მანანა ხვინგია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ტელ.: +995 577 17 50 07.

ელ.ფოსტა: mananakhvingia@gmail.com

მზია ხოსიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

ტელ.: +995 599 79 62 64.

ელ.ფოსტა: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

CONTRIBUTORS**Nana Abuladze**

Employee of the Dadiani Palace's Historic-Architectural Museum of Zugdidi, Doctor of Philology.

Tel.: +995 574 18 18 84.

Email: abuladze777@gmail.comPikria

Manana Bandzeladze

Akaki Tsereteli State University. Associate Professor.

Tel.: +995 593 32 34 60.

Email: manana57@yahoo.com

Dali Betkoshvili

Samtskhe-Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 48 81 29.

Email: dali.betkoshvili@yahoo.com

Magda Chikaberidze

Georgian Technical University, Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 34 25 53.

Email: mchikaberidze@gmail.com

Darejan Chkhirodze

University of Kutaisi, Associate Professor.

Tel.: +995 568 82 45 40.

Email: darejan.chkhirodze@gmail.com

Sofiko Chumburidze

Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 27 64 58

Email: chumburidze.sofikoo@gmail.com

Eka Dadiani

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology. Head of Tariel Putkaradze Scientific-Research Center of Kartvelology.

Tel.: +995 598 10 14 72.

Email: dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

Makvala Davitadze

Samtskhe-Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 41 12 73.

Email: Tyupebi98@mail.ru; davitadzem@sjuni.edu.ge

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University. Professor. Doctor of Philology.

Tel.: +995 577 25 12 72.

Email: maikoberidze@gmail.com

Rusudan Kashia

Kutaisi Iliia Chavchavadze Public Library, Doctor of History.

Tel.: +995 599 18 96 44.

Email: rusudankashia@gmail.com

Luiza Khachapuridze

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 66 86 01.

Email: luizakhachapuridze@yahoo.com; luiza.kjachapuridze@atsu.edu.ge

Manana Khvingia

Sokhumi State University, Ph. D student

Tel.: +995 577 17 50 07.

Email: mananakhvingia@gmail.com

Mzia Khositashvili

Georgian Technical University, Doctor of Social Sciences; Employee of the National Parliamentary Library of Georgia.

Tel.: +995 599 79 62 64.

Email: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

Mariam Koberidze

Gori State Teaching University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 25 12 75.

Email: maikoberidze@gmail.com

Maia Kukchishvili

Samtskhe-Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 41 12 73.

Email: kukchishvilim@gmail.com

Mariam Marjanishvili

Kutaisi State Historical Museum, Doctor of Philology.

Tel.: +995 595 14 20 07.

Email: Mari_teron@yahoo.com

Maia Mikautadze

Akaki Tsereteli State University, Doctor of Philology, Associate Professor.

Tel.: +995 598 89 34 20

Email: mikautadzemaia@gmail.com; maia.mikautadze@atsu.edu.ge

Rusudan Mikautadze

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 78 22 63.

Email: rusudan.mikautadze@atsu.edu.ge

Avtandil Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University. Professor, Doctor of Philology. Head of the Department of Georgian Philology.

Tel.: +995 577 28 28 61.

Email: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

Otar Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 555 68 98 99

Email: Otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

Madona Robakidze

Akaki Tsereteli State University, Doctor of History, Associate Professor.

Tel.: +995 599 14 95 63.

Email: madona.robaqidze@atsu.edu.ge

Rusudan Saginadze

Akaki Tsereteli State University, Professor, Doctor of Philology. Head of Georgian Language Department.

Tel.: +995 577 72 74 28.

Email: r_saginadze@yahoo.com; rusudan.saginadze@atsu.edu.ge

Ekaterine Shakiashvili

Georgian Technical University, Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 375 439.

Email: sharashenidzeshalva@gmali.com

David Shavianidze

Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 599 49 47 70.

Email: david.shavianidze@atsu.edu.ge

Revaz Sherozia

Shota Meskhia Zugdidi State Teaching University. Associate Professor.

Tel.: +995 599 27 45 92.

Email: rezosherozia@rambler.ru

Mariam Sulkhanishvili

Turkey. Düzce University, Department of Georgian Language and Literature,
Invited Specialist, Doctor of Philology.

Tel.: +90 4229 05 37 288 62 47.

Email: marsulkh@gmail.com

Marika Tedoradze

Akaki Tsereteli State University, assistant professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 66 86 03.

Email: iamzevashakidze@gmail.com

Iamze Vashakidze

Caucasus University, Associated Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 98 64 05.

Email: iamzevashakidze@gmail.com

**კომპიუტერული უზრუნველყოფა -
ეკატერინე ბარაბაძე**

**გარეკანის დიზაინი -
გელა ღაჭავაძე**

